იგავნი
უფლისა ჩუენისა
იესო
ქრისტესნი

საღვთისმეტყველო განმარტება

7

წიგნად

„მიეახლენით ღმერთსა
და მოგეახლოს თქუენ“
წმიდა იაკობ მოციქული

გამომცემლობა „ალილო“
გამომცემლობა „დედაენა“
თბილისი 2008

იგავნი
უფლისა ჩუენისა
იესო
ქრისტესნი

წმიდა მამათა და კომენტატორთა
საღვთისმეტყველო განმარტება

„ეტყოდა იესუ იგავით ერსა მას“
(მათე 13, 34)

„გამოგჳთარგმანე ჩუენ იგავი იგი“
(მათე 13, 36)

3

„უგუნური მდიდარი“
„მდიდარი და გლახაკი ლაზარე“
„ორგული მნე“

[ვერცხლისმოყვარეობა] [ჭეშმარიტი სიმდიდრე] [ცხონება, წარწყმედა]
[ზრუნვა, უზრუნველობა] [არა იპარო]

გამომცემლობა „ალილო“
გამომცემლობა „დედაენა“
თბილისი 2008

„უფალმა გაკურთხოთ და შეგიწიროთ თქვენი შრომა...
კარგია უფლის წინაშე ყოველი შრომის დაწყების წინ
გულით შევედრება, რათა ძალა მოგანიჭოს სრულყოფილად შესრულებისათვის,
რამეთუ მის გარეშე შეუძლებელია კეთილი“

მღვდელ-მონაზონი იოსები
(ბურჯანაძე)

დიდი მადლობა საქართველოს საპატრიარქოს რადიო „ფერიას“: გიორგი ანდრიაძეს, დარეჯან შენგელიას, ქეთევან ხითარიშვილს, ლიკა ქუცნიაშვილს, ნანა გულორდავას, ნინო აბრამიშვილს, იპოლიტე (ბაკო) ხვიჩიას, მღვდელ კონსტანტინე ლეკიშვილს – ყველას, რომელთა გულშემატკივრობითა და თანამონაწილეობით ხორცი შეესხა რადიოგადაცემას „უფლის იგავები“ (*„მიუყო იგავსა ყური ჩემი“*).

ემადლობ ჩემს სულიერ მამას და მოძღვარს – დეკანოზ ანტონ ხანთაძეს, ასევე სულიერ მოძღვრებს: მღვდელ-მონაზონ იოსებ ბურჯანაძეს, პროტოპრესვიტერ გიორგი გამრეკელს, დეკანოზ ბესარიონ ბულაშვილს, დეკანოზ ამირან ამირანაშვილს, დეკანოზ მაქსიმე ჭანტურიას, დეკანოზ მიქაელ გალდავას, მღვდელ კონსტანტინე გიორგაძეს, რომელთა ლოცვა-კურთხევა და შეწევნა არ მოკლებია ამ კნინ ნამუშაკევს.

უღრმეს მადლობას მოვახსენებ ამ წიგნის გამოსაცემად გაღებული საფასის შემომწირველებს:
გიორგი (გოგი) ხარაძეს, სან-ფრანციასკოს ქართულ დიასპორას.
გიორგი და სოფიო რუხაძეებს, ნუგზარ ბახტაძეს და თინათინ ჯაჯვაძეს.

მადლობას ვუხდი გულითადი თანადგომისათვის თამარ მაისაის და მის ტკბილ ოჯახს.

უფალო იესო ქრისტე, მიმადლე მათ და მათს ოჯახებს შენი მფარველობა და შემწეობა!

უაკ (UDC) 23/28 ი 331

© დოდო (მარიამ) ღლონტი

მკითხველისათვის

ღვთის წყალობით, გაწვდით უფლის იგავების მე-3 წიგნს, სადაც გაეცნობით სამი სახარებისეული იგავის საღვთისმეტყველო განმარტებას. ეს იგავებია: „უგუნური მდიდარი", „მდიდარი და გლახაკი ლაზარე" და „ორგული მნე".

ამ იგავთა უფლისმიერი სათქმელიდან გამომდინარე, გზადაგზა ვითარდება თემები: სიმდიდრისა და მისი მართებულად მოხმარებისა, ვერცხლისმოყვარეობისა, ცხონებისა და წარწყმედისა, ზრუნვისა და უზრუნველობისა, მერვე მცნებისა („არა იპარო"). ცხადია, ამ თემებს სხვა უფლისმიერი იგავების სათქმელიც იტევს, მაგრამ ამჯერად, ამ სამ იგავში, საგანგებოდ გაცხადდება უფალი იესო ქრისტეს ნება, რათა ჩვენი გულისყური და გონებისთვალი სწორედ ვერცხლისმოყვარეობისა და მისგან გამოწვეული განსაცდელებისკენ იყოს მიმართული.

რამდენიმე აუცილებელი შენიშვნა წინამდებარე წიგნის შედგენილობასთან დაკავშირებით:

** სახარების ყოველი იგავის ტექსტი ძველ ქართულად მოგეწოდებათ, შესაბამისი თავისა და მუხლის მითითებით, თუმცა ციტირებისას ზოგჯერ ახალ ქართულ თარგმანს მიმართავთ, რათა ძველ ქართულ ენობრივ მასალაში ჩაუხედავი მკითხველი არ შეფერხდეს და არ დაბრკოლდეს განმარტებითი ნაწილის აღქმისას.

** წიგნი დაიყო სამ ნაკვეთად, თითოეულ ნაკვეთს დასაწყისშივე ერთვის მცირე საძიებელი, სადაც ყოველი შემადგენელი ნაწილის (ქვეთავების) გვერდია მითითებული.

** წიგნს ბოლოში დავურთეთ იმ ლიტერატურის ნუსხა, რაზეც, ღვთის წყალობით, ხელი მიგვიწვდებოდა, და რისი მეოხებითაც გახდა შესაძლებელი უფლის იგავთა განსამარტავი მასალის თავმოყრა.

** ლიტერატურის ნუსხას მოსდევს საკუთარ სახელთა საძიებელი, სადაც, შესაბამისი გვერდების მითითებით, ანბანურად არის წარმოდგენილი ტექსტში შავი შრიფტით მონიშნული ყველა საკუთარი სახელი: წმიდა მამათა, წმიდა წინასწარმეტყველთა, წმიდა მოციქულთა, წმიდანთა, კომენტატორთა და სხვათა.

გუაკურთხენ, უფალო!

ვუძღვნი ჩემს ნათლულებს:

ლეილა შამფრიანს, მის ნათელ ხსოვნას.

გიორგის (ჭოლაძეს)

დავითს (ტვილდიანს)

ზურაბს (ლაშხს)

თენგიზს (გორდეზიანს)

რატის (კიკილაშვილს)

ცოტნეს (ნოზაძეს)

ელენეს (პოდმარიოვას)

თამარს (შაისაიას)

თინას (არაბულს)

იას (ლეჟავას)

ლელას (ბახტაძეს)

ლიას (ჩუგნაძეს)

მარინას (ჩალაძეს)

მარიანას (იშხნელს)

ნინოს (ტიტვინიძეს)

სოფიოს (ახმეტელს)

ხათუნას (ძამაშვილს)

„უგუნური მდიდარი“

„აჰა, ესერა, კაცი, რომელმან არა ყო ღმერთი მწე მისა, არამედ ეს-
ვიდა იგი სიმრავლესა სიმდიდრისასა“
(ფსალმუნნი 51, 9)

„ამაოდ შფოთებს, რამეთუ იუნჯებს და არა უწყის,
ვის შეუკრიბოს იგი“
(ფსალმუნნი 38, 7)

„სიმდიდრე თუ გარდაგერეოდის, ნუ შეაპყრობთ
გულთა თქუენთა“
(ფსალმუნნი 61, 11)

„სადაცა არს საუნჯე თქუენი, მუნცა იყოს გული თქუენი“
(ლუკა 12, 34)

„ხოლო თქუენ იუნჯებდით საუნჯეთა ცათა შინა“
(მათე 6, 20)

*„კაცისაი ვისმე მდიდრისაი ნაყოფიერ იყო აგარაკი. და განიზრახ-
ვიდა გულსა შინა თჳსსა და თქუა: რაჲმე ვყო, რამეთუ არა მაქუს, სადა
შევიკრიბო ნაყოფი ჩემი?*

*და თქუა: ესე ვყო: დაჳარღჳნე საუნჯენი ჩემნი და უფროჲსნი აღეაშენნე;
და შეიკრიბო მუნ ყოველი ნაყოფი და კეთილი ჩემი. და ვჰრქუა სულსა
ჩემსა: სულო, გაქუს მრავალი კეთილი დაუნჯებული მრავალთა წელთაჲ:
განისუენე, ჭამე და სუ და იხარებდ.*

*ჰრქუა მას ღმერთმან: უგუნურო, ამას ღამესა მიგიღონ სული შენი შენ-
გან; ეგე, რომელ მოიმზადე, ვისა იყოს?“*

ლუკა 12, 16-20

შეწყვეტილი ქადაგება – 8; „ვინ დამადგინა მე მსაჯულად?“ – 10; „ეკრძალეთ ანგარებას“ – 12; გაუძღომელი ზრახვანი – 14; „რაჲმე ვყო?“ – 16; „სულო, გაქუს... მრავალთა წელთა“ – 19; „განისუენე, ჭამე და სუ და იხარებდ“ – 20; „სმა-ჭამა დიდად შესარგი“ – 21; „პრქუა მას ღმერთმან“ – 23; „უგუნურო“ – 26; „მიგიღონ სული შენი შენგან“ – 26; „ეგე, რომელ მოიშზადე, ვისა იყოს?“ – 28; „იუნჯებდეს თავისა თჳსისა“ – 29; „ღმრთისა მიერ განმდიდრდებოდის“ – 32; ანაზდეული აღსასრული – 35; ქრისტიანული პატივი და უჭკუო თავმოყვარეობა – 37; „ნუ ჰზრუნავთ“ – 39; „ეძიებდით პირველად სასუფეველსა ღმრთისასა“ – 47.

შეწყვეტილი ქადაგება

ამ იგავს უფალი იესო ჰყვება ერთ-ერთი თავისი მსმენელის თხოვნასთან დაკავშირებით. იგი უფლის გარშემო მდგომ ხალხთან ერთად იდგა და იესოს ქადაგება შეაწყვეტინა. ჩვენი უფალი თავის მოწაფეებს უქადაგებდა და ასწავლიდა, რომ ისინი ფარისეველთა საფუარს, ანუ თვალთმაქცობას მორიდებოდნენ. *წმიდა ლუკა მახარებელი* მე-12 თავის პირველ მუხლში გვაუწყებს, რომ უფლის ირგვლივ აურაცხელმა ხალხმა მოიყარა თავი. მანამდე, წინა, მე-11 თავის მუხლებიდან ვიგებთ, რომ უფალს გააფთრებით შეუტიეს მწიგნობრებმა და ფარისევლებმა:

„იწყეს მწიგნობართა მათ და ფარისეველთა განზრახვად ბოროტისა და უძნდა სიტყუაჲ იგი და ჰგმობდეს მას მრავლისა მისთჳს სიტყჳსა“ (ლუკა 11, 53).

ისინი შეკითხვას შეკითხვაზე უსვამდნენ იესოს და აიძულებდნენ, ეპასუხა. სწორედ ამ დროს შეიყარა ურიცხვი ხალხი, ისე რომ, ლამის ერთმანეთი გადათელეს. და აი, ჩვენი უფალი საგანგებოდ მიმართავს მოწაფეებს, თუმცა ეს სათქმელი ყველა დანარჩენსაც ესმის:

„ეკრძალენით თავთა თქუენთა ცომისაგან ფარისეველთაჲსა, რომელ არს ორგულებაჲ“ (ლუკა 12, 1) – ასე იწყებს უფალი იესო თავის დიდებულ ქადაგებას. სწორედ ამ ქადაგებისას გვიბრძანა ჩვენმა უფალმა: **„არარაჲ არს დაფარული, რომელი არა გამოცხადნეს, და დამალული, რომელი არა საცნაურ იყოს“ (ლუკა 12, 2).**

უფალი იესო ამაუე ქადაგებისას აღიარებს თავის მეგობრებად საკუთარ მოწაფეებს და აფრთხილებს, რომ მათ მხოლოდ სულის წარმწყმედელთა შიში უნდა ჰქონდეთ, იმათი შიში, რომლებსაც გეენაში, ანუ ჯოჯოხეთში შეუძლიათ ჩაყარონ ისინი: **„და გეუბნებით თქუენ, ჩემს მეგობრებს“**, – მიმართავს უფალი მოწაფეებს, – **ნუ გეშინიათ იმათი, რომელნიც ჰკლაუენ ხორცს, მაგრამ სხვას ველარას გაუნებენ; არამედ გაჩუენებთ, ვისი გეშინოდეთ: გეშინოდეთ იმისი, ვისაც თქუენი მოკვლის შემდეგ შეუძლია, ჩაგყაროთ გეენაში. დიახ, გეუბნებით თქუენ, ამისი გეშინოდეთ“** (ლუკა 12, 4-5).

ამაუე ქადაგებიდან გვამცნობს ჩვენი უფალი, რომ **„ყოველი ღერი თმაც კი დათვლილია ჩუენს თავზე“** (ლუკა 12, 7) – და რომ სულიწმიდის მგმობელს არასოდეს მიეტეუება.

ყოველივე ამის მსმენელი ერთი კაცი მოულოდნელად შეაწყვეტინებს უფალს სიტყვას და მართლაც გამაოგნებელი თხოვნით მიმართავს მას:

„მოძღუარ, არქუ ძმასა ჩემსა, რათა განმეყოს მე სამკჳდრებელსა“ (ლუკა 12, 13) – მოძღვარო, უთხარი ჩემს ძმას, რომ გამიყოს მე სამკეიდრებელი, ქონებაო. *დეკანოზი ბუხარეი* შენიშნავს, რომ ამ კაცს, ჩანს, იმედი მიეცა: ასეთ დიდ გავლენას რომ ახდენს ეს მოძღვარი თავისი ქადაგებით ამდენ ხალხზე, ყველა სულგანაბული რომ უსმენს, იქნებ, მეც მიშველოს და ჩემი ძმა მემკეიდრეობის გაყოფაზე დაითანხმოსო. დეკანოზი იმასაც შენიშნავს, რომ ეს კაცი ან უგულისყუროდ უსმენდა უფალს, ან კიდეე, მისი გულისყური ამსოფლიურს ისე მიჰკვროდა, რომ სულსწრაფობამ სძლია, საკუთარი საწუხარით გარემოცული აღარ დაელოდა სხვა, უფრო ხელსაყრელ შემთხვეევას, და ასე უადგილოდ და უდროოდ მიმართა იესოს.

ამ კაცის შეძახილი – **ჩემმა ძმამ სამკეიდრებელი გამიყოსო** – მის უკმაყოფილებასაც გმოხატავს, რაც სამემკეიდრეო ქონების, მისი აზრით, უსამართლოდ, უკანონოდ გაყოფით არის გამოწვეული. თუმცა უფლის პასუხი ააშკარაეებს ამ კაცის ნამდვილ ზრახვებს: **„ხოლო იესუ ჰრქუა მას: კაცო, ვინ დამადგინა მე მსაჯულად და განმკითხველად თქუენდა?“** (ლუკა 12, 14).

ამის შემდეგ უფალი კვლაე თავის მოწაფეებს მიუბრუნდა და უთხრა: **„ფხიზლად იყაეით და ეკრძალეთ, თავი დაიცაეით ანგარებისაგან, ვინაიდან კაცს შეიძლება ყველაფერი უხვად ჰქონდეს, მაგრამ მარტო სიმდიდრით როდი ცოცხლობს იგი“** (ლუკა 12, 15).

ანგარებით უფალი მიგვანიშნებს, რომ ეს კაცი არცთუ სამართლიანად ითხოვდა სამკეიდრებლის გაყოფას. მეორე მხრივ, უფალი გვაფრთხილებს,

რომ ანგარების წყარო, როგორც წესი, ამქვეყნიურობას, ყოველდღიურობას მიჯაჭვულობაა.

იგავი „უგუნურ მდიდარზე“ სწორედ ამ კაცის თხოვნის გამო უამბო უფალმა იქ მყოფთ, ამ იგავის თხრობის მიზეზიც ეს გახდა. მიზანი კი, როგორც ახლახან ითქვა, სიმდიდრისა და ქონების მოხვეჭის, ანგარების წარმოჩენაა.

„ვინ დამადგინა მე მსაჯულად?“

„უგუნური მდიდრის“ იგავის წინამავალ ნაწილში ერთი უაღრესად საგულისხმო დეტალი იქცევს ყურადღებას. ეს დეტალი ჩვენი უფლის პიროვნულ თვისებას შეეხება. საქმე ის არის, რომ იმ კაცის თხოვნას უფალი უარით უპასუხებს და ეუბნება: ვინ დამაყენა მე თქვენს მსაჯულად ანდა ძმათა გამყრელადო? მართლაც, ძმათა ქონების გაყოფა სასამართლოს უნდა გადაეწყვიტა. ეს კაცი მსაჯულობასა და შუამავლობას ითხოვდა უფლისაგან, მაგრამ უფალმა უარი განუცხადა. ამ გარემოებამ იგავის მსმენელსა თუ მკითხველს შეიძლება სხვადასხვაგვარი შეკითხვები აღუძრას:

რატომ უთხრა უფალმა უარი ამ კაცს თხოვნაზე? რატომ არ ინდომა მისი დახმარება? ან რატომ არ იღებდა მონაწილეობას ჩვენი უფალი სამოქალაქო, საზოგადოებრივ საქმეებში, მით უფრო, მაშინ, როცა უსამართლობა იჩენდა თავს? რატომ არ აღკვეთდა ხოლმე იგი კერძო უსამართლობას? მას ხომ ყველას ტანჯვა მიჰქონდა გულთან. ნუთუ შეეძლო ყოველთა მწყალობელ უფალს, გულგრილად ედევნებინა თვალი იმისათვის, თუ როგორ დევნის უსამართლობა სამართალს?

ამგვარი შეკითხვების პასუხი, როგორც წმიდა მამები გვიმოწმებენ, თავად უფლის სწავლებაშია საძიებელი. რაღა თქმა უნდა, ჩვენი ტკბილი უფალი დამცირებულთა, ჩაგრულთა, შეურაცხყოფილთა და ცოდვათაგან ძლეულთა დასახსნელად გარდამოხდა ზეციდან მიწაზე. იგი მაშვრალთა და ტვირთმძიმეთა თანამგრძნობია, მისი მეოხებითა და წყალობით იმკვიდრებენ ნეტარნი ზეციურ სასუფეველს. ამ მიზნის მისაღწევად მან გვასწავლა ერთადერთი მართებული გზა – გზა ხელახალი შობისა, როდესაც ცოდვილი შეიგნებს, რომ ადამიანს ბედნიერებას მოუტანს არა სიძულვილი, არამედ სიყვარული; არა ეგოიზმი, არამედ მოყვასისადმი სიყვარული;

არა შურისმაძიებლობა, არამედ მიმტევებლობა; არა სხვათა შეეიწროება, არამედ სხვათათვის თავგანწირვა; არა განცხრომა, არამედ თმენით მიღება ტანჯვისა. მანვე გვასწავლა, რომ მხოლოდ ღმერთისა და მოყვასის სიყვარულით აღსავსე კაცობრიობა შეძლებს, იმგვარად გარდაქმნას საზოგადოებრივი წყობა, სადაც ველარ იბოგინებს მონობა, ჩაგვრა, დესპოტიზმი და სხვა სახის ძალადობანი. სასუფევლის აქვე, მიწაზე დასამკვიდრებლად ქრისტე ვერ მიმართავდა ძალას ძალის წინააღმდეგ, რადგან ბოროტებას, როგორც წესი, ახალი ბოროტება მოჰყვება.

ორი ძმის მსაჯულობას უფალი იმ მიზეზითაც განერიდა, რომ იგი თავად ქადაგებდა ქონების, სიმდიდრის უარყოფას: ხომ გახსოვთ, რა უთხრა მან იმ მდიდარ, მაგრამ რჯულის აღმსრულებელ ჭაბუკს:

„უკუეთუ გნებავს, რაჲთა სრულ იყო, წარვედ და განყიდე მონაგები შენი და მიეც გლახაკთა და გაქუნდეს საუნჯე ცათა შინა და მოვედ და შემოიდეგ მე“ (მათ. 19, 21).

ერთ-ერთი კომენტატორის თქმით, ბევრს უკვირს, რომ იესო და მისი მოწაფეები არ წინააღუდგებოდნენ არც სამარცხვინო მონობას, არც უსამართლობას, არც საზოგადოებაში არსებულ უთანხმოებასა თუ მდაბიოთა დამცირება-შეურაცხყოფას და არც ხელისუფალთა დესპოტიზმს. თავდასხმისა და ამბოხის ქადაგება, რა თქმა უნდა, ყველაზე იოლი იქნებოდა, მაგრამ ქრისტეს და მისი მოციქულების საქმე, მათი მისია, იყო აღამიანთა გულებში სიმართლის გრძნობის გაღვივება, სიყვარულისა და გულმოწყალების აღძვრა, რათა უზენაესი სულიერი ღირებულებები მხოლოდ ამ გზით დაკანონებულიყო საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

საუფლო ჭეშმარიტება სწორედ ის არის, რომ საზოგადოებისა და **სახელმწიფოს** გარეგანი **აღმშენებლობა** შინაგანი განახლებით დაიწყოს და განხორციელდეს: თავდაპირველად კაცთა გულებში უნდა დამკვიდრდეს სამართლიანობა, თითოეულის გული და სული ხელახლა იშვას, რაც, თავის მხრივ, საზოგადოების გარდაქმნის საფუძვლად იქცევა. უფალი იესო ქრისტეს სიცოცხლე, მისი ვნება, ჯვარცმა და სწავლება ის ფესვებია, საიდანაც, თავის დროზე, იმგვარი ქრისტიანული სახელმწიფო უნდა აღმოცენებულიყო, რომელიც ესოდენ სანატრელ – ქრისტეს რჯულით ნაკარნახევ კანონმდებლობას შეიმუშავებდა.

ქრისტეს მტრები არაერთგზის შეეცადნენ, ჩაეთრიათ უფალი სისხლის სამართლებრივ საქმეებში (გაიხსენეთ მრუში დეღაკაცის ეპიზოდი წქიდა იოანეს სახარებიდან) ან რომელიმე სამოქალაქო თუ პოლიტიკური ხასი-

ათის კამათში (ხარკის გადახდაზე, შფოთის ატეხაზე). მაგრამ ყოვლისმ-ჭვრეტელმა ჩვენმა უფალმა სულგრძელობითა და მრავალმოწყალებით უვნებელყო ამგვარად დაგებული ყოველი მახე. კაცობრიობის განახლების უზენაესი საქმე მან ზნეობრიობითა და სულიერებით შემოფარგლა.

უფალი იესო ქრისტეს ხსენებული შეკითხვა, რომლითაც იგი უარს განუცხადებს სამკვიდრებლის მაძიებელ კაცს – **„კაცო, ვინ დამადგინა მე მსაჯულად და განმყოფელად თქუენდა?“** – თითქმის სრულად ემთხვევა ძველი აღთქმის გამოსვლათა წიგნში ნათქვამს: მხედველობაშია *მოსე წინაწარმეტყველის* მიერ ეგვიპტელი კაცის მოკვლის ამბავი. ეგვიპტის ასულისგან ნაშვილები მოსე რომ წამოიზარდა, თავის თვისტომებთან მივიდა. ეგვიპტელები მეტისმეტად ავიწროებდნენ ებრაელებს. მოსემ დაინახა, რომ ეგვიპტელი კაცი ერთ ებრაელს სცემდა. მან მიიხედ-მოიხედა, დარწმუნდა, რომ არავინ იყო, მოკლა ეგვიპტელი და ქვიშაში ჩაფლა. მეორე დღეს მოსე ორი ებრაელის ჩხუბს შეესწრო და მათგან ერთ-ერთს, დამნაშავეს, უსაყვედურა, რად ეჩხუბები შენიანსო. პასუხად ამ ებრაელმა მოსეს მიუგო: ვინ დაგადგინა მთავრად და მსაჯულად ჩვენ ზედა; ჩემს მოკვლასაც ხომ არ აპირებ, როგორც ის ეგვიპტელი მოკალიო (გამოსლვათა 2, 11-14).

როგორც შენიშნავენ, მოსე არ განერიდა განსასჯელ საქმეს, ჩაერია და ძალადობისა და მკვლელობის ცოდვაშიც გაერია. ამისგან განსხვავებით, უფალი იესო თავისი უარით უზაკველ სამსახურს სთავაზობს იმ მომჩივან ძმას – ეს არის კეთილი რჩევა, მაცხოვნებელი სიტყვა, რომელიც ყურად უნდა ეღო არა მარტო ამ მომჩივანს, არამედ ყველას, ვინც იქ, მის გარშემო იდგა:

„ფხიზლად იყავით“, – გვაფრთხილებს უფალი, – **„და ეკრძალეთ ანგარებას, ვინაიდან კაცს შეიძლება ყველაფერი უხვად ჰქონდეს, მაგრამ მხოლოდ სიმდიდრით როდი ცოცხლობს იგი“** (ლუკა 12, 15).

„ეკრძალეთ ანგარებას“

სწორედ ამ უფლისმიერ სწავლებასა და შეგონებას მოჰყვება „უგუნური მდიდრის“ იგავის თხრობა. აღიარებულია, რომ ეს შეგონება არსობრივად „უგუნური მდიდრის“ იგავის სათქმელიც არის. ამიტომ, საკუთრივ იგავის განმარტებამდე, წმიდა მამები უფლის ამ სწავლებაზე საგანგებოდ ჩერდებიან და იგავის წინამავალ ნაწილსაც უთმობენ ყურადღებას.

ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელის თქმით, ის მომჩივანი ძმა უფალს აიძულებს, წარმავალი ქონების გამყოფად იქცეს. ნეტარი მამა იმას მიაქცევს ყურადღებას, რომ უფალი არც მრისხანებს და არც საყვედურობს, არამედ მშვიდად ამხელს მომჩივანის ამსოფლიურ ზრახვას, თან უთითებს, რომ იგი სულის ხსნისათვის კი არ ზრუნავს, არამედ მიწიერი, ყოველდღიური, წარმავალი საზრუნავითაა მოცული. იმ შეგონებით კი (ანგარებაზე), ნეტარი მამისავე განმარტებით, უფალი ეშმაკისეულ საქმედ შერაცხავს ძმათა **ანგარებიან** ურთიერთობას, რადგანაც მომხვეჭელობას, ჩვეულებრივ, დიდი ბოროტება მოჰყვება, გასაყოფი ქონება ძმებს შორის წყენასა და შუღლს ბადებს. ანგარებასა და მომხვეჭელობასთან დაკავშირებით *წმიდა პაულე მოციქული* ბრძანებს, რომ **ანგარება** — *კერპთმსახურებაა*, რის გამოც ღვთის რისხვა მოიწევა (კოლასელთა მიმართ 3, 5).

მეტად საგულისხმო დიალოგს გვთავაზობს *ნეტარი აგუსტინე*. უფალი იესო თითქოს ამას ეუბნება მომჩივან ძმას: შენ ხარბსა და გაუმაძღარს მხოლოდ იმას უწოდებ, ვინც ცდილობს, მიიღოს ის, რაც სხვას ეკუთვნის... მე კი გეუბნები, რომ სიხარბითა და გაუმაძღრობით იმასაც კი არ უნდა ესწრაფოდე, რაც შენია... მარტო ის კი არ არის ხარბი, ვინც სხვისას იხვეჭს, არამედ ხარბია ის გაუმაძღრობით პყრობილიც, ვინც საკუთარს უჭერს ხელს.

ამავე უფლისმიერ შეგონება-გაფრთხილებაში კიდევ ერთი საგულისხმო სწავლება ითხოვს განმარტებას. **„კაცს შეიძლება ყველაფერი უხვად ჰქონდეს, მაგრამ მხოლოდ სიმდიდრით როდი ცოცხლობს იგი“**, — ბრძანებს უფალი. ძველ ქართულ თარგმანში **სიცოცხლე** გადმოცემულია სიტყვით **ცხოვრება**, რომელსაც რამდენიმე მნიშვნელობა აქვს: „ცოცხლება“, ანუ „სიცოცხლე“, ასევე: „ძრთელობა“, „ხსნა“, „გადარჩენა“, „მაცხოვარება“. ბერძნულში ეს სიტყვა ამქვეყნიური ცხოვრების, სიცოცხლის გამომხატველია.

ასე რომ, აქ იგულისხმება ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა, **დღეგრძელობა**, სიცოცხლისუნარიანობა. უფალი ამბობს, რომ კაცის დღეგრძელობა არ არის დამოკიდებული სიმდიდრეზე: რაკი დიდძალი ქონება და სიმდიდრე გაქვს, ეს არ ნიშნავს, რომ დიდხანს იცოცხლებ. *ნეტარი მამა თეოფილაქტეს* თქმით, სიმდიდრის მოყვარულნი იმ იმედითა და ვარაუდით აგროვებენ ქონებას, რომ დიდხანს იცოცხლებენ და უზრუნველად გაატარებენ დღეებს ამ წუთისოფელში. „უგუნური მდიდრის“ იგავში ეს მართლაც უგუნური მდიდარი სწორედ ამას ფიქრობს ნეტარებით:

„სულო, გაქუს მრავალი კეთილი დაუნჯებული მრავალთა წელთა, განისუენე, ჭამე და სუ და იხარებდ“ (ლუკა 12, 19).

დეკანოზი ბუხარეი სიტყვაში ცხოვრება, ანუ **სიცოცხლე**, „ბედნიერების“ მნიშვნელობასაც ითვალისწინებს. მაშასადამე, უფალი იმასაც გვეუბნება, რომ არც ბედნიერებაა სიმდიდრეზე დამოკიდებული. ამის დასტურია, – დასძენს დეკანოზი, – ერთი ფრიად საგულისხმო იგავური თქმა: უმეცარი საუკეთესო ბიბლიოთეკაში რომ დასვათ, ან ავადმყოფი – ხორცით საკსე სუფრასთან, ან კიდევ გამოფიტული გული აზიაროთ წმინდა გრძნობებს – როგორ ფიქრობთ, ექნება კი ერთს, მეორეს ან მესამეს რაიმე აზრი, განა რომელიმე მათგანს მოუტანს ეს კეთილ ნაყოფს?

სწორედ ასევე არ მოაქვს სიმდიდრესა და ქონებას კაცისათვის არც დღეგრძელობა და არც ბედნიერება.

გაუძღომელი ზრახვანი

„უგუნური მდიდრის“ იგავის განმარტება, როგორც ითქვა, ითხოვს ამ იგავის წინამავალი ნაწილის გათვალისწინებას. თვითონ იგავის სიუჟეტი, ყველა უფლისმიერი იგავის მსგავსად, ყოველდღიური ცხოვრებიდან არის აღებული, ამიტომაცაა იგი ასე დამაჯერებელი და დამარწმუნებელი, – ბრძანებს *ეპისკოპოსი მიხეილი.*

იგავის დასაწყისშივე ხაზი ესმება ამ მდიდარი კაცის მეტისმეტ, გარდარეულ სიმდიდრეს: იმდენად დიდი სიმდიდრის პატრონია ეს კაცი, რომ ყველა თავისი ბეღელი უკვე გადავსებული აქვს და აღარ იცის, სად წაიღოს ახლად მოწეული უხვი მოსავალი, საგონებელში ჩავარდნილი ერთი საზრუნავითაა მოცული და იმაზეღა ფიქრობს – სად, როგორ შეინახოს ამდენი სიმდიდრე და ქონება?!

თუმცა საქმე ის კი არ არის, რომ ეს უგუნური კაცი ასე მდიდარია. უფალი მას ამ სიმდიდრის დაგროვების გამო კი არ განიკითხავს, არამედ იმის გამო, რომ ამ კაცს გაუმაძღრობა დაუფლებია, და დავიწყებია, რომ, ხორცის გარდა, მას სულიც აქვს, და ღმერთმა უკვდავი სულის ნაპერწკლის ღირსად აქცია. მდიდარს არც ის ახსოვს, რომ სიცოცხლის მიზანი ვერ შემოიფარგლება მარტო ხორციელი სიამოვნების ძიებითა და მიღებით, რადგან სიმდიდრე იმისთვის არ ეძლევა კაცს, რომ საკუთარი ცხოვრება უზრუნველყოს, საკუთარი სიამოვნება და განცხრომა გაიმრავლოს.

ყველაზე შემაძრწუნებელი ამ იგავში მდიდარი კაცის უგუნურებაა, ვინაიდან იგი დარწმუნებულია, რომ ღმერთმა სწორედ მას გამოუგზავნა ეს სიმდიდრე და, ღვთის კურთხევით, მარტო მას ერგება უხვი მოსავალი, თან მხოლოდ და მხოლოდ მისიეე სადღეგრძელებლად, მისი ცხოვრების უზრუნველსაყოფად – ეგ არის და ეგ! ეს კი იმას ნიშნავს, რომ ღვთის წყალობის მიმღებელს თავად ღმერთი აკიწყდება. ის, რასაც ღმერთთან უნდა დაეახლოვებინა ეს კაცი, განაშორებს მისგან. ეს კი, *სოლომონ ბრძენის* სიტყვით რომ ვთქვათ, **სიბრიყვის** ნიშანია, რადგან ბრიყვებს ღვთისგან განდგომილება ღუპავს (იგავნი 1, 32). მეტი რა შეიძლება იყოს, თუ არა სიბრიყვე, როცა ღვთისგან კეთილდღეობა მოგეცა და შენ კი ამქვეყნიურისადმი, ხორციელისადმი გარდამეტებული სიყვარულის სენი შეგყრია. ამ სენით შეპყრობილი დოვლათს გამოებმები, მისი გაზრდისა თუ შენარჩუნებისათვის ზრუნვაში ჩაიხრჩობ თავს და საკუთარი ხელით შენსავე კეთილდღეობას იმოკლებ და ისპობ!

წმიდა დავით მეფსალმუნე ბრძანებს: *„სიმდიდრე ნუ გარდაგეროდის, ნუ შეაპყრობთ გულთა თქუენთა“* (ფს. 61, 11), – სიმდიდრე და დოვლათი რომ გაგიმრავლდებათ, გულით ნუ მიეჯაჭვებითო მას.

წმიდა ამბროსის თქმით, ღმერთი სიუხვეს იმისთვის გვანიჭებს, რომ მისი საშუალებით ანგარებას ვძლიოთ და სიმდიდრისმოყვარეობის დათრგუნვა შევძლოთ.

ეს უგუნური კაცი კი ყოველივე ამის საპირისპიროს იქმს. იგი მთლიანად მისცემია საკუთარ სურვილთა ნებას, მას თვითონვე დაუდგამს ქედზე ამ სურვილთა უღელი – ისე, რომ მისი სიმძიმისაგან მოსვენება დაპკარგვია, სულის სიმშვიდე დარღვევია, გონება შეშფოთებია და ძილი დაპფრთხობია – მოკლედ, მას თვითონვე დაუნგრევია საკუთარი კეთილდღეობა და ვეღარც იმ სიმოვნებას განიცდის, რისი მოლოდინითა და იმედით აღსავსეს უხაროდა დოვლათის გამრავლებაც და მიღებაც.

ნეტარი მამა თეოფილაქტე გაკვირვებულია ამ უგუნურის გაუძღომელი ზრახვებით: მას ჯერ არ აუღია მოსავალი და უკვე მის დაბინავებაზე ფიქრობს და წუხს; ამ უგუნურს გონებაში ერთხელაც არ გაუელვებს აზრი მოწყალებაზე. მისი ფიქრის საგანი მხოლოდ საკუთარი თავის სიამოვნება და განცხრომაა – არც მადლიერება ახსენდება ღვთისადმი და არც გაჭირვებული მოყვასისათვის ხელის გამართვა!

დიახ, მართლაც გასაოცარია, სადამდე აღწევს წუთისოფლის შვილთა ამაოება: მდიდარს საქმეს ის უფუჭებს, რომ ზედმეტი აქვს, სხვებს კი

იმიტომ წახდომიათ საქმე, რომ ნაკლული აქვთ. *ნეტარი აგუსტინე* ამბობს: „*ადამიანი ამაო ზრუნვას უფრო დოვლათის შეძენისას ეწევა, ვიდრე გაჭირვებისას*". მართალია, ეს უგუნური კაცი არც მტაცებელია, არც ყაჩაღია. არც ქურდია, მას სხვისთვის არაფერი წაურთმევია, მიწისაგან იღებს დოვლათს, მაგრამ თავისი უგუნურებითა და სიბრიყვით, თავისი უკეთური აზრებითა და განზრახულობით მტაცებლურ ბუნებას აცლენს. ამიტომაც შენიშნავენ, რომ ეს იგივე მდიდარი კაცის **მტაცებლურ საზრუნავს** აღგვიწერს.

„რამე ვყო?"

„უგუნურ მდიდარში" ამის თვალსაჩინო გამომხატველია შეკითხვა, რომელსაც უგუნური მდიდარი საკუთარ თავს უსვამს: **რამე ვყო?** – რა ვქნაო. მაგრამ ვის ეკითხება იგი? ჩანს იმას, ვინც მისი არსების წიაღში ჩაბუდებულა, ვინც მის გულსა და გონებას დაუფლებია და ჩააგონებს, რაც შეიძლება მაგრად მოუჭიროს ხელი ამ სიმდიდრესა და დოვლათს, მხოლოდ და მხოლოდ თავისთვის დაიუნჯოს. ასე შობს სიმდიდრით პყრობილება კაცის გონებასა და გულში ამაო ზრუნვასა და ფუსფუსს, შფოთვას, უძილობას, აღგზნებულობასა და და მუდმივ უკმაყოფილებას ყოველივეთი.

წმიდა ბასილი დიდის თქმით, ღარიბიც ამბობს ხოლმე: რა ვქნაო? ოღონდ იგი იმის გამო წუხს, რომ არ იცის, რა ქნას: რა ჭამოს, რა სვას, რა ჩაიცვას, რით გათბეს... ეს მდიდარი კი იმის გამო წუხს და იმიტომ ამბობს – რა ვქნაო, რომ არ იცის, სად შეინახოს, სად დააბინაოს და გადამალოს ამდენი სიმდიდრე.

დიახ, ღარიბი ამბობს: რა ვქნა, არა მაქვსო. მაგრამ მდიდარიც ამას ამბობს: რა ვქნა, არა მაქვსო. პირველს შესანახიც არაფერი აქვს და საარსებოდაც არა გაჩნია რა, მეორეს კი ადგილი არა აქვს, სათაესოები აღარ ჰყოფნის, რომ თავზე საყრელი ქონება შეინახოს.

თუმცა, *ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელის* განმარტებით, ღარიბსაც და მდიდარსაც, ზრუნვით შეპყრობილნი რომ შეჰღაღადებენ ამ შეკითხვით – **რამე ვყო?** – ორივეს დაკარგული აქვს სიმშვიდე, ერთიც და მეორეც ამ დროს ცოდვისკენ იდრიკება: ერთი გულს იმით იბოროტებს, რომ არ აქვს, მეორე კი სიხარბეს, გაუმაძღრობასა და სიძუნწეს აჭმევინებს თავის გულს. დიახ, სიმდიდრესთან ერთად ცოდვებსაც ვაგროვებთო, – დასძენს ნეტარი მამა.

ნიშანდობლივია ის, რომ „უგუნური მდიდრის“ იგავში არაერთგზის მჟღავნდება ამ მდიდარი კაცის უგუნურება. წმიდა მამები განსაკუთრებული ძალისხმევით გამოხატავენ თავიანთ გაოგნებას ამ კაცის გადაწყვეტილების გამო:

„და თქუა: ესე ვყო: დავარღუნე საუნჯენი ჩემნი და უფროჲსნი აღვაშენნე და შეეიკრიბო მუნ ყოველი ნაყოფი და კეთილი ჩემი“ (ლუკა 12. 18).

მდიდარმა კაცმა გადაწყვიტა: საგულდაგულოდ ნაშენი და დოვლათით გადავსებული ყველა თავისი ბეღელი დაშალოს, ამათზე უფრო დიდები ააგოს და იქ შეინახოს ახლად მოწეული უხვი მოსავალი და სარჩო-საბადებელი. *წმიდა ბასილი დიდი* საგულისხმოდ დაუსვამს შეკითხვას ამ მდიდარ კაცს: კარგი, მაგრამ ამ დიდ ბეღელსაც რომ ააგსებ, მერე? მერე რაღას იზამ, კიდევ რომ მოგივა მოსავალი? ნუთუ ამათაც ისევე დაარღვევ და უფრო დიდებს ააშენებ?! მაგრამ განა არსებობს იმაზე მეტი უგუნურება, ვიდრე ეს დაუსრულებელი დარღვევა-აშენება?!

ეს მდიდარი კაცი ამბობს, ადგილი არ მაქვს, სად შევინახოო, და, მაშასადამე, წუწუნით აღიარებს, რომ უქონელია, არ აქვს, არ გააჩნია ადგილი ქონების შესანახად. მართალია, – ბრანებს *წმიდა ბასილი დიდი,* – შენ უქონელი ხარ, ღარიბი, ოღონდ ღარიბი – კაცთმოყვარეობაში, რწმენაში, სასოებაში; და ამის გამო შენ არასოდეს გექნება ადგილი, რადგანაც მარადის ზედმეტს ეძიებ, ძუნწობ. **შესაკრები ადგილი კი იმას არ აქვს, ვინც მარადის შეკრების ძიებაშია.**

ასე ცხადდება და იხსნება უფლის იგავში „უგუნური მდიდარი“ ხორციელების მოყვარულის ნამდვილი ბუნება, ანგარებით შეპყრობილის მისწრაფებანი. წმიდა მამები გვასწავლიან, რომ ამ უბედურ, დაბნეულ კაცს, მართალია, მართლაც არ აქონდა დიდი მოსავლისათვის შესანახი ადგილი, მაგრამ მას ხომ უდიდესი შესაძლებლობა ჰქონდა, თავისი დოვლათი და ქონება შეენახა ყველაზე სანუკვარ საუნჯესა და ბეღლებში: ღარიბთა ოჯახებში, ქვრივ-ობლებთან, სნეულებთან, უპატრონო ჩვილებთან, მშიერ-მწყურვალებთან. აი ჯუშმარიტი საუნჯენი! აი შენი ბეღლები, – მიმართავს ამ უგუნურს *ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი,* – ამათ არათუ შენი ქონების შენახვა შეუძლიათ, არამედ საზღაურად უხრწნელსა და ზეციურ სიკეთესაც მოგაგებენ, რადგან ღარიბ-ღატაკთა დამპურებელი – ღმერთს აპურებს, იგი ქრისტეს ემსახურება!

ნეტარი აგუსტინე ფაქიზად, დიდი სიყვარულით არიგებს ამ უგუნურ მდიდარს, და მათ მსგავსთაც, რომელთაც ეშინიათ დანაკარგისა. ამ შიშს

სწორედ მათი გადაჭარბებული ზრუნვა ამჟღავნებს მოწეულის დაბინავების გამო. ღმერთს ის კი არ უნდა, რომ შენ შენი სიმდიდრე დაკარგო, – მიმართავს ნეტარი მამა ამ უგუნურს, – პირიქით, ღმერთმა სწორედ იმიტომ და იმ მიზნით მოგცა ეს სიმდიდრე, რომ შეინახო იგი, ოღონდ შენ შესანახი ადგილი უნდა შეცვალო! ღმერთმა ამდენი ქონება და დოვლათი იმისთვის მოგცა, რომ ეს შეიგრძნო, ღვთის რჩევას ყური მიუგდო. შენი მეგობარი რომ გირჩევს ხოლმე, მოსავალი იქ არ შეინახო, სადაც ნესტია, არამედ შედარებით მშრალი, ვარგისი ადგილი გამოძებნეო – ხომ დაუჯერებ და მოუსმენ ამ მართლაც კეთილ რჩევას? ქრისტეს კი არ უჯერებ? იგი ხომ სულის ჭეშმარიტ გადარჩენასა და შენახვაზე გიქადაგებს, გირჩევს, რომ მიწიდან ზეცაში გადაიტანო შენი საუნჯე. მაგრამ ამისთვის ჯერ შენ უნდა დაკარგო (მიატოვო) მიწა, რათა მოიპოვო (მიიღო) ზეცა; ჯერ უარი უნდა თქვა ხრწნადზე, რათა მიიღო უხრწნელი, უკვდავი.

ნეტარი აგუსტინეს ეს შეგონება ეთანხმება *წმიდა მაქსიმე აღმსარებლის* სწავლებას: „ჩემი მხოლოდ ის არის, რაც გავეცი“. ჩანს, *რუსთველური* სიბრძნეც წმიდა მამათა ნააზრევით არის ნასაზრდოები: „რასაცა გასცემ – შენია, რასც არა – დაკარგულია“, – გვიბრძანებს დიდი შოთა.

კიდევ ერთ უგუნურებას ამჟღავნებს ეს მდიდარი იგავში. *ნეტარი თეოფილაქტე ბულგარული* გვირჩევს, დავაკვირდეთ, რას ამბობს ეს კაცი: **„შეეკრიბო ყოველი ნაყოფი და კეთილი ჩემი“ – ჩემიო!** და არა ღვთისგან ბოძებულიო. აი როგორ შეიძლება დაუბრმაოს კაცს გონება დიდმა ქონებამ, სიმდიდრისმოყვარეობამ. ამ მოსავალს ეს უგუნური მხოლოდ საკუთარი შრომის ნაყოფად მიიჩნევს და გაიძახის, ეს სიკეთე ჩემიაო, ჩემია და არა ღვთისაო! აი ნამდვილი სიშლეგე, შეშლილობამდე მისული უგუნურება სიმდიდრის მოყვარულისა! – ასე შესძახებს გაოგნებული ნეტარი მამა. და რადგანაც ეს სიკეთე, მისი აზრით, მხოლოდ მისი ხელიდან გამოსული და მოწეულია, ამიტომ მიმართავს იგი მარტო თავის თავს და თვითკმაყოფილებით აღძრული ამბობს:

„ვჰრქუა სულსა ჩემსა: სულო, გაქუს მრავალი კეთილი დაუნჯებული მრავალთა წელთა: განისუენე, ჭამე და სუ და იხარებდ“ (ლუკა 12, 19).

ამ განზრახვაშიც არის ჩაბუდებული სიშლეგე და უგუნურება მდიდარი კაცისა.

ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი შენიშნავს: სიშლეგეა ის, რომ ეს კაცი თვითონვე განუსაზღვრავს თავის თავს წლებს, სიცოცხლის ხანგრძლივობას და თავს ინუგეშებს: მრავალი კეთილი დაუნჯებული მაქვს მრავალთა წელთაო – თითქოსდა, უსვი მოსავლის მიღებით წლების რაოდენობაც მიმატებოდეს. სად გაგონილა, მოსავალი განსაზღვრავდეს სიცოცხლის ხანგრძლივობას?! ამ უგუნურს ღმერთი არ ახსოვს და არც კი ახსენდება, რომ სიკვდილ-სიცოცხლის საიდუმლო ღვთის ხელშია.

ამ თვალსაზრისით მეტად საგულისხმოდ ჟღერს უფლის ის შეგონება, რომლითაც იგი „უგუნური მდიდრის“ იგავის თხრობის შემდეგ თავის მოწაფეებს მიმართავს და ეუბნება: რომელ თქვენგანს ხელეწიფება, ბევრსაც რომ ეცადოს, თუნდ ერთი ციდა სიმაღლე მოიმატოს? ეს მდიდარი თავის სულს მიმართავს: **და ვჰრქუა სულსა ჩემსა – ვეტყვი ჩემს სულსო,** ასე ამბობს იგი. მაგრამ რომელ სულს გულისხმობს ის, რომელ სულს სთავაზობს განცხრომას, განსვენებას, ფუფუნებას? – იკითხავს *წმიდა იოანე ოქროპირი.*

სული ხომ შეიძლება იმ ზომამდე დაეცეს და გაუბადრუკდეს, რომ ხორცის მონად იქცეს და ამით სამუდამოდ წარწყმდეს. მაგრამ იმავე სულს იქამდე შეუძლია ამაღლება, რომ განჭვრიტოს ღვთიური დიდებულება, აღივსოს სიყვარულითა და სრული მორჩილებით ღვთისადმი. თუმცა ამ უგუნურ ადამიანს, შეიძლება ითქვას, სული არც აქვს, რადგან პირუტყვს დამსგავსებია და მარტო ხორციელი მისწრაფებებითღა ცხოვრობს, ხორციითღა არსებობს. *წმიდა ბასილი დიდი* მხილების მახვილს შემართავს და თან დასტირის ამგვარად გადაგვარებულ სულიერებას:

„ეაი შენ, შენი სისულელისა და სიშლეგისა გამო! – მიმართავს წმიდა მამა უგუნურ მდიდარს, – *შენ რომ ღორის სული გქონოდა, რაოდენ სიამოვნებას მიანიჭებდი მას, სწორედ ისეთს, შენთვის რომ გემეტება. შენ ხომ მართლაც პირუტყვის მსგავსი ხარ, რადგან ასე უხეშად ეჰყრობი საკუთარ სულიერებას, და სულს ხორციელი ხორაგით ეესებ. ხედავ, რა განუმზადე შენს სულს?“*

„განისუენე, ჭამე და სუ და იხარებდ“

დღეგრძელობასთან ერთად, ეს უგუნური მდიდარი კაცი მომავალ დაუსრულებელ **სიამოვნებასაც** თვითონვე განუმზადებს საკუთარ თავს: განისვენე, ჭამე, და სვი, და იხარებდეო, – ეუბნება იგი თავის სულს. ესეც უგუნურებაა, რადგან ბრძენი ადამიანი არასოდეს დაიქადნის ხვალინდელი დღით:

„თავს ნუ იქებ ხვალინდელი დღით, რადგან არ იცი, რას გიმზადებს, რას დაბადებს ის დღე“, – გვმოძღვრავს ***სოლომონ ბრძენი*** იგავების წიგნში (27, 1).

ეს შეგონება ისევე ფუჭია ამ უგუნური მდიდრისათვის, როგორც ***ზირაქის*** სიბრძნე: *„ნუ გეიმედება შენი ქონება და ნუ იტყვი, საკმარისი მაქვსო“* (5, 1) – თითქოს ამ მდიდრის უგუნურების თვალსაჩინოებისთვის უთქვამს ეს ზირაქს, რადგან უგუნურ მდიდარს მართლაც კმაყოფილებით აღმოხდება ის სიტყვები, განცხრომით სავსე ბრწყინვალე ცხოვრებას რომ უსახავს საკუთარ თავს სამომავლოდ.

ერთ-ერთ კომენტატორს ამასთან დაკავშირებით ახსენდება ***მართალი იობის*** სიტყვები: *„მეგონა, სიბერეში მოკვდებოდი და ქვიშასავით ურიცხვი იქნებოდა ჩემი დღეები“* (იობი 29, 18), – ასე მოთქვამს იგი. ამ მდიდარსაც ჰგონია, რომ ქვიშასავით გაუმრავლდება დღეები, რაკი ასე უხვად მიიღო დოვლათი; ჰგონია, რომ თავად მოიხმარს ამ ქონებას და თანაც უეჭველად განცხრომით, მხოლოდ ჭამა-სმითა და მხიარულებით ჩაამთავრებს თავის სიცოცხლეს.

ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელის თქმით, ამ მდიდრის უგუნურება იმითაც მჟღავნდება, რომ საკუთარ ბედნიერებას იგი ამგვარი უბადრუკი სიამეებით შემოფარგლავს – განსვენება, ანუ უსაქმურობა, და ჭამა-სმა – აი სულ ეს არის ამ უგუნურის ბედნიერების თავი და ბოლო, ამათგან მონიჭებული სიხარული აღავსებს მის აღუვსებელ საწყაულს! ნეტარი მამა ბრძანებს, რომ ამგვარი სიამენი მხოლოდ უგუნური, გონიერულობისაგან დაცლილი ადამიანის კმაყოფილებას იწვევს, გონიერი კი ღვთის კანონებს ითვალისწინებს და აქედან გამომდინარე ეძიებს სიხარულსაც და ბედნიერებასაც. ნეტარი მამის განმარტებით, მდიდარი თავის თავს რომ შეუძახებს – **იხარებდ**, ესე იგი, იმხიარულეო, მხიარულებაში აშკარად გარყვნილება იგულისხმება, რაც ჩვეულებრივ მოჰყვება ხოლმე კარგ სმა-ჭამას, კმაყოფილებისათვის მირთმეული ხორაგის მუცელში ჩაყრას.

„ნუ დათვრებით ღვინითა, რომლითა არს სიბილწე, არამედ აღივსენით სულითა“ (ეფესელთა მიმართ 5, 18), – ბრძანებს *წმიდა პაული მოციქული* და, ამ უგუნური მდიდრის მსგავსთა შესასმენად, ამასაც ამბობს: *„მათი აღსასრული წარწყმედაჲ არს, მათი ღმერთ მუცელი არს, და დიდებაჲ – სირცხჳლსა შინა მათსა, რომელნი ქუეყანისასა ზრახვენ“* (ფილიპელთა მიმართ 3, 19).

დიახ, უგუნური მდიდრის ზრახვანი მიწას არ სცილდება, მისი სული ხორცს დამონებია. *წმიდა იოანე ოქროპირის* თქმით, მდიდარი კი არ ფლობს სიმდიდრეს, არამედ სიმდიდრეს დაუპყრია იგი – მისი სულიც და ხორციც. ეს უგუნური ამბობს: **სულო, გაქვს მრავალი კეთილიო.** *„არა, მდიდარო კაცო!* – მიმართავს წმიდა მამა იოანე, – *შენ არ გაქვს სიმდიდრე, რამეთუ არ შეგიძენია ჭეშმარიტი სიმდიდრე! არ შეგიძენია „გულის ჴმისყოფა ღმრთისა“.*

განისუენე – ეუბნება მდიდარი თავის სულს, თითქოს უკვე მიიღო საუკუნო მოსვენება. მაგრამ განა ძალუძს ვინმეს, მოსვენებით იყოს სიმდიდრის ბასრ ეკალთა შორის, სადაც მხოლოდ ამაოებაა, მოუსვენრობაა, საზრუნავებია, წყინებაა, ზედმეტის სურვილია, შურია, მრისხანებაა და სასოწარკვეთაა? გახსოვდეს და იცოდე, ადამიანო: თუკი სიმდიდრეს მოიპოვებ, მაშ, მოსვენებასაც დაკარგავ!

ჭამე და სუ – თქვა მდიდარმა და ეგონა, ხორციელი საზრდოთი სულიერ შიმშილსა და წყურვილს მოიკლავდა. მას დავიწყებია, რომ სიმდიდრისგან, მით უფრო – მხოლოდ საკუთარი თავისთვის დაუნჯებული სიმდიდრისგან, კიდევ უფრო მძაფრდება სულიერი შიმშილი და წყურვილი.

„სმა-ჭამა დიდად შესარგი“

„უგუნური მდიდრის“ იგავში ნათქვამი – **განისუენე, ჭამე და სუ და იხარებდ** – უნებურად გვაგონებს „ეკლესიასტეში“ თქმულს:

„აი სად ვხედავ მე სიკეთეს, შესაფერ საქმეს: ჭამოს კაცმა, სვას და იხაროს თავისი ღვაწლით ამ მზისქვეშეთში დღენი მისნი, ღმერთმა რომ მისცა, რადგან ესაა მისი ხვედრი.“ (5, 17).

„უგუნური მდიდრისა“ და „ეკლესიასტეს“ ამ ნაწილებს შორის მსგავსება მხოლოდ ზედაპირულია. ამგვარ მსგავსებას ამ ნაწილთა ამოგლეჯით წაკითხვა იწვევს. ხშირად ხდება ხოლმე, რომ წმიდა ბიბლიის მკითხველი

ტექსტის მხოლოდ ამონარიდზე დაყრდნობით მსჯელობს და არ ითვალისწინებს არც მთლიანად კონტექსტს და არც მამათა კომენტარს. ამ შემთხვევაშიც შეიძლება თავი იჩინოს ამგვარმა საშიშროებამ.

უგუნური მდიდარი მხოლოდ საკუთარი ჭამა-სმისა და სიამოვნების მოსურნეა, მას ღმერთი არ ახსენდება. ამის საპირისპიროდ, ჭამა, სმა და გართობა „ეკლესიასტეს" ავტორისთვის თვითმიზანი არ არის, იგი მცირე განმარტებას წარუმძღვარებს: *„აი სად ვხედავ მე სიკეთეს, შესაფერ საქმესო"*. საკუთარი კეთილდღეობა და სიხარული, მისი თქმით, აუცილებლად კეთილი უნდა იყოს თავისი გამიზნულობით, კაცმა შესაფერ საქმედ უნდა აქციოს იგი – ღვთისთვის შესაფერ და მოსაწონ საქმედ! „ეკლესიასტეს" ავტორი ხაზგასმით ამბობს: ამ მზისქვეშეთში კაცმა თავისი ღვაწლით უნდა იხაროსო.

აქვეა გაცხადებული, თუ რა არის ჭეშმარიტი აზრი კაცის ცხოვრებისა – ეს არის ღვთისათვის სათნო და შესაფერი საქმის ქმნა, და ამ საქმით მოწეული სიხარული. აი მაშინ აქვს კაცის ჭამა-სმასა და სიხარულს განმართლება ღვთის წინაშე და მოწონება – კაცთა წინაშე. ეს არის ხვედრი კაცისა, – დასძენს „ეკლესიასტეს" ავტორი, – *რომ „ჭამოს, სვას და იხაროს თავისი ღვაწლით ამ მზისქვეშეთში დღენი მისნი, ღმერთმა რომ მისცა"*. გარდა ღვთისათვის სათნო და შესაფერი საქმისა, „ეკლესიასტეს" ავტორი საგანგებოდ მიაქცევს ყურადღებას ღვთიური განგებულების მნიშვნელობას და ამბობს:

„კაცს ღმერთი აძლევს ქონებასა და სიმდიდრეს და იმის შნოსაც, რომ მოიხმაროს, მიიღოს წილი და გაიხაროს თავისი შრომით. ეს ყველაფერი ღვთის წყალობაა. და რაკი ბევრს ველარაფერს გაიხსენებს კაცი თავის სიცოცხლეში, ღმერთი მისცემს მას გულის სიხარულს" (5, 18-19).

როგორც ვხედავთ, აქ სულ სხვაგვარი სიხარულის განცდა აღიბეჭდება – ეს არის **გულის სიხარული**, საკუთარი შრომით გამოწვეული სიხარული, რაც, როგორც ყოველივე ამქვეყნად, მხოლოდ ღვთის წყალობით გვენიჭება. ის, რაც „ეკლესიასტეს" ავტორისთვის უმნიშვნელოვანესია, ფიქრადაც არ მოსდის უგუნურ მდიდარს, რომელსაც არც ღმერთი ახსენდება და არც ღვთისთვის შესაფერი, მოსაწონი საქმე ნებავს. მან არც ღვთის წყალობა იცის და არც გულის სიხარულს ესწრაფვის. ჭამაშიც, სმაშიც, განსვენებაშიც (რაც, სინამდვილეში, უსაქმურობაა), და თვით სიხარულშიც კი – ეს მართლაც უგუნური მდიდარი მარტოა! მისთვის უცხოა და არც არსებობს **თანასიხარულის** განცდა, მოყვასთა და ახლობელთა სიხარულით აღვსება,

იგი მთლიანადაა მოცული საკუთარი სიმდიდრით, საკუთარი თავით, საკუთარი ხორცითა და საკუთარი სულით – იმ სულით, რომელიც ამ სიმდიდრისა და ხორცის მონად თვითონვე უქცევია.

წმიდა ბიბლიის ამ ნაწილთა შეპირისპირებისას ქართველი მკითხველს არ შეიძლება არ გაახსენდეს *შოთა რუსთაველის* უკვდავი სიტყვები:

„სმა-ჭამა დიდად შესარგი, დება რა საკარგულია,
რასაცა გასცემ – შენია, რასც არა – დაკარგულია“.

აშკარაა, რომ *რუსთაველი* „ეკლესიასტეს“ ავტორის თანამოაზრეა – მეფე როსტევანი ბიბლიურ სიბრძნეს შეახსენებს თავის ახლად გამეფებულ ასულს, თინათინს, და უშუალოდ მიუთითებს მოწყალებაზე, გაცემაზე, იმაზე, რომ ღვთისგან წყალობად მიღებული სიმდიდრეც, ქონებაც, ძალაუფლებაც და ყოველივე, რაც აქვს, ისევ მოწყალების სახით უნდა გაიცეს და დაიხარჯოს. რუსთაველის ამ სიტყვებიდან მართლაც ამოიკითხება „ეკლესიასტეს“ ავტორისეული დამოძღვრა.

არსებობს *ჰაელე ინგოროყვასეული* წაკითხვა ამ სტრიქონებისა:

„მეფეთა შიგან სიუხვე, ვით ედემს ალეა, რგულია,
უხვსა ამორჩილებს ყოველი, იგიცა, ვინ ორგულია,
სწყალობდე სწორად ყოველთა, დება რა საკარგულია,
რასაცა გასცემ შენია, რასც არა – დაკარგულია“.

აქ სმა-ჭამა დიდად შესარგი – შენაცვლებულია სწყალობდე სწორად ყოველთა-თი. ამჯერად ჩვენთვის მნიშვნელოვანი არ არის, მართებული იყო თუ არა ჩარევა *რუსთაველის* ტექსტში. საგულისხმო ის არის, რომ *მისი* შეგონებიდან *ჰაელე ინგოროყვამ* სწორედ ის შეხედულება ამოიკითხა, რაზეც ახლახან ითქვა, კერძოდ: ამ აფორიზმით მოწყალებისა და სიკეთის ქმნის თემა ვითარდება. ამასთან, ეს თემა, როგორც დაურწმუნდით, ბიბლიურია, „ეკლესიასტეს“ სათქმელიდან გამომდინარე თუ არა, მასთან მიახლოებული მაინც.

„ჰრქუა მას ღმერთმან“

„უგუნური მდიდრის“ პირველი ნაწილი ამით სრულდება. მეორე ნაწილი, ფაქტობრივად, კვანძის იგავური გახსნაა, რაც ერთ მუხლშია დატეული. აი როგორი ხვედრი აქვს განმზადებული სინამდვილეში ამ მდიდარს:

„ჰრქუა მას ღმერთმან: უგუნურო, ამას ღამესა მიგიღონ სული შენი

შენგან; ეგე, რომელ მოიმზადე, ვისა იყოს?“ (ლუკა 12, 20) – **უგუნურო,** ამაღამ ამოგართმევენ სულს და ეგ **შენი** სარჩო-საბადებელი **შენთვის** რომ **მოიმზადე,** ვის **დარჩებაო?**

ჰრქუა მას ღმერთმან – ამბობს **უფალი** იგავში, **მაგრამ** როგორ, **რა** სახით **მისწვდა** ღვთის **ხმა** უგუნურ **მდიდარს?** როგორც **განმარტავენ,** ცოდვით **გონებადაბნელებულს** ღმერთი **სხვადასხვაგვარად** მოუვლენს **თავის** ნიშანსა **და** ხმას: **ხან** სნეულებებით, **ხან** განსაცდელებით, **ხან** უბედურებით. *წმიდა მამა ექვთიმე* ამასთან **დაკავშირებით** ამბობს: *„იგავში ნათქვამია: „ჰრქუა მას ღმერთმანო“; აქედან უნდა დავასკვნათ, რომ ღმერთმა ყოველივე ეს სინდისის მეშვეობით აუწყა ამ მდიდარს, ვინაიდან, სწორედ სინდისი ამხელს, და უმხელს კიდეც, ადამიანს მის სიმართლესა და მომავალ მოსალოდნელ ხვედრს“.*

ამ **უგუნურმა** მდიდარმა **გაფიქრებაც** კი **ვერ** მოასწრო **და** ცათა **შინა** უკვე **შესმენილ** იქნა **მისი** ზრახვები, **ზეციდან** მისთვის **სინდისის** მეშვეობით **მყისვე** წარმოიგზავნა **გაფრთხილება,** რომ **მას,** ამ **უგუნურ** მდიდარს, **მალე** ეწვევა **სიკვდილი.** ამგვარ **ნიშნებს** მოწყალე **ღმერთი** ხან **ფიქრის** აღძვრით **გვამცნობს** ხოლმე, **ხან** ანგელოზთა **მეშვეობით** **გვაუწყებს,** ხან – ღვთის **სიტყვის** მქადაგებლის **პირით,** ხან **კიდევ** – **საღმრთო** წერილით.

ეპისკოპოსი მიხეილი **შენიშნავს,** რომ ეს **მუხლი** – **ჰქრუა მას ღმერთმან: უგუნურო, ამას ღამესა მიგიღონ სული შენი შენგან; ეგე, რომელი მოიმზადე, ვისა იყოს?** – **შესანიშნავ** იგავურ **დაპირისპირებას** ქმნის **მის** წინამავალ **მუხლთან,** თვითკმაყოფილებით **შეპყრობილი** **მდიდარი** **თავის** **თავს** **რომ** ეუბნება: **ვჰრქუა სულსა ჩემსა: სულო, გაქუს მრავალი კეთილი დაუნჯებული მრავალთა წელთა: განისუენე, ჭამე და სუ და იხარებდ.**

მართლაც, ამ **ორი** **მუხლის** **შეპირისპირებისას** **ჩვენ** **წინაშეა,** **ერთი** **მხრივ.** **მხოლოდ** **საკუთარი** **თავისა** **და** **საკუთარი** **სიმდიდრის** **ანაბარად** **დარჩენილი** **მდიდარი,** **რომელიც** **თვითონვე** **იმზადებს** **მომავალ** **განცხრომასა** **და** **მოსვენებას,** **ხოლო,** **მეორე** **მხრივ** – **ყოველთა** **მწყალობელი** **და** **ჭეშმარიტი** **მზრუნველი** **უფალი** **ღმერთი,** **რომელიც** **ამ** **მდიდარს** **არ** **ახსენდება.**

გარდა **ამისა,** ***ნეტარი** **თეოფილაქტე** **ბულგარელის*** **თქმით,** **კაცის** **ბჭობა** **და** **ღვთის** **განგებულება** **იგავში** **თითქმის** **თანადროულია.** **აქ** **იმდენად** **ბაასი** **კი** **არ** **არის** **გამართული** **ღმერთსა** **და** **უგუნურს** **შორის,** **რამდენადაც** **მინიშნებაა** **იმაზე,** **რომ** **ამაოა** **ყოველი** **ზრუნვა,** **რომელიც** **კაცს** **ამქვეყნიურზე** **მიაჯაჭვავს** **და** **დააკიწყებს,** **რომ** **სიცოცხლეც,** **სიმდიდრეც** **და** **სიკვდილიც**

ღვთის ხელშია. ნეტარი მამა იხსენებს *წმიდა დავით მეფსალმუნის* შეგონებას:

„მაუწყე მე, უფალო, აღსასრული ჩემი და რიცხ;ვ დღეთა ჩემთაჲ რაოდენ არს, რაჲთა უწყოდი, რაჲღა მაკლს მე. ესერა ზომით ქყენ დღენი ჩემნი, და არსებაჲ ჩემი, ვითარცა არარაჲ არს შენ წინაშე; რამეთუ ყოელითაჱ ამაო არს ყოველი კაცი ჴორციელი. დაღათუ მებრ ხატად ვალს კაცი, გარნა ამაოდ შფოთებს, რამეთუ იუნჯებს და არა უწყის, ვის შეუკრიბოს იგი“ (ფსალმუნნი 38, 5-7).

„უგუნური მდიდრის“ იგავში ხსენებულ თანადროულობაზე ასევე მიგვითითებს ზმნა: **ჰრქუა**, რომელიც ამ დაპირისპირებაში ორივეგან იხსენიება: **ეჰრქუა სულსა ჩემსა** – ეუბნება თავის თავს მდიდარი, ხოლო მომდევნო მუხლშივე ნათქვამი: **ჰრქუა მას** ღმერთმან – იმის მიმანიშნებელია, რომ ამ მდიდრის უგუნურების გამოვლინებისთანავე არ აყოვნებს მსჯავრი ღვთისა.

„ეკლესიასტეში“ *სოლომონ ბრძენი* ბრძანებს: *„ყოველნი დღენი მისნი* (ესე იგი, ადამიანისა) *სალმობით და გულისწყრომით, ზრუნვით მიმოტაცებისაჲთა: და ღამეცა არა დაიძინოს გულმან მისმან; და ესეცა ამაოჲ არს“* (2, 23). ადამიანი, ჩვეულებრივ, ღამ-ღამობით ფიქრობს მომავალზე, ოცნებათა მორევს ჩვენ განსაკუთრებით ღამით ვერ ვაღწევთ ხოლმე თავს. როგორც განმარტავენ, ამიტომაც უნდა იყოს იგავის ამ ნაწილში ხაზგასმა **ღამეზე**: ღმერთი ამ უგუნურს სიკვდილს შეახსენებს და ეუბნება, ამ ღამესვე ამოგართმევენ სულსო.

ამ იგავში უგუნურების შემზარაობას ღამესთან დაკავშირებული კიდევ ერთი დაპირისპირებული იგავური წყვილი გვიხატავს: სიმდიდრით გონდაკარგული კაცი თავის თავს თვითონვე ჰპირდება **მრავალთა წელთა კეთილს** – ანუ მრავალი წლის სამყოფ სიკეთეს, მაგრამ განგებას ამ ღამესვე განუმზადებია მისთვის სიკვდილი: ამ ღამესვე ამოგხდიანო სულს.

მრავალი წლის სიხარულსა და განცხრომასთან დაპირისპირებული ამაღამდელი განაჩენი მართლაც თავზარდამცემ შთაბეჭდილებას უტოვებს იგავის მკითხველს და ჩააფიქრებს, კიდევ ერთხელ შეახსენებს წუთისოფლის ამაოებასა და ღვთიური განგებულების გარდაუვალობას.

„უგუნურო“

ცნობილია, რომ მდიდარს, დიდძალი ქონების პატრონს, როგორც წესი, მოსვენებას არ აძლევს ფიქრი და ზრუნვა მომავალზე. *სენეკა* ერთი ნაცნობი მდიდრის სიკვდილის გამო წერდა: *„რა სისულელეა, დაგეგმო სიცოცხლე! ჩვენ მეორე დღისთვისაც კი არ შეგვიძლია განვაგოთ ჩვენი ჩანაფიქრი. რა სიშლეგეა დაიიმედო თავი შორეული მომავლით!“.*

უგუნურო – ეუბნება ღმერთი ამ მდიდარს. ეპითეტი **უგუნური** კიდევ ერთი იგავური დაპირისპირებულობით წარმოაჩენს ამ მდიდრის თვითდარწმუნებულობასა და თვითდაჯერებულობას იმაში, თუ რაოდენ ბრძნულად განჭვრეტს იგი მომავალს და როგორი თადარიგიანია.

„უგუნური მდიდრის“ იგავიდან გულისხმიერ მკითხველს შეუძლია შეადგინოს კაცთა უგუნურების გამომხატველი შემზარავი ნუსხა, რომელიც არცთუ ისე მოკლეა:

- არ მახსოვს ღმერთი;
  მადლიერებით არ ვიღებ ყოველივეს;
  ღვთისგან მიღებულ სიკეთეს საკუთარ დამსახურებად მივიჩნევ;
  არ ვემზადები იმისთვის, რომ ღირსეულად განვლიო სიცოცხლე და მშვიდობით შევეგებო საკუთარ აღსასრულს;
  არც იმას ვესწრაფვი, რაც კეთილად, მშვიდობიანად მიმიყვანს ჩემს აღსასრულამდე;
  საკუთარ თავს დღეგრძელობას აღვუთქვამ, თან მგონია, რომ ვიცი, როგორი იქნება ჩემი ცხოვრების დასასრული;
  დავშვრები ხორცისათვის და არა სულისათვის;
  სიმდიდრეს მარტო საკუთარი თავისთვის შევიკრებ.

„მიგიღონ სული შენი შენგან“

ამ მდიდარს, იგავის მიხედვით, სულს ამოართმევენ. იგავში უფალი არ ეუბნება, ღმერთი მიიღებს შენს სულსო, არამედ – **ამოგართმევენო**. მაგრამ ვინ ამოართმევს მას სულს? სულს მას ღვთიური განაჩენის ზეციური აღმსრულებელნი ამოართმევენ. **სულის მიღება**, ანუ წართმევა, ამორთმევა, იგავში სწორედ ცოდვილის სულის გამოა ნათქვამი. *ნეტარი თეოფილაქტე*

ბულგარელის თქმით, ცოდვილს ბოროტი ანგელოზები სულს მართლაც ძალდატანებით, იძულებით ამოართმევენ და წაიღებენ, ვინაიდან ცოდვილის სული მიწაზეა მიწებებული, ხორცთან არის შეზრდილი და მეტისმეტად უჭირს მისი დათმობა, მასთან განშორება. ცოდვილს იმ სულს ამოართმევენ, რომელსაც იგი ესოდენი კმაყოფილებით მიმართავდა ახლახან, თან დღეგრძელობასა და განცხრომას ჰპირდებოდა.

ცოდვილისგან განსხვავებით, მართლისა და კეთილმსახურის სული არ წარიტაცება. მართლმორწმუნე საკუთარ სულს თვითონვე აბარებს უფალს სიხარულით, თითქოს საპყრობილიდან გამოდისო. *სოლომონ ბრძენი* ამბობს: *„მართალთა სულები ღვთის ხელში არიან და ტანჯვა-წამება მათ ვერ შეეხება“* (3, 1).

ასე რომ, უფალი ცოდვილს გულისხმობს, როდესაც იგავური მინიშნებით ამბობს: ამ ღამით ამოგართმევენო სულს. ამ ცოდვილს ისევე ამოართმევენ სულს, როგორც გაჯიუტებულ მოვალეს წაართმევენ ხოლმე ძალით ვალს. უფლის ეს სიტყვები – **ამ ღამესვე ამოგართმევენ სულს** – არის ღვთიური განაჩენი, საბოლოო ხვედრი და აღსასრული მოუნანიებელი ცოდვილისა.

მართლაც, ყველაზე საზარელი უნდა იყოს სიკვდილი იმისთვის, ვინც უზრუნველადაა, კეთილდღეობისა და დღეგრძელობისათვის განმზადებულა, და სწორედ ამ დროს გაუწყდება სიცოცხლის ძაფი. წუთისოფლის სიამეს, ამაო და ფუჭ სურვილებს გამოდევნებული კაცის გამოა ნათქვამი *იობის* წიგნშიც:

„რისი იმედი ექნება უღვთოს, როცა გაჰკვეთს. როცა ამოართმევს სულს ღმერთი? განა მის ჩივილს შეისმენს ღმერთი, როცა გასაჭირი დაადგება?.. ქვიშასავით დააგროვებს ოქროს და ზვინებად დაყრის შესამოსელს, დაყრის, მაგრამ მართალი შეიმოსება და ვერცხლი უდანაშაულოს შეხვდება წილად... მდიდარი წვება დასაძინებლად, მაგრამ როდემდის? ერთხელ გაახელს თვალს და გამქრალია ყოველივე; ღამით მოიტაცებს მას, წაიღებს აღმოსავლეთის ქარი და წავა. ადგილიდან ახვეტს მას, მოისერის და არ შეიწყალებს“ (იობი 27, 8-9; 16-17; 19-23).

ეს ძველაღთქმისეული სათქმელი, როგორც ეხედავთ, „უგუნური მდიდრის“ იგავის სათქმელს ემთხვევა.

უფალი ამ იგავით ამხელს ცოდვილი კაცის ცხოვრების წესს, რასაც, ქარიშხლით მოწყვეტილი ხომალდის მსგავსად, უთუოდ მოჰყვება მსხვრევა და დაღუპვა. უგუნური მდიდრის ამგვარი აღსასრულის განცდა იგავური

მინიშნებით მიგვახედებს მართალთა ცხოვრების წესისაკენ. მართალთა ცხოვრება იმ ხომალდს ეშსგავსება, ყურეში რომ დგას და ზურგის ქარს ელის, რათა ღუზა ამოსწიოს და საუკუნო ზეციური სამყოფელისაკენ გაემგზავროს.

„ეგე, რომელ მოიმზადე, ვისა იყოს?"

დაგროვილი სიმდიდრის ამაოების თემა მარადიულია. ძველი აღთქმის არაერთ წიგნშია ხაზგასმით წარმოჩენილი მდიდრის მტანჯველი ფიქრი იმაზე, რომ მან არ უწყის, ვის დარჩება და რა საქმეს მოხმარდება მისი ესოდენ საგულდაგულოდ ნაგროვები და შენახული ქონება. ***წმიდა დავით მეფსალმუნის*** თქმით, მდიდარი: *„ამაოდ შფოთებს, რამეთუ იუნჯებს და არა უწყის, ვის შეუკრიბოს იგი"* (ფსალმუნნი 38, 6). იგავშიც უგუნურ მდიდარს ღმერთი ეკითხება, თუ ვის ერგება, ვის დარჩება ის, რაც მან ასე სასოებითა და თვითკმაყოფილებით მოიმზადა: **ეგე რომელ მოიმზადე, ვისა იყოს?**

სოლომონ ბრძენიც შენიშნავს: *„და მოვიძულე ყოველივე ნაღვაწი ჩემი, რაც მიღვაწია ამ მიწისქვეშეთში და რაც სხვას უნდა დავუტოვო, ჩემ შემდგომ მოსულს; არავინ უწყის, ვის შეხვედება ჩემი ნაღვაწი, ბრძენს თუ უგუნურს, რაიც სიბრძნით მომიღვაწია ამ მზისქვეშეთში? აჰა, კიდევ ამაოება"* (ეკლესიასტე 2, 18—20); იმავე „ეკლესიასტეს" წიგნში ბოროტებად შეირაცხება დამარხული, შენახული, დაგროვილი სიმდიდრე:

„ფულის მოყვარული გულით ვერ გაძღება და არც სიმდიდრის მოყვარული – თავისი შემოსავლით. ესეც ამაოებაა. მიხილავს მტანჯველი ბოროტება ამ მზისქვეშეთში: პატრონის საზიანოდ დამარხული სიმდიდრე. დაიკარგება ეს სიმდიდრე უბედური შემთხვევის გამო და შვილი მისი ხელცარიელი დარჩება. ისევ შიშველი დაბრუნდება, როგორც მოვიდა დედის მუცლიდან და ველარაფერს მოიხვეჭს შრომით. ესეც მტანჯველი ბოროტებაა: როგორც მოვიდა, ისე რომ წავა. რა სიკეთეა, ფუჭად რომ შრომობს?" (5, 9. 12-15).

ეგე, რომელ მოიმზადე, ვისა იყოს? – ეკითხება ღმერთი უგუნურ მდიდარს და გულისხმობს ყოველივეს, რაც მდიდარს მოუხვეჭია: შესამოსელი, ძვირფასი ქვები, თვალ-მარგალიტი, სახლები, ბაღ-ვენახები, მამულები, ქონება; და ეს ყოველივე მან მოიმზადა: ჩხუბითა და დავიდარაბით, მოგ-

ზაურობითა და ფათერაკებით, თვალთმაქცობითა და მზაკვრობით, სიძუნწითა და სიხარბით – აი როგორ მოუშზადებია ამ მდიდარს თავისთვის ეს ქონება და სიმდიდრე! მაგრამ როდისღა უნდა მოიხმაროს იგი, შერჩება კი ის? ან ვის ერგება იგი სინამდვილეში?

უფალი.იესო ყოველ მდიდარს მიმართავს ამ შეკითხვით, რათა ერთხელ მაინც დაფიქრდეს და თავადაც იკითხოს: **ვის დარჩება ეს ჩემი სიმდიდრე?**

„იუნჯებდეს თავისა თჳსისა“

ეგე, რომელ მოიშზადე, ვისა იყოს? – ამ შეკითხვით დაასრულებს უფალი „უგუნური მდიდრის“ იგავის თხრობას და, დასასრულ, შეგონებასაც დაურთავს:

„ეგრეცა, რომელი იუნჯებდეს თავისა თჳსისა და არა ღმრთისა მიერ განმდიდრდებოდის“ (ლუკა 12, 21) – ასევე დაემართება იმას, რომელიც თავისთვის იუნჯებს და ღვთისა მიერ არ მდიდრდებაო.

ამ შეგონებაშიც ადვილად ამოიცნობა დაპირისპირება: ერთი მხრივ, **საკუთარი თავისთვის** გამდიდრებული (ანუ მომხვეჭელი) და, მეორე მხრივ, **ღმრთისა მიერ** გამდიდრებული. ის, რაც აქამდე ითქვა უგუნური მდიდრის შესახებ, პირველის გამომხატველია, ანუ იმისა, ვინც მხოლოდ საკუთარი თავისთვის იხვეჭს, ქონებას იმისთვის აგროვებს, რომ მარტო საკუთარ თავს მოახმაროს.

თუმცა, ისიც საკითხავია – ჰქვია კი ამას საკუთარი თავისთვის გამდიდრება? მდიდრდება კი ეს უგუნური კაცი სინამდვილეში? მართლაც მდიდარია იგი? და თუ მდიდარია, რითია მდიდარი?

უგუნური მდიდრის მსგავსნი მხოლოდ თავიანთი გაუმაძღრობით არიან მდიდრები. ახლახან ამოვიკითხეთ *სოლომონ ბრძენის* შეგონება: *„ფულის მოყვარული ფულით ვერ გაძღება და არც სიმდიდრის მოყვარული – თავისი შემოსავლით“*. ეს ის სიმდიდრეა, რომელსაც პატრონისთვის ზიანი და ვნება მოაქვს, რადგანაც იგი მოუხმარებელი სიმდიდრეა. როდესაც საკუთარ თავზე მეტად გიყვარს ფული და ქონება, ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ თავი ნაკლებად გიყვარს; უფრო მეტიც – შენ ამ დროს გძულს საკუთარი თავი, ვინაიდან, ფულისა და ქონების ანაბარა ხარ დარჩენილი, სიყვარული მარტო ამ სიმდიდრისკენ გაქვს მიმართული, ხოლო საკუთარი თავი

უსიყვარულოდ შეგრჩება. დიახ, იარსებებ, იცხოვრებ, ოღონდ მხოლოდ სიმდიდრისა და ქონების შესაკრებლად, და იქნები ასე – საკუთარი თავისთვის გამდიდრებული!

საკუთარი თავისთვის შენახული სიმდიდრე ისევე დროებითია და წარმავალი, როგორც კაცის სიცოცხლე ამქვეყნად, რადგან სიცოცხლის შეწყვეტის შემდეგ ეს ქონებაც არარად იქცევა: *„დაიკარგება ეს სიმდიდრე უბედური შემთხვევის გამო და შვილი მისი ხელცარიელი დარჩება“*, – ამბობს ***სოლომონ ბრძენი***, რომელიც იმ ერთ-ერთ მიზეზზე გვითითებს, რის გამოც შენახული სიმდიდრე მოუხმარებლად განქარდება ხოლმე.

ვინც მარტო საკუთარი თავისთვის აგროვებს სიმდიდრეს, მას არც ღმერთი უყვარს და არც მოყვასი. წუთისოფლის ანგარიშით გამდიდრებული – საკუთარი თავის წინაშეა მდიდარი, ღვთის წინაშე კი ღატაკია და უპოვარი. ამგვარი კაცი გლახაკიც არის, უბედურიც, საწყალობელიც, ბრმაც და შიშველიც, ვინაიდან მან მომავალი საუკუნო ცხოვრებისათვის კი არ უზრუნველყო თავი, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ამქვეყნიური ცხოვრებისა და განცხრომა-სიამისათვის! აი რატომ არის იგი საწყალობელი, უბედური, ბრმა, შიშველი და დაგლახაკებული ღვთის წინაშე. აი რა მიზეზით უწოდებს ღმერთი იგავში ამ მდიდარ კაცს უგუნურს. დიახ, **კაცთა წინაშე მდიდარი – ღვთის წინაშეა გლახაკი**. ამის საპირისპიროდ, **კაცთა წინაშე გლახაკი – მდიდარია ღვთის წინაშე**.

ამ შეგონების განსამარტავად აუცილებელია, მართებულად, შეუმცდარად გავიგოთ, რას ნიშნავს **ღმრთისა მიერ განმდიდრება**, რას გულისხმობს უფალი ამგვარ გამდიდრებაში, როდის არის კაცი ღმრთისა მიერ მდიდარი?

უპირველესად იმას უნდა დავაკვირდეთ, თუ როგორ წარმოაჩენს უფალი იგავში ამ დაპირისპირებას. უგუნურ მდიდარს ის ჰგავს, ვინც საკუთარი თავისთვის ეწევა დაუნჯებას: **ეგრეცა, რომელი იუნჯებდეს თავისა თჳსისა** – ეკითხულობთ ძველ ქართულ თარგმანში; ესე იგი, ვინც თავისთვის იხვეჭს, **იგროვებს**. საპირისპიროდ უფალი იმას აყენებს, ვინც **მდიდრდება** ღმრთისა მიერ. მაშასადამე, ამ დაპირისპირებით ერთმანეთისგან გამიჯნულია **გამდიდრება** და **ქონების დაგროვება** (დაუნჯება). უფალი საკუთრივ გამდიდრებასა და სიმდიდრეს კი არ განიკითხავს ან უარყოფს, არამედ ამ სიმდიდრისა და **ქონების დაუნჯებას, დაგროვებას კიცხავს**, ამასთან – ქონების იმგვარად დაგროვებას, როდესაც დაუნჯება მხოლოდ საკუთარი თავისთვის ხორციელდება.

შენიშნავენ, რომ არანაირ დაუნჯებას არ აქვს გამართლება ღვთის წინაშე, თვით ღვთის სადიდებლად დაუნჯებულ სიმდიდრეს, სასუფევლის მადლის დაუნჯებასაც კი. *მადლის* დაუნჯება სხვა განძია – ეს არის სულიერი, უხილავი ქონება, რომლის მოუხმარებლობა ან უღირსობით შეწყნარება ისევეა ენების მომტანი და საზიანო კაცისთვის, როგორც ხორციელი ქონების დაუნჯება.

წმიდა მაკარი დიდის „სწავლათა“ XXII თავი იწყება სწავლებით სასყიდლის შესახებ. წმიდა მამის თქმით, ჭეშმარიტი ღვთისმოყვარენი ღმერთს მისი სიყვარულისთვის ემსახურებიან – და არა სასუფევლის დამკვიდრებისათვის ან მხოლოდ ჯოჯოხეთის შიშისათვის, ან კიდევ სხვა ნაირგვარი ჯილდოსათვის. მრავალთა ფიქრით, ქრისტიანებიც, ამა სოფლის მკვიდრთა მსგავსად, ჯილდოსათვის იღვწიან. მართალია, ეს ჯილდო ზეციურია, მაგრამ მისკენ სწრაფვა თვითმიზნად ექცევა ხოლმე ზოგიერთ ქრისტიანს – მაშინ ხომ ქრისტიანიც ანგარი გამოდის?!

წმიდა მაკარი დიდი ამასთან დაკავშირებით გვაფრთხილებს, რომ გამოუცდელ სულს ყოველივე დაბრკოლებად შეიძლება გამოუჩნდეს: სიგლახაკეც და სიმდიდრეც, უპატიობაც და პატივიც, გინებაც და დიდებაც, სენიც და კეთილდღეობაც. ეგ კიდევ არაფერი, – ამბობს წმიდა მამა, – მთავარი საცთური კიდევ წინ არის. აქ უდიდესი ასკეტი გვირჩევს, მომეტებული გულისხმისყოფით მოვეკიდოთ იმ წყალობასაც, რომელიც მადლის მიერ ეწვევა სულს და დაბრკოლებად შეიძლება გადაექცეს კაცს. სულიწმიდისეული მადლიც „დამაკრწეველი“, ანუ დამაბრკოლებელი შეიქნება ხოლმე მადლის მიმღებისათვის, თუკი ჯეროვანი სიმდაბლითა და მადლიერებით არ მიიღებს მას. წმიდა მამა ასე აღგვიწერს ამ პროცესს:

„უკეთური (ეშმაკი) *მადლის მომიზეზებით იმორჩილებს და აცდუნებს მას* (მორწმუნეს) *და, მოსვენების მცირედი აღმატებულებით, ამპარტავნებისა და უზრუნველობისაკენ მიდრეკს“*. ამიტომ არის საჭალდებულო ქრისტიანისათვის, გონივრულად შეიწყნაროს საღვთო მადლი და მისგან კეთილი ნაყოფი მოიმუშაკოს.

მაშასადამე, როგორც საეშმაკო ხრიკები, სულიწმიდის წყალობაც მორწმუნის სულიერი სიმტკიცის გამოსაცდელია. უგუნურს ეს გამოცდა დააბრკოლებს, ბრძენს კი იგივე განსაცდელი საუკუნო ცხოვრების ღირსად წარმოაჩენს. *წმიდა მაკარი დიდის* აზრით, ღვთისაგან ადამიანის ეს ორმხრივი გამოცდა იმისთვისაა საჭირო, რათა სარწმუნოდ გაცხადდეს – საზღაურისთვის უყვარს კაცს ღმერთი, თუ ღვთისაგან ბოძებული პატივისა და სიყვარულის გამო.

კაცის სარწმუნოება ხშირად სასწაულით საზრდოობს. ამ დროს სასწაული მას დამაბრკოლებელ განსაცდელად ექცევა და ხიბლში აგდებს: აი რა დიდი ჯილდო მარგუნა ღმერთმა; აი როგორი საზღაურის ღირსი გავხდი ჩემი რწმენისა და ღვთისადმი სიყვარულის სანაცვლოდო! მსგავსი ხიბლის მსხვერპლია განდეგილი – *წმიდა ილია მართლის* პოემა „განდეგილის" მთავარი პერსონაჟი. ეს არის ცოცხალი მხატვრული სახე და მაგალითი საღვთო მადლის უღირსობით მიღებისა, იმისა, რის გამოც გვაფრთხილებს *წმიდა მაკარი დიდი:* მადლის მომიზეზებით ნუ დაგიმორჩილებთ უკეთური, რათა ამპარტავნებისა და უზრუნველობისკენ არ მიგდრიკოთო.

მადლის დაუნჯებას მაშინაც აქვს ადგილი, როცა შეგიძლია, სიტყვით ანუგეშო სასოწარკვეთილი, და არ იქმ ამას; როცა შეგიძლია, განუმარტო ან ასწავლო და არც ამას იქმ; როცა მლოცველი ხარ და არ ლოცულობ მოყვასისათვის, მტრისათვის, შენი მოძულისათვის; როცა ერთი გიყვარს, მეორე კი არა.

თუკი ღვთისგან მონიჭებულ მადლსა და წყალობას გამორჩევით, ანგარებით გაიღებ, ანგარებითვე ასწავლი სხვას, ანგარიშით გაეშურები სანუგეშოდ – მაშინ გადაიქცევი მადლთა შემნახავად, მადლთა მომხვეჭელად, და ამ მიზეზითვე ვერ გამდიდრდები ღმრთისა მიერ.

„ღმრთისა მიერ განმდიდრდებოდის"

იუნჯებდეს თავისა თჳსისა და არა ღმრთისა მიერ განმდიდრებოდის – ეს დამაგვირგვინებელი მუხლი „უგუნური მდიდრის" იგავის ზნეობრივი დასკვნაა, რის შემდეგაც უფალი ქადაგებს. მისი ქადაგების საგანია: ამაო ზრუნვა, ღმრთის სასუფევლის ძიება, მზაობა სიკვდილისათვის, საყოველთაო განკითხვა (იხ. ლუკა 12, 22-34).

„უგუნური მდიდრის" იგავის სათქმელსა და მის ზნეობრივ დასკვნასთან უშუალოდ არის დაკავშირებული უფლისმიერი შეგონება: **„ეძიებდით სასუფეველსა ღმრთისასა"** (ლუკა 12, 31). წმიდა მამების სწავლებით, ღვთის ძიების გზაზე შემდგარი ღმრთისა მიერ უნდა მდიდრდებოდეს: აღასრულოს ღვთის მცნებები, უყვარდეს და შეეწიოს მოყვასს, ამრავლოს კეთილი საქმეები, იყოს მოწყალე და კეთილგანწყობილი ღარიბ-ღატაკთა, გაჭირვებულთა, უძლურთა, სნეულთა, შევიწროებულთა, დამცირებულთა და შეურაცხყოფილთა მიმართ, ღვთის სადიდებლად გასცეს და შესწიროს ის, რაც

ღვთისგანვე მიეცა – იქნება ეს სიმდიდრე, ნიჭი, ალალი შრომა, ქველმოქმედება თუ სიყვარული.

მაშინაც ღმრთისა მიერ ვმდიდრდებით, როდესაც მთლიანად, სრულად მოვენდობით უფალს, იმედსა და სასოებას მხოლოდ ღმერთში ვპოვებთ და ვეცდებით, ღვთის მოსაწონად მოვიქცეთ: **„გამოსცადეთ, რა არის ღვთის მოსაწონი“** – გვარიგებს *წმიდა მოციქული პავლე* (ეფესელთა მიმართ 5, 10). გაიხსენოთ, რას ეუბნება *წმიდა მოციქული პეტრე* დაბადებიდანვე დავრდომილ კაცს: *„ვერცხლი და ოქრო არა მაქვს, რაც მაქვს, იმას მოგცემ: იესო ქრისტე ნაზარეველის სახელით აღდეგ, და ვიდოდე!“* – და წამოდგა ის კაცი, გაიარა და ადიდებდა ღმერთს (საქმე მოციქულთა 3, 6).

ნეტარი თეოფილაქტე ბულგარული გვასწავლის, რომ ღვთისა მიერ მაშინ ვმდიდრებით, როცა *წმიდა პავლე მოციქულთან* ერთად ვაღიარებთ: **„ყოველივე ღმრთისაგან არს“** (I კორინთელთა მიმართ 11, 12), რადგან ყოველივე, რაც მაქვს, ჩემი კი არ არის – ღმრთისაა, ღმრთისგანაა! ნეტარი მამის თქმით, ყველაზე გონივრული თადარიგიანობა და თავშენახულობა ყოველივეს გაცემაა, სრული განთავისუფლებაა ამქვეყნიური, წარმავალი ნივთებისაგან. ჭეშმარიტი მარაგი ინახება ჩვენს უფალთან – იგი შემინახავს, იგი მიმარაგებს ულევად აუცილებელსაც და საჭიროსაც.

ღმრთისა მიერ გამდიდრებული ისიც არის, ვინც სიყვარულითაა აღსავსე შემოქმედი ღმერთისადმი: *„ღმერთი სიყუარული არს.* – ამბობს *წმიდა იოანე ღვთისმეტყველი,* – *და რომელი ეგოს სიყუარულსა ზედა, ღმერთი მას თანა ჰგიეს და იგი ღმრთისა თანა“* (I იოანე 4, 16). მაშასადამე, ჭეშმარიტი შენაძენი მიიღება სიყვარულით. *ნეტარი აგუსტინეს* შეგონებით, თუ სიყვარული გაქვს, მაშ, ღმერთი შეგიძენია.

სულით მშვიდი, წყნარი და თავმდაბალი ადამიანი ყველაზე მდიდარია ამქვეყნად, რადგან სულიერი სიმშვიდე და თავმდაბლობა უდიდესია სათნოებათა შორის. ამ სიმდიდრის მფლობელი უპირველესად ღვთის წინაშეა მდიდარი, – ბრძანებს *წმიდა მამა ამბროსი,* და განაგრძობს: სულის სიმშვიდისა და მოსვენების შემძენს აღარ სურს და აღარც აწუხებს არანაირი ამქვეყნიური საგანი, ნივთი, ენებათა ღელვა და საზრუნავი; იგი არც დაძველებულს მოიძაგებს და არც ახლის ძიებაშია, არ წუხს იმის გამო, რომ გაცვდა, შემოაკლდა ან არ გააჩნია რაიმე, არც იმის გამო შფოთავს, რომ ახალი აქვს შესაძენი ან მარაგი აქვს შესავსები.

ამგვარი ადამიანი, ამქვეყნად ყველაზე მდიდარიც რომ იყოს, თავის ქონებას სიხარულით გაიმეტებს გასაცემად, კი არ დაიუნჯებს, კი არ

შემოინახავს თავისთვის, ხვალინდელი დღისთვის, არამედ მის გაცემას დაეშურება, კეთილმსახურებისთვის დახარჯავს. ის უქონელთა, ღარიბ-ღატაკთა და ქვრივ-ობოლთა სახლებში შეინახავს თავის ქონებას, რადგან არ აკიწყდება უფლის ნაბრძანები: **„რაოდენი უყავთ ერთსა ამას მცირეთა-განსა ძმათასა ჩემთასა, მე მიყავთ“** (მათე 25, 40).

მხოლოდ ამგვარად შეიწირება უფლისაგან ჩვენი სიმდიდრეც, გარჯაც და ქველმოქმედებაც! ამგვარად გაცემული არ იკარგება, და ღვთისათვის შეწირული ღვთისაკე წინაშე ინახება ჩვენი მომავალი ჯილდოსთვის, საზ-ღაურისთვის. ღვთის სახელზე გაცემული ყოველი შესაწირი ერთგვარი სესხის ბარათია, რომელსაც ღვთის წინაშე წარდგომის ჟამს წარვუდ-გენთ ღმერთს. მრავალმოწყალე ღმერთი, ერთგული მოვალის მსგავსად, იქ გადაგვიხდის, და მოგვცემს მკვიდრობას თავის სასუფეველში. მართლაც, რაოდენ საკვირველი და გასაოცარი მადლია – გასცემდე სხვისთვის! უფალმა ღმერთმა იმისთვის დაიმცირა თავი, იმ მიზნით იქცა ჩვენს მოვ-ალედ, რომ კეთილმსახურებისაკენ მიგვიზიდოს და ამ გზით დაგვაყენოს ქრისტესმიერი ნეტარების გზაზე.

უფალი გვასწავლის: **„გაყიდეთ თქვენი საბადებელი და გაეცით მოწყა-ლება, გაიმზადეთ უცვეთი ქისები და ულევი საუნჯე ცაში, სადაც მპარავი ვერ იპარავს და მღილი ვერ ღრღნის მას“** (მათე 6, 19-20). ამ შეგონებას უფალი იესო მთის კალთაზე ქადაგების ჟამს ამცნობს თავის მოწაფეებს. ეს მეტად მნიშვნელოვანი სწავლება ძველი აღთქმის წიგნებშიც აისახება: *„ღარიბ-ღატაკის განმკითხავი სესხს აძლევს უფალს და ის მიუზღავს სა-მაგიეროს“*, – ეკითხულობთ *სოლომონის* იგავების წიგნში (19, 17).

ასე რომ, ქრისტეს სწავლებით, ჭეშმარიტი საუნჯე ადამიანისა – ღმრთისა მიერ მოიპოვება, ჭეშმარიტ სიმდიდრეს მხოლოდ მაშინ შევიძენთ, როდესაც სურვილებისა და ძალისხმევის საგნად უხრწნელსა და უკვდავს გავიხდით, როდესაც ღვთის წინაშე ვიღვაწებთ. უფალი ამბობს: **„სადაცა არს საუნჯე თქუენი, მუნცა იყოს გული თქუენი“** (მათე 6, 21). მაშასა-დამე. ჭეშმარიტი საუნჯის წმინდა ალაგი ადამიანის გულია. ჭეშმარიტი სულიერი სიღატაკეც არქონაა, იმგვარი სურვილებისა და გულისთქმების უქონლობაა, რომლებიც ღვთისგან განგვაშორებს.

წმიდა იოანე ოქროპირი ბრძანებს:

„მე არაფერი გამაჩნია, და ყოველივე მაქვს; მე ყოველივე მაქვს და არაფერი გამაჩნია: მდიდარი ის არის, ვისაც არაფერი სჭირდება“.

ჭეშმარიტად – მდიდარი მართლაც მხოლოდ იგია, ვისაც არ სჭირდება

ამსოფლიური ანგარიშით შეძენილი სიმდიდრე, ვინც საუთისოფლოდ გალატაკდა, რათა ღვთისა მიერ გამდიდრდეს!

„უგუნური მდიდრის“ იგავის ხსენებულ დამაგვირგვინებელ მუხლში ორი საპირისპირო, ერთმანეთისაგან დაშორებული მხარეა. მათ შორის დიდი უფსკრულია. კაცის სული თითქოს ამ უფსკრულზე გამაჯალი ბეწვის ხიდით მიემართება: თუ ღმრთისა მიერ გამდიდრებას ეშურება იგი, მაშ, გადარჩენის გზას ადგას, და ის ბეწვის ხიდიც მისთვის კარგად ფეხმოსაკიდებელ ბილიკად გადაიქცევა. ასეთი კაცი მშვიდობიანად გადაივლის უფსკრულს და უტკბეს ჯილდოს იგემებს – ეს არის საღმრთო სასუფევლის ნეტარება.

მაგრამ მეორე, ამის საპირისპირო არჩევანი იმას შეამთხვევს კაცს, რისი მოწმენიც „უგუნური მდიდრის” იგავში გავხდით – ეს არის **უცაბედი სიკვდილი.**

ანაზდეული აღსასრული

„უგუნური მდიდრის“ იგავის განმარტებისას განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვს იგავის დასკვნითი, დამაგვირგვინებელი მუხლი, სადაც უფალი გვაფრთხილებს და გვეუბნება, რომ უგუნური მდიდრის მსგავსს, ყველას, ვინც **იუნჯებდეს თავისა თჳსისა და არა ღმრთისა მიერ განმდიდრდებოდის** – ელის უცაბედი სიკვდილი, ანაზდეული, მოულოდნელი აღსასრული.

ანაზდეული სიკვდილის თემა ყველა ქრისტიანისთვის მეტად მნიშვნელოვანია, რადგან მასთან არის დაკავშირებული **მზადყოფნის, ამაო ზრუნვისა და სიკვდილის შიშის დაძლევის** მართებული გზების ძიება. მართლაც, ყოველი ადამიანი მუდამ დგას ანაზდეული, უცაბედი სიკვდილის საშიშროების წინაშე. არავინ იცის, როდის, სად ან როგორ ეწევა აღსასრული, არავინ იცის, „აქლემივით სად ან როდის ჩაიჩოქებს“ იგი.

ზოგს არათუ ეშინია ანაზდეული სიკვდილისა, არამედ ნატრობს კიდეც თავისთვის ამგვარ აღსასრულს, და ამბობს: ამის წყალობით იმ საშინელ, ხანგრძლივ ტანჯვას გადაურჩები, სნეულებას რომ მოჰყვებაო. მორწმუნემ, ჭეშმარიტმა ქრისტიანმა, კარგად უწყის, რომ ამგვარი სურვილი ბოროტია, ამის მსურველი კი შემცდარი. ჯერ ერთი, მკრეხელობაა და დიდი ცოდვა, ინატრო სიკვდილი, თან – უცაბედი. ამ ნატერით კაცი ღვთიურ

განგებულებაში ერევა, ღმერთს ეურჩება, უგუნური მდიდარივით თვითონვე ცდილობს, განიმზადოს დღეთა ხანგრძლივობა და წელთა სიმრავლე. ამგვარი ნატვრიდან იოლად ამოიცნობა სწრაფვა იმ განსაცდელთა თავიდან აცილებისა, რომლებსაც უფალი ღმერთი წყალობად უგზავნის ხოლმე ცოდვილს, რათა საშველი მიეცეს და მოემზადოს ღმერთთან შესახვედრად, მოინანიოს: **აქ** მოასწროს ის, რასაც **იქ** ვეღარ იქმს!

ჭეშმარიტმა ქრისტიანმა ისიც იცის, რომ ანაზდეული სიკვდილი სასჯელია ცოდვილისთვის. შეუძლებელია, ნამდვილმა მორწმუნემ ასეთი სიკვდილი ინატროს, ვინაიდან მას იმის შიში აქვს, რომ მარადისობაში გადასახლებისათვის ვეღარ მოემზადება სათანადოდ, განმართლებული ვეღარ წარდგება უფლის წინაშე და ამის გამო ჯოჯოხეთი ერგება საუკუნო სამკვიდრებლად. ამიტომ არის ჭეშმარიტი ქრისტიანის გულმოდგინე ლოცვის საგანი ის, რომ ღმერთმა არ დაუშვას მისი ანაზდეული სიკვდილი და აარიდოს ეს სასჯელი, იმის ღირსი გახადოს, რომ მშვიდობითა და სინანულით განვლოს სიცოცხლის დარჩენილი დრო, სიკვდილის წინ კი, სინანულით და ზიარებით განმზადებული, პირნათელი გავიდეს ამ სოფლიდან და ზეცაში გადასახლდეს.

თუმცა ყოველთვის როდი უშლის მოულოდნელი სიკვდილი ზეცაში აღსვლას. ამის მაგალითია ***ღირსი მამა ათანასე ათონელის*** აღსასრული (ხსენება – 5 ივლისი): იგი მშენებარე შენობის სიმაღლიდან გადმოვარდა; ან კიდევ ***ბერი არტემისა, ვერკოლელი*** სასწაულთმოქმედისა (ხსენება – 26 ოქტომბერი), რომელიც მინდორში მეხმა მოკლა. რატომ არ აღმოჩნდა მათთვის საშიში მოულოდნელი სიკვდილი? იმიტომ, რომ მთელი თავიანთი ცხოვრება მათ რწმენითა და კეთილმსახურებით განვლეს: ისინი ყოველწამიერ მზადყოფნაში იყვნენ, მუდმივი ღვთისმოშიშებით აღსავსენი, გაუჭირვებლად აღწევდნენ თავს ცოდვის საცდურს. მაგრამ ასეთნი ერთეულები არიან – „**მცირედნი არიან რჩეულ**“ (მათე 20, 16).

ჩვენს ცოდვისმიერ წუთისოფელში, სამწუხაროდ, უგუნური მდიდრის ხვედრისთვის უფროა ხოლმე განმზადებული კაცი.

ეპისკოპოსი თეოფანე გვაფრთხილებს: *„ყოველ საათს უნდა ვიყოთ მზად. რისთვის? – სიკვდილისათვის! რადგან სიკვდილი ყოველივეს განსაზღვრავს და ნათელს ჰფენს განვლილ ცხოვრებას. არავის ძალუძს, შეაფასოს საკუთარი ცხოვრების ავი და კარგი. მხოლოდ სიკვდილის შემდეგ. არის შესაძლებელი მართებული შეფასება შენი ცხოვრებისა, შენი ღვაწლისა, მოქალაქობისა, საქმისა და სიტყვისა. მხოლოდ ამგვარი შეფასება*

იქნება პირუთვნელი და უცდომელი. თუ კეთილს მოიხვეჭ, კეთილი იქნება შეფასებაც, ნეტარი იქნები იმქვეყნად; ბოროტს კი იქაც ბოროტი წილი ერგება. ყოველივე ეს შეიძლება აღსრულდეს ახლაევ. აი ამ წუთში, როცა ამ სტრიქონებს ვკითხულობთ, ახლაევ შეიძლება დადგეს აღსასრული და ბეჭედი დაესვას ჩვენს ამქვეყნიურ არსებობას. და ვერაკინ. ვერარა ძალა ვერ ახსნის ამ ბეჭედს.

დიახ, – დასძენს ეპისკოპოსი, – ყოველივე ეს მართლაც ღირს დასაფიქრებლად! მაგრამ საკვირველი ის არის, რომ მეტისმეტად მცირე ხანს ვფიქრობთ ამაზე, იშვიათად დაფიქრდებით ხოლმე ამ დიდ საიდუმლოზე, რომელიც მუდმივად დაგვტრიალებს თავს. ყველამ იცის, რომ, აგერ-აგერ, სიკვდილი მოვა, მას ვერ გაექცევა, მაგრამ მაინც გაურბის ამ ფიქრს. ის კი უცაბედად მოვა დ ხელს გვტაცებს. ეგ კიდევ არაფერი – სასიკვდილო სარეცელზეც კი, ბოლო წუთამდე ვებღაუჭებით ნამცეცა იმედს, რომ ჯერ კიდევ არ დამდგარა აღსასრული".

სიკვდილის თემა მეტად მძიმეა სასაუბროდაც, მოსასმენადაც და საფიქრალადაც. ამის ერთ-ერთი მიზეზი თავად სიკვდილის საიდუმლოში ძევს. მაგრამ არ უნდა გავექცეთ მას – თავს ნუ მოვიტყუებთ და ნურც სირაქლემასავით დავემალებით სიმართლეს. ნამდვილი მზაობა უფალთან შესახვედრად სწორედ სიკვდილზე ფიქრს მოჰყვება. ღვთისმოშიშებითა და სასოებით ნასაზრდოები ფიქრი არ დაგვაფრთხობს, სასოს არ წარგვიკვეთს, ხელს არ აგვაღებინებს სიცოცხლეზე, არამედ გაგვაძლიერებს, ღვთისკენ მიგვახედებს, სათნოებით აღგვავსებს, ზნეობას გაგვიჯანსაღებს და ჭეშმარიტებასთან მიგვაახლებს.

„უგუნური მდიდრის" იგავიდან ბუნებრივად ამოზრდილ სასიცოცხლო მნიშვნელობის თემებს (ვერცხლისმოყვარეობისა, გაუმაძღრობისა, კმაყოფისა, მზაობისა, სიკვდილისათვის მზადებისა, ამაო ზრუნვისა) ასევე ბუნებრივად მოჰყვება ფიქრი **პატივსა და ღირსებაზე, თავმოყვარეობასა და თავხედობაზე.**

ქრისტიანული პატივი და უჭკუო თავმოყვარეობა

„უგუნური მდიდრის" იგავის გამო შესანიშნავი ქადაგება დაგვიტოვა *წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსმა (ქიქოძემ).* წმიდა ეპისკოპოსი საგანგებოდ მსჯელობს იმ მუხლის ირგვლივ, სადაც გარდარეული სამდიდრით გაუ-

გუნურებული მდიდარი საკუთარ თავს დღეგრძელობასა და უზრუნველობას პპირდება:

„სულო, გაქუს მრავალი კეთილი დაუნჯებული მრავალთა წელთა: განისუენე, ჭამე და სუ და იხარებდ“ (ლუკა 12, 19)

„აპა! – შესძახებს წმიდა ეპისკოპოსი, – *რისთვის გაუხარდა მას სიმდიდრის შემატება! რა ბედნიერებას ეძიებდა იგი! სჩანს, რომ მის გულში, გარდა სულელურისა თავისმოყვარეობისა, სხვა არც ერთი კეთილი გრძნობა და აზრი არ იყო“.*

წმიდა ეპისკოპოსი გაბრიელი ახსენებს **სულელურ თავისმოყვარეობას.** მისი თქმით, კაცს უნდა პქონდეს თავმოყვარეობა, მაგრამ ეს თვისება უნდა იყოს *„განათლებული, ამაღლებული ქრისტეს სწავლითა და მცნებითა“*, რაც მისთვისაც სასარგებლო იქნება და ქვეყნისთვისაც. ამ მდიდარს კი სულელური, **უჭკუო თავმოყვარეობა** შეპყრია, რადგან ფიქრობს, რომ სიმდიდრე მას ღმერთმა ჭამა-სმისა და ლხინისათვის მისცა. *„რაღა იქნება ამაზე მეტი უგუნურება?“* – გვეკითხება წმიდა ეპისკოპოსი.

უჭკუო თავმოყვარეობის მეორე სახეობაა **პატივმოყვარეობა,** – განაგრძობს წმიდა ეპისკოპოსი. უჭკუო პატივმოყვარეობით მაშინ არის პყრობილი კაცი, როცა მას უყვარს პატივი, თავის გამოჩენა საზოგადოებაში, სახელგანთქმულობა, და მეტისმეტად სიამოვნებს, როცა მის სიტყვას გაკვლენა აქვს. მაგრამ, თუკი ამას ყოველივეს იგი სარწმუნოებაში ეძიებს პატიოსანი საშუალებითა და გზებით, მაშინ წმიდა ეპისკოპოსს ეს ფრიად სასარგებლოდ და კანონიერად მიაჩნია, როგორც ქვეყნისთვის, ასევე თავად მისთვის.

წმიდა ეპისკოპოსი გაბრიელი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ მრავალს აწუხებს დიდი წყურვილი პატივისა – უჭკუო თავმოყვარეობისა. თითქმის აღარავის ახსოვს, რომ ***„კეთილი და სასარგებლო ის არის, როდესაც თვით პატივი ეძიებს კაცსა, და არა კაცი – პატივსა“.*** ვთქვათ და, დიდი ვაი-უბედურებით, ბოლოს და ბოლოს, იშოვე, რაც გინდოდა და რასაც ეძიებდი – *„ჰოი საცოდავ, ამაოებით აღვსებულო კაცო!* – სიბრალულით ამბობს წმიდა ეპისკოპოსი, – *აწ მითხარ, რა მოგემატა? ჭკუა მოგემატა? სათნოება და ზნეობა გაგიკეთდა? ტანის სიმრთელე მოგემატა? სრულიად არც ერთი მათგანი არ მოგმატებია! მოგმატებია კი არა, იქნება, ზოგი მათგანი მოგაკლდა კიდეც. ეინაიდან პატივის ძიება ხშირად ზნეობას გაუფუჭებს და მრავალ სარჯსაც მოითხოვს კაცისაგან“.*

ქადაგების დასასრულ *წმიდა ეპისკოპოსი გაბრიელი* განგვიმარტავს,

თუ რა არის ჭეშმარიტი, წმინდა, ამაღლებული, ქრისტიანული თავმოყვარეობა. იგი შეგვახსენებს, რომ *წმიდა მოციქულ პავლესაც* უყვარდა პატივი და მის დაკარგვას სიკვდილი ერჩია. მაშასადამე, წმიდა მოციქული თავმოყვარე იყო. მაგრამ რომელი პატივი ჰქონდა მას მხედველობაში? წმიდა მოციქული აღგვიწერს, თუ რაოდენი შრომა, ღვაწლი, მოთმინება და ტანჯვა მიიღო მან ქრისტეს რჯულის დაცვის გამო; უკეთური ადამიანები კი ამ საქმისა და გარჯის გაუქმებასა და შეურაცხყოფას ცდილობდნენ. *„აი რაში ეძიებდა წმიდა მოციქული პავლე თავის პატივსა! მისი სინდისი და წრფელი გონება არწმუნებდა მას, რომ მან მრავალი კეთილი საქმე აღასრულა ქვეყნისათვის; ამით ნუგეშობდა იგი და ამაში ხედავდა თავის პატივსა,“* – დასძენს *წმიდა ეპისკოპოსი გაბრიელი.*

წმიდა ეპისკოპოსი დაასკვნის, რომ სწორედ ეს არის წმინდა ქრისტიანული *თავმოყვარეობა, „როდესაც კაცს ახსოვს თავისი სულიერი ღირსება, ახსოვს, რა პატივი მისცა მას ღმერთმა, როგორ აღამაღლა, რა საქმისათვის მოუწოდა, რა გზა უჩვენა ქვეყანაზე“.*

„ნუ ჰზრუნავთ“

უგუნური მდიდარი, როგორც ვნახეთ, მეტისმეტი, ზედმეტი ზრუნვით არის მოცული – ზრუნვითა ამა სოფლისათა. ეს ის საზრუნავია, ის ხორციელი გარჯა და ღვაწლია, რომელიც ეკალთა შორის დათესილის იგავს გვაგონებს. „მთესველის“ იგავს თავად უფალი განგვიმარტავს: **„რომელი-იგი ეკალთა შორის დაეთესა, ესე არს: რომელმან სიტყუაჲ იგი ისმინის, და ზრუნვამან ამის სოფლისამან და საცთურმან სიმდიდრისამან შეაშთვის სიტყუაჲ იგი და უნაყოფო იქმნის“** (მათე 13, 22).

ამა სოფლის ზრუნვა, ამსოფლიური საზრუნავი, არის ხორციელზე ზრუნვა, ამქვეყნიური, ხრწნადი, წარმავალი სურვილებით პყრობილება. ამა სოფლის ზრუნვასთან დაკავშირებით ბუნებრივად ჩნდება ხოლმე შეკითხვა: **რა არის ზრუნვა? როდის ვზრუნავ? რატომ არის მიუღებელი ზრუნვა?** უფალი გვეუბნება, ნუ ზრუნავთო:

„ნუ ჰზრუნავთ სულისა თქუენისა, რაჲ სჭამოთ, და ნუცა ჴორცთა თქუენთა, რაჲ შეიმოსოთ“ (ლუკა 12, 22) – ნუ ზრუნავთ სამოსლისათვის; ნუ ზრუნავთ ხვალინდელი დღისათვის; ნურც იმაზე ზრუნავთ, თუ რა პასუხი გასცეთ ან რა უნდა თქვათო. რას გვაფრთილებს უფალი ამ

დროს, რისგან გვიცავს და რისკენ გვახედებს იგი, როდესაც გვირჩევს – არ იზრუნოთო. ნუთუ ჩვენი ყოველდღიური საზრუნავი: სიცოცხლე, ჯანმრთელობა, საზრდო, სამოსელი, სიტყვა-მიგება, მომავლისათვის ზრუნვა – ზედმეტია, ენების მომტანია და ამაოა უფლის წინაშე, და არ ესათნოება მას?!

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი (ქიქოძე) თავის ერთ-ერთ ქადაგებაში გვეკითხება: *„როგორ ვიცხოვრო ქვეყანაზე, – მეტყვის ვინმე, – თუკი არაფერი ქვეყნიური არ მიყვარს და არაფერზე ვზრუნავ?*

არა, ძმაო, – გვიპასუხებს წმიდა ეპისკოპოსი, – *ღმერთმა არ აგიკრძალა ზრუნვა და შეძენა ყოლისა, რაიცა არის შენთვის სახმარი. ქვეყანა ღმერთმა შენთვის შექმნა. ყოველივე, რასაც ხედავ, შენია, მაგრამ შენ კი – ქრისტესი ხარ. როგორც მოციქული იტყვის: „ყოველივე თქუენი არს, ხოლო თქუენ ქრისტესნი, ხოლო ქრისტე – ღვთისაი“ (I კორინთელთა მიმართ 3, 22).*

ამიტომ, მეტად მნიშვნელოვანია იმთავითვე გავმიჯნოთ ზრუნვის ორი სახე – **ხორციელი**, ამსოფლიური **ზრუნვა** და საზრუნავი (ზრუნვის საგანი), და **სულიერი ზრუნვა**, სულისათვის სასარგებლო საგანი ჩვენი ზრუნვისა.

მაგრამ ჯერ გავიხსენოთ, რას ნიშნავს თვითონ სიტყვა **ზრუნვა**.

დღეს რომ ვინმეზე ვიტყვით, ამისა და ამისთვის ან ქვეყნისთვის ზრუნავსო, ამ ადამიანის ზნეობრიობას აღვნიშნავთ ხოლმე, ვაქებთ მის ქცევას, მის გარჯასა და ღვაწლს ვაფასებთ. შესაბამისად, უზრუნველი კაცი დღეს უდარდელის სინონიმია, ანუ იმისა, ვისაც არაფერი ანაღვლებს, ვის გონებასა და გულს არაფერი ეკარება, მოკლედ – არას მაქნისია.

ძველ ქართულში სიტყვა **ზრუნვა** ნიშნავდა „სურვილს, გულის-სიტყვას, გაჭირვებას, შფოთს, ურვა-წუხილს“, და „მიმოტაცებასაც“. ამ მნიშვნელობით **ზრუნვა** წმიდა ბიბლიაში, ასევე საეკლესიო თხზულებებში, სწორედ იმ გააზრებასა და მიმართულებას სძენს სათქმელს, რასაც უფალი იესო ქრისტე გვაძლევს თავისი შეგონებით, გაფრთხილებებით.

წმიდა დავით მეფსალმუნე გვმოძღვრავს:

„მიუტევე უფალსა ზრუნვაჲ შენი და მან გამოგზარდოს შენ“ (ფსალმუნნი 54, 22) – აქ **ზრუნვა** „სურვილსა და წუხილს“ ნიშნავს. წმიდა მეფსალმუნე გვირჩევს, რომ უფალს მივანდოთ ჩვენი საწუხარი თუ საზრუნავი – უფალს მივენდოთ.

უფალი იესო *მართას, ლაზარეს და*ს, რომელიც მიმოდაზრუნვიდა „მრავლისა მსახურებისათჳს“, ანუ ნაირნაირი კერძებით გამასპინძლები-

სათვის ზრუნავდა, შფოთავდა და წუხდა, ეუბნება: „**მართა! მართა! ზრუნავ და შფოთ ხარ მრავლისათჳს**“ (ლუკა 10, 41) აქ ზრუნვა ეწყვილება შფოთს და შეუწყნარებელი ქმედების გამომხატველია.

არის კიდევ ერთი ძველი ქართული სიტყვა **მრავალ-მზრუნველი**, რომელიც მართას მსგავსთა მიმართ ასევე შეიძლებოდა თქმულიყო. **მრავალ-მზრუნველი** ის ადამიანია, რომელსაც ერთი და ორი კი არა, ათასგვარი საზრუნავით მოუცავს საკუთარი თავი. ეს მრავალი საზრუნავი ამსოფლიურთან, ხორციელთან დაკავშირებული ფიქრით, სურვილითა და ურვა-წუხილით საზრდოობს და, თავის მხრივ, ახალ-ახალ ფიქრსა და სურვილებსაც აღძრავს ხოლმე.

სოლომონ ბრძენი გვიბრძანებს: „*უსუსურია მოკვდავთა ფიქრები და ჩვენი ზრახვები მერყევია, რადგან ხრწნადი ხორცი ამძიმებს სულს, და ეს მიწიერი კარავი* (ანუ ხორცი) *ტვირთად აწევს საზრუნავითა და ფიქრით სავსე გონებას*“ (სიბრძნე სოლომონისა 9, 5). სოლომონი ამავე თავში ღვთის ნების შეცნობასთან დაკავშირებით გვეკითხება: „*კაცთაგან რომელი შეიცნობს ღვთის განზრახვას ან უფლის ნებას ვინ მიხვდება?.. ძლივს ვხვდებით იმას, რაც მიწაზეა და რაც ხელთა გვაქვს, ძნელად ეპოულობთ, ხოლო რაც ცაშია, ვინ გამოიკვლია?*“ (9, 13. 16).

ძველ ქართულ თარგმანში აქ თავს იჩენს შესიტყვება **გონებაჲ მრავალ-მზრუნველი**, ანუ ადამიანი, რომელიც მრავლის გამოა ზრუნვით მოცული. *სოლომონ ბრძენი* ხაზს უსვამს საყოველთაო ამაოებას, როდესაც კაცი თავისით, თვითონ – თვინიერ ღვთაებრივი შემწეობისა ცდილობს საზრუნავის მოწესრიგებას, განზრახვისა და სურვილის აღსრულება ზეციური სიბრძნის გარეშე ეიმედება და დარწმუნებულია, რომ ყოველივე ამას საკუთარი ძალებით მიაღწევს. ამიტომ მიაპყრობს ჩვენს გულსა და გონებას სოლომონი ღვთისკენ, რომელსაც უდიდესი მადლიერებით მიმართავს და ეუბნება: „*შენს განგებას ვინ შეიცნობდა, შენ რომ სიბრძნე არ მოგეცა და მაღლიდან შენი წმიდა სული არ მოგეფლინებინა?*“

მაგრამ არათუ უზენაესი განგების შეცნობა, არამედ თვით უმცირესის ქმნაც კი შეუძლებელია ჩვენთვის, თუკი ღვთისკენ არ მივიქცევით: „**ვინ-მე უკუე თქუენგანი ზრუნვიდეს და შეუძლოს შეძინებად ჰასაკსა თჳსსა წყრთა ერთი**“ – ესე იგი, რომელ თქვენგანს შეუძლია, ბევრსაც რომ ეცადოს და იზრუნოს, თუნდ ერთი ციდით მოიმატოს თავისი სიმაღლეო. ამას უფალი იესო თავის მოწაფეებს მას შემდეგ ეუბნება, რაც „უგუნური მდიდრის“ იგავის თხრობას დაასრულებს, შემდეგ კი დასძენს: „**თუ უმცირესიც არ**

შეგიძლიათ, რაღას ზრუნავთ დანარჩენისთვის?" (ლუკა 12, 25—26).

სიტყვა ზრუნვის ლექსიკურ ბუდეშია კიდევ ერთი ძველი ქართული სიტყვა თანა-მზრუნველი. ეს სიტყვა, თავისი მნიშვნელობით, დღევანდელი მზრუნველის ტოლფარდია: თანა-მზრუნველია ის, ვინც ზრუნავს, უელის, იგი მომველელია, ჭირისუფალია. ამავე ლექსიკურ ბუდეშია სიტყვა შეზრუნვებაც, რომელიც „გამოძიებას" ნიშნავს, ასევე „ვერ-ცოდნასაც".

მაშასადამე, ძველი ქართული ზრუნვა ორგვარი, ურთიერთსაპირისპირო მნიშვნელობით წარმოდგება: თუკი, ერთი მხრივ, ზრუნვა არის სურვილით პყრობილება, გაჭირვება, ურვა-წუხილი, შფოთი, მეორე მხრივ — იგივე ზრუნვა მოელა-პატრონობაა, ჭირისუფლობაა, გარჯა და ღვაწლია, ასევე გამოძიება უცოდინრობის დასაძლევად. ზრუნვა დადებითი მნიშვნელობით მაშინ წარმოჩნდება, როდესაც ზრუნვის საგანი სულიერებაა, როცა სულიერი საზრუნავი იგულისხმება. საპირისპირო მნიშვნელობა ზრუნვას ხორციელი საზრუნაკისას ენიჭება.

მართალაც, საკუთარი საზრუნავით ხომ მიწისას ვზრუნავთ, ვშფოთავთ, ურვა-წუხილსა და სურვილთა ტყვეობაში ვებმებით, სიცოცხლეს ისევე ვიჭირვებთ, როგორც ეს უგუნური მდიდარი, მოკლედ — ხორცში ვართ ჩაცვივნულები, ან კიდევ ზეციასას ვზრუნავთ და ღვთის ძიებაში ვართ, ღვთის ნების მორჩილებასა და და უფლის მოსაწონს ვეძიებთ, მოკლედ — სულიერებისკენ ვისწრაფვით. *სოლომონ ბრძენიც* ამიტომ შეგვაგონებს: „სწავლულობისა ზრუნვაჲ — სიყუარული არს" (6, 16.) ეს არის მინიშნება საღმრთო სიბრძნის ძიებაზე, იმ ერთადერთ გამართლებულ და ამაღლებულ საზრუნავზე, რასაც უზენაესი ზეციური სიბრძნის ძიება და შეცნობა აქვია!

ვუსმინოთ *სოლომონ ბრძენს:*

„მაშ დაეწაფეთ ჩემს სიტყვებს, შეიყვარეთ და განისწავლენით, შუქმფენი და უჭკნობია სიბრძნე, მისი მოყვარულისთვის ადვილად განსაჭვრეტი; და მისი მძებნელი იპოვის მას; იგი (სიბრძნე) *წინასწარ ეცხადება ხოლმე მისი შეცნობის მოწადინეს. დილაადრიანვე მისი მძებნელი არ დაიღლება, რადგან თავის კართან იპოვის ჩამომდგარს; მისი შეცნობის სურვილი გონების სრულქმნაა, და ვინც ფხიზლობს, საზრუნავებისაგან თავს სწრაფად დაიხსნის".*

საზრუნავში ხორციელ ზრუნვას გულისხმობს *სოლომონი*, და განაგრძობს:

„სიბრძნის დასაბამი სწავლის ჭეშმარიტი სურვილია, ხოლო სწავლისათვის ზრუნვა მისი სიყვარულია; სიყვარული კი მისი კანონების

დაცვაა, ხოლო კანონთა დაცვა უკედაუების საწინდარია. უკედაუება ხომ ღმერთთან გეაახლოებს. ამიტომაც სიბრძნის წყურეილი მეფობამდე გეამაღლებს" (6, 12—25).

ჩვენ კიდეე ერთხელ ვხდებით მოწმენი დასაბამიერი, სეით-კაენიანიდან მოყოლებული დაპირისპირებისა: ერთ მხარეს არიან ამა სოფლის შვილნი (კაენიანები), რომელნიც მარტო ამა სოფლისას ზრუნავენ, ხოლო მეორე მხარეს დგანან ღვთის შვილები (სეითიანები), რომელნიც სამეუფო გზას ირჩეენ, ღმერთს ეძიებენ.

ლაზარესთან, მართასა და მარიამთან სტუმრობის სახარებისეულ ამბავშიც, როგორც *წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი* ბრძანებს, იგივე დაპირისპირებაა, ვინაიდან ადამიანი, თავისი ცხოვრების წესით, ან *მართას* ემსგავსება, ან *მარიამს*: იგი ან მ.ოსწრაფეა ამსოფლიური ყოფისა, ყოველდღიური ამაო საზრუნავისა, ან უყვარს ღვთის სიტყვის მოსმენა, ფიქრობს, ეშურება და ეძიებს საღმრთო საგანს. წმიდა ეპისკოპოსი სინანულით აღნიშნავს, რომ უმეტესი ნაწილი აწინდელი ქრისტიანებისა, საუბედუროდ, არიან სოფლის და არა ღვთის კაცნი, მართას მსგავსად, მარადის შფოთავენ და ზრუნავენ „*მრავალთა ამა ქვეყნის ამაოთა საქმეთათვის*". არადა, „**აქა ერთისაჲ არს საჭმარი**" – როგორც ამას *მართას* ეუბნება უფალი, მხოლოდ ერთი რამ არის საჭიროო, კერძოდ, ის, რაც *მარიამმა* ამოირჩია. *მარიამის* არჩევანს უფალი **კეთილ ნაწილს** უწოდებს, იმ წილსა და ხვედრს, რაც არასოდეს წაერთმევა კაცს ამსოფლად და იმსოფლადაც მიეზღვება კეთილად.

„უგუნური მდიდრის" იგავის დასრულების შემდგომ ნაწილს ზრუნვის თემა აერთიანებს. როგორც კი ღვთისამიერი გამდიდრების გამო შეგონებით დაასრულებს უფალი თავის იგავს, იგი მოწაფეებს მიუბრუნდება და ეუბნება:

„ამისთჳს გეტყჳ თქუენ: ნუ ჰსზრუნჳთ სულისა თქუენისა, რაჲ სჭამოთ, და ნურცა ჴორცთა თქუენთა, რაჲ შეიმოსოთ".

ცოტა ქვემოთ უფალი დასძენს: **„და თქუენ ნუ ეძიებთ, რაჲ სჭამოთ, და რაჲ ჰსუათ, და ნუცა განსცხრებით** (თავშესაქცევ საგანს ნუ გაეკიდებით), **რამეთუ ამას ყოველსა ნათესავნი სოფლისანი ეძიებენ... ეძიებდით სასუფეველსა ღმრთისასა, და ესე ყოველი შეგეძინოს თქუენ"** (ლუკა 12, 22. 29-31).

როგორც ვხედავთ, **ზრუნვას – ამა სოფლის საზრუნავს**, აქ უპირისპირდება **ღვთის ძიება, სასუფეველის საღმრთო მოშურნეობა**. ამ დაპირისპირე-

ბით კიდევ ერთხელ ესმება ხაზი არჩევანს, იმას, თუ რომელი საზრუნავი უნდა ამოვირჩიოთ, რაზეა ყოველი შეგვეძინოს, ანუ ის კეთილიც მოგვეცეს, რის გამოც ყოველდღიურად ასე გულმოდგინედ ვზრუნავთ ხოლმე, და ისიც, რასაც საღმრთო მოშურნეობით ვეძიებთ.

ცხადია, უგუნური მდიდარი ხორციელი ზრუნვით არის მოცული. მრავალმოწყალე უფალი ამიტომ დაურთავს იგავის თხრობას განმარტებით ნაწილს, სადაც შეგონებებია და გაშლილი იგავური მეტაფორებით არჩევნის წინაშე დაგვაყენებს და თავადვე შეგვეწევა, როცა გვეუბნება: **ნუ ზრუნავთ!**

ნეტარი თეოფილაქტე ბულგარული გვასწავლის, რომ უფალ იესოს სწორედ ეს მიზანი აქვს – ძირიან-ფესვიანად მოგვაშოროს ცოდვას, რომელსაც შობს ზრუნვა, ამაო საზრუნავისგან პყრობილება. ნეტარი მამა ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ უფალი იგავის დასრულების შემდეგ თავის მოწაფეებს ეუბნება: „ამისთჳს გეტყჳ თქუენ: ნუ ზრუნავთ“ – ამისთვის გეუბნებითო, ანუ იმ მიზნით გიამბობთ უგუნურ მდიდარზე, რომ თქვენც არ გაიხადოთ საზრუნველად ის, რაც ნაკლებად მნიშვნელოვანია, რაც უმთავრესს გავიწყებთო.

ნეტარი მამა თეოფილაქტეს თქმით, უფალი ნაბიჯ-ნაბიჯ გვაახლოებს უმაღლეს, უზენაეს სრულყოფილებასთან. *„მიაქციეთ ყურადღება თანმიმდევრობას* – გვეუბნება ნეტარი მამა, – *უფალმა ჯერ მომხვეჭელობასა და ანგარებას მოგვარიდა, და „უგუნური მდიდრის“ იგავი იმის საჩვენებლად გვიამბო, რომ მრავლის, ბევრის მნდომელი უგუნურია; შემდეგ უფალმა გვასწავლა, რომ თავშეკავებით იმ საზრუნავსაც კი უნდა მოვეპყროთ, რომელიც გადაუდებელ აუცილებლობად მიგვაჩნია.*

დააკვირდით, – განაგრძობს ნეტარი მამა, – *ეშმაკი მცირე ცოდვით იწყებს, ჯერ მცირე ცოდვისკენ გვიბიძგებს, რომ ბოლოს დიდ ცოდვაში ამოყოთ თავი; უფალი კი ბოროტის საქმეს ანგრევს: ოღონდ იგი ჯერ დიდი ცოდვისგან გვაშორებს, და ამის შემდეგ გვითითებს ამ ცოდვის ძირზე, მის ფესვებზე“.*

ნეტარი თეოფილაქტე გვაფრთხილებს, რომ ჩვენ არ ავურიოთ ერთმანეთში საქმე და ფორიაქი, ანუ სიმშვიდის დაკარგვა; ნეტარი მამა გვეუბნება: უფალი საქმეს კი არ გვიკრძალავს, არამედ – ზრუნვას, მხოლოდ საკუთარი თავის იმედად დარჩენას და თვითრჯულობას, თვითდარწმუნებით კეთებას ყოველი საქმისა. უფალი არ გვეუბნება: არ დაამუშაოთ მიწა, არ მოიმზადოთ საჭირო და აუცილებელი; არამედ გვირჩევს: მხოლოდ საკუ-

თარ ძალასა და უნარზე დაყრდნობით, საკუთარ თავზე მინდობით ნუ დარჩებითო! ზრუნვა და ფორიაქი სიმშვიდედაკარგული კაცის საქმეა: ვინც ღმერთსაა მინდობილი, უშფოთველია – აღარც ზრუნავს და აღარც შფოთავს. მაშასადამე, ზრუნვას აყოლა ნიშანია იმისა, რომ ღვთისაგან შორს ხარ, ღმერთს არ ხარ მინდობილი. უფალი ჩვენი იესო ქრისტე სწორედ ამის ამოძირკვას ცდილობს ჩვენგან. იგი ამბობს: **„ამას ყოველსა ნათესავნი სოფლისანი ეძიებენ“** (ლუკა 12, 30), – ამას ეძიებენ, ანუ ზრუნვასა და ფორიაქში არიანო.

წუთისოფლის შვილთა ზრუნვის საგანი აღუსებული საწყაულივითაა: ჯერ პურის გამო ზრუნავ. მერე უფრო კარგი ჯიშის ხორბლისგან გამომცხვარი პური მოგინდება, ახლა კი ღვინოზეც დაგრჩება თვალი, ბოლოს შემწვარ-მოხრაკულები გაგახსენდება, ნერწყვი მოგადგება და – ვეღარასოდეს დააღწევ თავს ამ უთავბოლო, დაუსრულებელ დეკნას, რომელსაც **ზრუნვა** ჰქვია. ნეტარი მამის თქმით, პურისთვის, საარსებო წყაროსთვის ზრუნვა აუცილებელია, დანარჩენი კი იმ საზრუნავად რჩება, რომელსაც უფალი გვიკრძალავს.

ნუ ზრუნავთ – ეს შეგონება კონკრეტული სახის აკრძალვას შეიცავს, და გვასწავლის, რომ ყოველდღიურ საზრუნავს გამოკიდებული კაცისთვის ზეციური სასუფევლის მოპოვება შეუძლებელია! ყოველდღიურ საზრუნაეში, ვიმეორებთ, სწორედ ის **ზედმეტი, თვითრჯულობით გაჯერებული ზრუნვა** იგულისხმება, რომელიც ნიშანია ღვთისაგან განშორებისა:

„ამას ყოველსა ნათესავნი სოფლისანი ეძიებენ, ხოლო მამამან თქუენმან იცის, რაჲ გიჴმთ ამათ ყოველთაგანი“, – ამბობს უფალი, და შეგვახსენებს, რომ ზრუნვას აყოლილს არ ახსოვს ღმერთი, არ ახსოვს, რომ ის, ვინც სული და ხორცი შექმნა, რაღა თქმა უნდა, საზრდოსაც მისცემს სულს, და სამოსელსაც – ხორცს. უფალი შესანიშნავი იგავური მეტაფორებით გვიდასტურებს და თვალსაჩინოდ დაგვანახვებს ამ ჭეშმარიტებას:

„შეხედეთ ყორნებს – არც თესავენ, არც მკიან, არც საკუჭნაო აქვთ და არც ბეღელი, და ღმერთი არჩენს მათ. განა თქვენ მათზე უმჯობესნი არა ხართ?.. შეხედეთ ველის შროშანებს, როგორ იზრდებიან: არ შრომობენ, არც ართავენ; მაგრამ გეუბნებით თქვენ, რომ სოლომონიც კი არ შემოსილა თავისი დიდების ჟამს ისე, როგორც ერთი ამათგანი. ხოლო ველის ბალახს, რომელიც დღეს არის და ხვალ თონეში ჩაგდებენ, ღმერთი ასე მოსავს, განა თქვენ უფრო მეტად არ შეგმოსავთ, მცირედ მორწმუნენო?“ (ლუკა 12, 24. 27).

დიახ, შეუძლებელია, წუთით მაინც არ დაგვაფიქროს ამ უფლისმიერმა

შეგონებამ, არ განგვაცდეინოს საკუთარი უსუსურობა და ამაოება, სინანულით არ გაგვახსენოს საკუთარი საზრუნავით ამოჭმული და უაზროდ შემოხარჯული დრო. მართლაც უგუნურება იქნება, არ დაეთანხმო და გულისყური არ მიაპყრო ჩვენი ტკბილი უფლის რჩევას, მის სწავლებას.

„უგუნური მდიდრის" იგავის მეორე ნაწილში ასევე მეტად მნიშვნელოვანია უფლისმიერი მოწოდება:

„გაყიდეთ თქვენი საბადებელი და გაეცით მოწყალება; გაიმზადეთ უცვეთი ქისები და ულევი საუნჯე ზეცაში, სადაც არც ჩრჩილი, არც ჟანგი სპობს და არც ქურდები თხრიან და იპარავენ".

ამ მოწოდებას მოსდევს ყველასათვის კარგად ცნობილი შეგონება:

„სადაცა არს საუნჯე თქუენი, მუნცა იყოს გული თქუენი" (ლუკა 12, 33- 34).

ეს შეგონება წმიდა მათეს სახარების მეექვსე თავშიც მეორდება, და იგი გვირგვინდება კიდევ ერთი შესანიშნავი უფლისმიერი შეგონებით:

„ნუ ჰზრუნავთ ხვალისათჳს, რამეთუ ხვალემან იზრუნოს თავისა თჳსისა. კმა არს დღისაჲ მის სიბოროტე თჳსი" (მათე 6, 34—35).

ხვალინდელი დღისთვის ზრუნვა შეგონებაში იმ ზრუნვის ტოლფარდია, რომელსაც ამაო და ზედმეტი ფორიაქით ვეწევით ხოლმე: ესხედვართ და ვალაგებთ გეგმებს – ჯერ ამას ვიზამ, მერე იმას, თან გული გვიცემს, სულვსწრაფობთ, სულმოკლეობა გვჯაბნის. ამგვარი ოცნებებით გაბრუებულებსა თუ გატაცებულებს ის მცირე შეუსაბამობაც კი გვაღიზიანებს, რაც ჩვენს „ბრძნულ", წინასწარმჭვრეტელურად გათვლილ გრანდიოზულ გეგმაში იჩენს ხოლმე თავს. უფალი კი გვაფრთხილებს: **დღევანდელზე** იფიქრე, რადგან ყოველ დღეს საკმარისი **ბოროტება, ანუ საზრუნავი** აქვს.

წმიდა იოანე ოქროპირი განგვიმარტავს, რომ **სიბოროტე თჳსი** ამ შეგონებაში სწორედ ზრუნვით გამოწვეული შრომა, ჯაფა და გასაჭირია; წმიდა მამის თქმით, უფალი იმას შეგვახსენებს, რაზეც ბრძანებული იყო დასაბამიერად: *„ოფლითა პირისა შენისაჲთა სჭამო შენი პური"* (დაბადება 3, 17-19).

უფალი გვეუბნება: რისთვის იმრავლებ შენი ზრუნვით ზედმეტ შრომასა და ჭირს? განა საკმარისი არ არის ის შრომა, რაც შენი არსებობისთვისაა საჭირო, რასაც პური შენი არსობისა ითხოვს შენგან? წმიდა მამის განმარტებით, ზრუნვით გამოწვეულ ჭირსა და ურვას უფალმა იმიტომაც უწოდა სიბოროტე, რომ თავად ზრუნვისა და მისგან შობილი ჭირის ნამდვილი ბუნება ეჩვენებინა: *„ჭეშმარიტად ესრეთ ვერარაჲ შეაურევებს გულსა, ვითარ ზრუნვაჲ ფრიადი"*, – დასძენს *წმიდა იოანე ოქროპირი*. ზრუნვაჲ

ფრიადი მეტისმეტი ზრუნვაა, გადაჭარბებული, გულამოსკვნილი მონდომებაა ყოველივე ამსოფლიურისა, არა სასიცოცხლო, არა სულის გადარჩენისა და მოუვასის სიყვარულის საგნისა, არამედ სათავისო, თავშესაქცევი და ნაკლებად ღირებულის გამო ფუსფუსისა.

ჭეშმარიტად – კმა არს დღისა მის სიბოროტე თჳსი!

ღვთისათვის მოსაწონისა და ყოველივე ღირებულის მიღწევას ხომ დიდზე დიდი ძალისხმევა სჭირდება; და თუკი მართლაც გულით ვინდომებთ უფლისათვის მოსაწონს, სადღა დაგვრჩება იმისთვის დრო, რასაც უფალი **სიბოროტეს** უწოდებს, როგორღა მოვიცლით ბოროტი, ამაო ზრუნვისთვის?

ხვალემან იზრუნოს თავისა თჳსისაჲ – ჩაკირკიტებით არ უნდა ვეძიოთ ამ შეგონების სიტყვასიტყვითი მნიშვნელობა, გვაფრთხილებს *წმიდა იოანე ოქროპირი.* **ხვალემან იზრუნოს** არ მოასწავებს იმას, რომ ყოველი დღე თვითონ იზრუნებს თავისთვის. უფალი, ისევ და ისევ, იმას შეგვაგონებს, რომ ტყუილად არ უნდა შევიჭირვოთ თავი ზრუნვით მაშინ, როცა ისედაც საკმარისად, თავზე საყრელად გვაქვს საზრუნავი: ნუ ვიკიდებთ ხვალინდელი დღის ტვირთს, როცა ისედაც დამძიმებულნი ვართ დღევანდელი ტვირთით. დღეს რომ ხვალისთვის ვიზრუნოთ, ამას ხომ ხვალინდელი საზრუნვიც დაემატება. რატომ ვიმეტებთ თავს ამ ჭირისათვის?! მოგეცა დღე? მაშ, იზრუნე ამ დღისთვის, ვინაიდან საკმარისია – **კმა არს დღისა მის სიბოროტე თჳსი!**

„ეძიებდით პირველად სასუფეველსა ღმრთისასა“

სასუფეველი ძიებით მოიპოვება – ღვთის ძიებით; *წმიდა იოანე ოქროპირი* ხაზს უსვამს იმას, რომ უფალი არ გვეუბნება – მოგეცემათო ყველაფერი, არამედ შეგეძინებათო: **„ესე ყოველი შეგეძინოს თქუენ“** – **შეგეძინოსო** – ესე იგი, ღვთის სასუფეველი კი არ მოგვეცემა, არამედ იგი უნდა ვეძიოთ და ვითხოვოთ ღვთისგან, მას მივენდოთ იმის რწმენით, რომ მხოლოდ საუკუნო, მარადიული, უზენაესი სიკეთის ძიებით შეგვეძინება საღვთოც და საწუთრო სიკეთეც! წმიდა მამა გვეუბნება: ნუ ეძებთო მხოლოდ „საწუთროს“, რომელიც შეიძლება მოგეცეთ კიდეც, მაგრამ იგი წარმავალია, ხრწნადია, დაბზარულია ცოდვებისგან და ამიტომაც არის უნდო. ყოველივე ამის მეტისმეტი ზრუნვით მოპოვება უგუნურებაა, – გვარწმუნებს წმიდა მამა.

წმიდა ეპისკოპოს გაბრიელის (ქიქოძის) თქმით, ეს აზრი წმიდა სახარებისა მეტად უცხოა და საკვირველი ადამიანისთვის. ჩვენ ხომ, როგორც წესი, სწორედ იმ კაცს მივიჩნევთ ღვთის სასუფეველის ჭეშმარიტ მაძიებლად, ვინც დაუღალავად ზრუნავს, რათა აღასრულოს ქრისტეს რჯული და ცოდვათა შენდობა მიიღოს ღვთისგან სულის საცხონებლად. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ კაცმა არ უნდა დავიწყოს ყველა ამსოფლიური საქმე, წინასწარ უნდა იცოდეს, რა წილი ეკუთვნის ამქვეყნად ბედნიერებისა და კეთილდღეობის შესაძენად და ა. შ. მაცხოვარი კი გვეუბნება – ნუ ზრუნავთო.

მაგრამ, ნახეთ, რას ამბობს უფალი, – განაგრძობს წმიდა ეპისკოპოსი, – ეძიებდით პირველადო:

„ხოლო თქუენ ეძიებდით პირველად სასუფეველსა ღმრთისასა და სიმართლესა მისსა და ესე ყოველი შეგეძინოს თქუენ“ (მათე 6, 33) – *„ესე იგი, უპირველესი და უმთავრესი ზრუნვა თქვენი იყოს სიმართლისა და სასუფეველისათვის ღვთისა, ხოლო ყოველი სოფლიური საჭირო ნივთი, საჭმელი, სასმელი, შესამოსელი და სხვა, თავით თვისით შეგეძინება თქვენ“*, – განგვიმარტავს *წმიდა ეპისკოპოსი გაბრიელი*. მაშასადამე, მაცხოვარი გვამცნობს, რომ ჩვენ უწინარეს და უპირველეს ყოვლისა უნდა ვზრუნავდეთ ღვთის სასუფეველისათვის; და თუკი ამას აღვასრულებთ, – დასძენს იგი: *„მაშინ სოფლის ბედნიერება და კეთილ-მდგომარეობა უადვილესად შეგვეძინება ჩვენ“*.

წმიდა ეპისკოპოსი განგვიმარტავს, რომ ცათა სასუფეველი წმიდა წერილში *„ეწოდება კეთილსა და ქრისტიანულსა ცხოვრებასა; სიმართლე სასუფეველისა არის აღსრულება მცნებათა სახარებისათა და განმართლება, რომელსაცა მიიღებს სულისა წმიდისაგან კაცი, აღმასრულებელი სჯულისა ქრისტესისა“*. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყოველი კაცი, ასევე საზოგადოება, ქვეყანა და სახელმწიფოც, მხოლოდ მაშინ შეიძენს ამსოფლად ბედნიერებას და კეთილდღეობას, როდესაც „წინაპირველად“ ეძიებს ღვთის სასუფეველსა, ხოლო მის სიმართლეს – „სახარებისამებრ“.

წმიდა ეპისკოპოსი გაბრიელი გვითითებს ამქვეყნიერი ბედნიერების საფუძველზე, რომელიც *„არის მშვიდობა, სიმართლე და მართლმსაჯულება. სადაცა სუფევს უმართლოება და შფოთი, იქ კაცი ბედნიერი ვერ იქნება და ვერას შეიძენს“*. მისი თქმით, ამქვეყნიური საზოგადო კეთილდღეობის საფუძველი ისიც არის, როცა *„ერთი მეორეს არ უბრკოლებს მოქმედებას, არ უშლის ცხოვრებას. იცხოვრე შენც და ნურც სხვას უშლი ცხოვრებასა! აჰა კანონი კეთილ-განათლებულთა საზოგადოებათა“*.

თავის მეორე ქადაგებაში წმიდა ეპისკოპოსი ასევე გვაწვდის ღვთის სასუფველის საფუძვლიან განმარტებას და ბრძანებს:

„სასუფველი ღვთისა, ძმანო ქრისტიანენო, არის ის ჭეშმარიტება, სიმართლე. სიწმიდე და სათნოება, ანუ ის სულიერი, წმიდა და მადლიანი ცხოვრება, რომელიცა სიტყვით გვასწავა და საქმითაც გვაჩვენა მაცხოვარმან ჩვენმან. და შემდგომად მისა გვასწავეს და გვაჩვენეს ყოველთა მისთა, მადლით შემოსილთა წმიდათა. ესრეთ აღწერს თვით საღმრთოცა წერილი სასუფველსა ღვთისასა!“

მაგრამ სად არის სასუფველი ღვთისა? – გვეკითხება წმიდა ეპისკოპოსი და იქვე გვიპასუხებს: *„იგი არს, ეითარცა შინაგან კაცისა გულსა და სულსა მისსა, ეგრეთვე გარეგან მისსა, საქმეთა შინა კაცთასა. სასუფველი ღვთისა შინაგან კაცისა არის მსგავსება და ხატება ღვთისა, რომლითა თვით ღმერთმან შეამკო ბუნება კაცისა ჟამსა დაბადებისა მისისასა“.*

წმიდა ეპისკოპოს გაბრიელის რწმენით, ყოველმა კაცმა იცის გარჩევა ცოდვისა და მადლისა, სიცრუისა და სიმართლისა. თვით უკანასკნელ ცოდვილსაც კი ზოგჯერ შეაწუხებს ხოლმე საკუთარი ბოროტება და ცოდვა. მაშასადამე, **კაცის ბუნებაში არის „თესლი ღვთის სასუფველისა“** და, ამიტომ, ყოველი კაცი უპირველესად თავის სულსა და გულში უნდა ეძიებდეს ღვთის სასუფველს.

როდის ვიწყებთ ღვთის სასუფველის ძიებას? ამ შეკითხვაზეც გვაძლევს პასუხს წმიდა ეპისკოპოსი. კეთილისა და ბოროტის გარჩევაში კაცს საკუთარი სინდისი და ჭკუა შეეწევა. სწორედ სინდისი გვაგრძნობინებს, რომ სიმართლე უსამართლობაზე უმჯობესია, სიწმინდე – უწმინდურობაზე, მადლი – ცოდვაზე. როგორც კი ამას იგრძნობ, იცოდე, რომ შენ **საღმრთო გრძნობა** გაქვია. შეითვისე იგი და ღმერთი თავად ჩაგინერგავს მას გულში, – გვასუგეშებს წმიდა ეპისკოპოსი, და განაგრძობს: – შენ კი ნუღარ დააძინებ შენს სინდისს, არამედ მარადის მღვიძარებაში ამყოფე, *„ააღორძინე, გაადიდე საკუთარითა შენი მეცადინეობითა“*. ამ ღვთაებრივი ნაპერწკლიდან შენი მეცადინეობით უნდა აღაგზნო დიდი ცეცხლი მადლისა და სიმართლისა. ეს ცეცხლი გაანათებს და განანათლებს მთელ შენს ბუნებას. – ამ სანუგეშო დარიგებით დაასრულებს წმიდა ეპისკოპოსი თავის განმარტებას.

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი საგანგებოდ მსჯელობს უფლისეული შეგონებით გამოხატული დაპირისპირების საღვთისმეტყველო მნიშვნელობაზე. უფალი გვასწავლის, რომ ამქვეყნიური კეთილდღეობა იმას „შეეძინება“,

ვინც გულმოდგინედ ეძიებს ღვთის სასუფეველსა და მის სიმართლეს.

მაგრამ „*რა კავშირი აქვს ორთა ამათ საგანთა, ესრედ დაშორებულთა – სასუფეველსა ღვთისასა და ხორციელსა კეთილდღეობასა, ბედნიერებასა?*“ წმიდა ეპისკოპოსის რწმენით, ამ ორ საგანს შორის არის კავშირი. თუკი კაცის გულში არ იპოვება ღვთის სასუფეველი, „*მას არ აქვს დამშვიდებული. კეთილი და მართალი ხასიათი*“. ყველამ იცის, რომ ამქვეყნიური წარმატება ყოველთვის დამოკიდებულია „*შინაგანსა მისსა თვისებასა ზედა*“. წმიდა ეპისკოპოსი გვეკითხება: „*თუ თავისი საკუთარი ხასიათი ვერ აღაშენა კაცმა და ვერ დააწყო კეთილად, არამედ აქვს იგი ყოველთვის აღელვებული და მოუსვენებელი, როგორ აღაშენებს იგი თვისსა ხორციელსა კეთილდღეობასა?*‘

კაცის ბედნიერების დამარღვეველი და დამაბრკოლებელი, *წმიდა ეპისკოპოს გაბრიელის* აზრით, არის ცოდვა, ვნება, უსამართლობა, სიხარბე და უმადურობა. ამ ვნებებით პყრობილი ადამიანი, როგორც წესი, არ ეძიებს ღვთის სასუფეველს.

წმიდა ეპისკოპოსი გვეუდრება, არ დაეშრიტოთ ჩვენს გულებში წყარო მშვიდობისა და ნუგეშისა – ძიება ღვთის სასუფეველისა და მისი სიმართლისა.

„მდიდარი და გლახაკი ლაზარე“

„კაცი პატიოსა შინა იყო და არა გულისჴმა-ყო, ჰბაძვიდა იგი პირუ-
ტყუთა უგუნურთა და მიემსგავსა მათ“
ფსალმუნნი 48, 12-20

„სჯობს მცირედი მართლისაჲ, ვიდრეცა არა მრავალსა მას სიმდი-
დრესა ცოდვილთასა“
(ფსალმუნნი 36, 16)

„იქადოდენ ძმაჲ იგი მდაბალი ამაღლებასა თჳსსა, ხოლო მდიდარი —
დამდაბლებასა თჳსსა“
(იაკობი 1, 9-10)

„არა მდიდარნი, არამედ სიმდიდრის მსახურნი
განიკითხებიან და დაისჯებიან“
(წმიდა იოანე ოქროპირი)

„კაცი ვინმე იყო მდიდარი და იმოსებოდა ძოწეულითა და ბისონითა და იხარებდა დღითი დღედ ბრწყინვალედ.

გლახაკი ვინმე იყო, სახელით ლაზარე, დაჟრდომილი, წინაშე ბჭეთა მისთა, და ქუე ძურებოდა. და გული ეტყოდა განძღებად ნამუსრევისაგან გარდამოცჳნებულისა ტაბლისაგან მის მდიდრისა. არამედ ძაღლნიცა მოვიდოდეს და ჰლოშნიდეს წყლულსა მას მისსა.

და იყო სიკუდილი გლახაკისაჲ მის და მიიყვანა იგი ანგელოზთაგან წიაღთა აბრაჰამისთა. მოკუდა მდიდარიცა იგი და დაეფლა. და ჯოჯოხეთსა შინა აღიხილნა თუალნი თჳსნი, იყო რაჲ იგი ტანჯვასა შინა, და იხილა აბრაჰამი შორით და ლაზარე წიაღთა მისთა. და მან ჴმა-ყო და თქუა: მამაო აბრაჰამ, შემიწყალე მე და მოუვლინე ლაზარე, რაჲთა დააწოს მწუერვალი თითისა მისისაჲ წყალსა და განმიგრილოს ენაჲ ჩემი, რამეთუ ვიტანჯები მე ალითა ამით ცეცხლისაჲთა.

ხოლო აბრაჰამ ჰრქუა მას: შვილო, მოიჴსენე, რამეთუ მიიღე კეთილი შენი ცხორებასა შენსა, და ლაზარე ეგრეთვე მსგავსად — ბოროტი. და აწ

ესერა, აქა ესე ნუგეშინისცემულ არს, ხოლო შენ იტანჯები. და ამას ყოველსა თანა შორის ჩუენსა და შენსა დანახეთქი დიდი დამტკიცებულ არს, რაჲთა რომელთა უნდეს წიაღსლვად ამიერ თქუენდა, ვერ ჴელ-ეწიფოს, არც მაგიერ ჩუენდა წიაღმოსლვად.

ხოლო მან ჰრქუა: გლოცავ შენ, მამაო, მიავლინე ეგე სახლსა მამისა ჩემისასა, რამეთუ მისხენ ხუთნი ძმანი, რაჲთა აუწყოს მათ, და არა მოვიდენ იგინიცა ადგილსა ამას სატანჯველისასა.

ჰრქუა მას აბრაჰამ: ჰქონან მოსე და წინაჲსწარმეტყველნი, მათი ისმინედ. ხოლო მან თქუა: არა, მამაო აბრაჰამ, არამედ უკუეთუ ვინმე მკუდრეთით აღდგეს და მივიდეს მათა, შეინანონ.

ჰრქუა მას აბრაჰამ: უკუეთუ მოსესი და წინაჲსწარმეტყველთაჲ არა ისმინონ, არცალა, მკუდრეთით თუ ვინმე აღდგეს, ჰრწმენეს მათ".

ლუკა 16, 19-31

იგავი თუ ნამდვილი ამბავი? – 53; იგავის ადრესატი – 54; „კაცთა შორის მაღალი" – 55; ძე აბრაამისა – 58; მდიდრის საკედრებელი – 59; ნაყოფი ურწმუნოებისა – 61; იგავური დაპირისპირებანი – 62; ძოწეული და ბისონი – 63; მდიდრისა და გლახაკის სულიერების საზომი – 63; უსახელო მდიდარი და სახელიანი გლახაკი – 66; აბრაამის წიაღი – 67; „მიიყვანა იგი ანგელოზთაგან" – „მოკვდა... და დაეფლა" – 69; „ჯოჯოხეთსა შინა" – 70; მდიდრის არჩევანი – 73; ტანჯვის თმენით მიღება – 75; უფლისმიერი იგავური სწავლება ნეტარებაზე – 77; „შორის ჩუენსა და თქუენსა დანახეთქი დიდი" – 78; ცხონება და წარწყმედა – 80; „ჰქონან მოსე და წინაჲსწარმეტყველნი" – 81; სასწაულის მაძიებლობა – 84; იგავის წინასწარმეტყველური შინაარსი – 92; ჟამი ქმნადობისა და ჟამი მარადისობისა – 95; განსაცდელი და ნეტარება – 101.

„მდიდარი და გლახაკი ლაზარეს“ იგავი უაღრესად შთამბეჭდავია, მკითხველსა და მსმენელში მძაფრ განცდებს აღძრავს, გულსა და გონებაში პირველი წაკითხვისთანავე ერთდროულად აღიბეჭდება შიშიცა და სასოებაც მომავალი, იმქვეყნიური ცხოვრების გამო. მეორე მხრივ, ამ იგავის ორი პერსონაჟის – **მდიდრისა** და **გლახაკის** – დაპირისპირება ზღაპარს გვაგონებს, სადაც ბოროტი და კეთილია შეჭიდებული, და კეთილი დასასრულის მოლოდინში ვართ.

ცხადია, უფალს გარკვეული გამიზნულობა აქვს და ამ იგავური სათქმელით სულის საცხონებელ სწავლებას გვაწვდის.

პირველი ქრისტიანი მამები (*ირინეოსი, ტერტულიანე*) „მდიდარი და გლახაკი ლაზარეს“ იგავს არ აკუთვნებდნენ უფლისმიერ იგავთა რიცხვს და მას ნამდვილ ამბად მიიჩნევდნენ. უფლის იგავებში, როგორც წესი, პერსონაჟებს სახელი არ აქვთ. **გლახაკი ლაზარე** ამ მხრივ გამონაკლისია. მართალია, იგავში უფალი მდიდარი კაცის სახელს არ ახსენებს, მაგრამ ფიქრობენ, რომ იგავის მსმენელები გაუჭირვებლად მიხვდებოდნენ, თუ ვის გულისხმობდა უფალი. ამ მდიდარი კაცის პროტოტიპს იმჟამად თითქმის ყველა იცნობდა.

იოსებ ფლავიუსი, ქრისტეს შობიდან I საუკუნეში მოღვაწე ისტორიკოსი, ამ იგავთან დაკავშირებით შენიშნავს, რომ უფალი გვიყვება ***ანა პირველმღვდელმთავრის*** ოჯახზე, სადაც ხუთი ძმა იზრდებოდა. ისტორიკოსის თქმით, ეს იყო უმდიდრესი ოჯახი, რომლის წევრები იყვნენ ურწმუნონი: არც ***მოსე*** სწამდათ, არც წინასწარმეტყველნი და, ცხადია, არც მომავალი სამსჯავრო აშინებდათ. პირველმღვდელმთავარ ანნას სიძე გახლდათ მღვდელმთავარი ***კაიაფა*** – ეს ის კაიაფაა, რომელმაც იესოზე თქვა, ხალხისთვის უმჯობესი იქნება ერთი ადამიანის სიკვდილი, ვიდრე მთელი ერის დაღუპვაო (იოანე 11, 50). როგორც გვახსოვს, შეპყრობილი იესო ჯერ ანნა პირველმღვდელმთავარს მიჰგვარეს, შემდეგ კი კაიაფას ეზოში მიიყვანეს. სწორედ კაიაფას ეზოში უარყო ***პეტრემ*** სამგზის თავისი მოძღვარი და მამლის ყივილის შემდეგ გონს მოსულმა სინანულის ცრემლებით გამოისყიდა საკუთარი შეცოდება.

ფლავიუსი ამ მდიდარ კაცში კაიაფასაც ხედავს. თუმცა ერთი რამ აშკარაა: როგორიც უნდა იყოს ეს ამბავი – მოგონილი თუ ნამდვილი, და ვინც უნდა იყოს ეს მდიდარი – ***ანნა პირველმღვდელმთავარი***, მისი რომელიმე

ვაჟი თუ სიძე *კაიაფა*, უფალი ამ მონათხრობს იგავური სათქმელით აღჭურავს, იგავური სამოსით მოსავს. თავად ფლავიუსიც ბრძანებს, რომ უფალი ამ ამბავს (ანუ ამ იგავს) მსმენელთა შესაგონებლად მიმართავდაო.

„მდიდრისა და გლახაკი ლაზარეს" იგავში აღბეჭდილი ამბავი *ნეტარ მამა თეოფილაქტე ბულგარელს* არ მიაჩნია სინამდვილეში მომხდარად, ნეტარი მამისთვის იგი მთლიანად მოგონილია, იგავურია. ამაზე, ნეტარი მამის თქმით, თუნდაც ის მიგვანიშნებს, რომ ჯერ არ დამდგარა ჟამი, როცა უბიწოებმა, წმინდანებმა საუკუნო მადლი უნდა მიიღონ, ცოდვილებმა კი – საუკუნო სატანჯველი, ანუ ჯერ არ დამდგარა ჟამი საყოველთაო განკითხვისა. ამ იგავში, ნეტარი მამის განმარტებით, წარმოჩენილია იმათი ხვედრი, ვინც ურწმუნოა, უმოწყალოა: გაფრთხილდითო, – ეუბნება მათ უფალი, – აი რა გელით თქვენ! უფალი ამ იგავით ტანჯულთაც ანუგეშებს და ნეტარებას ჰპირდება, – დასძენს ნეტარი თეოფილაქტე.

იგავის ადრესატი

„მდიდარი და გლახაკი ლაზარეს" იგავში გადმოცემული ამბავი იწყება ეპიზოდებით ამქვეყნიური ყოველდღიურობიდან და მთავრდება იმქვეყნიური წიაღის წარმოჩენით. ამ იგავს ძირი მიწაში აქვს, ნაყოფს კი ცაში გამოისხამს. ჩვენი უფალი, ჩვეულებისამებრ, მიწიერი ამბით შეგვამეცნებინებს ზეციურს.

უპირველესად უნდა შევნიშნოთ ამ **იგავის ადრესატის** გამო. კომენტატორთა ნაწილის თქმით, უფალი იესო „მდიდარი და გლახაკი ლაზარეს" იგავს ფარისევლებს უამბობს მას შემდეგ, რაც თავის მოწაფეებს მოუყვება იგავს „ორგულ მნეზე" (ლუკა 16, 1). *წმიდა ლუკა მახარებელი* საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ეს იგავიც („ორგული მნე") და იგავს მოდევნებული შეგონებებიც, მოწაფეებთან ერთად, ფარისევლებმაც მოისმინეს და, რაკი ვერცხლისმოყვარენი იყვნენ, „შეურაცხ-ჰყოფდეს მას" (ლუკა 16, 14). უფალი ამის პასუხად ფარისევლებს რჯულის დარღვევაში ამხელს, თან აფრთხილებს, რომ ღმერთმა მათი ყოველი განზრახვა, ფიქრი და სურვილი უწყის. იგავთმთხრობელი უფალი ღვთის სასუფევლის მოახლოებასაც შეახსენებს საკუთარ სიმართლეში თვითდარწმუნებულ ფარისევლებს და ამ სათქმელის უფრო მეტი თვალსაჩინოებისთვის შეუდგება „მდიდარი და გლახაკი ლაზარეს" იგავის თხრობას (იხ. ლუკა 16, 14–18).

იგავის განმარტებისას წმიდა მამები ხაზგასმით გვაუწყებენ, რომ უფალი ამ დროს ფარისეველებს პიროვნულად კი არ ამხელს, არამედ წარმოაჩენს მათს შეხედულებას სიმდიდრეზე, გაამჟღავნებს მათს მიჯაჭვულობას ქონებაზე, განცხრომასა და უზრუნველობაზე, მათს ფარისეველურ დამოკიდებულებას გვერდით მყოფისადმი, და მათს მკვიდრად მყოფობას ვერცხლისმოყვარეობის ცოდვაში.

ცნობილია, რომ ფარისეველები დიდი გულმოდგინებით აგროვებდნენ სიმდიდრეს, ამასთანავე, გამოზომილი მომჭირნეობით ცხოვრობდნენ და სულაც არ იყვნენ იმგვარი მფლანგველები, როგორიც ეს მდიდარია იგავში, საიდანაც ვიგებთ:

„კაცი ვინმე იყო მდიდარი და იმოსებოდა ძოწეულითა და ბისონითა და იხარებდა დღითი დღედ ბრწყინვალედ“ (ლუკა 16, 19).

ფარისეველებისათვის სიმდიდრე არ წარმოადგენდა მაცდუნებელ საგანს. მათი შეხედულებით, სიმდიდრე არავითარ საშიშროებას არ უქმნიდა კაცს და არც სულის გადარჩენის საქმეს აბრკოლებდა, სიმდიდრე და ქონება მეტად უვნებელი და უხიფათო იყო მათთვის. უფალი კი სწორედ იმას გვიჩვენებს და იმის აღნიშვნით იწყებს ამ იგავის თხრობას, რომ სიმდიდრე არ არის უცოდველობის საწინდარი, პირიქით, სიმდიდრეს ხშირად დიდი ზიანი მოაქვს კაცისათვის და ჯოჯოხეთისთვისაც კი განაშზადებს მას.

ეპისკოპოს მიხეილის განმარტებით, ამ იგავით უფალი შეგვაგონებს: **სიმდიდრის კეთილად მოხმარებით** ისევე შეიძლება მოხვდე ზეციურ სასუფეველში, როგორც **სიმდიდრის** უმართებულოდ, **ბოროტად მოხმარებით** ხვდება ადამიანი ჯოჯოხეთში. სწორედ ეს დაემართა ამ მდიდარს.

„კაცთა შორის მაღალი“

ის, თუ სადამდე მიჰყავს კაცი სიმდიდრის არასწორად მოხმარება, „მდიდარი და გლახაკი ლაზარეს“ იგავის წინამავალ ნაწილშიც არის დაფიქსირებული. უფალი, როგორც ზემოთ ითქვა, თავის მოწაფეებს უამბობს „ორგული მნის“ იგავს, რის შემდეგაც იქ მყოფ ფარისეველებს ეუბნება:

„თქუენ ხართ, რომელნი განიმართლებთ თავთა თჳსთა წინაშე კაცთა, ხოლო ღმერთმან იცნის გულნი თქუენნი, რამეთუ კაცთა შორის მაღალი საძაგელ არს წინაშე ღმრთისა“ (ლუკა 16, 15).

„მდიდარი და გლახაკი ლაზარეს“ იგავით უფალი გვიმოწმებს, რომ

ამქვეყნიური სიკეთით გალაღებული, ამპარტაჟნებით „აძაღლებული“ მდიდარი კაცი მართლაც საძაგელი შეიქნა ღვთის წინაშე და მას ჯოჯოხეთი ერგო წილად.

ასე რომ, მართალია, ფარისეველები საკუთარი სიამოვნებისათვის ამ მდიდარივით არ ფლანგავდნენ თავიანთ სიმდიდრესა და ქონებას, და, როგორც შენიშნავენ, ზოგჯერ მეტისმეტი ასკეტურობითა და ზედმეტი მომჭირნეობითაც გამოირჩეოდნენ, მაგრამ ისინი ვერცხლისმოყვარენი იყვნენ, ოღონდ იმგვარი ვერცხლისმოყვარენი, რომლებიც კი არ ფლანგავენ, არამედ აგროვებენ ქონებას, სიმდიდრის მარადიული დაგროვების მოტრფიალენი არიან: ქონება მათ მხოლოდ ქონებისათვის უნდათ! ამ ბოროტ მიდრეკილებას გაუმაძღრობა და სიძუნწე პქვია, რასაც ერთი და იგივე ძირი აქვს, ორივე ერთი და იმავე ბოროტი ფესვიდან ამოიზრდება – ამ ბოროტებას ურწმუნოება ჰქვია.

ურწმუნოებიდან აღმოცენებული მიდრეკილება სიმდიდრისადმი, ქონების დაგროვებისადმი, განცხრომისადმი, მფლანგველობისადმი, სიძუნწისადმი – უცილობლად მიიყვანს კაცს საუკუნო დაღუპამდე. ამ იგავის თხრობის მიზეზიცა და მიზანიც ეს გახლავთ. უფალი ამხელს ფარისეველთა მანკიერებას, ცდილობს, გამოააშკარავოს ბოროტი ფესვით ნასაზრდოები მათი მიჯაჭვულობა ამსოფლიურისადმი. კერძო მაგალითად უფალმა აიღო ვერცხლისმოყვარეობის ერთ-ერთი სახე – მფლანგველობა და განცხრომა: გაუმაძღარ ფარისეველებს მან მფლანგველ მდიდარზე უამბო იგავი.

ისიც ნიშანდობლივია, რომ იგავის პერსონაჟად უფალი წარმოგვიდგენს არა ბოროტმოქმედს ან საღვთო რჯულის დამრღვევს, არც კეთილმსახურ ადამიანად ან სათნოებებით აღსავსედ დაგვისახავს გლახაკ ლაზარეს, რომლის წინაშეც ყოველი ქრისტიანი მოწიწებით მოიდრეკდა თავს, არამედ იმგვარ ორ ადამიანზე გვიამბობს, რომელთა მსგავსნიც არცთუ ისე იშვიათი სანახავია ჩვენ გარშემო: ერთია მდიდარი, რომლის დანაშაული სულაც არ არის მხოლოდ ის, რომ იგი მდიდარია და ამის გამო შეპყვარებია ამქვეყნიური კეთილდღეობა; მეორე კი ლაზარეა, გლახაკი და სნეული, რომლის დამსახურება ასევე სულაც არ არის ის, რომ სრულიად უქონელია და დავრდომილი.

იგავში უფალი მხოლოდ და მხოლოდ იმას აღნიშნავს მდიდარზე, რომ იგი იყო მდიდარი, ძვირფასად იმოსებოდა და ბრწყინვალედ, ანუ განცხრომით ატარებდა დროს ყოველდღიურად. კაცი ვინმე იყო მდიდარი – ამ სიტყვებიდან არ ჩანს, რომ თავისი ეს სიმდიდრე ამ კაცმა რაიმე უღირსი

საშუალებებით მოიპოვა. მართალია, არც ის ჩანს, რომ თავისი შრომით პქონდა ეს სიმდიდრე და ქონება მოპოვებული, მაგრამ ერთი რამ სარწმუნოა: უფალი უთუოდ გულისხმობს იმას, რომ ეს სიმდიდრე მდიდარს ღვთაებრივი განგებულებით მიეცა, რაც მას მადლიერებით უნდა მიეღო, რადგან ყოველი სიმდიდრე, მით უფრო – გადაჯარბებული, არის დაუმსახურებლად მიღებული საღვთო საბოძვარი. და ამიტომაც, მადლიერებასთან ერთად, მდიდარს ჯეროვნად, მართებულად, ღვთისათვის მოსაწონად უნდა გამოეყენებინა ეს საბოძვარი – კეთილად უნდა დაეხარჯა!

არც ის არ არის ბოროტება, რომ ეს მდიდარი კაცი ბისონითა და ძოწეულით იმოსებოდა და ყოველდღე ხარობდა. ამსოფლიური ანგარიშით, ამით მას არავითარი დანაშაული არ ჩაუდენია. მაგრამ როგორც კი ღვთიური საზომითა და მსჯავრით მოუდგებით ყოველივე ამას, იმწამსვე გადაფასდება ამ მდიდარი კაცის ცხოვრების წესი, და აღმოჩნდება, რომ მის ცხოვრებაში ადგილს ვერ პოვებს ვერც საკუთარი სულის გადარჩენა (იგი ხომ თავის ხორცს მოსავდა და საკუთარ სტომაქს ეესებდა მხოლოდ), ვერც მოყვასის შეწევნა (იგი ხომ თავისი კარის წინ დავრდომილ სნეულ გლახაკს ზედაც არ უყურებდა), და ვერც ღვთისადმი მადლიერება. ჩვენი ტკბილი უფალი არაფერს ამბობს ყოველივე ამის შესახებ. თუმცა ამგვარი **იგავური** დუმილით მრავლისმეტყველად გვიდასტურებს იმას, რაც მდიდარს არ მოეპოვება.

რამდენიმესიტყვიანი იგავური მინიშნებით გულისხმიერი მკითხველი ხვდება, რომ სიმდიდრემ, განცხრომამ და უპირველესად – **ურწმუნოებამ** ამ მდიდარ კაცს გაუუხეშა გულიც და გონებაც, და რომ ამგვარი ცხოვრების წესი, რაღა თქმა უნდა, ცოდვისმიერია უფლის თვალში.

ასე რომ, „მდიდარი და გლახაკი ლაზარეს" იგავით უფალს სურს, დაგვანახვოს **სიმდიდრის უმართებულოდ, ბოროტად გამოყენება, რაც ურწმუნოების შედეგია.** ამასთან ერთად, უფალი გვიჩვენებს იმ ურწმუნო კაცის საშინელ ხვედრს, რომელიც მთლიანად მიეჯაჭვა წუთისუფელს და არ სწამს უხილავისა. ურწმუნო ხომ, როგორც წესი, უარყოფს ყოველივეს, რაც უხილავია, მისთვის მარტო ხილული არსებობს.

დიახ, ამ მდიდარი კაცის მსგავსთა უმთავრესი ცოდვა ის არის, რომ მათ არ სწამთ ღმერთი, და ისიც, რომ არ უყვართ მოყვასი, ზიზღით ეპყრობიან ღატაკებს. იმავე ურწმუნოების ნაყოფია მფლანგველობა, ისინი დიდ იმედებს ამყარებენ იმაზე, რაც მათ თვალწინაა: რასაც ხედავენ, რაც ესმით, რასაც ყნოსავენ, გემოს უსინჯავენ, ხელს შეახებენ. ამგვარნი, გინდ

მფლანგველნი და გინდ ძუნწნი, მარტო საწუთისოფლო სიკეთის ამარა არიან დარჩენილნი.

ვისაც ჯრ სწამს ჭეშმარიტი ღმერთი და არსებობა უხილავი სამყაროსი, მისი გული დახურულია თანამოძმისთვის, მოყვასისათვის. მათ თანაგრძნობის ნატამალიც კი აღარ შერჩენიათ, სულერთია – ზანდუკებში აქვთ გამოკეტილი თავიანთი ქონება თუ საკუთარი სიამოვნებისთვის ფლანგავენ მას.

ძე აბრაამისა

მდიდარი კაცი მამა აბრაამისგან ითხოვს შეწყალებას, რადგანაც იგი იუდეველია, აბრაამის შთამომავალია. მას ჯერ კიდევ აქვს იმედი, რომ თავისი ხორციელი – აბრაამისეული წარმომავლობა იხსნის და გადაარჩენს. მდიდარი იგავში აბრაამს მამას უწოდებს.

გავიხსენოთ სინანულის მქადაგებელი *წმიდა იოანე ნათლისმცემელი,* რომელიც ფარისეველებსა და სადუკეველებს ეუბნება: **„ვინ გითხრათ, რომ თქვენ აგცდებათ რისხვა ზეციერისგან; გამოიღეთ სინანულის ნაყოფი. ნუ გგონიათ და ნურც იმას იტყვით, რომ მამად აბრაამი გვყავსო“** (მათე 3, 7-9).

ნათლისმცემელი ამათაც და ყველა მოუნანიებელ ცოდვილსაც შეახსენებს, რომ არა ხორციელ წარმომავლობას, არამედ მხოლოდ წრფელ სინანულს, ცოდვათა განცდასა და აღიარებას მოჰყვება გადარჩენა და ხსნა, რაც ღვთის წყალობით გვეძლევა.

ამ მდიდარს ყოველივე ეს არც კი აფიქრებს. როგორც ვთქვით, იგი ვერც კი გრძნობს, რომ აბრაამისეული ხორციელი წარმომავლობის იმედად დარჩენა დამღუპველია, პირიქით – ეს მდიდარი დარწმუნებულია, რომ დიდძალი ქონების პატრონი, ძე აბრაამისა, კეთილშობილი, რჩეულთა შორის რჩეული, ოჯახის თავი, ყველასგან აღიარებული, ძლიერი ამა სოფლისა – ყველა ამ წარმავალი რეგალიის მფლობელი – აუცილებლად მიიღებს ღვთის მფარველობას. სინამდვილეში კი მან უარყო და დაარღვია ის უზენაესი უფლებები, რომლებიც ამ წარჩინებულ წოდებას ღვთისაგან მიენიჭა, და რომელთა აღსრულებაც მას სწორედ იმიტომ ევალებოდა, რომ ძე იყო აბრაამისა. აი რამ მიიყვანა ეს მდიდარი კაცი ჯოჯოხეთამდე.

ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი ამბობს:

„მდიდარი არ ითხოვს შეწყალებას ლაზარესგან, არც რცხვენია მისი,

არამედ ფიქრობს, რომ ლაზარეს უთუოდ ემახსოვრება ბოროტება, რაც მისგან, მდიდრისაგან იწყნია. მდიდარი საკუთარი საზომით ზომავს ცოდვამადლს და დარწმუნებულია. რომ ეს გლახაკი ისევე მოეპყრობა, როგორც თვითონ ექცეოდა მოყვასს, და ასე ფიქრობს: მე მძაგდა იგი, არად ჩავაგდე, ნამცეცებსაც კი არ ვუყრიდი მშიერ-მწყურვალს, ძონძებიც კი არ გავიმეტე დაკონკილისთვის, და ახლა, რა თქმა უნდა, არც ის შემიწყალებს, რომც ვთხოვო, შურისძიებით აინთება და უარესს მიზამს. აი რა მიზეზით არ სთხოვს ეს მდიდარი გლახაკ ლაზარეს შეწყალებას. იგი დამფრთხალიც არის, რადგან დარწმუნებულია, რომ გლახაკი პასუხად აუცილებლად გადაუხდის სამაგიეროს".

მაგრამ ამ მდიდარ კაცს სხვა, უფრო მძიმე გასაჭირი ადგას: მას ჰგონია, რომ მამა აბრაამმა არ იცის მისი ბოროტების შესახებ, და ამით დაიმედებული მიმართავს ვედრებით.

მდიდრის სავედრებელი

რას სთხოვს მამა აბრაამს ჯოჯოხეთის ცეცხლში ჩავარდნილი მდიდარი? იგი შეწყალებას შესთხოვს. თუმცა კიდევ ერთი თხოვნაც აქვს: იქნებ, როგორმე გაიგრილოს ენა და მცირეოდენი შვება მოუტანოს ამ აუტანელი ტანჯვით მოცულს. შემიწყალე – ასე მიმართავს იგი მამა აბრაამს. „*რა გასაოცარი და დიდი ძალის მქონე დაპირისპირებაა, – ამბობს **ეპისკოპოსი მიხეილი**, – განსაკუთრებით კი იმ ფარისეველთათვის, რომლებიც დასცინოდნენ უფლის სწავლებას სიმდიდრის მართებულად გამოყენებაზე*".

კიდევ ერთი გასაოცარი დაპირისპირება ამოიზრდება იგავის ამ ნაწილიდან. გავიხსენოთ კარიბჭესთან დავრდომილი ლაზარე, რომელიც მდიდრისაგან ელოდა მოწყალებას – ახლა კი მდიდარია „დავრდომილი", ოღონდ არა ჯოჯოხეთის კარიბჭესთან, არამედ ჯოჯოხეთის გაუნელებელ ცეცხლშია ჩაგდებული. ეს მართლაც საწყალობელი მდიდარი მოწყალებას იმისგან ელის, რომლის გვერდითაც თვით მისგან უარყოფილი გლახაკი ლაზარე ნეტარებს.

ენა გამიგრილეო – აი სულ ეს არის, რისი თხოვნაც გაბედა მდიდარმა. ჯოჯოხეთში მყოფის ეს უბადრუკი თხოვნა ასევე უპირისპირდება მის იმ ქედმაღლურ სურვილებს, რომელთა მიზეზითაც იგი ამსოფლად დაეცა და იმსოფლად კი წარწყმდა. *ნეტარი აგუსტინე* ბრძანებს: „*ამ ცხოვრებაში მდიდარი – ქვესკნელის ლატაკია*".

მდიდარი კაცი იმ მიზეზითაც ითხოვს **აბრაამისგან** ენის გაგრილებას, რომ მას ამქვეყნად, როგორც ჩანს, ნაყროვანებითა და გემოთმოყვარეობით ეწვოდა ენა, ახლა კი ჯოჯოხეთის ცეცხლით ეწვის. იგავის დასაწყისშივე ამბობს უფალი, ყოველდღე ნადიმობდა და მხიარულობდაო მდიდარი. იგავში ნახსენები ცეცხლის ალი გაუსაძლისი ტანჯვის გამომხატველია, მაგრამ იმაზეც მიგვანიშნებს, რომ ეს ცეცხლის ალი მდიდარმა ჯერ კიდევ აქ, ამქვეყნადვე გააჩაღა. მდიდრის ენა მაშინ იწვოდა და იდაგებოდა, როდესაც ყოველდღიურად განცხრომით უჯდა გაშლილ ტაბლას და ნაყროვანების ცოდვას იმრავლებდა.

ერთ-ერთი კომენტატორი იხსენებს ნაწყვეტს *წმიდა იაკობ მოციქულის* ეპისტოლედან, რომელშიც სწორედ ამ მდიდრის მსგავსთა საყურადღებოდ წერია:

„აწ უკვე თქუენცა, მდიდარნო, ტიროდეთ და გოდებდით უბადრუკებათა მათთჳს თქუენ ზედა მომავალთა. სიმდიდრე თქუენი დალპოლვილ არს, სამოსელი თქუენი მღილთა დაუჭამიეს, ოქრო თქუენი და ვეცხლი თქუენი დაგესლებულ არს, და გესლი იგი მათი საწამებელად თქუენდა იყოს. და შესჭამდეს ჴორცთა თქუენთა, ვითარცა ცეცხლი. დაიუნჯეთ დღეთა მათ უკუან�ნელთა“ (იაკობი 5, 1-3).

მდიდარი თხოვნით **მამა აბრაამს** მიმართავს, მაგრამ მას ავიწყდება უზენაესი მამა, ის, ვისი ცნობა არც ახლა ისურვა. ეს მდიდარი კაცი ისევე შორსაა ღმერთისგან, როგორც გეენია, ჯოჯოხეთია დაშორებული ცისაგან. მიუხედავად ამისა, მამა აბრაამი არც გაკიცხავს მას, არც ამხელს, არც მკაცრად მიმართავს, არც დასცინის, არამედ ტკბილად ეუბნება:

„შვილო, მოიჯსენე, რამეთუ მიიღე კეთილი შენი ცხორებასა შენსა, და ლაზარე ეგრეთვე მსგავსად – ბოროტი. და აწ ესერა, აქა ესე ნუგეშინისცემულ არს, ხოლო შენ იტანჯები“ (ლუკა 16, 25).

„შვილო“ – ამ მიმართვით მამა აბრაამის შემწყნარებლობა მჟღავნდება, – ამბობს *წმიდა იოანე ოქროპირი,* – *იგი შვილად უხმობს ჯოჯოხეთში მყოფ ტანჯულ ცოდვილს, თუმცაღა შეწევნას არ აძლევს“.*

წმიდა გრიგოლი ნოსელის თქმით, მდიდრის ვედრება იმიტომ არ არის შეწყნარებული, რომ იგი თვითონ იყო უმოწყალო: მან წყალობა არ გაიმეტა მოყვასისთვის და ამიტომ დაკარგა ღვთის წყალობა.

წმიდა მამები ერთხმად აღნიშნავენ მამა აბრაამის უსაზღვრო შემწყნარებლობაზე, თანაგრძნობაზე. ბრძენთაგან თქმულა: მორჩილ სულს ნუ აღაშფოთებო, და მამა აბრაამიც დაუყვავებს შეწყალების მოლოდინში მორჩილად მყოფს, თითქოს ამას ეუბნება:

„მე მხოლოდ შენი თანაგრძნობა და სიტყვიერი მოწყალება შემიძლია – მეტი არაფერი! ჩემს ძალებს აღემატება, ის დახმარება გაგიწიო, რასაც შენ მთხოვ; წუთისოფელში მყოფს შენ ღმერთმა მრავალი სიკეთე გარგუნა – მართალია. დროებითი სიკეთე, მაგრამ ხელთ ხომ ის სიკეთე გეპყრა, რაც ასე გინდოდა და მოგწონდა, გიყვარდა კიდეც? შენ კი რა ქენი? დაივიწყე ღმერთი და მისი მართლმსაჯულება, დაივიწყე მოყვასი და ახლობელი, მოიძაგე ღარიბ-ღატაკი, და მთელი შენი სიცოცხლე სიამე-განცხრომას გადააყოლე... ახლა ესეც გაიხსენე, როგორ იტანჯებოდა შენ თვალწინ ეს გლახაკი! გაიხსენე – და ნულარ დამწუხრდები იმის გამო, რომ ის აქ არის, უნეტარეს წიაღში, სამოთხისეულ სიხარულში, შენ კი დამსახურებულად გერგო ჯოჯოხეთი, სატანჯველი და სიმწარე“.

ნაყოფი ურწმუნოებისა

დიახ, სწორედ **ურწმუნოებას** და მხოლოდ ურწმუნოებას მოჰყვება ხოლმე ის საზარელი შედეგები, რაც ამ მდიდარ კაცს დაატყდა თავს ამსოფლად – ცოდვათქმნადობით, იმქვეყნად კი – ჯოჯოხეთის სახით.

ამ იგავის უმთავრესი მიზანია ურწმუნოების შედეგების ცხადყოფა და გათვალისწინება, აქედან გამომდინარე – ურწმუნოების უარყოფა. სიმდიდრის ბოროტად. უმართებულოდ გამოყენება იგავის პირველ ნაწილშია ნაჩვენები, სადაც უფალი გვიამბობს, რომ ეს მდიდარი კაცი ძოწეულითა და ბისონით იმოსებოდა და ყოველდღე ბრწყინვალე ნადიმებს მართავდა, იქვე, მის კარიბჭესთან დაკრდომილ, სნეულ და მშიერ-მწყურვალ გლახაკს კი ვერ ამჩნევდა. იგი იმ ნამცეცებსაც კი არ აწვდიდა გლახაკ ლაზარეს, რომლებიც მისი სუფრიდან ცვიოდა, მდიდრის ნასუფრალიც კი სანატრელი ჰქონდა ამ გლახაკს.

უფლის მიზანი რომ მარტო ამის ჩვენება ყოფილიყო, მაშინ იგავის მეორე ნაწილის სათქმელი განზე დარჩებოდა, რადგან მდიდრისა და **აბრაამის** დიალოგით უფალი იმაზე მიგვითითებს იგავურად, რომ სწორედ ამქვეყნიური ცხოვრების წესით განისაზღვრება იმქვეყნიური ხვედრი კაცისა: რასაც აქ დასთეს, იქ მოიმკი – აი რას შეგვაგონებს უფალი.

იგავში ურწმუნოებაზე მიგვანიშნებს აბრაამის მიერ ნახსენები **რჯული და წინასწარმეტყველება**. აბრაამი მდიდარს ეუბნება:

„მოსესი (ესე იგი, რჯულისა) და წინასწარმეტყველებისა ისმინეთ; თუკი

მოსეს და წინასწარმეტყველს არ ისმენთ, მკვდრეთითაც რომ აღდგეს ვინმე – არც მათ ერწმუნებით“ – ეს სიტყვები, რომლითაც იგავი მთავრდება, უფლისმიერი იგავური მინიშნებაა იმაზე, **რომ რჯულის აღსრულება,** ღვთის სიტყვის მოსმენაც და მისი მიღებაც, მხოლოდ **რწმენით** არის შესაძლებელი, ანუ მაშინ, როდესაც მოთმინებით, მორჩილებითა და თავმდაბლობით მიუყვები საკუთარი ცხოვრების გზას, ხოლო ამ გზას ღვთის სიტყვა და მცნებები გინათებს.

იგავური დაპირისპირებანი

ამ მიზანს, ამის ჩვენებას ემსახურება იგავში წარმოჩენილი დაპირისპირება, უფრო სწორად – **დაპირისპირებანი,** რაც „მდიდარი და გლახაკი ლაზარეს“ იგავის თითქმის ყოველი შესიტყვებით იჩენს თავს. ამასთან, ყოველი დაპირისპირება მკვეთრად გამოხატული და უკიდურესად გამძაფრებულია:

გარდარეულად მდიდარი – მეტისმეტად ღატაკი;
ძვირფასად შემოსილი – დაკონკილი;
დღენიადაგ მაძღარი – მიწყივ მშიერი;
ხორცითა მდიდარი – სულითა გლახაკი;
დაუცხრომელ განცხრომაში – გამოუნელებელ ტანჯვაში;
აქ ლხინში და იქ ჭირში – აქ ჭირში და იქ ლხინში;
მიწაში დაფლული – ანგელოზთაგან აღყვანილი;
ჯოჯოხეთში მყოფი – სამოთხეში დავანებული;
უსახელო – სახელიანი.

იგავში **აბრაამი** მდიდარს ეუბნება: ჩვენსა და თქვენ შუა დიდი უფსკრულია, მათ შორის არასოდეს გაიდება ხიდი, ვერავინ გადავა იქით და ვერც ვერავინ გადმოვა აქეთო. ამ დაპირისპირებით უფალი იგავურად გვიჩვენებს, რომ ეს ორი, უკიდურესად დაშორებული ცხოვრების წესი ასევე ორ, უკიდურესად განსხვავებულ ხვედრს განუმზადებს კაცს.

ძოწეული და ბისონი

უფალი უპირველესად ამ მდიდრის შესამოსელზე ბრძანებს ხაზგასმით: **კაცი ვინმე იყო მდიდარი და იმოსებოდა ძოწეულითა და ბისონით.**

ძოწეულს ძველ ქართულში პორფირიც ჰქვია, ეს არის ძვირფასი მოსასხამი, მანტია, წითელი ფერისა, რომელსაც ზოგჯერ ყარყუმის ბეწვითაც აწყობდნენ.

ძოწი ნიჟარაა, მკვეთრად წითელი, ან მოწითალო-იისფერი. ამ ნიჟარას ხმელთაშუაზღვაში მოიპოვებდნენ და მისგან წითელ საღებავს ამზადებდნენ. თუმცა ხელოვნური ძოწის საღებავებსაც იყენებდნენ შესაღებად. ძოწის საღებავით შეღებილი ქსოვილი ძველთაგანვე სამეფო დიდებულების სიმბოლოდ მიიჩნეოდა.

ძოწეულით, პორფირით შემოსვა – სამეფო ძალაუფლებით შემოსვას ნიშნავდა. თვით მეფენიც თავიანთ რჩეულებს ხშირად სწორედ ძოწეულის შესამოსელით მოსავდნენ, ნდობისა და პატივის ნიშნად.

ძოწეული და ბისონი წმიდა ბიბლიის წიგნებში ხშირად არის შეწყვილებული (ესთერი, დანიელი, I მაკაბელთა, წმიდა სახარება, გამოცხადება). **ბისონი,** ძოწეულის მსგავსად, გადამეტებული მზვაობრობისა და ფუფუნების საგანი იყო. რომაელი *პლინიუსი* (ქრისტეს შობიდან I ს.) შენიშნავს, რომ ბისონს ოქროს ფასი ჰქონდა იმ დროს. ბისონი მეტად ფაქიზი და ძვირად ღირებული ქსოვილი იყო, თეთრი ფერისა, ბამბის ქსოვილის მსგავსი, ოღონდ უფრო წმინდა და უფრო რბილი. **ძოწეულს,** ანუ პორფირს, ბისონის სამოსის ზემოდან იცვამდნენ. მსახურების დროს ბისონის შესამოსელით იმოსებოდნენ ქურუმნი, მლოცველები, ასევე მეფეები და მდიდარი ადამიანებიც.

ასე რომ, ამ მდიდარ კაცს, როგორც ჩანს, მეტისმეტად უყვარდა კოხტაობა, მდიდრული, ძვირფასი და იშვიათი სამოსით შემოსვა, თანაც მარტო სადღესასწაულოდ კი არა, ყოველდღიურად, ნადიმებზე, რომლებსაც თავის სასახლეში მართავდა.

მდიდრისა და გლახაკის სულიერების საზომი

კომენტატორები იმასაც მიაქცევენ საგანგებო ყურადღებას, რომ იგავში უფალი არ გამოკვეთს ამ მდიდრის რაიმე ცოდვისმიერ საქციელს: ეს

მდიდარი არც კანონის დამრღვევია, არც დანაშაულის ჩამდენი, არც ცილისმწამებელი, არც ქურდი და ყაჩაღი ან მძარცველი, იგი არც ქვრივ-ობლებს ავიწროებს, არც დევნის ვინმეს. უფალი მარტო ამას ამბობს: „კაცი ვინმე იყო მდიდარიო“.

მაშ, რა დააშავა ამ მდიდარმა კაცმა, რა ცოდვას სჩადის იგი იმგვარს, რომ ჯოჯოხეთი ერგო?

და აი, სწორედ ამის პასუხად, უფალი მომდევნო მუხლშივე დაპირისპირების მეორე მხარეს წარმოგვიდგენს და ამბობს:

გლახაკი ვინმე იყო სახელით ლაზარე, დავრდომილი წინაშე ბჭეთა მისთა და ქუე ძურებოდა.

იქით – მდიდარი ძოწეულითა და ბისონით იმოსება და დღენიადაგ განცხრომაშია, აქეთ – ამ მდიდრის ჭიშკართან დავრდომილი გლახაკი ლაზარე, მთლად დაწყლულებული, დამშეული და უპატრონო.

მართლაცდა, საზარელია სურათი, სადაც ორი ადამიანის ურთიერთგამომრიცხველი, ორი უკიდურესად დაპირისპირებული, ცასა და დედამიწასავით დაშორებული ფიზიკური არსებობაა გამოსახული. მაგრამ ამ ფიზიკური, ხილული არსებობის მიღმა იოლად შეიძლება დავინახოთ ორივეს ზნეობრივი ხატებაც, მათი სულიერების გამომხატველი იგავური შტრიხები.

შენიშნავენ, რომ მდიდრისა და გლახაკი ლაზარეს ხვედრი ასევე ურთიერთსაპირისპირო სულიერი საზომით შეფასდება: მდიდარი სულიერად ღატაკია, ხოლო გლახაკი ლაზარე „გლახაკია სულითა“ – სულიერად მდიდარია, და ამიტომ, სათნოა ღვთისათვის. **წმიდა მამები გლახაკ ლაზარეს ჭეშმარიტი ქრისტიანის იგავურ სახედ მოიაზრებენ.**

უფალი მდიდრისა და გლახაკის სწორედ ზნეობრივ-სულიერი ხატების საჩვენებლად გვიამბობს ამ იგავს და უპირველესად მდიდრის ცოდვისაკენ მიგვახედებს: ამ გლახაკის მიმხედავი არავინაა, ძაღლების გარდა, რომლებიც მას წყლულებს ულოკავენ. *წმიდა იოანე ოქროპირი* ამასთან დაკავშირებით ბრძანებს, რომ უფალი ხაზს უსვამს მდიდრის გულგრილობას, მის სულიერ სიბრმავეს. *წმიდა ამბროსი* კი ამბობს: *„მდიდრები, ჩვეულებრივ, ივიწყებენ კაცობრიობის დიდი ნაწილის გაღატაკებულ მდგომარეობას. მოწყალების მისაღებად მიახლოებული ღატაკის დანახვაც კი აღიზიანებთ, და ამ გაღიზიანებას ხან დაცინვით გამოხატავენ და ხან – განრისხებით“.*

წმიდა მამის თქმით, როცა მდიდარი არ გაიღებს მოწყალებას, იგი ამ დროს ღატაკის მძარცველი ხდება, რადგან ღმერთმა მოჭარბებულად ის უბოძა, რაც გვერდით მდგომისათვის უნდა გაეღო, მაგრამ არ გასცა!

უნდა ითქვას, რომ აღმოსავლეთის ქვეყნებში, წინათაც და ახლაც, დამახასიათებელია გლახაკთა სიმრავლე, განსაკუთრებით მდიდართა სახლ-კარის წინ, დღესასწაულებზე, სადღესასწაულო სუფრის გაშლის ჟამს. აღმოსავლეთის ცხელი პაპის გამო საჭმელი დიდხანს არ ინახება, და ამიტომ, მდიდართა ჩვეულებით, ნარჩენებს ხშირად ურიგებდნენ ხოლმე თავმოყრილ გლახაკებს. ეს მდიდარი კი, როგორც იგავიდან ჩანს, ამ ჩვეულებას არ მისდევს, რადგან გლახაკ ლაზარეს ნასუფრალიც ენატრება.

მაგრამ რას იქმს გლახაკი ლაზარე, რას აკეთებს იგი ისეთს, რომ სიკვდილის შემდეგ სამოთხე ერგება? ცხადია, უფალი ლაზარეს დამსახურებად არ მიუთვლის მარტო იმას, რომ იგი გლახაკია. იგავში არც ის არის ნათქვამი, თავის გაუსაძლის გაჭირვებას გლახაკი ლაზარე თმენით იტანდა თუ ყვედრებით; არც იმაზეა მინიშნება, რომ იგი იმის სასოებით ითმენდა ტანჯვას, რომ სასუფეველი დაემკვიდრებინა, და არც ის ვიცით, მადლიერებით იღებდა თუ არა ეს გლახაკი საკუთარ ხვედრს. შესაძლოა, ოდესღაც ქონების პატრონმა, უქონლებს დაურიგა ყოველივე და, ღვთის ანაბარად დარჩენილი, ღატაკი შეიქნა ან, იქნებ, თავიდანვე ღატაკი იყო.

თუმცა იგავში ხომ არც ის ჩანს, რომ გლახაკი ლაზარეს ამგვარი სიღატაკე და დაურდომილობა მისი მცონარობის, დაუდევრობის ან მისივე მანკიერების შედეგია. ლაზარე უბრალოდ გლახაკია, სიგლახაკე ლაზარეს ამქვეყნიური ხვედრია. ეს ის ჯვარია, რომელიც ღმერთმა არგუნა მას, და ლაზარემ იგი ღირსეულად, მოთმინებით უნდა ატაროს, რადგან მხოლოდ სიგლახაკის თმენამ, მისმა დიდსულოვნად მიღებამ შეიძლება ცოდვილს სამოთხე, სანეტარო სასუფეველი მოაპოვებინოს. ერთიანად დაწყლულებული, მშიერ-მწყურვალი და ყველასგან მიტოვებული ლაზარე არც დრტვინავს, არც საყვედურობს, არც წუხს, არც შურს, არც ჩივის – არამედ უდრტვინველად, **უსიტყვოდ, მდაბლად და თმენით ემორჩილება თავის ამგვარ ყოფას,** ვითარცა ღვთის ხელით მოვლენილს. ყოველივე ამას იგავში გლახაკი ლაზარეს დუმილი გამოხატავს – იგი „უსიტყვო" პერსონაჟია იგავისა.

გლახაკი ლაზარეს სულიერი სიმაღლე სწორედ თავმდაბლობისა და დათმენის სათნოებებით იზომება. ლაზარე თავის სიგლახაკეს საკვირველი თავმდაბლობით ითმენს.

ამას იგავის მეორე ნაწილი ცხადყოფს, სადაც ვხედავთ სამოთხეში მყოფ ლაზარეს. გლახაკი ლაზარეს სულიერებაზე ისიც მიგვანიშნებს, რომ მას ერთადერთი სურვილი აქვს – მდიდრის სუფრის ნამუსრევისგან მცირედი ნაწილი მიიღოს და ასე მოიკლას შიმშილი.

ამჯერადაც დაპირისპირების მოწმენი ვხდებით: მდიდარი ხომ ყოველდღე ნუგბარსა და ნაირ-ნაირებს მიირთმევს, გლახაკი ლაზარე კი მაინც არ ჯაჯრობს, არ უბოროტდება გული იმის გამო, რომ არც ეს მდიდარი და არც არაკინ, მდიდრის სტუმარი თუ მსახური, პურის ნატეხსაც კი არ მიაწვდის მას.

ლაზარემ მაინც შეინახა წმინდად თავისი გული, ცოდვით არ წაბილწა საკუთარი სული – სწორედ ამას ეუბნება აბრაამი ჯოჯოხეთში მოხვედრილ მდიდარს, რომელიც, ლაზარესგან განსხვავებით, დამსახურებულად იტანჯება ჯოჯოხეთში. ისიც საგულისხმოა, რომ მდიდარი თავისი **უმოწყალობის გამო დაისაჯა**. მისი დამოკიდებულება ლაზარესადმი, კერძოდ, ის, რომ თავად განცხრომაშია და გლახაკს კი არც მიხედავს – უფრო მის უმოწყალობაზე მეტყველებს, ვიდრე სიძუნწეზე. რა თქმა უნდა, სიძუნწეც ცოდვაა და ამ ცოდვის გამოც ისჯება ცოდვილი, მაგრამ, ***ეპიკოპოს მიხეილის*** თქმით, იგავში უფალი უპირველესად მდიდრის უმოწყალობას უნდა გულისხმობდეს. მართლაც, სხვა რა უბრმავებს ხოლმე კაცს გონებისთვალს ან რა აღუვსებს გულს საზარელი სიცივით, თუ არა უმოწყალობა! მდიდრის უმოწყალობას იგავში ისიც ადასტურებს, რომ ჯოჯოხეთში თვალახელილმა იმწამსვე იცნო გლახაკი ლაზარე.

უსახელო მდიდარი და სახელიანი გლახაკი

მდიდარს სწორედ თავისი უმოწყალობის გამო არ მიეცა სახელი ამ იგავში. ***ნეტარი თეოფილაქტეს*** თქმით, ეს მდიდარი ღირსი არ არის, სახელი პქონდეს უფლის წინაშე. ამის საპირისპიროდ, თმენითა და მორჩილებით სათნოყოფილი გლახაკის სახელი ზეციურ წიგნში ჩაიწერა. ***ნეტარი აგუსტინე*** ბრძანებს: *„ვერ ხედებით, რომ უფალს წაკითხული პქონდა ის წიგნი, სადაც ეწერა ამ კაცის სახელი, და ვერ იპოვა სახელი ამ მდიდრისა? – ეს წიგნი ხომ ცხოვრების წიგნია“*.

მდიდრისა და გლახაკის სახელდებასთან დაკავშირებით იმასაც შეინიშნავენ, რომ მოგვიანო ხანს, თურმე, იერუსალიმში ჩასულ მოგზაურებს ერთ დანგრეულ სახლზე უთითებდნენ და ეუბნებოდნენ, რომ ეს სწორედ იმ მდიდრის სახლია, რომელსაც უფალი იგავში ახსენებსო. ისიც ღირსშესანიშნავია, რომ ამ მდიდარს, როგორც ჩანს, ყველა კარგად იცნობდა. მას ალბათ პირმოთნედ ელაქუცებოდნენ ის თანამეინახეები, რომლებიც

მისსავე სასახლეში ყოველდღე ნადიმობდნენ ხოლმე, ხოტბას ასხამდნენ, განადიდებდნენ, იქნებ, მისი სახელის უკვდავყოფასაც აღუთქვამდნენ. მაგრამ მადლგაწყვეტილ კაცს სიკვდილის შემდეგ, როგორც წესი, ივიწყებენ ხოლმე, მისი სახელი მსწრაფლ დავიწყებას ეძლევა ყველასთვის, და მარტო იმასღა იხსენებენ, რომ აქა და აქ ერთი ძალიან მდიდარი კაცი ცხოვრობდაო.

ერთ-ერთი კომენტატორის თქმით, მდიდრის უსახელობით უფალი შესაძლოა იმასაც ჩაგვაგონებს, რომ ადამიანის მანკიერების მხილებისას ჩვენ უნდა დავინდოთ იგი და არ გავამხილოთ მისი სახელი, არ შევულახოთ ღირსება. ასეა თუ ისე, მდიდარი ამ იგავში უსახელოა, მან ამქვეყნად ყველაფერი მოიხვეჭა – სახელის გარდა.

ებრაული **სახელი** ლაზარე არის შემოკლებული ვარიანტი სახელისა ელეაზარ, რაც ნიშნავს „ღმერთია შემწე". როგორც განმარტავენ, უფალმა ამ სახელით მიგვანიშნა, რომ გლახაკს კაცთა იმედი არ ჰქონდა და მთლიანად იყო მინდობილი ღმერთს. იმასაც ამბობენ, რომ იმ დროს იერუსალიმში მართლაც ყოფილა ვინმე ლაზარე – უკიდურესად გაჭირვებული და გაღატაკებული, და რომ უფალი იგავის თხრობისას გულისხმობდა სწორედ ამ ლაზარეს – სინამდვილეში არსებულ გლახაკ ლაზარეს.

აბრაამის წიაღი

იგავში ნათქვამია: **„და იყო სიკუდილი გლახაკისა მის და მიიყვანა იგი ანგელოზთაგან წიაღთა აბრაჰამისთა"** (ლუკა 16, 22).

წიაღი აბრაჰამისა ამ იგავში სამოთხის გამომხატველი იგავური სახეა. მაშასადამე, გლახაკი ლაზარე ზეციურ სასუფეველში აიყვანეს ანგელოზებმა. *წმიდა მოციქული პავლე* ბრძანებს, რომ ანგელოზები ზეციდან იმათ მოევლინებიან მსახურებად, რომლებსაც ხსნა მიენიჭათ და საუკუნო ცხოვრებაში დასამკვიდრებლად არიან განმზადებულნი (ებრაელთა მიმართ 1, 14).

ეკლესია გვასწავლის, რომ ანგელოზი არასოდეს გვტოვებს, სიკვდილის დროსაც კი. ამის საპირისპიროდ იგავში ნათქვამია: **„მოკვდა მდიდარიცა იგი და დაეფლა"** (იქვე) – ესე იგი, არათუ მისი ხორცი, არამედ სულიც ქვესკნელის წილი გახდა. ვერც სიმდიდრემ, ვერც წარჩინებამ ვერ დაიფარა ეს ადამიანი სიკვდილისაგან. ეს მართლაცდა გასაოცარი და საზარელი

შემობრუნებაა ბედის ჩარხისა: ის, ვისაც არავინ ეკარებოდა და მხოლოდ ძაღლები ეხებოდნენ – **ანგელოზთაგან აღყვანილ იქნა აბრაამის წიაღში.** ამ გლახაკს, რომელსაც ვერავინ ამჩნევდა და არავის ახსოვდა, ყველაზე სანუკვარი ოცნება აუხდა: მას ერგო არა აბრაამის, ისაკის და იაკობის თანა ყოფნა ცათა სასუფეველში (როგორც ეს წმიდა მათეს სახარებაშია ნათქვამი უფლის მიერ – მათე 8, 11), არამედ მან მამის წიაღში მყოფი მხოლოდშობილი ძის მიერ გაცხადებულ ღვთიურ სავანეში დაიდო სამუდამო სამყოფელი!

უფალი იგავში იმ მიზეზით ახსენებს **აბრაამის წიაღს,** რომ იუდეველთათვის სწორედ აბრაამის წიაღია სანეტარო, სადაც მართალთა სულები ყრმებივით განისვენებენ სიმშვიდესა და სითბოში, სიტკბოებასა და სინათლეში არიან მარადის. უფალი იგავურად მიგვანიშნებს, რომ გლახაკი ლაზარე **სამოთხეში აიყვანეს** ანგელოზებმა. გავიხსენოთ, რას ეუბნება ჯვარცმული უფალი იესო თავის მარჯვნივ ჯვარცმულ ავაზაკს: **„ამენ გეტყჳ შენ: დღეს ჩემ თანა იყო სამოთხესა“** (ლუკა 23, 43).

ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი გვეკითხება: რატომ დაინახა ჯოჯოხეთში მყოფმა მდიდარმა გლახაკი ლაზარე მაინცდამაინც აბრაამის წიაღში? ნეტარი მამა იმას შეგვახსენებს, რომ მამა აბრაამი მეტად სტუმართმოყვარე იყო, იგი ყოველ გამვლელს ეპატიჟებოდა თავის კარავში, უმასპინძლდებოდა, შეიფარებდა და ტკბილად გაისტუმრებდა. თავისი სტუმართმოყვარეობის სათნოების გამო გახდა **აბრაამი** ღირსი იმ სამი დადებული სტუმრისა, რომლებმაც წლისთავზე ვაჟიშვილის შეძენა უწინასწარმეტყველეს მას. ნეტარი თეოფილაქტეს განმარტებით, იგავში ამ მიზეზითაც იხსენიება სტუმართმოყვარე აბრაამი – უფალი ამგვარად ამხელს **მდიდრის არასტუმართმოყვარეობას.**

გლახაკი ლაზარეს **აბრაამის** წიაღში ყოფნის გამო *ნეტარი აგუსტინე* საყურადღებო გაფრთხილებას გვაწვდის. ეს გაფრთხილება უპირველესად ღარიბ-ღატაკების გასაგონად არის ნათქვამი. მათ არ უნდა დაიმშვიდონ თავი და არ უნდა იფიქრონ, რომ სამოთხეს მარტო იმიტომ დაიმკვიდრებენ, სიღატაკე და სიღარიბე რომ ერგოთ ამქვეყნად. ნეტარი მამის თქმით, წყლულებისა და სიღატაკის გარდა, ღარიბი კაცი სხვა რამითაც უნდა დაემსგავსოს ლაზარეს. ხორციელი სიღატაკე სულიერ სიღატაკესაც ითხოვსო ამ შემთხვევაში, – გვმოძღვრავს ნეტარი მამა, და დასძენს:

ხორციელი სიღატაკე მხოლოდ და მხოლოდ სასარგებლო საშუალებაა თავმდაბლობისა და მორჩილებისათვის, მაგრამ იგი არც თავმდაბლობას

განსაზღვრავს და არც მორჩილებას. განმსაზღვრელი სულიერი სიღატაკეა, ანუ მორჩილებისა და თავმდაბლობის განცდა, უღირსობის შეგრძნება და ყველა განსაცდელის მადლიერებით მიღება.

სწორედ ასევე, – განაგრძობს ნეტარი მამა, – არც ამქვეყნიური სიმდიდრე გამორიცხავს თავმდაბლობას, თუკი ამ სიმდიდრის მფლობელი არ ქედმაღლობს, არ ამპარტავნობს, სიმდიდრეს ღმერთზე მაღლა არ აყენებს და სრულად არ მიენდობა თავის ქონებას. განა თვითონ მამა აბრაამი მდიდარი არ იყო? ამიტომ, *„იგავში პატივი მიეგო არა გლახაკის ხორციელ სიგლახაკეს, არამედ მის თავმდაბლობას, მდიდრის ამპარტავნებას კი სასჯელი დაედო“*, – დაასკვნის *ნეტარი მამა აგუსტინე.*

„მიიყვანა იგი ანგელოზთაგან“ – „მოკვდა... და დაეფლა“

იგავში ნახსენები *ჯოჯოხეთიც*, სადაც თვალი გაახილა მდიდარმა, ასევე ამოწმებს იმას, რომ აბრაამის წიაღში უთუოდ სამოთხე უნდა ვიგულოთ. *ნეტარი აგუსტინე* ბრძანებს, რომ იგავში ნახსენები ანგელოზები ქრისტეს უღლის გამომხატველია, იმ ტკბილი უღლისა, რომელიც ფრთებად ექცევა მონანიეს, მორჩილსა და ღვთისმოშიშს, და ამ ფრთებით ამაღლდება იგი სამოთხეში, ისევე, როგორც გლახაკი ლაზარე ამაღლდა აბრაამის წიაღში.

იმასაც მიაქცევენ ყურადღებას, რომ იგავში არ არის ნათქვამი, თუ რა ბედი ეწია გლახაკი ლაზარეს მრავალტანჯულ და დაწყლულებულ სხეულს სიკვდილის შემდეგ. უფალი მხოლოდ მის ტანჯვით განწმენდილ სულზე გვეუბნება, ანგელოზებმა ზეცაში აიყვანესო. ამის საპირისპიროდ, უფალი მდიდრის ბრწყინვალე გვამის დაფლვას გვაუწყებს, მისი სულის გამო კი არც ანგელოზებია ნახსენები და არც ის, თუ როგორ აღესრულა იგი.

კიდევ ერთი დაპირისპირება უნდა გავითვალისწინოთ. როდესაც უფალი ამ იგავში მდიდარზე ბრძანებს, დაეფლოო, და მისი დამარხვის, დასაფლაევების გამოც მიანიშნებს. ადვილი წარმოსადგენია, რა დიდებულად დაკრძალავდნენ ამ მდიდარს: ძვირფასი სასახლით, ნელსაცხებლებით გაპატიოსნებულს, დაქირავებული მოტირალებით, გრძელი სამგლოვიარო პროცესიით, ბრწყინვალე სამარხითა და წარწერით, სადაც გარდაცვლილის დამსახურებები იქნებოდა ჩამოთვლილი. მდიდრის ეს ხრწნადი სამყოფელი, ანუ დაფლვაა დაპირისპირებული გლახაკი ლაზარეს ამაღლებასთან აბრაამის წიაღში. გლახაკის სული განათლებული და გაცისკროვნებული

ამოიზრდება იგავიდან, მდიდრისა კი ხორცია გაბრწყინებული – ოღონდ ამქვეყნიური ბრწყინვალებით, რომელიც სულისა და ხორცის გაყრის შემდეგ იშრიტება და ქრება.

„მდიდარი და გლახაკი ლაზარეს“ იგავში განმარტებას ითხოვს ის, თუ რა თანამიმდევრობით გვაუწყებს უფალი იგავის ამ ორი პერსონაჟის სიკვდილს: ჯერ კვდება ლაზარე, შემდეგ – მდიდარი. ამგვარი თანამიმდევრობა იგავურად მიგვანიშნებს, რომ უფალი მოწყალეა როგორც გლახაკის მიმართ, ასევე მდიდრისადმიც.

სწორედ რომ ღვთის დიდი მოწყალების ნიშანია გლახაკი ლაზარეს სიკვდილი უწინარეს მდიდრისა. ჩანს, მეტად უკვე ვეღარ აიტანდა გლახაკი ლაზარე თავის ტანჯვასა და ტკივილს, ცოტაც და – ყვედრების ან გმობის ცოდვაში ჩავარდებოდა, რომ არა აღსასრული, რითაც ღმერთმა იგი წარმწყმედელ ცოდვებს მოარიდა.

გლახაკის სიკვდილის შემდეგ მდიდარი ჯერ ისევ ცოცხლობს, და ეს დაყოვნებაც ღვთის წყალობაა, რადგან უფალი თავისი სულგრძელობითა და მრავალმოთმინებით ელოდება მდიდრის გონს მოსვლასა და სინანულს. მაგრამ: მოკვდა მდიდარიც ისე, რომ მან ვერ შეძლო ღვთის წყალობის მიღება, ვერ შეიცნო ღვთიური განგებულება და ამიტომაც ერგო ჯოჯოხეთი.

„ჯოჯოხეთსა შინა“

დეკანოზი ბუხარეი შენიშნავს, რომ ჯოჯოხეთი ის ადგილია, სადაც არ არის ნათელი. ამ სახელით იწოდება სულის ის მდგომარეობა, როცა იგი დაშორებულია ღმერთისგან, ღვთიური ნათლისა და ნეტარებისგან.

ეპისკოპოსი მიხეილი ამ იგავის მიხედვით წარმოაჩენს ჯოჯოხეთის რამდენიმე მახასიათებელს:

- დაშორებულია სანეტარო ადგილისაგან;
  ტანჯვის ადგილია;
  წშიდა, სანეტარო სამყოფელისგან გამოცალკევებული და დიდი უფსკრულით („დიდი დანახეთქით“) შემოსაზღვრულია;
  ცეცხლის ალის ალაგია.

იმასაც განმარტავენ, რომ ჯოჯოხეთი ქვესკნელია, მიწისქვეშა ბნელი ადგილი, ხორცთაგან გაყრილი სულის უხილავი მდგომარეობა.

ჯოჯოხეთის კიდევ ერთ მახასიათებელზე მიუთითებენ, კერძოდ: იგავის მიხედვით, ჯოჯოხეთი და სამოთხე ისეა განლაგებული უხილავ სამყაროში,

რომ ერთიგან მყოფი მეორე მხარეს ხედავს, რაც ხდება, და პირიქით. ამგვარი წარმოდგენა თალმუდიდან მომდინარეობს. ებრაული სიტყვა შეოლი აღნიშნავს საზოგადო მდგომარეობას სულისათვის – მის აღდგომამდე. ეს ადგილმდებარეობა იყოფა სამოთხედ, რომელიც მართალთათვის არის განკუთვნილი, და გეჰენიად, გეენად, რომელიც ცოდვილთა სატანჯველია.

ნეტარი აგუსტინე ამბობს: *„პორფირის წილ მდიდარს ცეცხლი ერგო სამკვიდრებლად, და სწორედ იმით ჩაიწვა, რასაც არასოდეს იშორებდა. მდიდრის ამქვეყნიური პორფირი ჯოჯოხეთის ცეცხლოვანმა სამოსმა შეცვალა“.*

და აი, მდიდარმა თვალი გაახილა ჯოჯოხეთში. პირველი, რა ჯოჯოხეთურ ტანჯვაში მყოფი მდიდრის განცვიფრებულ მზერას წარმოუდგა – არის ლაზარე, სწორედ ის გლახაკი ლაზარე, რომელიც მის კართან, მისი ბრწყინვალე სასახლის კარიბჭესთან ქუე ძურებოდა, დაწყლულებული და ღონემიხდილი ელოდა, როდის გადმოცვივდებოდა უხვად გაშლილი ტაბლიდან რამდენიმე ნამცეცი მაინც, რომ სულ ოდნავ მოეკლა შიმშილი: **იხილა აბრაჰამი შორით და ლაზარე წიაღთა მისთა,** – ბრძანებს უფალი მდიდრის გამო. *ეპისკოპოს მიხეილის* თქმით, ამ გლახაკის დანახვა უეჭველად გააძლიერებდა მდიდრის ისედაც აუტანელ ტანჯვას, თუმცა იმის იმედსაც მისცემდა, რომ, იქნებ, მამა აბრაამის მოწყალებით ან თუნდაც ლაზარეს მეოხებით, სულ ცოტათი მაინც შეუმსუბუქდებოდა ტანჯვა. მსგავსი განცდებით აღიავსება ცოდვილის სული იმქვეყნადო, – დასძენს ეპისკოპოსი.

ნეტარი მამა თეოფილაქტე ბულგარული იხსენებს ადამის სამოთხიდან განდევნას, კერძოდ იმას, რომ გაძევებული ადამი სამოთხის პირდაპირ დაასახლა უფალმა ღმერთმა: *„და დაადგინა ქერუბიმები და ცეცხლოვანი, მბრუნავი მახვილი, რათა სიცოცხლის ხესთან მისასვლელი დაეცვათ“* (დაბადება 3, 24). როგორც ადამი იტანჯებოდა და, სამოთხის შემყურეს, უფრო და უფრო უმძაფრდებოდა ეს ტანჯვა, მეტი და მეტი სიღრმით შეიგრძნობდა დაკარგულ ნეტარებას, ასევეა ეს მდიდარიც, – ბრძანებს ნეტარი მამა, – ასევე დააყენა იგი უფალმა მამა აბრაამის წიაღში მყოფი ლაზარეს პირისპირ, დაანახვა სანეტარო სამყოფელი და **ნუგეშინისცემული** გლახაკი ლაზარე, რათა ამით ეგრძნო, თუ რა დაკარგა თავისი უმოწყალობით, გაუმაძღრობითა და ურწმუნოებით.

ამ მდიდარს უეჭველად გაახსენდებოდა, თუ როგორ ეპყრობოდა იგი ლაზარეს, რომელსაც შეხედვის ღირსადაც არ მიიჩნევდა. ალბათ სიხარულით

დაიბრუნებდა ამქვეყნიურ ცხოვრებას, რათა თავისი წარმწყმედელი სიმდიდრე მაცხოვნებლად ექცია, იმ სატანჯველსაც სიხარულით დაითმენდა, რომელიც გლახაკმა ლაზარემ დაითმინა. მაგრამ გვიან იყო თითზე კბენანი, რადგან ყველა კარი სინანულისა მისთვის უკვე დახშული აღმოჩნდა!

საიქიო ცხოვრება, *დეკანოზ ბუხარეიის* განმარტებით, უფალმა იესომ კაცთათვის გასაგები ენით, მარტივი, ამქვეყნიური სახეებით გამოხატა იგავში, რათა ცხადად წარმოგვიდგეს სულთა სამყარო: ამქვეყნიური ხილული სახეებით ჩვენ უხილავი უნდა დავინახოთ და ასე შევიგრძნოთ სულის ცხონებისა თუ წარწყმედის მიუწვდომელი საიდუმლო.

ეს იგავური სურათი ჯოჯოხეთისა და სამოთხისა, *წმიდა იოანე ოქროპირის* თქმით, სწორედ ჯოჯოხეთური ტანჯვის განცხადებისათვის არის ამგვარად წარმოჩენილი, რათა სათანადოდ მივიღოთ უფლისმიერი გაფრთხილება მოსალოდნელ საუკუნო ტანჯვაზე. უფალი თითქოს ამას გვეუბნება: აი, ნახე, როგორც ამქვეყნად ტანჯულმა ლაზარემ იხილა იმქვეყნად ტანჯული მდიდარი, ასევე იხილა ამქვეყნად უზრუნველმა მდიდარმაც ნეტარებაში მყოფი ლაზარე; და როგორც გლახაკ ლაზარეს აქ უმრავლდებოდა ტანჯვა მდიდრის უზრუნველობისა და უმოწყალობის მიზეზით, ასევე გაუმძაფრდა მდიდარს ტანჯვა იქ, როდესაც აბრაამის სანეტარო წიაღში მყოფი ლაზარე დაინახა.

მართლაც, ერთგვარი მძაფრსიუჟეტიანი დრამის მოწმენი ვხდებით, როდესაც ამ იგავს ეკითხულობთ. მაგრამ დრამის მთავარი მოქმედი პირი, თითქოს, სცენიდან გადმოვიდა, გარდაცვალების შემდეგ მას ის უძვირფასესი პორფირისა და ბისონის სამოსი შემოაძარცვეს, რომელიც მხოლოდ გარეგნული ეფექტისთვის ემოსა – შემოაძარცვეს, და აღმოჩნდა, რომ ამ როლის შემსრულებელმა ცუდად ითამაშა, ამ მსახიობმა უხეიროდ შეასრულა მასზე დაკისრებული როლი, შექება კი არ დაიმსახურა არამედ ერგო შემზარავი უარყოფა, როგორც ამას *წმიდა იოანე ოქროპირი* ბრძანებს:

„ჩვენ ამსოფლად ისე ვსხედვართ, როგორც მაყურებელი – თეატრში. ვსხედვართ და ვუყურებთ ნიღბოსან ადამიანებს: მდიდარს, ღარიბს, მეფეს, ყმას, და სხვებსაც; და როგორც მსახიობია სცენაზე ერთ დღეს მეფე, მეორე დღეს – ყმა, სპექტაკლის დასრულების შემდეგ კი იგი ჩვეულებრივი ადამიანია, ასევეა ის მდიდარიც იგავიდან. ამგვარ მდიდარს ხშირად შევხვედრივართ, ოღონდ ეგ არის, იშვიათად შეგვიცვნია, რომ ამ მდიდრის მსგავსი, სინამდვილეში, ღატაკია. ამაში იმწამსვე დავრწმუნდებით, რო-

გორც კი ნილაბს მოუაშორებთ მას, მის სულიერებას ამოიცნობთ, სადაც უამრავ ნაკლულოვანებას აღმოაჩენთ. თუკი სიცოცხლეში ვერ შეძლებთ ამას, – განაგრძობს *წმიდა მამა იოანე ოქროპირი,* – *სიკვდილის შემდეგ ხომ ყველას ჩამოეხსნება ნილაბი – მდიდარსაც და ღარიბსაც, მეფესაც და ყმასაც. აი მაშინ კი ჭეშმარიტად ვიხილავთ, თუ ვინ ყოფილა მართლაც მდიდარი და ვინ – მართლაც ღარიბი, ვინ ღირსეული და ვინ – უღირსი".*

ჯოჯოხეთში თვალგახელილი მდიდარი ჯერ თითქოს ვერ მოეგო გონს, კარგად ვერ გააცნობიერა, თუ როგორია მისი ამჟამინდელი მდგომარეობა, ვერა და ვერ დაუკავშირა ერთმანეთს თავისი აწმყო და წარსული. ეს საზარელი ცვლილება (გარდა-ცვალება) მას ბუნდოვან ზმანებად წარმოუდგა. მაგრამ ბოლოს კი მიხვდა, რომ ეს ზმანება კი არა, საზარელი სინამდვილეა. ჯოჯოხეთში მყოფი იმასაც მიხვდა, რასაც წმიდა ლუკას სახარებაში ამბობს უფალი პასუხად შეკითხვაზე: **უფალო, ნუთუ ცოტანი ცხონდებიან?**

უფლის პასუხი ასეთია:

„იღვაწეთ, რათა შეხვიდეთ ვიწრო ბჭით, რადგანაც გეუბნებით თქვენ: მრავალნი ეცდებიან შესვლას და ვერ შეძლებენ... და იქნება იქ ტირილი და კბილთა ღრჭენა, როცა იხილავთ აბრაამს, ისაკს და იაკობს და ყველა წინასწარმეტყველს ღმრთის სასუფეველში, ხოლო თქვენს თავს – გარეთ გამოყრილთ" (ლუკა 13, 23-24, 28).

წმიდა ესაიას წინასწარმეტყველებაში ამ მდიდრის მსგავსთათვის არის ნათქვამი: *„ასე ამბობს უფალი ღმერთი: აჰა, ჩემი მორჩილნი მაძღარნი იქნებიან, თქვენ კი იშიმშილებთ! აჰა, წყურვილს მოიკლავენ ჩემი მორჩილნი, თქვენ კი გეწყურებათ! აჰა, გაიხარებენ ჩემი მორჩილნი, თქვენ კი შერცხვებით! აჰა, იყიჟინებენ ჩემი მორჩილნი, გულმხიარულნი, თქვენ კი იყვირებთ გულმწუხარენი და ოალალებთ სულგამწარებულნი!"* (ესაია, 65, 13-14).

გონს მოსული მდიდარიც თითქოს შეპყვირებს – ჭმა-ყო – ნათქვამია იგავში, და იმართება დიალოგი მდიდარსა და მამა აბრაამს შორის.

მდიდრის არჩევანი

მამა აბრაამი ჯოჯოხეთის ცეცხლში მყოფ მდიდარს შეახსენებს, რომ მან ღვთიური კანონი დაარღვია:

„მოიკსენე, რამეთუ მიიღე კეთილი შენი ცხოვრების შენსა“ (ლუკა 16, 25), – ეუბნება მამა აბრაამი მდიდარს.

კეთილი შენი – ეს ის სიკეთეა, რომლის წყალობითაც მდიდარი ძოწეულითა და ბისონით იმოსებოდა, დიდებულ ნადიმებს მართავდა, „იხარებდა დღითი დღე ბრწყინვალედ“. სწორედ ეს „სიკეთეები“ იყო, მდიდრის რწმენით, უზენაესი და ერთადერთი სხვა სიკეთეთა შორის. იგი ამ სიკეთეებს მეტისმეტად დაჰკანკალებდა, რადგან დიდზე დიდ სიამოვნებას – განცხრომას იღებდა ყოველდღიურად.

ჩვენ არ უნდა ვიფიქროთ, რომ მამა აბრაამის მიერ ნახსენები **კეთილი** ამ მდიდრის რაიმე კეთილ საქმეზე მიანიშნებს, რის გამოც მას ღმერთმა ჯილდო არგუნა და ამქვეყნიური სიამენი მიანიჭა. მამა აბრაამი მხოლოდ იმას გულისხმობს, რომ ეს **კეთილი**, ანუ კეთილდღეობა, ქონება და განცხრომა, თვით **მდიდრის არჩევანია** – მისი თავისუფალი ნების განხორციელებაა. თავად მდიდარი მიიჩნევს ამ დროებით სიკეთეს ერთადერთ უზენაეს, უმაღლეს სიკეთედ: მან რაც ინდომა, ის მიიღო ამქვეყნად: ზრუნაკდა და ესწრაფოდა მარტო ამქვეყნიურს, ხორციელს, და არასოდეს დაფიქრებულა მომავალზე, სულის ცხონებაზე. ამიტომაც უნდა დაკმაყოფილდეო, – ეუბნება აბრაამი მდიდარს, – იმით, **რაც მიიღე კეთილი შენი ცხოვრებასა შენსა**; ნულარ ემდური შენს ხვედრს, რომელიც შენივე არჩევანია, შენივე ხელით აიშენე და დაიმკვიდრეო.

უფალი შეგვაგონებს, რომ განუწყვეტელი კეთილდღეობა, ყოველდღიური სიკეთეებით, თუნდაც ყოველად უბოროტო განზრახვით აღძრული ტკბობა წინაპირობაა ცოდვისქმნადობისა, მომასწავებელია სულის წარწყმედისა: **„ვაჲ თქუენდა, მდიდარნო, რამეთუ მიგიღებიეს** (წაგერთმევათ) **ნუგეშინის-ცემაჲ თქუენი“** (ლუკა 6, 24) – გვასწავლის უფალი. ამიტომ ეუბნება მდიდარს მამა აბრაამი: ლაზარემ ამქვეყნიურ ცხოვრებაში კუთვნილი „ბოროტი“ მიიღო, დიდხანს იტანჯა, და ახლა აქ ნუგეშცემულია, ნეტარებაშია, შენ კი იტანჯებიო.

„ვაჲ თქუენდა, განმაძღარნო აწ, – განაგრძობს უფალი იესო, – **რამეთუ გშიოდის. ვაჲ, თქუენდა, რომელნი იცინით აწ, რამეთუ იგლოვდეთ და სტიროდით“** (ლუკა 6, 25). ამ შეგონებითაც მეორდება მამა აბრაამის სათქმელი: ის, ვინც ამქვეყნად მთლიანად მისცემია გემოთმოყვარეობას, ნაყროვანებას, ვისაც შიმშილის მცირედითაც კი მოთმენა არ შეუძლია ღა კუჭის აწრიალებისთანავე გაიძახის, მშია, მშიაო; ვინც თავალის ცეცებით დაეძებს სამხიარულო-გასართობსა და თავშესაქცევ ადგილებს და სხვის

ჭირს, გლოვასა და ჩოვილს კი ცხრა მთას იქით გაურბის – მოკლედ, ვინც ამ წუთისოფელს ისე გაჰკვრია და შეხორცებია ხორცითაც და სულითაც, რომ საუკუნო სასუფეველი არც კი ახსენდება, აი სწორედ ამათნაირებზე ბრძანებს ჩვენი უფალი, როცა გაფრთხილების ნიშნად გულატკივებული გვეუბნება: ვაი, თქვენდა, მდიდარნო, გამაძღარნო და მოცინარნოო.

ნეტარი აგუსტინე გამაფრთხილებლად შესძახებს ამის გამო: *„ოო, ამქვეყნიურო სიკეთენო! ქვესკნელში თქვენ ბოროტებად იქცევით!“*

იობის წიგნშიც (მე-20 თავში) ამგვარ მდიდართა გამოა თქმული: *„თუმცა მას ბოროტება ეტკბილება და ენის ქვეშ ინახავს მას, თუმცა პირში იჩერებს და ენანება გადმოსაგდებად, მაგრამ უნასის შხამად ექცევა ეს საჭმელი ნაწლავებში. ყლაპავს დოლათს და ისევ ამოარწყვავს, მუცლიდან გამოუდევნის მას ღმერთი... რადგან ქერუ-ობლებს ჩაგრავდა, არ ახსოვდა ღარიბ-ღატაკები, ძარცვავდა სახლებს, რომლებიც არ უშენებია... (რადგან) ნამცეციც არ დარჩენია შეუჭმელი; ამიტომაც ვერ გასტანს მისი კეთილდღეობა. ამხელს ცა მის დანაშაულს და მიწაც აღდგება მის წინააღმდეგ; წალეკავს წარღვნა მისი სახლის დოლათს, ღვთის რისხვის დღეს – ეს არის ხვედრი ბოროტეულისა, მონიჭებული ღვთისგან, და მემკვიდრეობა, ღვთისგანვე ნაადერძევი“* (20, 12-29).

იმავე წიგნში *იობი* ასევე ამბობს: „(ბოროტეულნი) *განლევენ განცხრომით თავიანთ დღეებს და ანაზდეულად ჩაცვივდებიან შაკეთში; თან ღმერთს ეუბნებიან: ჩამოგვეცალე! არ გვსურს, ვიცოდეთ შენი გზებიო“* (21, 13-14).

ტანჯვის თმენით მიღება

მართლაც, როგორც *ნეტარი მამა აგუსტინე* ბრძანებს: *„რა შეიძლება იყოს ცოდვილის ბედნიერებაზე უფრო დიდი უბედურება“*.

მაგრამ ყოველივე ეს ხომ ტანჯვის ნამდვილ გამიზნულობაზეც მიგვითითებს, ყოველივე ამით ხომ ტანჯვის განმწმენდ ფუნქციაზე მიგვანიშნებს უფალი. მამა აბრაამი ლაზარეზე ამბობს:

„შვილო, მოიჯსენე, რამეთუ მიიღე კეთილი შენი ცხორებასა შენსა, და ლაზარე ეგრეთვე მსგავსად – ბოროტი. და აწ ესერა, აქა ესე ნუგეშინისცემულ არს, ხოლო შენ იტანჯები“ (ლუკა 16, 25) – ლაზარემ ბოროტი, ანუ ტანჯვა მიიღო ამქვეყნად და ახლა სასუფეველში ნუგეშცემულიაო.

მამა აბრაამის სიტყვებიდან ეს აზრიც შეიძლება ამოვიკითხოთ: ლაზარე

ტანჯვის ცეცხლში ამქვეყნად იწვოდა, ახლა კი ნეტარებაშია, ხოლო მდიდარი ჯოჯოხეთის ცეცხლში იწვის ამქვეყნიური განცხრომის წილ.

ყველამ იცის, რომ კაცის გული მიდრეკილია ბოროტებისკენ, ცოდვისკენ. ამიტომ უნდა ვეცადოთ საკუთარი გულის განწმენდას, უკეთური, წარმწყმედელი გულისთქმებისგან განთავისუფლებას. მაგრამ განწმენდა მხოლოდ ტანჯვის ცეცხლით შეიძლება განხორციელდეს, ტანჯვის თმენით შეგვიძლება ჟანგივით მოდებული ცოდვისმბადი სურვილების მოშორება. ვისაც ტანჯვის ცეცხლი არ მიჰკარებია, ვისაც მადლიერებით არ დაუთმენია ტანჯვა-განსაცდელები – ნუ მოიტყუებს თავს და ნუ დაიჯერებს, რომ მასში, მის შიგნში, ჩამქრალია ბოროტების ღველფი. ამ ღველფის დაშრეტა მხოლოდ ტანჯვის თმენით მიღებას შეუძლია, მხოლოდ ტანჯვის ღირსეულად (მადლიერებით) თმენით ამოიძირკვება სამუდამოდ ცოდვის მშობი ნება-სურვილები.

წმიდა მოციქული პავლე ძველაღთქმული სიბრძნით გვმოძღვრავს: *„რომელი უყუარნ უფალსა, სწავლის, და ტანჯის ყოველი შვილი, რომელი შეიწყნარის“* (ებრაელთა მიმართ 12, 6) – ვინც უყვარს უფალს, მასვე ზრდის და ტანჯავს ყოველს, ვისაც თავის შვილად იღებსო. წმიდა მოციქული დასძენს, რომ მხოლოდ იგია ღვთის შვილი, ვინც ტანჯვას თმენით შეიწყნარებს; ხოლო, ვინც შორს არის ტანჯვისაგან, თმენითა და მადლიერებით არ იღებს მას, შვილი კი არა – გერი იქნება ღვთისათვის.

წმიდა პავლე მოციქული თავის მოწაფეებს ხშირად შეაგონებდა: *„მრავლითა ჭირითა ჯერ-არს ჩუენდა შესლვაი სასუფეველსა ღმრთისასა“* (საქმე მოციქულთა 14, 22). წმიდა მოციქულის თქმით: ჩვენი წამიერი და მცირედი, ანუ ამქვეყნიური ტანჯვა უსაზომო, „გარდამეტებულ“ საუკუნო დიდებას მოგვიტანს, მზერას მივაპყრობთ არა ხილულს, არამედ უხილავს, რადგანაც: *„ხილულნი ესე საწუთრო არს, ხოლო არაბილული იგი – საუკუნო“* (2 კორინთელთა მიმართ 4, 17–18).

აი რა დაიიწყა მდიდარმა ან სულაც არ უწყოდა ეს! ამ მდიდარმა მხოლოდ „ჭორცთა შინა თჳსთა“ თესა და ამიტომ მოიმკო „ჭორცთა მიერ თჳსთა“, ანუ ხრწნილება და წარწყმედა. და რამდენადაც ამქვეყნიურ, წარმავალ და ამაო გულისთქმებს მორჩილებდა, იმდენადვე მიიღო ტანჯვა ჯოჯოხეთში. გლახაკმა ლაზარემ კი ამქვეყნიური ტანჯვის დათმენითა და უდრტვინველობით „სულსა შინა თჳსსა“ სთესა და ამიტომ „სულისაგან თჳსისაგანვე“ მოიმკო საუკუნო სასუფეველი (შდრ. ლუკა 6, 8). იხ!

ამქვეყნად გამაძღარი მდიდარი იმქვეყნად მშიერ-მწყურვალი დარჩა ტანჯვასთან ერთად, ამქვეყნად მშიერ-მწყურვალმა გლახაკმა ლაზარემ კი

წუთისოფლის ტანჯვის თმენით მარადიული ნეტარება მიიღო იმქვეყნად. ამგვარად გაგვიცხადებს უფალი ამ იგავში ტანჯვის თმენით მიღების საიდუმლოს, მის ნამდვილ მნიშვნელობას.

უფლისმიერი იგავური სწავლება ნეტარებაზე

ეს არის ერთგვარი უფლისმიერი იგავური სწავლება ნეტარებაზე, ოღონდ ტანჯვის მიღება-არმიღებიდან გამომდინარე.

„ნეტარ იყვნენ მგლოვარენი გულითა, რამეთუ იგინი ნუგეშინისცემულ იქმნენ" (მათე 5, 4) – გვასწავლის ქრისტეს რჯული, და გლახაკი ლაზარეც – მგლოვიარე, მშიერ-მწყურვალი და ტანჯული, ნუგეშისცემას იღებს ჯილდოდ, ნეტარების წიაღის მკვიდრი ხდება ამის წილ.

„ნეტარ იყვნენ მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალნენ" (მათე 5, 7) – გვასწავლის ქრისტეს რჯული, და ტანჯვას არიდებული, განცხრომას მიძალებული უმოწყალო მდიდარი, რომელმაც არათუ გლახაკისათვის – საკუთარი თავისთვისაც კი არ გაიღო მოწყალება და თავისი სული გასწირა სამუდამო გეენისათვის, გასწირა – და მიიღო კიდეც ჯოჯოხეთი, ველარ იქმნა შეწყალებული, უმოწყალო მონის მსგავსად („უმოწყალო მონის" იგავიდან), ისიც მიეცა „ჴელთა მტანჯველთასა" (მათე 18, 34), ანუ ჯოჯოხეთის დაუშრეტელ ცეცხლში აღმოჩნდა. ის ნამცეცები, ღატაკისათვის რომ ვერ იმეტებდა, მდიდარს იმ წვეთებად ექცნენ, რომლებიც ცეცხლის გასანელებლად არ აღირსეს ჯოჯოხეთში.

წმიდა იაკობ მოციქული თავის ეპისტოლეში ამასთან დაკავშირებით გვასწავლის: *„მსჯავრი უმოწყალო იქნება იმათთვის, რომლებიც მოწყალებას არ გაიღებენ; იქადოდეთ წყალობასა სასჯელისასა"* (2, 13) – მოწყალება მსჯავრზე უმძლავრესია, მოწყალება მსჯავრს აღემატებაო – ამას შეგვაგონებს წმიდა მოციქული.

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის თქმით, „მდიდარი და გლახაკი ლაზარეს" იგავი ერთ მეტად დიდ ეჭვს გაგვიქარვებს, ერთ თავსატეხ შეკითხვაზე გვაძლევს პასუხს: ძველი დროებიდან მოყოლებული, დღემდე, მრავალი ფილოსოფოსი და სწავლული აკვირდებოდა და აკვირდება იმას, რომ ამ წუთისოფელში მეტისმეტად უსამართლოდაა განაწილებული ბედნიერება და კეთილდღეობა კაცთა შორის: ერთი დიდ განცხრომაშია, კმაყოფილია და

წარმატებულიც, მეორე კი იტანჯება ნაკლულოვანებით, სენით, სურვილთა დაუსრულებელი აღუსრულებლობით; ეგეც არის, რომ ზოგი მდიდარია არა საკუთარი შრომით, არამედ შემთხვევით, მეორე კი ღარიბია არა თავისი დანაშაულის გამო, არამედ რაიმე უბედურების მიზეზით. ფილოსოფოსნი და სხვა სწავლულები, – განაგრძობს წმიდა ეპისკოპოსი, – ამ დაკვირვების პასუხად ღვთიურ განგებულებას უარყოფენ და ამით მოამთავრებენ ხოლმე ამ უსამართლობის უთავბოლობის ახსნას. მათ ეჭვი შეაქვთ იმაში, რომ ამგვარ უკიდურესად საპირისპირო განაწილებაში ღვთიური სიბრძნე შეიძლება მონაწილეობდეს.

წმიდა ეპისკოპოსის რწმენით: *„ეს საკვირველი ივავი მთლიანად აქარწყლებს ამ ეჭვს და შეგვასსენებს, რომ კაცის ცხოვრება მომავალ საუკუნეში, ანუ სულისა და ხორცის გაყრის შემდეგაც გრძელდება. აქ, ჩვენს წუთისოფელში, გლახაკნი და ღარიბნი, რომლებიც თმენითა და სულგრძელობით მიიღებენ თავიანთ ხვედრს, იქ უზენაესი ჯილდოს ღირსნი შეიქნებიან; აქ მდიდარნი და უზრუნველნი, რომლებიც უმოწყალოდ ექცევიან მოყვასს და ურწმუნოების ბნელში სხედან, მომავალ ცხოვრებაში დაისჯებიან. მომავალი ცხოვრება რომ არ იყოს, მაშინ ხომ სწორედ უგუნური, უაზრო და მახინჯი იქნებოდა ცხოვრება თუ ბედი კაცისა ამქვეყნად; მაშინ ღარიბ და ბედკრულ კაცს თავისი ბედის წყევისა და გინების მეტი აღარაფერი დარჩებოდა ამ ქვეყანაზე. მაგრამ, მადლობა ღმერთს, – ბრძანებს მადლიერებით აღსავსე წმიდა ეპისკოპოსი, – რომ მომავალ საუკუნო ცხოვრებაში გასწორდება ყოველივე. ყოველი აქაური უმართლო (უსამართლო) საქმე. იქ გამართლდება (გაცხადდება) ღმერთი სიტყვასა შინა თვისსა, იქ მოიმკის ყოველი კაცი, რაიცა აქ დასთესა“*, – დასძენს *წმიდა გაბრიელი, ეპისკოპოსი იმერეთისა.*

„შორის ჩუენსა და თქუენსა დანახეთქი დიდი“

ევანგელეთში მოხვედრილი მდიდარი მამა აბრაამს ევედრება, რომ მცი-�ьსცემა ან ოდნავი შვება მაინც მიანიჭოს, რადგან აუტანელ ტანჯვაშია, გეენის ისეთი ცეცხლით იდაგება, რაც მარტო გაუსაძლის წყურვილს თუ შეედრება. თავის შემწედ მდიდარი იმ გლახაკ ლაზარეს მოიხმობს, რომელიც თვითონ ერთხელაც არ შეიწყალა, ტაბლადან გადმოცვენილი ნამცეცებიც კი არ გაიმეტა და არ მიაწოდა მას.

მამა აბრაამი მდიდარს პასუხად ეუბნება: „**შორის ჩუენსა და თქუენსა დამტკიცებულ არს, რაჲთა რომელთა უნდეს წიაღსლვად ამიერ თქუენდა, ვერ ჴელ-ეწიფოს, არც მაგიერ ჩუენდა წიაღმოსლვად**“ (ლუკა 16, 26).

მამა აბრაამის თქმით, სანეტარო წიაღსა და ჯოჯოხეთს შორის – **შორის ჩუენსა და თქუენსა** – დიდი უფსკრულია, ვერც აქედან იქით გადაჯა ვინმე და ვერც იქიდან აქეთ გადმოვაო. იგაში ნახსენები **დანახეთქი** – უფსკრულია. ამ უფსკრულზე, *ნეტარი აგუსტინეს* თქმით, არასოდეს გაიდება ხიდი. თუმცა, იუდეველთა შეხედულებით, ამ უკიდურესად საპირისპირო იმქვეყნიურ ორ მხარეს მხოლოდ ერთი მტკაველი აშორებს. იგაში კი მინიშნებულია, რომ ამ ორს შუა სამარადისო ზღვარია გაკლებული – **დამტკიცებული**. ეს სამარადისო უფსკრული მარადის ხახადაღებულია და იგი არც არასოდეს ამოიესება.

აუცილებელია, კარგად გავერკვეთ, მაინც როგორია სხვაობა ამ ორ მხარეს შორის – **დანახეთქის** იქით და აქეთ არსებულ წიაღებს შორის. *ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელის* განმარტებით, აქ იგიეე სხვაობა იგულისხმება, რაც მართალთა და ცოდვილთა შორის არსებობს – მათიეე ნაფიქრის, ნამოქმედარის თუ ნაღვაწის მიხედვით რომ სხვადასხვაობს. რამდენადაც დიდია სხვაობა მართალთა და ცოდვილთა საქმეებს შორის, იმდენად დიდია და ღრმა **დანახეთქი**, ანუ უფსკრული, სანეტარო წიაღსა და ჯოჯოხეთს შორის. ასე რომ, საიქიო ცხოვრებაში, იმქვეყნად, ერთი მხრივ, რჩეულთა, მართალთა, კეთილმსახურთა სამკვიდრებელი არსებობს, და, მეორე მხრივ – ცოდვილთა, უკეთურთა სამყოფი.

ჯოჯოხეთის შესახებ ერთნი ამბობენ, რომ ეს არის ქვესკნელი, მიწისქვეშა ბნელი ადგილი, მეორეთათვის ეს არის ადგილი, სადაც სული ხორცთაგან გაყრის შემდეგ გადადის. ამქვეყნად ხორციელად ყოფნისას სული ქმედებებით, საქმეებით საცნაურდება, ხორცისა და სულის გაყრის შემდეგ კი სული უხილავი ხდება და ჯოჯოხეთიც სულის სწორედ ამ უხილავ მდგომარეობას შეესაბამება.

აბრაამის წიაღი, ანუ სანეტარო სამყოფელი, ასევე უხილავია, ოღონდ ეს უხილავი წმიდა წიაღი მადლის ერთობლიობას წარმოადგენს. იგი წმინდანებს ეკუთვნით. *ნეტარი თეოფილაქტეს* თქმით, წმინდანები ამ სამყოფელში ისევე განისვენებენ, როგორც ქარიშხალს თაუდაღწეული გემი, რომელმაც ნავთსაყუდელს მშვიდობით მიაღწია და ღუზა ჩაუშვა.

ამ ორ წიაღს შორის არსებული უფსკრული იმდენად დიდია, რომ არც ნეტარ სულებს ძალუძთ, სულ მცირედით მაინც დაექვემდებარონ სატან-

ჯველს, და არც ცოდვილებს შეუძლიათ სულ უმცირესი, ნამცეცი შეება მიიღონ. როდესაც აბრაამი მდიდარს ეუბნება, შენს ცხოვრებაში უკვე მიიღე შენი სიკეთე და ახლა აქ იტანჯებიო, ამით იმაზე მიანიშნებს, რომ ცოდვილთა და უკეთურთა ტანჯვა სამუდამო, მარადიული იქნება, ისევე, როგორც მართალთა ნეტარება და სიხარული იქნება საუკუნო.

ნეტარი თეოფილაქტე იმასაც მიაქცევს ყურადღებას, რომ, იგავის მიხედვით, იმქვეყნად ცოდვილიც იხილავს მისი მიზეზით ტანჯულს, და მართალიც დაინახავს თავის მტანჯველს. ის, რომ ცოდვილნი ტანჯვის ადგილიდან სანეტარო წიაღისკენ მიისწრაფვიან, საკვლევია, მაგრამ რას უნდა ნიშნავდეს იგავში თქმული: არც მაგიერ ჩუენდა წიაღმოსვლად? – არც ის არის შესაძლებელი, რომ სანეტარო წიაღიდან ჯოჯოხეთში გადავიდნენო.

მართლაც, ძნელი წარმოსადგენია, ნეტარებაში მყოფმა მართალმა იქით, ცოდვილთა სამყოფისაკენ ინდომოს გადასვლა. მაგრამ მამა აბრაამი ამ დროს იმას გულისხმობს, რომ იმქვეყნად დროშიც გადაადგილება შეუძლებელია და ადგილშიც. იქ ასევე შეუძლებელია, რომ სატანჯველის შესამსუბუქებლად ერთი მეორეს შეეწიოს. ეს კი, *ნეტარი თეოფილაქტეს* განმარტებით, იმას ნიშნავს, რომ უფსკრული – დანახეთქი – იგავში განსაზღვრულ სულიერ მდგომარეობაზე მიგვანიშნებს: ცოდვილი იქ ველარ განმართლდება და განმართლებულიც ველარასოდეს იგემებს ტანჯვას. ეს ზნეობრივი უფსკრულიაო, – ბრძანებს ნეტარი მამა, – სადაც ხიდია ჩატეხილი, და ორივე მხარეს მყოფნი სამუდამოდ არიან ერთმანეთისგან დაშორიშორებულნი. ამ ორ მხარეს შორის ვერავინ შეძლებს ხიდის გადებას.

ცხონება და წარწყმედა

დანახეთქის განმარტებისას *ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი,* და სხვა კომენტატორებიც, სულის ცხონების საკითხს წამოჭრიან. *წმიდა დავით მეფსალმუნე* უფალ ღმერთს მიმართავს და ბრძანებს: **„არა არს, ვინ სიკუდილსა შინა მოგიჴსენოს შენ, ანუ ჯოჯოხეთსა შინა ვინ აღგიაროს შენ?“** (ფსალმუნნი 6, 6).

ამ რიტორიკული შეკითხვით სულის ცხონების საიდუმლოა გამჟღავნებული, კერძოდ ის, რომ სიკვდილის შემდეგ *„არა არს აღსარება და სინანული“* – ასე განგვიმარტავენ წმიდა მამები. ხორცთაგან გაყრილი სული,

რომელიც ვნებათა და ცოდვათაგანაა პყრობილი, საზარელ სიკვდილს უკვე ამქვეყნადვე იგემებს, მერე კი, იმქვეყნად, სამუდამოდ წარწყმდება.

ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი გვანუგეშებს და გვაფრთხილებს კიდეც, რომ არ შეიძლება ვიფიქროთ, თითქოს, იგავის ეს ნაწილი უარყოფდეს ეკლესიის სწავლებას გარდაცვლილი სულის გამოხსნაზე ლოცვით, მოხსენიებით, პანაშვიდითა და მის სახელზე გაღებული მოწყალებით. ხომ არიან იმგვარი მონანიენი, რომელთაც სიკეთის ქმნაში არ გამოუჩენიათ თავი, მაგრამ თავიანთი გულწრფელი აღსარებით ისინი ზიარების ღირსნი გამხდარან. ეკლესიური ლოცვითა და ღვთისმსახურებით შესაძლებელია, რომ ცოდვილის გარდაცვლილი სული ტანჯვიდან ნეტარებაში გადავიდეს, თუკი ამ ცოდვილმა ამქვეყნად ერთხელ მაინც მოინანია და ეზიარა. მოუნანიებლის, უზიარებლისა და ურწმუნოს გარდაცვლილი სული ამგვარი უდიდესი ღვთის წყალობის ღირსი ვერ გახდება. მოუნანიებელი და უზიარებელი ცოდვილი ხომ ამქვეყნადვე იგემებს სიკვდილსაც და ჯოჯოხეთსაც.

წმიდა ბასილი დიდი გვასწავლის: „**სიკუდილი არს მიდრეკილებაჲ ცოდვისა მიმართ**". ეს იმგვარი სულიერი მდგომარეობაა, როდესაც აღარც ღმერთი გახსოვს და აღარც მცნებებს იცავ. „**ხოლო ჯოჯოხეთი,** – განაგრძობს წმიდა მამა, – **არს გონება, უფლებული ვნებათაგან**". ამ დროს შენი გონებაც და გულიც ცოდვებს სრულიად აქვს დამორჩილებული.

სწორედ ამგვარ სულიერ სიკვდილსა და ჯოჯოხეთში იყო ჩავარდნილი ეს მდიდარი, სიკვდილის შემდეგ კი მას გაუნელებელი საუკუნო ჯოჯოხეთიც ერგო. ოღონდ ეგ არის, რომ საბრალობელი მდიდარი მეტისმეტად გვიან მოეგო გონს, ამაზეა ნათქვამი: ურემი რომ გადაბრუნდება, გზაც მაშინ გამოჩნდებაო.

„ჰქონან მოსე და წინაჲსწარმეტყველნი"

მდიდარმა ახლა უკვე მთელი სისრულით განიცადა ხსნისა და გადარჩენის აუცილებლობა. პირველი, რაც გონს მოსულმა ცოდვილმა მდიდარმა მოიწადინა, საკუთარი ძმების გადარჩენა იყო, და მან მამა აბრაამს სთხოვა:

„**გლოცავ, მამაო, მოავლინე ეგე (ლაზარე) სახლსა მამისა ჩემისასა, რამეთუ მისხენ ხუთნი ძმანი, რაჲთა ეუწყოს მათ, და არა მოვიდენ იგინიცა ადგილსა ამას სატანჯველისასა**" ლუკა (6, 27).

ცოდვილმა მდიდარმა სწორედ ლაზარეს გაგზავნა ითხოვა, და არა სხვა ვინმესი. *ნეტარი თეოფილაქტეს თქმით*, როგორც ჩანს, კარიბჭესთან დაგდებული გლახაკი მდიდარ ძმებსაც უთუოდ ეყოლებოდათ შენიშნული. დიდებით მოსული ლაზარე ამ ძმებისთვის სარწმუნოდ გახდიდა ცასაც და ჯოჯოხეთსაც, ყოველივეს დაუმოწმებდა და დაარწმუნებდა, რომ ნამდვილად არსებობს საუკუნო ნეტარებაც და საუკუნო სასუფეველიც.

ისიც საგულვებელია, – განაგრძობს ნეტარი მამა, – რომ ეს მდიდარი მაგალითს აძლევდა თავის ძმებს და არიგებდა კიდეც, თუ როგორ უნდა ეცხოვრათ მისებურად – ფუფუნებასა და განცხრომაში, თან ათასნაირ გზებსა და ხერხებს ასწავლიდა იმისათვის, რომ უფრო მეტი და მეტი ხორციელი სიამოვნება მიეღოთ ამ წუთისოფელში. ახლა კი ჯოჯოხეთში მყოფმა მდიდარმა ადრინდებულად ინდომა, ესწავლებინა, რჩევა მიეცა თავისი ძმებისთვის, ოღონდ ამჯერად გადარჩენის გზებზე დასაყენებლად, რათა საუკუნო ტანჯვა თავიდან აეცილებინათ სიკვდილის შემდეგ.

ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი იმასაც შენიშნავს, რომ ეს მდიდარი, როგორც ეტყობა, კარგად იცნობდა თავის ძმებს, ხშირად ატარებდა ხოლმე დროს მათთან ერთად ნადიმებსა და მხიარულებაში. ალბათ, არცთუ ისე იშვიათად. დაუცინიათ კიდეც მათ – „სახელით ფარისეველთ და გულით სადუკეველთ“, იმ უხილავი სამყაროსთვის, სადაც ახლა ეს მდიდარი იტანჯება და გლახაკი ლაზარე კი ნეტარებაშია.

„სახელით ფარისეველს“ *ნეტარი თეოფილაქტე* მდიდარს იმიტომ უწოდებს, რომ იგავში ეს მდიდარი იმეამინდელი ფარისეველივით იმოსება მდიდრულად, წარჩინებულია, პატივდებული და მართლაც მოსწონს თავი საზოგადოებაში. „გულით სადუკეველი“ კი იგი იმიტომ არის, რომ მას სადუკეველივით არ სჯერა მკვდრეთით აღდგომისა და იმქვეყნიური ცხოვრებისა (იხ. და შდრ. მათე 22, 31-32; ლუკა 20, 27).

ნეტარი აგუსტინე ამასთან დაკავშირებით ამბობს: *„ეჭვს გარეშეა, რომ ეს მდიდარი წინასწარმეტყველებაზე საუბრისას ძმებთან ერთად დასცინოდა ყოველივეს, რასაც წმიდა წინასწარმეტყველნი ამტკიცებდნენ და უმოწმებდნენ იუდეველებს: მსგავსი სულიერების მქონე ოჯახიშვილები ერთნაირი მონდომებითა და თვითდაჯერებულობით დასცინოდნენ სიკეთის ქმნას, ბოროტების აღკვეთის აუცილებლობას, მომავალ სამარადისო ტანჯვას, ზეციურ ჯილდოსა და საშლაურს, თან ალბათ ხითხითით ამბობდნენ: რა სიცოცხლე უნდა იყოს სიკვდილის შემდეგ? როგორ შეიძლება გახრწნილს რამე ახსოვდეს, რამეს ხედავდეს ან რამე ესმოდეს? ან კი ვის უნახავს იქიდან მობრუნებული?“*

მამა აბრაამის პასუხი მდიდრის თხოვნაზე მეტად მოკლეა, მოჭრითაა ნათქვამი, მაგრამ ნათელი და გასაგებია:

ჰრქუა მას აბრაჰამ: ჰქონან მოსე და წინაჲსწარმეტყველნი, მათი ისმინონ – მოსეს რჯულიც აქვთ შენს ძმებს, წინასწარმეტყველთა წიგნებიც, და იმათი ისმინონ, მათი სწავლების მიხედვით წარმართონ თავიანთი ცხოვრება, და გადარჩებიანო.

მდიდარმა იმქვეყნიდან მოვლინებული ლაზარეს მეოხებით ინდომა საკუთარი ძმების გადარჩენა, მამა აბრაამმა კი მას მკაცრად მოუჭრა სიტყვა და შეახსენა, რომ მასაც და მის ძმებსაც საღმრთო რჯულის აღსრულება მართებდათ, მაგრამ ისინი არ აღასრულებდნენ. მამა აბრაამი მდიდარს იმაზეც მიანიშნებს, რომ ცოდვებში ჩაცვენილ ძმებს გლახაკი ლაზარეს მკვდრეთით აღდგომა და მის მიერ საუკუნო ცხოვრების დამოწმება არ უშველის, დაღუპვას ისინი მარტო მაშინ გადაურჩებიან, როდესაც ღვთის სიტყვას, სწავლებასა და რჯულს მიიღებენ და აღასრულებენ.

მდიდრის თხოვნაც: მიავლინე გლახაკი ლაზარე ჩემს ძმებთან, რომ გააფრთხილოს და, იქნებ, გადაურჩნენ სასჯელსო – ამ მდიდრის ფარულ საყვედურზეც მიანიშნებს იგივურად. მდიდარი თითქოს თავს იმართლებს და თან მამა აბრაამს საყვედურობს: მეც რომ წინასწარ გაგეფრთხილებინე, მოსესა და რომელიმე წინასწარმეტყველს ან მართალს დაემოწმებინა ჩემთვის ეს საუკუნო სატანჯველი და სანეტარო წიაღი, მაშინ ხომ სინანულსაც მივეცემოდი და ჯოჯოხეთიც ამცდებოდა; რაკი ასე არ მოხდა, და მე ვერაფერი მისაშველეს, იქნებ, ჩემი ძმები მაინც დაინდო და გააფრთხილო.

მამა აბრაამის პასუხს: მოსეს რჯული და წინასწარმეტყველება გაქვთო – იგავში განსაზღვრული გამიზნულობა აქვს მინიჭებული:

ჯერ ერთი, ამით უფალი ბრალს სდებს იმათ, ვინც მოსეს რჯულში (10 მცნებაში) და წინასწარმეტყველთა წიგნებში ვერ პოულობდნენ სწავლებას მარადიულ ცხოვრებაზე, მომავალ საზღაურზე;

მეორეც, უფალი შეაგონებს, რომ მათ ყურად უნდა იღონ, ირწმუნონ და სრული მორჩილებით მიიღონ ეს რჯული და წინასწარმეტყველება, თუკი გადარჩენა სურთ, ოდენ მხოლოდ მაგალითის ან სასწაულის იმედად დარჩენა ზედმეტი გარჯაა, მხოლოდ საკუთარი ნებითა და სურვილით, მორჩილებითა და ნდობით შეიძლება სულის ხსნა და ჯოჯოხეთის თავიდან აშორება.

სასწაულის მაძიებლობა

მამა აბრაამის მიერ ნახსენები მოსეს რჯული და წინაასწარმეტყველნი იგავში განსაზღვრული შინაარსითა და გამიზნულობით იმოსება. მამა აბრაამისა და მდიდრის დიალოგის ამ ნაწილში თვალსაჩინო ხდება მდიდრის მსგავსთა ნამდვილი სულიერება, იმათი სულიერება, რომელნიც ურწმუნოებას მისცემიან და ამ მიზეზით ვეღარა გაუგნიათ რა. მდიდარი იგია, ვინც ბნელში ზის არა მარტო თავისი ცოდვებით, არამედ თავისი უგუნურებითაც. მან არ იცის (და არც შეიძლება იცოდეს, ვინაიდან რწმენაგამოცლილია, ღვთისგან დაშორებულია), რომ ღვთის წინაშე განმართლება, სულის გადარჩენა და ცხონება შეუძლებელია სასწაულის ხილვით, სასწაულთა რწმუნებით, მარტოდენ სასწაულებიდან აღმოცენებული და გამოზრდილი რწმენით.

მამა აბრაამს მდიდარი პასუხად ეუბნება: **არა, მამაო აბრაამ, არამედ უკუეთუ ვინმე მკვდრეთით აღდგეს და მივიდეს, მათ შეინანონ.** მაშასადამე, მდიდარი დარწმუნებულია, რომ მოსეს რჯული და წინასწარმეტყველნი კი არ დაარწმუნებენ მის ძმებს, ამათ კი არ მოუსმენენ, არამედ მკვდრეთით აღმდგარისას იწამებენ და მარტო ასე შეინანებენ.

თავისი ხუთი ძმის გადარჩენის სურვილით ანთებული მდიდარი სასწაულთა შორის უდიდეს **სასწაულს** – მკვდრეთით აღდგენას ითხოვს მამა აბრაამისაგან, თან სწორედ გლახაკი ლაზარეს მკვდრეთით აღდგომას, იმისას, ვისაც კარგად იცნობდნენ და თითქმის ყოველდღე ხედავდნენ თავიანთი ძმის კარიბჭესთან – მშირ-მწყურვალს, დაწყლულებულს, არაქათგამოცლილს, თხოვნისთვისაც კი რომ აღარ ჰქონდა ხმის ამოღების ღონე.

აი, თუკი სწორედ ამ გლახაკის, ყველასგან მოძულებულისა და, მათი ფიქრით, ღვთისგან უარყოფილის ესოდენ უდიდესი ზეციური წყალობის მხილველნი გახდებიან – თუ როგორ განადიდიდა იგი უფალმა და მკვდრეთითაც კი აღადგინა, – აი მარტო ასეთი სასწაული თუ შეძრავს იმ ხუთი ძმის გაზულუქებულ გულსა და ჭუშმარიტების შეცნობისათვის ერთობ დაბნელებულ გონებას.

მდიდარმა ძალიან კარგად იცის, რომ თავისი ძმები სიცოცხლეში ვერასოდეს შეისმენენ ვერც მოსეს რჯულსა და ვერც წინასწარმეტყველებას. შეისმენენ კი არა, არც მოაფიქრდებათ, ერთხელ მაინც ჩახედონ წმიდა წერილს; და მისმა ძმებმა ხელშიაც რომ აიღონ რჯულის წმიდა წიგნები, ისიც იცის, რომ ისინი არ დაემორჩილებიან ამ წიგნებს, ანუ რჯულს.

მოკლედ, მდიდარი საკუთარ მწარე გამოცდილებას ითვალისწინებს და მამა აბრაამს ეუბნება, ეს ჩემი ძმები ჩემსავით არ იღებენ ყურად მოსეს სჯულსა და წინასწარმეტყველებასო. კაცთა შორის ყოველთვის მოიძებნებიან ისეთნი, რომელთაც არ სწამთ ღვთის სიტყვისა, იმისი, რაც წმიდა წერილში წერია, რასაც მათი მამები ასწავლიდნენ. ეს, მათი შეხედულებით, არ არის საკმარისი ხსნისთვის. და, თუკი ასეთნი საკუთარი სულის გადარჩენაზე დაფიქრდებიან, მათივე რწმენით, უფრო „ძლიერი", უფრო „სარწმუნო", ე.წ. წამაქეზებელი საშუალებების ძებნას იწყებენ. ცოდვებისგან გაუხეშებული მათი გული დახშულია სინანულისთვის.

ზოგმა, იქნებ, იგრძნოს კიდეც აუცილებლობა სინანულისა იმისათვის, რომ სული გადაირჩინოს, მაგრამ საკუთარი სულის ღონეს ვეღარ გამონახავს ხოლმე და, ამიტომ, თვალით დანახულ ღონისძიებებს გამოეკიდება. ასეთნი თვალების ცეცებით ეძებენ სასწაულებს: ღვთის სიტყვა ქაღალდზე წერია, დაპირებებს ჰგავს და ან ახდება, ან არა, – ფიქრობენ ისინი, – აი სასწაული კი ჩემ თვალწინ ხდება. რომლისა ვირწმუნო? და ისინიც სხვდან და ელიან, რომ სასწაული ზეციდან კალთაში ჩამოუხტება, თან გადაარჩენს კიდეც.

სასწაულის მაძიებელი, როგორც წესი, უდიდესი რწმენით იმსჭვალება სასწაულის ჩამდენისადმი. ის მირბის ჯადოქრებთან, მესულთანეებთან, მკითხავებთან, ასტროლოგებთან, და ამ გზით აპირებს ღმერთთან მიახლებას. სინამდვილეში, ეს არის ჭეშმარიტებისაგან გაუცხოების გზა, მეზღაპრეების ეშმაკისეული ნახევარსიმართლე, რისკენაც ადამიანი თავის ურწმუნოებას მიჰყავს.

გარდა ამისა, სასწაულებით ნაკვები და გამოზრდილი რწმენა სასწაულის განსრულებისთანავე, მყისვე გაქარწყლდება ხოლმე. ხორციელის ნანახით შეძრული გული და აღტაცებული გონება დიდხანს ვერ ინარჩუნებს ამ თავის გაოგნებას, თუკი კვლავ და კვლავ არ მიაშველე იგივე სასწაული ან ეფექტის მომნიჭებელი სხვა რაიმე საშუალება. ეჭვი მუდამ წამოყოფს ხოლმე თავს, როგორც კი დრო ჩაივლის და თვალს აღარ მოებლანდება უჩვეულო მანიპულაციები. ამას სასწაულით გაუმაძღრობა ჰქვია, ვინაიდან არა და არ ცხრება სურვილი, ისევ მიხვიდე მკითხავებთან, ჟონგლიორებად ქცეულ სასწაულთმოქმედებთან, მიხვიდე და ახლა ხვალინდელი დღისა ჰკითხო ან კიდევ ერთხელ დარწმუნდე მისი სასწაულთმოქმედების ძალაში. და ასე დაუსრულებლად.

დიახ, სასწაულის მოყვარულისა და მძებნელის სულიერება მუდამ დაბინდულია დაბნეულობით, გაოგნებებითა და ახალი სასწაულის მაძიებე-

ლობით. ამიტომაც არ აძლევს ამათნაირებს უფალი სასწაულს. ფარისეველები და მწიგნობრები უფალს სასწაულს სთხოვდნენ ხოლმე, სასწაული გვინდა ვიხილოთ შენგანო, უფალი კი მათ უპასუხებდა: „ნათესავი ბოროტი და მემრუშე სასწაულსა ეძიებს, და სასწაული არა ეცეს მას, გარნა სასწაული იგი იონა წინაჲსწარმეტყველისა“ (მათე 12, 39; 16, 4) – უფალი იესო *იონა წინასწარმეტყველის* სასწაულს შეახსენებს მათ. გაუიხსენოთ ეს მცირე ეპიზოდი ძველი აღთქმიდან.

ერთხელ უფალმა *წინასწარმეტყველი იონა* ტიგროსთან გაშენებულ ქალაქ ნინეველში გაგზავნა. ეს იყო ქვეყანა, რომელმაც ისრაელის სამეფო ააოხრა. ღმერთმა იონა წინასწარმეტყველს უთხრა: ადექი და წადი ნინეველში, დიდ ქალაქში; უქადაგე ნინეველებს და უთხარი, რომ მათმა უკეთურებამ და ბოროტებამ უკვე ჩემამდე მოაღწია.

იონა არ დამორჩილდა ღვთის ბრძანებას, რადგან არ სურდა, ისრაელის მტრებისთვის ექადაგა. უფლის ნებას რომ გაპქცეოდა, ქალაქ თარშიშისაკენ მიმავალ ხომალდს გაპყვა, მაგრამ ღმერთმა ძლიერი ქარიშხალი დაატეხა თავს მგზავრებს. ზღვის აზვირთებული ტალღები ხომალდს დაღუპვას უქადდა. შეშინებულმა მგზავრებმა თავ-თავიანთ ღმერთებს შესთხოვეს შველა, შემდეგ ხომალდის შესამსუბუქებლად ბარგი გადაყარეს ზღვაში. იონა ხომალდის ძირში ჩასულიყო და ღრმად ჩასძინებოდა. მოძებნეს იონა, გააღვიძეს და შველა ითხოვეს მისგან: ადექი, შენც შეეეედრე შენს ღმერთს, იქნებ, იმან მაინც გვიშველოსო, მაგრამ ვერა უშველეს რა თავიანთ გაჭირვებას.

შემდეგ მეზღვაურებმა და მგზავრებმა წილისყრით შეიტყვეს, რომ იონას გამო ჩაცვივდნენ ამ განსაცდელში. იონამ მათ ყველაფერი უამბო: ჩემს ღმერთს გავურბივარ; ადექით და ზღვაში გადამაგდეთ, ნახავთ, ქარიც ჩადგება და ზღვაც დაწყნარდება, რადგან ვიცი, რომ ქარიშხალი ჩემ გამოა ატეხილიო.

ჯერ იყოყმანეს მეზღვაურებმა, ნიჩბები მოუსვეს, მაგრამ ისევ ვერაფერს გახდნენ. ბოლოს, შეეეედრნენ ღმერთს: უფალო, ნუ დაგვღუპავ ამ ერთი კაცის გამო და ცოდვაშიც ნუ ჩაგვყრი, მაგრამ ნურც მართალ სისხლს მოგვკითხავო, – შეპღაღადეს ღმერთს და ზღვაში გადააგდეს იონა. იმასამსვე ქარიც ჩადგა და ზღვამაც ღელვას უკლო.

უფალმა ერთ დიდ ვეშაპს უბრძანა, გადაეყლაპა იონა. ურჩმა იონამ მადლობა შესწირა უფალს მოწყალებისათვის. სამი დღე და სამი ღამე

განუწყვეტლივ ლოცულობდა იგი ვეშაპის მუცელში. მესამე დღეს ვეშაპმა, ღვთის ბრძანებით, იონა ცოცხალი გადმოუშვა ზღვის ნაპირზე.

უფალმა ხელახლა გაგზავნა იონა ნინეველში. ახლა კი ისმინა იონამ ღვთის ბრძანება, მივიდა ქალაქ ნინეველში, დადიოდა და იძახდა: ორმოცი დღე დარჩა და დაინგრევა თქვენი ქალაქი!

ისმინეს იონას სიტყვა, ჩაიცვეს შავები და იწყეს გლოვა. ნინეველ მეფემ ეს რომ შეიტყო, ტახტიდან წამოდგა, სამოსელი შემოიძარცვა, ძაძებით შეიმოსა და ბრძანა, რომ ყველას, პირუტყვსაც კი, არც ესვა, არც ეჭამა, მარხვა შეენახა და მთელი გულით ეთხოვა პატიება ღვთისათვის თავისი ცოდვების გამო: იქნებ, შეგვინდოს ღმერთმა, დაუცხრეს სამართლიანი რისხვა და არ დაგვღუპოსო.

ასეც მოიქცნენ. მთელმა ქალაქმა ირწმუნა ღმერთი და იონა წინასწარმეტყველის სიტყვაც ისმინა. ღმერთმა დაინახა, რომ ნინეველები განუდგნენ ცოდვას, უარყვეს ბოროტებისა და სიცრუის გზა, და შეიწყალა ისინი, აღარ მოუვლინა მათ სასჯელად უბედურება.

როგორც ვხედავთ, ამ ამბავში სასწაული კი არ გადაარჩენს ნინეველებს, არამედ მათი რწმენა ღვთისადმი: მათ ისმინეს *იონა წინასწარმეტყველისა*, ანუ ისმინეს ღვთის სიტყვა, შეინანეს, მარხვა-ლოცვად შედგნენ და პატიება ისე ითხოვეს ღვთისაგან. სწორედ ამას შეახსენებდა უფალი იესო სასწაულის მაძიებელ ფარისველებსა და მწიგნობრებს, რომლებსაც იონაც დავიწყებოდათ, რჯულის ჭეშმარიტი აღსრულებაც და, მაშასადამე, ღმერთიც. ისინი სასწაულით ცდილობდნენ თავიანთი რწმენის აღდგენას, სასწაულისგან კი, *წმიდა იოანე ოქროპირის* თქმით: *„არცა ერთი იქმნების სარგებელი“*.

ნინეველებისგან განსხვავებით, იუდეველებმა იხილეს სასწაული: ოთხი დღის მკვდარი *ლაზარეს*, ქრისტეს მეგობრის მკვდრეთით აღდგენა, თუმცა შემდეგ მისი მოკვლაც კი განიზრახეს; მათ თავად უფალი იესო ქრისტეს აღდგომაც იხილეს (ვეშაპის მუცელში იონას სამი დღე-ღამე ყოფნა სწორედ ამის წინასწარმეტყველებაა). მაგრამ იუდეველებს არც სინანული ეწვიათ და არც ქრისტესი ირწმუნეს, პირიქით: *„შემდგომად სასწაულთასა უძჯრეს იქმნესო“*, – ბრძანებს *წმიდა მამა იოანე ოქროპირი*.

იუდეველნი უამრავ სხვა განსაცდელშიც ჩაცვივდნენ. საკმარისია, გავიხსენოთ წმიდა მოციქულთა დევნა და წმიდა წამებულთა ცხოვრებანი, ასევე ღვთის შეწევნით განხორციელებული ის სასაწულები, წმიდანთა წამებისას რომ აღსრულდებოდა, მაგრამ, *ეპისკოპოს მიხეილის* თქმით, ამ ფარისეველ-

ლთა მსგავსთ ზნეობრივი ჭეშმარიტების სასმენელი ჰქონდათ დახშული. იმავე წმიდანთა ცხოვრებიდან ისეთი შემთხვევებიც არის ცნობილი, როდესაც ხორციელი თვალით ნანახი სასწაული, რომელიმე წმიდანის წამებისას, მწვალებელთაგან ზოგს ქრისტესკენ მოაქცევდა ხოლმე, მაგრამ ესეც მხოლოდ ღვთის წყალობით ხდებოდა. ამ დროს ახლად მოქცეულისთვის სასწაული კი არ იყო საფუძველი მოქცევისა, არამედ მას გონებაც და გულიც ღვთის დიდი წყალობით განეხსნებოდა რწმენისა და სიყვარულისთვის ქრისტესადმი – საკუთარ ცოდვათა გამო სინანულისათვის. დიახ, სწორედ ქრისტესადმი რწმენითა და სინანულით გადაირჩინეს მათ სული, და არა სასწაულის ხილვით.

ეს მდიდარი კი მამა აბრაამისგან სასწაულს ითხოვს, ვითარცა ერთადერთ საშუალებას თავისი ძმების გადასარჩენად. **სასწაულს იგი რჯულსა და წინასწარმეტყველებაზე მაღლა აყენებს** და გლახაკი ლაზარეს მკვდრეთით აღდგომასაც ამ მიზეზით „უკვეთავს“ მამა აბრაამს.

კარგად დავაკვირდეთ მამა აბრაამისა და მდიდრის დიალოგის ამ ნაწილს: ჯერ მდიდარი ირწმუნება, რომ მკვდრეთით აღმდგარი გლახაკი ლაზარე გამოიწვევს მისი ხუთი ძმის სინანულს – შეინანებენო. მამა აბრაამი კი წინასწარ ჭვრეტს ძმების უფრო დიდსა და საკალალო ურწმუნოებას და უპასუხებს:

„უკუეთუ მოსესი და წინაასწასრმეტყუელთა არა ისმინონ, არცაღა, მკუდრეთით თუ ვინმე აღდგეს, ჰრწმენეს მათ“ (ლუკა 16, 31).

მამა აბრაამის პასუხი ერთ-ერთ კომენტატორს მეფე ***საულის*** სიცოცხლის ბოლო დღეებში მომხდარ ერთ ეპიზოდს აგონებს.

მეფე საულს ფილისტიმელები შეებრძოლნენ. ძველი აღთქმის მეფეთა პირველ წიგნში წერია, რომ საული შეშინდა და გული შეეკუმშა, როდესაც ფილისტიმელთა ბანაკი დაინახა. მანამდე მეფე საულმა ისრაელიანთა ქვეყნიდან ყველა მუცლითმეზღაპრე, მჩხიბავი, მკითხავი და მესულთანე გაყარა. მაგრამ ახლა შეშინებულ მეფეს გამხნევება სჭირდებოდა და თვითონვე მიაკითხა ერთ მესულთანე ქალს სამკითხაოდ, რადგან უფალი ღმერთი აღარც ნიშანს აძლევდა და აღარც პასუხს.

გადაცმული საული ღამით მივიდა იმ მესულთანე ქალთან, რომელმაც მოსულებს გაახსენა, განა არ იცით, მეფე საულმა რა ბრძანება გასცა, მახეს რატომ მიგებთ, რატომ მღუპავთო. ქალმა საული რომ დაინახა, შეჰყვირა და მდაბიოდ გადაცმულ მეფეს უთხრა: რად მომატყუე, შენ ხომ მეფე საული ხარო. მაგრამ გადაცმულმა საულმა დაამშვიდა იგი და მო-

სთხოვა, გარდაცვლილი *სამუელის* სული გამოეხმო და იმისთვის ეკითხა, რა ელოდა მას.

სამუელი ებრაელთა დიდი წინასწარმეტყველი და მსაჯული იყო. იგი სამართლიანად მართავდა ქვეყანას და ხალხსაც ძლიერ უყვარდა, დიდად სცემდა პატივს. ხალხისაგე სურვილითა და მოთხოვნით, და ღვთის ბრძანებით, *საული* სწორედ სამუელმა დაუყენა მეფედ ისრაელიანებს. სამუელი ხშირად ამხელდა მეფე საულს, როდესაც მან ღვთისადმი მორჩილებაზე აიღო ხელი. ფილისტიმელთაგან დამფრთხალმა საულმა ამიტომ ისურვა, გარდაცვლილი სამუელის სულის გამოხმობა.

და აი, *საულმა* სულეთიდან გამოხმობილი *სამუელის* სულს სთხოვა, ამ გაჭირვებაში დახმარებოდა, ფილისტიმელებისგან დაეხსნა იგი, მიზეზად კი ეს დაასახელა: ღმერთი განმიდგა და პასუხს აღარ მცემს, და ამიტომაც გამოგიხმეო. სამუელმა პასუხად უთხრა: მე რისთვის მეკითხები, როცა უფალი განგიდგა და მტრად გექცა? იცოდე, რასაც ჩემს სიცოცხლეში გაფრთხილებდი, ყველაფერს აგისრულებს უფალი – მალე სამეფოს გამოგგლეჯს ხელიდან და *დავითს* გადასცემს, რადგან არ ისმინე უფლის ხმა (სამუელს დავით წინასწარმეტყველი და მეფსალმუნე ჰყავს მხედველობაში).

როგორც ვხედავთ, მეფე *საულმა* სწორედ წინასწარმეტყველისა არ ისმინა, რჯულიც დაარღვია და ამიტომაც მიიღო ღვთის რისხვა და სასჯელი. *სამუელმა* ისიც უთხრა საულს, რომ ეს ბრძოლა ფილისტიმელებთან მისთვის საბედისწერო იქნებოდა: შენც და შენი შვილებიც ხვალვე ჩემთან იქნებით (ესე იგი, დაიღუპებით), ხოლო ისრაელიანთა ბანაკს მტერს ჩაუგდებს ხელში უფალიო. და მართლაც ასე მოხდა.

ეს ძველაღთქმისეული ამბავი გვიდასტურებს, რომ ღვთის წინაშე მართალი მხოლოდ რჯულისა და წინასწარმეტყველების, ანუ ღვთის ნებისა და მცნებების აღმსრულებელია. მამა აბრაამის დამაგვირგვინებელი პასუხი იგავში ერთგვარი სარწმუნოებრივ-ზნეობრივი დასკვნაა, რომელიც შეგვაგონებს: როცა გონება და გული გაუცხოებულია ჭეშმარიტებისგან და აღარ ემორჩილება ღვთის ნებას, ყოველგვარი შთაბეჭდილება თუ რწმუნება, რომელიც სასწაულებითა და მეზღაპრეობით არის ნაკვები, სწრაფად ქრება, გაქარწყლდება. ამგვარი რწმენა ვერც სინანულს იწვევს და ვერც ღვთის წინაშე განმართლებას მოუტანს კაცს.

ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელის თქმით, სასწაულებით რომ მართლდებოდეს კაცი, მაშინ ხომ ადამიანთა მკვდრეთით აღდგენითა თუ სხვა

სასწაულებით ეშმაკიც ისარგებლებდა, დააბნ, ,ა კაცთა მოდგმას და საკუთარ სწავლებას მიაწოდებდა ჯოჯოხეთზე. ნეტარი მამა გვაფრთხილებს, **რომ უფალი თავისი სასწაულებით ჩვენი სულის გადარჩენის საქმეში შეგვწყობ, გვეხმარება.** ნეტარი მამის რწმენებით, ყველაზე წარმატებული საშუალება და ღონე ამ საშურ საქმეში წმიდა წერილის გულისყურით წაკითხვაა. ის, ვინც გონივრულად, გულდადებითა და ღვთისადმი მორჩილებით წაიკითხავს წმიდა წერილს, გონებაშიც და გულშიც ღვთის სიტყვას დაიმკვიდრებს – სწორედ იგი გადარჩება და ცხონდება.

იმავეს გვიმოწმებს ჩვენი უფალი წმიდა იოანეს სახარებაში, როდესაც ფარისეველებსა და ქრისტეს სხვა მოძულეებს ეუბნება: **„ვითარ უკუე ჰელგეწიფების თქუენ რწმენებად, რამეთუ დიდებასა ურთიერთას მიიღებთ და დიდებასა მხოლოჲსა ღმრთისასა არა ეძიებთ?“** (იოანე 5, 44). უფალი იმ ფარისეველთა თვითრჯულობას ამხელს, რომელნიც ღვთის ნამცნებისა და ნების უწინარეს ამქვეყნიურ დიდებას ესწრაფოდნენ.

უფალი განაგრძობს: **„ნუ ჰგონებთ, ვითარმედ მე შეგასმინნე თქუენ მამისა ჩემისა; არის შემასმენელი თქუენი მოსე, რომელსა თქუენ ესაუთ. უკუეთუმცა გრწმენამცა მოსესი, გრწმენა ჩემიცა, რამეთუ მან ჩემთჳს დაწერა. უკუეთუ მისთა წიგნთა არა გრწამს, ჩემთა სიტყუათაჲ ვითარმე გრწმენეს?“** (იოანე 5, 45-47).

უკანასკნელი სიტყვები უფლისა თითქმის სრულად ემთხვევა მამა აბრაამისგან თქმულს იგავში:

უკუეთუ მოსესი და წინაჲსწარმეტყუელთა არა ისმინონ, არც მკუდრეთით თუ ვინმე აღდგეს, ჰრწმენეს მათ. მართლაც ხომ ასე მოხდა: არც ოთხი დღის მკვდარი ლაზარეს აღდგომამ აღუძრა ფარისეველებს რწმენა მკვდრეთით აღმდგენელი უფალი იესო ქრისტესადმი, თუმცაღა ფარისეველები თავად სასწაულს არ უარყოფდნენ (იხ. იოანე 11, 47; 12, 10).

არა მარტო ფარისეველებმა, არამედ ამ სასწაულის თვითმხილველმა ხალხმაც არ აღიარა იესო. ამ სასწაულის ხილვის შემდეგ ისინი ერთი ნაბიჯითაც არ მიახლოებიან სინანულსა და სარწმუნოებრივ მორჩილებას.

უფალი იესო ქრისტე ამიტომ უდასტურებდა მოსეს რჯულის მიმდევარ (თუმცაღა მხოლოდ ფარისეველურად მიმდევარ) იუდეველებს, რომ მის მიერ, ანუ უფლის მიერ, აღსრულებული საქმეები თავად მოწმობენ უზენაეს ჭეშმარიტებას, კერძოდ, იმას, რომ იესო ქრისტე ამქვეყნად ზეციერი მამისგან არის მოვლინებული (იოანე 5, 36). მაგრამ ფარისეველებმა ეს არ ირწმუნეს.

უფალი იესო განაგრძობს თავის ქადაგებას და ამბობს: **„სიტყუაჲ მისი (ანუ ღვთისა) არ არს თქუენ თანა დადგრომილ“** (იოანე 5, 38). **„გამოიძიებდით წიგნთაგან“** (იოანე 5, 39) – აი რას უბრძანებს უფალი ყველას, ვინც კი სულის გადარჩენის გზაზე შედგომას ინდომებს. უფალს კონკრეტულად წმიდა წერილის, ღვთის სიტყვის წაკითხვა და მიღება აქვს მხედველობაში – ოღონდ ჭეშმარიტებითა და კეთილგონიერებით წაკითხვა და მიღება ღვთის სიტყვისა.

წმიდა წერილს *წმიდა მოციქული პეტრე* მანათობელ სანთელს ადარებს: *„და მაქუს ჩუენ უმტკიცესი საწინაასწარმეტყველოჲ სიტყუაჲ“*, – ბრძანებს წმიდა მოციქული და კეთილგონიერებად აღიარებს იმას, როცა კაცი ამ საწინასწარმეტყველო სიტყვას ისე ესწრაფვის, *„ვითარცა სანთელსა მნთებარესა ადგილსა შინა წყუდიადსა“* (2 პეტრე 1, 19).

წმიდა პეტრე მოციქული აგრეთვე გვაფრთხილებს, რომ წმიდა წერილის წინასწარმეტყველებათა თვითნებურად განმარტება მეტად სახიფათოა: *„ყოველი წინაასწარმეტყველებაჲ წიგნისაჲ თჳსისა თავისა სათარგმანებელ არა იქმნების, რამეთუ არა ნებითა კაცთაჲთა მო-სადამე-იწია წინაასწარმეტყველებაჲ, არამედ წუეფითა სულისა წმიდისაჲთა იტყოდეს წმიდანი ღმრთისა კაცნი“* (2 პეტრე 1, 20-21).

ისიც ნიშანდობლივია, რომ, მამა აბრაამის მსგავსად, რომელმაც მკვდრეთით არ აღადგინა გლახაკი ლაზარე და არ გაგზავნა იგი მდიდრის ძმებთან, უფალმაც თავისი აღდგომის შემდეგ ასევე არ გამოუცხადა საკუთარი თავი ფარისეველებს, თავის მტრებს, და არც სხვა ურწმუნოებს, არამედ ღვთისგან რჩეულთ არგუნა ღირსყოფა მკვდრეთით აღმდგარი ქრისტეს ხილვისა (იხ. საქმე მოციქულთა 10, 41). ეს რჩეულნი უფლის მოწაფეები იყვნენ, იგი მხოლოდ მათ ეცხადებოდა ამაღლებამდე, დანარჩენებს კი არ ერგოთ ამ უბრწყინვალესი და მანუგეშებელი სასწაულის ხილვა. ყოვლად მოწყალე და ყოვლად სამართლიანმა უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ იმათ აუსრულა წადილი სასწაულის ხილვისა, ვინც საკუთარი რწმენის განმტკიცებას ცდილობდა, და არა საკუთარი ურწმუნოების გამართლებას. *ნეტარი აგუსტინე* ბრძანებს: *„გმადლობ, უფალო, შენი ტანჯვისთვის, შენ ინებე, მომკვდარიყავი, რომ სხვას მკვდრეთით აღდგომა შესძლებოდა – და ეს სხვა არის ჭეშმარიტება, რომელიც ამგვარად აღდგა“*.

ასე რომ, მამა აბრაამისა და ჯოჯოხეთში მოხვედრილი მდიდრის დიალოგის დასკვნა შემდეგნაირია: სულის გადარჩენა შესაძლებელია მხოლოდ სინანულით. ამას ხვდება მდიდარი და თავისი ძმების გადარჩე-

ნის გზად თავადაც სინანულს აღიარებს. მაგრამ მდიდარი შეცდომას უშვებს, როდესაც ჰგონია, რომ მის ძმებს სასწაული მოიყვანს გონს და ისინი მკვდრეთით აღმდგარი გლახაკი ლაზარეს მოწმობით მიიქცევიან ღვთისა და სინანულისკენ. უფალი ამ იგავში მამა აბრაამის პირით გვასწავლის, რომ ღვთის რჯული და წინასწარმეტყველება, ანუ ღვთის მცნებათა დაცვა, წარმატებული საშუალებაა ცოდვილის გადასარჩენად, სინანულის გზაზე შესადგომად.

იგავის წინასწარმეტყველური შინაარსი

„მდიდარი და გლახაკი ლაზარეს იგავს“ ასევე აქვს წინასწარმეტყველური მნიშვნელობა, რითაც გაცხადებულია იუდეველთა და წარმართთა ურთიერთობის წარსული და მომავალი, კერძოდ, წინასწარმეტყველება იმისა, თუ რა ელის ღვთის რჩეულ ერს და რისი ღირსი შეიქნება წარმართი; თავისი ურჩობითა და თვითრჯულობით რას მიიღებს, რას მოიმკის ღვთის წინაშე მართლად შერაცხული ერი, და რით დააჯილდოებს ღმერთი სინანულის გზაზე შემდგარ ცოდვილ ერებსა და ხალხებს.

ამ თვალსაზრისით მდიდარი იგავში ებრაელი ერის, იუდეველთა გამომხატველია. ისინი მდიდარნი იყვნენ თავიანთი ცოდნით, სიბრძნითა და ღვთის სიტყვით, ანუ იმით, რაც ყველაზე ღირებულია ამქვეყნად და ყველაზე სათნოა ღვთის წინაშე. *სოლომონ ბრძენი* შეგვაგონებს:

„ნეტარ არს კაცი, რომელმან პოვა სიბრძნე, და მოკუდავმან, რომელმან იხილა გონიერებაჲ. რამეთუ უმჯობეს არს იგი ანთრაკთა პატიოსანთა; არა რაჲ ჰჴდების მას, არცა ერთი ბოროტი. კეთილად ცხად არს იგი ყოველთა, რომელნი მიეახლებიან მას, რამეთუ სიგრძე ჟამთა და წელნი ცხორებისანი (ანუ დღეგრძელობა) *მარჯუენით მისსა, ხოლო მარცხენით მისსა დიდებაჲ და სიმდიდრე; პირისა მისისაგან გამოჟალს სიმართლე; შჯული და წყალობაჲ ენასა მისსა ჰმოსიეს“* (იგავნი სოლომონისნი 3, 13-16).

იუდეველი მღვდელთმსახურები გამორჩეულად იმოსებოდნენ პორფირითა და ბისონით. *პორფირი* დასტურია „სამეუფეო სამღვდელოჲსა“ (1 პეტრე 2, 9), *ბისონი* კი სიწმინდისა – ორივე ჰქონდათ მონიჭებული იუდეველებს ღვთისაგან. აი რას ეუბნება ღმერთი მოსეს: *„ხოლო თქუენ იყვნეთ ჩემდა სამეუფოჲ მღდელობაჲ“* (გამოსლვათა 19, 6). ცნობილია, რომ ლევიტელი მღვდელმთავრები მსახურებისას სწორედ ბისონით იმოსებოდნენ.

ღმერთმა იუდეველებს მიაკუთვნა ხსნა, „შვილობა" და დიდება, მცნებანი და რჯული, ღვთისმსახურება, აღთქმა და ხარებაც, მათგანვე იყვნენ დიდი მამანი და თვით ქრისტეც მათგანაა ხორციელად (შდრ.: რომაელთა მიმართ 9, 4-5). მაგრამ იუდეველებმა ყოველივე ეს ვერ დააფასეს. სწორედ ამაზე მიანიშნებს უფალი იესო სამარიტელ ქალს და ეუბნება: *„თქუენ თაყუანის-სცემთ, რომელი არა იცით, ხოლო ჩუენ თაყუანის-ვსცემთ, რომელი ვიცით, რამეთუ ცხორებაჲ* (ხსნა, გადარჩენა) *პურიათაგან არს"* (იოანე 4, 22).

ნეტარი აგუსტინე ამბობს: *„მდიდარში უნდა ვეძურტდეთ ქედმაღალ იუდეველთ, რომელნიც ვერ ხედავდნენ ღვთიურ სამართალს და მხოლოდ თავიანთ, კაცობრივ სამართალს ამკვიდრებდნენ. მათს შეძლებულ, გაფუფუნებულ ცხოვრებაში რჯულის აღსრულება გარეგნული დიდებულებით აღიბეჭდა. ეს „რჯულის მპყრობელნი" მხოლოდ საკუთარი პატივმოყვარეობისთვის იყენებდნენ რჯულს და, ესე იგი, ბოროტად იყენებდნენ ღვთის წმინდა რჯულს".*

სწორედ ამას უნდა გამოხატავდეს იგავურად ნადიმები, რომლებსაც მდიდარი დაუსრულებლად მართავდა. რჯულისმპყრობელი იუდეველები ყველანაირად ცდილობდნენ, სხვა არავინ მიეშვათ ამ დიდებულ ნადიმებზე, და თუ მაინც მიუშვებდნენ, იმასაც მხოლოდ სათავისოდ, და არა ღვთის სადიდებლად. ამის გამო უბრძანებს უფალი ფარისეველებს:

„ვაჲ, თქუენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო, რამეთუ დაჴშავთ (ჩაკეტავთ) სასუფეველსა ცათასა წინაშე კაცთა; თქუენ არა შეხუალთ და არცა შემავალთა უტევებთ შესლვად; ვაჲ თქუენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო, რამეთუ მოვლით ზღუასა და ჴმელსა, რაჲთამცა მოაქცით ვინმე ერთი, და რაჟამს მოიქცის, ყვით იგი ნაშობ გეჰენიაჲს ორწილ თქუენსა" (მათე 23, 13-15).

იუდეველები, *წმიდა პაულე მოციქულის* თქმით, იქადოდნენ, იკვეხნიდნენ ღმერთით, იცოდნენ ნება ღვთისა, რჯულით განსწავლულები უმჯობესის გამორჩევაც შეეძლოთ, საკუთარ თავს იმათს ნათელ წინამძღვრად მიიჩნევდნენ, რომლებიც ბნელში ისხდნენ; სხვებს კი ასწავლიდნენ, მაგრამ არ ცდილობდნენ, წარმართთა შორის გაეფრცელებინათ ღვთის ჭეშმარიტი სიტყვა და შეცნობა. ცოდვილთა მოსაქცევად ისინი გულმოდგინედ არ ირჯებოდნენ, პირიქით, გეენიას, ჯოჯოხეთის ნაშობად გადააქცევდნენ მათ.

ყოველივე ამას იგავში ის ნამცეცები გამოხატავს, რომლებსაც მდიდარი **გლახაკ ლაზარეს** არ უყრის, ანუ იუდეველი არა და არ ანებებს წარმართს

რჯულის ცოდნას. თუმცა ლაზარე მოთმინებითა და თავმდაბლობით ელოდება ამ ნამცეცებს, ქანანელი დედაკაცის მსგავსად, უფალს რომ ეუბნება: ტაბლადან გადმოცვივნულ ნამცეცებს ძაღლებიც კი ჭამენო. ქანანელი დედაკაცის რწმენას უფალი აღიარებს და რწმენის წილ კურნებას მიანიჭებს მას (მათე 15, 22-28). მხოლოდ იუდეველ თეოკრატებზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული, მათი მაგიდიდან ერთი ნამცეციც კი არ დაეარდებოდაო ძირს. – ბრძანებს ერთ-ერთი კომენტატორი.

აქედან გამომდინარე, **გლახაკი ლაზარე** წარმართთა გამომხატველი იგავური სახეა. წარმართები იმჟამად ისევე იყვნენ გამოცლილი ღვთიური ნიჭებისა და მადლისაგან, როგორც ლაზარეა დაგლახაკებული იგავში. საზოგადოებისთვის გაუცხოებული იუდეველები ტაძარში არ უშვებდნენ სიბრძნემოკლებულსა და ცოდვაგამრავლებულ თანატომელს (ამაზე ლაზარეს წყლულები მეტყველებს). მათი იქ შესვლა ტაძრის შეურაცხყოფად მიიჩნეოდა. ამიტომ **წევს** უსუსურად **ლაზარე მდიდრის კარიბჭესთან.**

წარმართები დაჭრილნი იყვნენ ცოდვებისგან, – ბრძანებს *ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი*, – და ამ ცოდვებით ისინი ასაზრდოებდნენ ეშმაკებს, ანუ, იგავის მიხედვით, **ძაღლებს** – ჩვენი, ცოდვილების, სულიერი წყლულები ხომ დიდზე დიდი სიამოვნებაა ეშმაკისთვის!

წარმართები მოკლებულნი იყვნენ იმ პურს, რომელიც განამტკიცებს გულს, და ნამცეცებითღა კმაყოფილდებოდნენ,

მეორე განმარტებით, **ძაღლთა ლოკვა** იგავში იუდეველ რჯულისმპყრობელთაგან ქმნილი უბადრუკი კურნებაა, რომელსაც წარმართები იღებდნენ: დაწყლულებულ სნეულს ძაღლის ლოკვა მხოლოდ მცირედ შეებას ჰგვრის, ასევე უბადრუკიაო იუდეველ მკურნალთა ყოველი მცდელობა.

ლაზარეს სიკვდილით ის აზრია გამოხატული, რომ წარმართები ცოდვისათვის მოკვდნენ. მათ ხსნა მიიღეს რწმენით – იესო ქრისტესადმი რწმენით, იუდეველებმა კი უარყვეს ქრისტესმიერი ხსნის გზა, ბრმად მიეჯაჭვნენ ძველს და არ აღიარეს ახალი. ამ უკანასკნელზე იგავში მიგვანიშნებს **მდიდრის სიკვდილი.**

თუმცა სხვა განმარტებით, მდიდრის სიკვდილი ნიშნავს, რომ ებრაელი ერი იმავე მიზეზით მოკვდა ღმერთისთვის. იგავში ამიტომაც ახელს თვალს მდიდარი ჯოჯოხეთში: ეჭვის, უმოწყალობისა და უღმერთობის ცეცხლით შეჭმული, ახლა გეენას, ჯოჯოხეთის ცეცხლით იწვის იგი.

აბრაამის წიაღში გლახაკი ლაზარე იმიტომ განისვენებს, – განგვიმარტავს *ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი*, – რომ აბრაამი წარმართი

იყო, მაგრამ მან (აბრაამმა) კერპები უარყო და ერთი ღმერთი მიიღო, ანუ უარყო ცრუ, კაცთაგან გამოგონილი კერპი, და აღიარა ერთადერთი ჭეშმარიტი ღმერთი.

მეტად საგულისხმოა ერთი წვეთით ენის გაგრილების განმარტება, რომელსაც ასევე *ნეტარი მამა თეოფილაქტე ბულგარელი* გვაწვდის. მისი თქმით, იუდეველებს, მართალია, ჰქონდათ სურვილი, განმწმედი რჯულისაგან თუნდაც ერთი წვეთი მიეღოთ, მაგრამ ვერ მიიღეს, რადგან: „**რჯული – იოანემდეა, – გვიბრძანებს უფალი იესო: – ყოველნი წინაიწარმეტყველნი და შჯული იოანემდე წინაიწარმეტყველებდეს... და დღეთა მათ იოანე ნათლისმცემელისათა მოაქამომდე სასუფეველი ცათაჲ იიძულების, და მოძლუარნი მიიტაცებენ მას**“ (მათე 11, 12-13).

უფალი ამბობს, **იიძულებისო** – ესე იგი, სინანულის გზას დაადგებიან და საკუთარ თავს აიძულებენ ცოდვის არქმნას, ანუ ცოდვას არ ჩაიდენენ და მცნებებს აღასრულებენ; ცოცხალი რწმენით აღვსილი **მოძლუარნი** კი ქრისტეს ჯვრის მტვირთველნი იქნებიანო. აი როგორ მიიღეს განმართლება ცოდვილმა წარმართებმა მადლითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა!

იგავში **ჯოჯოხეთსაც** ეძებნება განსხვავებული განმარტება: ეს არის წიაღი, რომელიც ერგება იმას, ვინც შეიცნო ღმერთი, მაგრამ არ ისურვა მისი მორჩილება და ღვთის ჭეშმარიტი შეცნობა თვითრჯულობით უარყო. ამათ მსგავსთათვის II რჯულის წიგნში (თავი 28) აღბეჭდილია სასჯელის საზარელი სურათები: ვინც შეასრულებს ღვთის ყველა მცნებას, მიიღებს კურთხევას ღმერთისგან, ვინც არა – ყველა წყეული გადმოვაო მასზე. ამ წყევლის მოსმენა და წაკითხვაც კი შეშზარავია. ერთადერთი გზა ამ წყევლისაგან თავის დასაღწევად არის საკუთარი დანაშაულისა და შეცოდების დანახვა, აღიარება და განცდა, ანუ ის, რასაც ჯოჯოხეთში მყოფი მდიდარი განიცდის.

ჟამი ქმნადობისა და ჟამი მარადისობისა

შეიძლება ითქვას, რომ წმიდა მამები ამ იგავში ორ მთავარ სამოძღვრებო მიმართულებაზე მიგვითითებენ: „მდიდრისა და გლახაკი ლაზარეს“ იგავით უფალი იმას შეგვაგონებს, რომ ჩვენი არსებობა არ მთავრდება სულისა და ხორცის გაყრით, სხეულის სიკვდილთან ერთად. იგავში მდიდარმა ჯოჯო-

ხეთში გაახილა თვალი და იხილა, რომ თაუად ტანჯვაში იყო, ლაზარე კი – მისგან შორს, აბრაამის წიაღში. მაშასადამე, მდიდარიც და გლახაკიც სიკვდილის შემდეგ განაგრძობენ არსებობას – ოღონდ სხვაგვარად, ჩვენთვის უცნობ სამყაროში.

ამ იგავის მკითხველი კიდევ ერთხელ დაფიქრდება იმაზე, რომ ჩვენი არსებობა, მყოფობა, არ შემოისაზღვრება შობიდან სიკვდილამდე, ამქვეყნიური ხორციელი ცხოვრებით, არამედ სიკვდილის შემდეგ აღსრულდება ჩვენი გარდა-ცვალება, ცვალება იმ მყოფობისა, რაც სიკვდილამდე გვქონდა. ამგვარი ცვალებისას არ იკარგება ხსოვნა მთელი განვლილი წარსული ცხოვრებისა, იმისა, თუ რას ვიქმოდით ამსოფლად, ცოდვებით დატვირთულნი გადავედით იმსოფლად თუ ცოდვათაგან შემსუბუქებულნი. ჩვენთვის იქ სრულად გაცხადდება საკუთარი სულიერების სიგრძე-სიგანე. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ამქვეყნიური ცხოვრება ერთგვარი ყრმობაა, მოწიფულობა კი ცათა შინა მოგველის.

წმიდა საღმრთო წერილი გვეუბნება, რომ ჩვენი სულის სულ უმნიშვნელო მიმოხრაც კი გათვალსაჩინოდება იმქვეყნად. ამასთან ერთად, ჩვენ თვალწინ ერთიანად აღიბეჭდება ყველა ხორციელი მიმოხრაც და უფალი ღმერთი ამის მიხედვით გვარგუნებს საზღაურს. ხოლო საზღაური იქნება უსამანო, დაუსრულებელი და მარადიული, საზღაური კეთილიც და საზღაური ბოროტიც, და ორივე სამართლიანად განკუთვნილი უზენაესისგან!

აქედან გამომდინარე, უფალი იესო ქრისტე იმასაც შეგვაგონებს, რომ სხეულს გაყრილი სულები იმქვეყნად სხვადასხვა ადგილისათვის არიან განმზადებულნი: ერთნი ბნელისთვის, მეორენი – ნათლისთვის. ამ ბნელსა და ნათელს შორის დიდი და გადაულახავი უფსკრულია: **შორის ჩუენსა და შენსა დანახეთქი დიდი დამტკიცებულ არს,** – ასე ეუბნება მამა აბრაამი ჯოჯოხეთში მოხვედრილ მდიდარს.

იგავში მდიდარი ინდომებს, რომ ლაზარეს ხელით მიიღოს შემწეობა და შვება, მაგრამ მამა აბრაამისგან იმასაც ვიგებთ, რომ ერთი ადგილიდან მეორეში, ანუ სამოთხიდან ჯოჯოხეთში და პირიქით გადასვლის მსურველებს არამც და არამც არ შეეძლებათ ეს.

გადასვლა არ შეეძლებათ, მაგრამ სიკვდილის შემდეგ ერთმანეთის ნახვა შესაძლებელი იქნება. თუმცაღა, შეუძლებელი იქნება იმ სულთა შეერთება, რომელნიც სხვადასხვა მხარეს აღმოჩნდებიან: ყოველი სურვილი მეორე მხარეს მყოფ სულთან ყოფნისა ამაო იქნება.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ იმქვეყნად არავითარი ძალა არ აქვს ხორციელ ნათესაობას ან ამის მსგავს ურთიერთსწრაფვას – როგორც უფალი ამბობს წმიდა სახარებაში:

„ნაშობნი ამის სოფლისანი იქორწინებიან და განჰქორწინებენ (თხოვდებიან), ხოლო რომელნი-იგი ღირს იქმნნენ საუკუნესა მას მიმთხუევად და აღდგომასა მას მკუდრეთით, არცა იქორწინებოდიან და არცა განჰქორწინებდენ, არცაღა მერმე სიკუდილად ჴელეწიფების, რამეთუ სწორ ანგელოზთა არიან და ძენი ღმრთისანი და აღდგომისანი არიან“ (ლუკა 20, 34-36).

უფალს ამ დროს მხედველობაში ჰყავს ის ადამიანები, რომელნიც ამქვეყნიურ ცხოვრებაში ერთმანეთისადმი წმინდა, უზაკველი გრძნობით არიან გამსჭვალულნი, სიკეთესა და სათნოებას თესავენ, განსაცდელს თმენითა და უდრტვინველად ეგებებიან, ნუგეშად კი ქრისტესადმი რწმენა აქვთ. ამგვარ ადამიანთა სულები იმქვეყნადაც ნათელ, წმიდა წიაღში იქნებიან ერთად, არა მარტო იხილავენ ერთმანეთს, არამედ ერთობით მიეცემიან სამარადჟამო ნეტარებას.

ასე რომ, სად და ვისთან ერთად ვიქნებით იმქვეყნად, ამას ამქვეყნიური ცხოვრება გვიკარნახებს. *წმიდა მამა იოანე ოქროპირი* ასე მოძღვრავს იმ მამას, რომელსაც თავისი კეთილი, უმანკო ძე დაუკარგავს და ერთი სურვილიღა აცოცხლებს, რომ კვლავ იხილოს იგი:

„იცხოვრე და იყავი მის მსგავსად, – ეუბნება წმიდა მამა დამწუხრებულ მშობელს, – *იცოდე, მაშინ მალე მიაღწევ იმ წმიდა სახილველს. იმაზე კი არ იფიქრო, რომ იგი (შვილი) ვერასოდეს დაბრუნდება შენს სახლში, არამედ იმით ინუგეშე თავი, რომ შენ თვითონ მალე გადასახლდები მასთან“.*

აი რას ურჩევს *წმიდა მამა ბასილი დიდი* იმ ქვრივ ქალს, რომელიც დასტირის თავის გარდაცვლილ ქმარს, ჭეშმარიტ ქრისტიანსა და მრავალ სათნოებათა მქმნელს:

„ტირილის ნაცვლად საკუთარი სულის მომავალზე ზრუნვისაკენ მიექეც, რათა შენც მისი მსგავსი მოსვენება მოგემადლოს კეთილი საქმეების გამო. ვიდრე ამქვეყნად ხარ, ცათა შინა შეიძინე მეგობრები, რათა „რაჟამს მოაკლდეთ თქვენ ამიერ“ ჟამსა უძლურებისასა, ესე იგი, როცა სიკვდილი გეწვევათ, – „შეგიწყნარნენ თქუენ საუკუნეთა მათ სამყოფელთა“. წმიდა მამა „სიცრუის მნის“ იგავს იმოწმებს (ლუკა 16, 1-16).

მაშასადამე, „მდიდარი და გლახაკი ლაზარეს“ იგავი გვასწავლის, რომ ჩვენი მომავალი ცხოვრება აუცილებლობით არის დაკავშირებული ჩვენივე

აწინდელ. ამქვეყნიურ ცხოურებასთან. მომავალი საიქიო ხვედრიც სიკვდილის შემდეგ ჩვენი ამქვეყნიური ცხოურებითა და საქმეებით განისაზღვრება: ამქვეყნიური ყოფა არის ჟამი ქმნადობისა, ხოლო იმქვეყნიური — ჟამი მარადისობისა, შრომათაგან მოსვენებისა, განსვენებისა.

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი იმავეს ამბობს თავის ერთ-ერთ ქადაგებაში: *„თუ შენ გწამს, ძმაო ჩემო, მომავალი საუკუნის ცხოურება, ისიც უნდა კარგად გახსოვდეს, რომ ის ცხოურება იქნება, ესრეთ ვთქვათ, გაგრძელება, ან შედეგი აქაურისა ცხოურებისა, სხვათა, უმჯობესითა სახითა, ანუ, კიდეც, ნაგოფი აქაურობისა ცხოურებისა: აქ შენ სთესავ, იქ მოიმკი“.*

მაგრამ *წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსს* იმათთვისაც აქვს სათქმელი, რომელნიც არ ფიქრობენ, რა მოელით მათ მომავალ ცხოურებაში, როდესაც ამ სოფელს გაეურებიან. ამის მიზეზი, წმიდა ეპისკოპოსის თქმით, მათი ურწმუნოებაა. რადგან ამათნაირებს არ სწამთ მომავალი ცხოურება და ამიტომაც ცდილობენ, ყველანაირი ღონითა და ხერხით ამ ქვეყანაში, ამ წუთისოფელშიე მიიღონ თავიანთი სიკეთე. მამა აბრაამიც ხომ ამას ეუბნება მდიდარს: შვილო, გაიხსენე, შენ შენს ცხოურებაში უკვე მიიღე კეთილი.

წმიდა ეპისკოპოსი გაბრიელი გვირჩევს, კარგად დავაკვირდეთ ამ მდიდრის ცხოურების წესს და დავფიქრდეთ, თუ რა აზრი ჰქონდა მის ცხოურებას, რა განზრახვა ამოძრავებდა და მართავდა მის ყოველდღიურობას. იგავში აშკარად არის ნათქვამი, რომ აზრი და განზრახვა ამ მდიდრისათვის მხოლოდ ჭამა-სმასა და ლხინს უკავშირდება: კაცი ვინმე იყო მდიდარი და იმოსებოდა ძოწეულითა და ბისონითა და იხარებდა დღითი დღე ბრწყინვალედ — სხვას არაფერს ეძიებდა ეს მდიდარი და სხვა არაფერი სურდა, გარდა მუცლის ამოვსებისა, გაძღომისა და მოლხენისა.

წმიდა ეპისკოპოსი შენიშნავს: *„ცხად არს, თუ ვითარ დაიმდაბლა მან ღირსება კაცობრივისა ბუნებისა. მხოლოდ პირუტყვი სცხოურობს ქვეყანაზედ ჭამისა და სმისთვის; კაცსა ღმერთმა მისცა უმაღლესი მნიშვნელობა და უჩვენა უმჯობესი ბოლო, რომლისადმი იგი მარადის უნდა მიმდინარეობდეს* (ესწრაფოდეს)“.

არ შეიძლება, არ გაგვახსენდეს *ლუარსაბ თათქარიძე,* რომელზეც *წმიდა ილია მართალი (ჭავჭავაძე)* ბრძანებს: *„მისის აზრით, კაცი ძირგავარდნილი ქვევრი იყო, რომელსაც დღე-ყოველ უნდა ჩააყარო ხორაგი და ჩაასხა სასმელი, მაგრამ კიდეც მაინც ვერ აავსო...“*

„ერთფერ და ერთხორც ცოლ-ქმარი თათქარიძეები დილიდან შუაღამემდე გაცხარებულნი და გაჭარხლებულნი ამისთანა ღრმა აზრებს ამტკი-

ცებდნენ: „დღეს რა ვჭამოთ“ – იტყოდნენ დილით, „ხვალ რა ვჭამოთ“ – იტყოდნენ საღამოზედ. ეს იყო იმათი სულის საზრდო, – ბრძანებს დიდი ილია, – ეს იყო იმათი გონების ეარჯიში, ეს იყო იმათი აზრის აღებ-მიცემა“.

***ლუარსაბსაც** და **დარეჯანსაც**,* ამ მდიდრის მსგავსად, დავიწყებული აქვთ, რომ ყოველივე, რაც ღვთისგან მიეცათ, არის მხოლოდ საშუალება – სიკეთისათვის მოსახმარი და მოყვასისათვის გასაცემი. *წმიდა ეპისკოპოსი გაბრიელი* ამბობს: *„სიმდიდრე არის ღვთისაგან მოცემული დიდი ნიჭი, რომელიც კაცმა უნდა მოიხმაროს ღვთის მსახურებისათვის და მოყვასთა თვისთა ბედნიერებისათვის. რითლა გავარჩიოთ კაცი პირუტყვისაგან, უკეთუ იგი ჭამისა და სმის მეტს არაფერს აკეთებს? ესრეთი აზრი და დარიგება გამოდის ამ იგავითგან მდიდართა კაცთათვის“.*

მეორე მხრივ, მდიდრის იგავური სახე იმაზეც დაგვაფიქრებს, რომ მხოლოდ ბოროტის არქმნა არ არის საკმარისი ზეციური მკვიდრობის მისაღწევად. იგავში, როგორც უკვე ითქვა, მდიდარი არავითარ ბოროტებას არ სჩადის: არც ქურდია, არც მძარცველი, არც მემრუშე ან მემთვრალე; და, მიუხედავად ამისა, იგი არ მიიღებს ჯილდოდ ზეციური სასუფევლის ნეტარებას.

„მდიდარი და გლახაკი ლაზარეს“ იგავით უფალი შეგვაგონებს, რომ ცათა სასუფეველი ღვთისათვის სათნო მრავალი ღვაწლითა და შრომით, თმენითა და მორჩილებით, სიკეთითა და მსახურებით მოიპოვება. ღვთის წინაშე დამსახურებად ვერ (და არც) შეგვერაცხება მარტო ის, რომ ბოროტებას არ ვიქმთ!

მიჩვენე შენი რწმენა შენი საქმეებით! – აი რას ითხოვს ჩვენგან უფალი ღმერთი. მერე რა, რომ შენ სხვისას არ იტაცებ?! აბა, დაფიქრდი, როგორ იყენებ იმას, რაც მე მოგეცი, – გვეუბნება უფალი ამ იგავით, – რაც მოგეცა, შენი კი არა, ჩემია – ღვთისგან არის ბოძებული და მონიჭებული, და ამიტომ ღვთის ნებისაებრ, ღვთისათვის სათნოდ უნდა დახარჯო: მშიერი დააპურო, მწყურვალს ასმიო, შიშველი შემოსო, სტუმარი მიიღო, ტანჯულს ნუგეში სცე. შენ კი რას აკეთებ? – მარტო საკუთარ სურვილებს იკმაყოფილებ, ისევ შენი აღვირახსნილი ჟინისა და შეუკავებელი ვნების დასაცხრობად ირჯები. შენ იმასაც გაიძახი, რომ წინასწარი განზრახვით არავინ გაგიუბედურებია, მაგრამ უბედურს თუ დახმარებიხარ, ნუგეში თუ გიცია მტირალისათვის? ობოლი და მწირი თუ შეგიფარებია და დაჩაგრულს თუ გამოსარჩლებიხარ უანგაროდ, ისე, რომ გამორჩენაზე არ გიფიქრია?

ახლა ხომ ხედავ, ვის წარვგზავნი ეშმაკისათვის განმზადებულ საუკუნო ცეცხლში? – არა მარტო მპარავებს, ავაზაკებს, მემრუშეებსა და მემთვრალეებს, რომლებსაც არ მოუნანიებიათ თავიანთი ცოდვები, – ესენი ხომ ისედაც განკითხულნი არიან, ამათ ხომ თვითონვე განიკითხეს თავი საყოველთაო განკითხვამდე; არამედ იმათაც წარვგზავნი, რომელთაც სიყვარულისა და მოწყალების საქმეები არ აღასრულეს ღვთის სადიდებლად, რწმენისა და კეთილმსახურების საქმეები არ მიუძღვნეს უფალ ღმერთს და მოყვასს არ ემსახურნენ. ან როგორღა ბედავ და ელი ღირსეულ დაფასებას იმისთვის, რაც არ გიქმნია?!

ეს უფლისმიერი მინიშნებანი და შეგონებანი კვლავ *ილია ჭავჭავაძის* „კაცია-ადამიანს?!“ გვახსენებს, სადაც ავტორი დიალოგში იწვევს თავის მთავარ პერსონაჟებს. მოვუსმინოთ *წმიდა ილია მართალს*:

„რა იცოდნენ ამათ (ლუარსაბმა და დარეჯანმა), *რომ თავისის ქცევით, თავისის ცხოვრებით არისხებდნენ ღმერთსა, რომელსაც თავისი სული ამათთვის შთაუბერია. – ვაჲ! მე ვარისხებ ღმერთსო? – გეტყოდათ გაოცებით ლუარსაბი, – წირვა-ლოცვას მე არ ვაკლდები, კაცი მე არ მამიკლავს და კაცისათვის მე არ მამიპარავს, – რაზედ ვარისხებ ღმერთსა? მართალი ხარ, ჩემო ლუარსაბ, შენ კაცი არ მოგიკლავს, კაცისთვის არ მოგიპარავს, ერთი სიტყვით – რაც არ უნდა გექნა, არ გიქნია, ესეც კარგია: უარარაობას ეგა სჯობია. მაგრამ ეხლა ეს უნდა გკითხო: რაც უნდა გექნა, ის კი გიქნია?*

– დიაღ, – მეტყვი შენ, – მისვამს და მიჭამია, არც ერთი დღე მშიერი არ ვყოფილვარ.

მითამ პასუხი ეგ არის? წირვა-ლოცვას არ ვაკლდებიო. რა გამოვიდა? იქ ყოველთვის გსმენია ჩვენთვის ჯვარცმულის ქრისტეს სიტყვა: „ვითა მამა ზეცისა იყავ შენ სრულიო“. აბა, ან ერთს წამს შენს სიცოცხლეში მაგისთვის სცდილხარ? არა, შენ მაგისთვის არა სცხოვრობ: შენ სცხოვრობ – რომ სვა და სჭამო, და არა იმისთვის სჭამ და სვამ – რომ იცხოვრო, ესე იგი ეცადო – რომ ვითა მამა ზეცისა იყო შენც სრულ“.

წმიდა ილია მართალი უფლის ნამცნებს შეგვახსენებს, რომელსაც მთაზე ქადაგებისას წმიდა მათეს სახარების მე-5 თავში ვკითხულობთ: **„იყვენით თქუენ სრულ, ვითარცა მამაჲ თქუენი ზეცათაჲ სრულ არს“** (მათე 5, 48). ეს შეგონება მარგალიტივით ამშვენებს უფალი იესო ქრისტეს ცხრა ნეტარებით შეთხზულ სათნოებათა გვირგვინს, – ბრძანებს *წმიდა იოანე ოქროპირი.*

„აი რა დაუსრულებელი და ამაღლებული მიზანი გვიჩვენა ჩვენ მაცხოვარმან, – გვეუბნება *წმიდა ეპისკოპოსი გაბრიელი,* და განაგრძობს: *ათასი წელიწადი რომ იცხოვრო ქვეყანაზე და დღე და ღამე რომ ეცადო, მაშინაც ვერ მიაღწევ ამ მიზანს.“* წმიდა ეპისკოპოსის თქმით, რისი იმედითღაა კაცი, რომელიც არ ფიქრობს თავის მოკლე წუთისოფელზე და ამ მძიმედ აღსასრულებულ მიზანზე? ამგვარი კაცი ისევე არ ფიქრობს საკუთარი სულის ცხონებაზე, როგორც მდიდარი კაცი იგავში.

განსაცდელი და ნეტარება

მდიდარი ამ იგავში განასახიერებს კაცობრიობის იმ ნაწილს, კაცთა მოდგმის იმ წარმომადგენლებს, რომელთაც ღმერთმა მისცა ამქვეყნიური სიკეთენი (იგავის მიხედვით – სიმდიდრე), მაგრამ ისინი უგუნურად იქცევიან, თავიანთი ურწმუნოებით მომავალ საუკუნო ცხოვრებაზე არ ფიქრობენ.

ამის საპირისპიროდ, **გლახაკი ლაზარეს** იგავური სახით უფალი გვასწავლის ამქვეყნიური ნაკლოვანებების, სნეულების, განსაცდელების მოთმინებით მიღებას. გლახაკი ლაზარეს იგავურ ხატში ასევე შეგვიძლია დავინახოთ კაცთა მთელი მოდგმის სრული უბედურება – სიგლახაკე და უძლურება ხორცისა, ცოდვათაგან დაწყლულება, სურვილი და მისწრაფება თუნდაც ნამცეცი ნუგეშის მიღებისაკენ. ეს ის მოდგმაა, რომელმაც საღმრთო მცნება დაარღვია, სამოთხეში იგი მდიდარი იყო, მაგრამ მცნების დარღვევის გამო იქიდან გააძევეს. ამის მიზეზით წაერთვა მას სიწმინდე და სიტკბოება, ღვთისშვილობა და უზენაესი მემკვიდრეობა. და ახლა – მთლად უქონელი და ყოველივეს მოკლებული – იგი ცისქვეშეთში მწირობს, ნატრობს დაბრუნებას იქ, ცათა შინა, სადაც ხელთუქმნელი საუკუნო ტაძარი დგას.

წმიდა პავლე მოციქული გვიბრძანებს: *„საწუთოჲ ესე მცირე ჭირი ჩუენი გარდამეტებულსა და გარდარეულსა დიდსა დიდებასა საუკუნესა შეიქმს ჩუენთჳს. რამეთუ არა ვხედავთ ჩუენ ხილულსა ამას, არამედ უხილავსა მას, რამეთუ ხილული ესე საწუთრო არს, ხოლო არახილული იგი – საუკუნო“* (II კორინთელთა მიმართ 4, 17-18). თუკი ამქვეყნიური მცირეოდენი ჭირი „გარდამეტებულ“ დიდებას გვიქადის, დიდ ჭირთა და განსაცდელთა მოთმენა მით უფრო მოგვიტანს საუკუნო ნეტარებას, იმ ნეტარებას, რისი ღირსიც გლახაკი ლაზარე გახდა.

რაკ. რომელმა ღირსებამ და სათნოებამ არგუნა გლახაკ ლაზარეს ამისთანა დიდებული და სანეტარო ხვედრი? ამ შეკითხვაზე პასუხად უკვე ითქვა, რომ ეს ღირსება და სათნოება არის მოთმინება. გლახაკი ლაზარეს იგავური სახით უფალი გვასწავლის მოთმინებას უბედურებაში, განსაცდელსა და ჭირში.

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის თქმით, გლახაკი ლაზარეს სულგრძელობას საზღვარი არ აქვს, იგი უდრტვინველად მიწოლილა მდიდრის კარიბჭესთან, თმენით იტანს თავის მწუხარებასა და ტკივილებს, არც მდიდრის შური აქვს, არც სწყევლის მას და არც გული სწყდება, რომ იქ, ტაბლაზე, მდიდარს ყოველდღიური საზრდო მოუკლებლად უდევს. რა აძლევს გლახაკი ლაზარეს მდგომარეობაში მყოფს კაცს ამის ღონეს, რა ამხნევებს მას ამ დროს? *„ცხოველი სარწმუნოება, ძმანო ჩემნო! ცხოველი სარწმუნოება!“* – გვიდასტურებს წმიდა ეპისკოპოსი.

დიახ, მხოლოდ ცოცხალი რწმენა მომავალი საუკუნო ცხოვრებისა არის გლახაკი ლაზარეს მსგავსთა იმედი, და ნუგეშიც იმისა, რომ წუხისოფელი, ღვთის მრავალმოწყალებით, მომავალ საუკუნო სეტარებად „გარდაიცვლება“!

ეს ცოცხალი რწმენა არ მოეპოვება მდიდარს და იმიტომაც ემსგავსება მისი ცხოვრება პირუტყვისას: *„კაცი პატივსა შინა იყო და არა გულისყმა-ყო, პბაძვიდა იგი პირუტყუთა უგუნურთა და მიემსგავსა მათ“* (ფსალმუნნი 48, 20) – ჭეშმარიტად ამ მდიდრის მსგავსთა უგუნურებაზე ბრძანებს *წმიდა დავით მეფსალმუნე.*

მაშასადამე, მიზეზი მდიდრის უგუნურებისა ურწმუნოებაა, გლახაკი ლაზარეს გონიერებისა კი – ცოცხალი წმენა. მართლაც, რა საკვირველად მოქმედებს კაცის გულზე რწმენა და სასოება. ნახეთ, როგორ აღამაღლა და განწმინდა ესოდენმა რწმენამ და სასოებამ გლახაკი, ღარიბი, დავრდომილი ლაზარე, – გვეუბნება *წმიდა ეპისკოპოსი გაბრიელი.* სხეულით, ანუ ხორცით უსახო გლახაკი იგავში სულითა და გულით არის დამსგავსებული ანგელოზს, და იგი ანგელოზთა საკანესაც პოვებს სამარადისოდ. ბრწყინვალედ შემოსილი, გაკრიალებულ-გაქათქათებული მდიდარი კი სულითა და ქცევით პირუტყეს არის დამსგავსებული, და იგი ჯოჯოხეთის ბნელშიც ამიტომ პოვებს მარადიულ სამყოფს.

ამგვარი დაპირისპირებით უფალი იმასაც გვასწავლის, რომ ღვთისაგან რჩეული, რომელიც ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულა ზოგიერთი ცოდვისაგან, უფლის მიერ ხშირად აქვე, ამქვეყნიურ ცხოვრებაში განისჯება და

ისჯება – იმ მიზნით, რომ მომავალში, საშინელი განკითხვის დღეს არ განისაჯოს. ამქვეყნიური სასჯელი ღვთის რჩეულისთვის მის სრულსაყოფად დაშვებული და მოულენილი განსაცდელებია, გამოცდაა, რაც ცხოვრების მანძილზე სხვადასხვა ჟამს ატყდება ხოლმე თავს. ამ განსაცდელებით უნდა განიწმინდოს მისი სული, გამოიწრთოს, ისე გამოიბრძმედოს, როგორც ოქრო განიწმინდება და კეთილშობილდება ცეცხლში.

ყოველივე ამის გაცნობიერება და მიღება რწმენით უნდა განხორციელდეს. მარტო რწმენა და სასოება შეაძლებინებს კაცს, გლახაკი ლაზარესავით განუკითხავად, უდრტვინველად და მხოლოდ მორწმუნისთვის გასაგები სიხარულით შეხვდეს, აიტანოს და მიიღოს ყველა ჭირი და უბედურება – იმის იმედით, რომ ღვთისგან აუცილებლად ერგება ნუგეში, თუკი დაითმინა.

წმიდა ბასილი დიდი ამბობს: *„ხედავ, საით მიპყავხარ უბედურებას? საით და, შეურცხვენელ იმედამდე. სნეული ხარ? გტკივა? – მაშ, გიხაროდეს, რამეთუ ღმერთი სასჯელს მოუვლენს ხოლმე იმას, ვინც უყვარს! ღარიბი და უქონელი ხარ? – გიხაროდეს, რამეთუ შენთვის ლაზარეს სიკეთენი განმზადდება! უპატიოდ-ყოფასა და შეურაცხყოფას იწვნევ ქრისტეს სახელისათვის? – ნეტარი ხარ, რამეთუ შენი უპატიოდ-ყოფა ანგელოზთამიერი დიდებით შეიცვლება“.*

წმიდა იოანე ოქროპირიც მსგავს დარიგებას გვაძლევს და ამბობს: *„დამწუხრებული ხარ იმის გამო, რომ სიღარიბეში ჰგიებ? ნუ შეშფოთდები. სამწუხარო ის იქნებოდა, მომავალ საუკუნეშიც რომ მწუხარება მოგველოდეს, რამეთუ დროებითი მწუხარება შენს გაცოცხლებასა და ცხონებას ემსახურება. საზარელი სასჯელი სწორედ საუკუნო მწუხარება იქნება, და არა ეს, – დროებითი, ამქვეყნიური მწუხარება, რომელიც წვრთნა და გამოსწორებაა შენთვის. იცოდე, აწინდელი ცხოვრება ღვაწლია, გმირობაა, და ამიტომაც არის ამქვეყნიური ცხოვრება – ბრძოლა; სწორედ ბრძოლაა საჭირო გმირობისთვის! ჭირი და სიღატაკე კი არ არის ბოროტება, არამედ ცუდის ქმნაა ბოროტება“.*

სხვაგან წმიდა მამა ამასაც გვასწავლის: *„არც ბოროტის დათმენაა ბოროტება, არამედ ბოროტის ქმნა არის ბოროტება. ამიტომ აღუთქვამს უფალი უბედურებების მომთმენს – ცათა სასუფეველს, ხოლო ბოროტის ქმნა გეენიას ცეცხლსა და დაუსრულებელ ტანჯვას გვიქადის“.*

აქედან გამომდინარე, მორწმუნეს, ქრისტიანს, ამქვეყნიური ბედნიერების თავისეული საზომი აქვს, განსხვავებული იმისაგან, რასაც ამსოფ-

ლიურობას გამოკიდებული კაცთა მოდგმა აღიარებდა და, სამწუხაროდ, დღესაც აღიარებს. უფლის იგავური შეგონებით, **ამქვეყნიური ბედნიერება** ყოველთვის როდი მიგვანიშნებს იმაზე, რომ ეს ბედნიერება ღვთისთვის სათნოა, შესაწყნარებელია.

ბედნიერების თემა უაღრესად საგულისხმო და სანუკვარია ჩვენთვის – ამ წუთისოფლის შვილებისთვის. ყოველი ადამიანი ესწრაფვის ბედნიერებას, ყოველ ჩვენგანს აქვს სურვილი, ბედნიერება თუ არა, ნუგეში მაინც მიიღოს იმისა, რომ ოდესმე იქნება ბედნიერი. თვით ღმერთმა შექმნა კაცის ბუნება ამგვარად – კაცი ბედნიერების ძიებისთვის შეიქმნა. *წმიდა ეპისკოპოსი გაბრიელი* ბრძანებს:

„კაცს ყოველთვის აქვს ერთი მანუგეშებელი და განმაბედნიერებელი საგანი; თვით გული კაცისა მოითხოვს და ეძიებს სიყვარულსა და ნუგეშსა. ის კაცი სწორედ უბედური არის და ნახევრად მკვდარი, რომელსაც არაფერი სურს და არა-რას ეძიებს. კაცი ცოცხალი და ცხოველი ყოველთვის ეძიებს ბედნიერებასა“.

დიახ, ჩვენ ყველანი ვართ ბედნიერების მოლოდინში. აი ახლაც, ამ წუთშიც, ერთი პატივის ძიებასა და მოლოდინშია, ცდილობს, თავის მოყვასთა შორის აღმატებული იყოს. აგერ, მეორე ჯილდოს ელის და ამით ინუგეშებს თავს, მავანი კი ყველა ღონესა და ხერხს მიმართავს, რომ თავისი ქონება გაამრავლოს, კიდევ მოიგოს და ამით ინუგეშოს თავი. მეომარი, მხედარი იმის ცდასა და მოლოდინშია, რომ თავდადებით დაიცავს თავის სამშობლოს და ეს არის მისი ნუგეშიც. თვით უკანასკნელი და ღარიბი მიწისმოქმედიც კი იმის იმედით ღვრის ოფლს, იქნებ, ღმერთმა კარგი მოსავალი მომცესო.

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი ქალთა ბედნიერების ერთ-ერთ საგნად გარეგნულ მშვენიერებას ასახელებს: ზოგიერთი ქალისთვის ეს არისო მარტო ბედნიერება, – გულდაწყვეტილი ბრძანებს წმიდა ეპისკოპოსი.

რაკი კაცის ბუნება ბედნიერებას მოითხოვს, და რაკი არ მოიძებნება ადამიანი, რომ ერთი საგანი მაინც არ მოეპოვებოდეს ნუგეშად ბედნიერებისა, ცხადია, ამ შეკითხვასაც უნდა გაეცეს პასუხი:

რა ნუგეშსა და ბედნიერებას უნდა ეძიებდეს ქრისტიანი? რა არის ის ბედნიერება, რომელიც გულწრფელად მიაღებინებს სახარების სიტყვას და ჭეშმარიტ ქრისტიანად აქცევს მას?

წმიდა ეპისკოპოს გაბრიელის სწავლებით, „მდიდარი და გლახაკი ლაზარეს“ იგავი ამ შეკითხვაზეც გვაძლევს პასუხს. მასში წარმოჩენილი და-

პირისპირებული ხვედრი, ორი კაცისა – მდიდრისა და გლახაკი ლაზარესი, მათი ცხოვრების უკიდურესად განსხვავებული წესი, უფრო ზუსტად კი მათი მომავალი ხვედრი გვაძლევს პასუხს ამ მეტად სანუკვარ შეკითხვაზე – რაშია ბედნიერება ქრისტიანისა? მდიდარმა მარადიული ჯოჯოხეთი მიიღო ამქვეყნიური ბედნიერების წილ, გლახაკმა კი სამოთხე – ამქვეყნიური ტანჯვის წილ.

მაგრამ, რაღა თქმა უნდა, ეს სწავლება სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ამქვეყნიურ სიკეთესა და ბედნიერებას ყოველთვის ჯოჯოხეთამდე მიპყავხარ, ან პირიქით – ამქვეყნიური ტანჯვა აუცილებლად მიგიყვანს სამოთხემდე. არსებითი განსხვავება ამ ორი ადამიანის ცხოვრების წესს შორის მათ განცდაშია, იმაშია, **რას და როგორ განიცდის თითოეული მათგანი ამქვეყნად თავისი ბედნიერებითა თუ ტანჯვით.**

მდიდარი დიდ სიამოვნებას, განცხრომას განიცდის და მისი ბედნიერებაც აქ მთავრდება, იგი ამსოფლიურით დიდად კმაყოფილია და არ ფიქრობს არც ცოდვაზე, არც მადლზე, არც მომავალ საუკუნო ცხოვრებაზე.

გლახაკის განცდა კი არაამქვეყნიურია, მას არ აქვს „ნუგეში ამა სოფლის", და არც კმაყოფილია, რადგან საკუთარ ბედნიერებას ამ ქვეყანასთან კი აქ აკავშირებს, არამედ მომავალ საუკუნო ცხოვრებას ელის. ცხადია, – ბრძანებს *წმიდა ეპისკოპოსი გაბრიელი,* – რომ გლახაკი ლაზარე არის მომთმენი, თავმდაბალი, მლოცველი და მსახური ღვთისა, რადგან მხოლოდ ასე და ამგვარი ცხოვრების წესით შეიძლება დაუკავშირდეს კაცის ნუგეში ჭეშმარიტ ბედნიერებას. ეს ნუგეში და ბედნიერება ქრისტიანისთვის არის არა ხორციელი კმაყოფილება, ხორციელ სურვილთა მონობა, არამედ საკუთარი მოვალეობის აღსრულება:

„ეცადე, ძმაო ჩემო, – გვეუბნება წმიდა ეპისკოპოსი, – შენი ნუგეში და ბედნიერება იყოს აღსრულება შენი მოვალეობისა... თუკი შენს გულს მიაჩვევ კეთილ საქმეს, მადლსა და სათნოებას, ლოცვას, მოთმინებას, სიყვარულს – მაშინ ამ ქვეყნადვე მიიღებ უმტკიცესსა და დაუსრულებელსა ბედნიერებას".

როდესაც „მდიდარი და გლახაკი ლაზარეს" იგავს კითხულობ, თავდაპირველად, იქნებ, დიდ ბედნიერებადაც გეჩვენოს ამ მდიდრის ცხოვრება, ლაზარეს ხვედრი და სიგლახაკე კი უბედურებად მიიჩნიო. მდიდრის განცხრომაზე, იქნებ, თვალიც კი დაგრჩეს, გლახაკი ლაზარეს წყლულებმა კი შეგზაროს კიდეც.

წმიდა ეპისკოპოს გაბრიელის თქმით, იგავის მკითხველმა თუ მსმენელმა შეიძლება ისიც იფიქროს, რომ ამ იგავში გადამეტებულად არის წარ-

მოდგენილი მდიდრის უგუნერებაც და ლაზარეს სიგლახაკეც. ამგვარი, უკიდეგანოდ მდიდარი და თან უგუნური, უგრძნობელი, მარტო ჭამა-სმას გადაყოლილი კაცი მართლაც ძნელად მოსაძებნია; მით უფრო, წარმოუდგენელია. ჩვენ გვერდით ცხოვრობდეს ადამიანი, ვინც ჭამა-სმის გარდა არაფერს იქმს, და მშიერ-მწყურვალისთვის სანაგვეში გადასაყრელი ნამცეცებიც კი ენანებოდეს.

ცხადია, ამგვარ უკიდურესობათა ჩვენებით უფალი მიგვანიშნებს და გვაფრთხილებს, რომ ისიც სირცხვილი და ცოდვა იქნება ჩვენთვის, თუკი სულ მცირედით, რომელიმე ერთი თვისებით მაინც დაუემსგავსებით ამ მდიდარს.

დაბოლოს, ამ იგავის მკითხველი და მსმენელი აუცილებლად უნდა დაუფიქრდეს თავის დაუდეგრობას, რასაც, სამწუხაროდ, უკლებლივ ყოველი ჩვენგანი ეწევა თავის ცხოვრებაში. ეს **დაუდეგრობა არის დაგიწყება სიკვდილისა და მეორედ მოსვლისა, დაგიწყება საშინელი სამსჯავროსი.**

დაუდეგარნი ხშირად მაშინ ვართ ხოლმე, როდესაც წარმატება გვეწვევა, სიმდიდრეში ვართ, უზრუნველობას მივეცემით. თუკი ამ მდიდარივით არ ვფიქრობთ მომავალ ცხოვრებაზე და ურწმუნოებაში ვართ, მაშ, უმეცრებისა და უგუნურების მიზეზით ჩავცვივნულვართ ამ ცოდვაში. მაგრამ მეტად სახიფათოა დაუდეგრობა იმისთვის, ვისაც სწამს და სურს ცხონება, მაგრამ ამ უდიდეს საქმეში მცონარეობს, ესე იგი, იცის და მაინც არ იქმს!

ასე რომ, „მდიდარი და გლახაკი ლაზარეს“ იგავი, როგორც თითქმის ყველა იგავი სახარებისა, ამასთანავე არის გაფრთხილება, უფლისმიერი ზრუნვა, რათა გავძლიერდეთ, ვიფხიზლოთ და განვემზადოთ ყველაზე დიდი დღისათვის – უფლის მეორედ მოსვლისა და ყოველთა განკითხვისათვის!

„ორგული მნე“

„ვერვის ჴელ-ეწიფების ორთა უფალთა მონებად“
მათე 6, 24

„რომელთა ჰნებავს სიმდიდრე, შეცჳვიან განსაცდელსა და საფრჴესა...
რამეთუ ძირი არს ყოველთა ბოროტთაჲ ვეცხლისმოყუარებაჲ“
I ტიმოთეს მიმართ 6, 9-10

„სიმდიდრე მსახურია ბრძენისა და ბატონია სულელისაო“
ქართული ხალხური ანდაზა

„ჩემი მხოლოდ ის არის, რაც გავეცი“
წმიდა მაქსიმე აღმსარებელი

„რასაცა გასცემ, შენია, რასც არა, დაკარგულია“
შოთა რუსთაველი

„კაცი ვინმე იყო მდიდარი, რომელსა ესუა მნე. და ესე შეასმინეს მას, ვითარმედ განაბნია ნაყოფი მისი, და მოუწოდა და ჰრქუა მას: რაჲ არს ესე, რომელ მესმის შენთჳს? მომეც მე სიტყუაჲსამნოსა შენისაჲ, რამეთუ არ-ღარა ჴელ-გეწიფების ამიერითგან მნეობად.

ხოლო მნემან მან თქუა გულსა თჳსსა: რაჲ ვყო, რამეთუ უფალი ჩემი მიმიღებს სამნოსა ჩემსა? საქმედ არა ძალ-მიც, თხოვად მრცხუენს. უწყი, რაჲ ვყო, რაჲთა, რაჟამს გარდაუდგე მნეობისაგან, შემიწყნარონ მე სახ-ლთა მათთა.

და მოუწოდა კაცად-კაცადსა თანამდებსა უფლისა თჳსისა და ჰრქუა პირველსა მას: რაოდენი თანა-გაც უფლისა ჩემისაჲ? და მან თქუა: ასი საწნეხელი ზეთისაჲ. და ჰრქუა მას: მიიღე ჴელითწერილი შენი და დაჯედ ადრე და დაწერე ერგასისი. მერმე სხუასა ჰრქუა: შენ რაოდენი თანა-გაც? ხოლო მან თქუა: ასი სათოელი იფქლისაჲ. ჰრქუა მასცა: მიიღე ჴელით-წერილი შენი და დაწერე ოთხმეოცი.

და აქო უფალმან მნე იგი სიცრუეისაჲ, რამეთუ გონიერად ყო. რამეთუ

ძენი ამის სოფლისანი უგონიერეს არიან უფროჲს ძეთა ნათლისათა ნათესავსა შორის მათსა.

და მე გეტყჳ თქუენ: ისხენით თავისა თქუენისა მეგობარნი მამონაჲსა მისგან სიცრუვისა, რაჲთა, რაჟამს მოაკლდეთ თქუენ ამიერ, შეგიწყნარნენ თქუენ საუკუნეთა მათ საყოფელთა".

ლუკა 16, 1-9

იგავის განმარტების სირთულე – 108; იგავის ადრესატი – 110; „კაცი ვინმე მდიდარი" – 113; მნეობის ინსტიტუტი: მნე და მნეობა – 114; „ესე შეასმინეს" – 119; შემსმენლები – 122; „რაჲ არს ესე?": ჟამი სინანულისა – 124; „რაჲ ვყო?" – 126; სინანულის ნაყოფი სათნოებაა – 128; სულის საცხონებლად – 129; „და მოუწოდა კაცად-კაცადსა თანამდებსა" – 130; უფლის იგავის განმარტების გამიზნულობა – 131; „უწყი, რაჲ ვყო": მნის გონიერება – 132; მნისა და მოვალეების „შეთქმულება" – 133; „ასი საწნეხელი ზეთისაჲ" და „ასი სათოელი იფქლისაჲ" – 134; „ორგული მნის" იგავის ორი განმარტებითი მიმართულება – 137; „ორგული მნის" იგავის პირველი შეგონება – 140; ამ სოფლის ძე და ნათლის ძე – 141; კიდევ ერთი განმარტება პირველი შეგონებისა – 146; იგავის მეორე შეგონება: „სიცრუის" იგავურ-სახარებისეული შინაარსი – 150; „სიცრუე" უფლის იგავსა და სულხან-საბას არაკში – 154; „ისხენით თავისა თქუენისა მეგობარნი" – 160; სიცრუის მამონა – 164; უფლის იგავური სათქმელის უცდომელად მიღებისათვის – 170; „ორგული მნის" იგავის სამი შეგონება – 176; ვერცხლისმოყვარეობა კერპთაყვანისმცემლობაა – 180; „არა იპარო" – 183.

იგავის განმარტების სირთულე

წმიდა სახარების არც ერთი იგავის გამო არ დაწერილა იმდენი განმარტებითი ნაშრომი, არ გამოთქმულა იმდენი ერთმანეთისგან განსხვავებული და ურთიერთგამომრიცხველი თვალსაზრისი, არ მოიპოვება იგავური სახე-

ების ესოდენ რადიკალურად დაპირისპირებული შეფასება-განსაზღვრებანი – როგორც ეს არის „ორგული მნის“ იგავთან დაკავშირებით. უფრო მეტიც, ამ იგავის ზოგიერთი მუხლი დღემდე რჩება, ასე ვთქვათ, ღიად. კომენტატორები ამ მუხლების განმარტებისას იძულებულნი ხდებიან, ერთდროულად რამდენიმე პარალელური ვარიანტი გაითვალისწინონ.

ქრონოლოგიური თვალსაზრისით თუკი ვიმსჯელებთ, „ორგული მნის“ იგავის ორი მთავარი განმარტებითი ხაზი იკვეთება:

1) ადრინდელ წმიდა მამათა *(წმიდა იოანე ოქროპირი, ნეტარი აგუსტინე, ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი)* და

2) XIX-XX საუკუნის კომენტატორთა (*ბორის გლადკოვი* და სხვები). ჩვენთვის მეტად საგულისხმოა და ძვირფასი *წმიდა ეპისკოპოს გაბრიელის (ქიქოძის)* განმარტებანი.

ზოგიერთი კომენტატორი თავს იკავებს ამ იგავის განმარტებისგან და აღიარებს, რომ, თავისი აგებულებით, ასევე მეტად რთული, ღრმა იგავური სახეებითა და შეგონებებით, იგი მხოლოდ მთავარი სათქმელისა და იგავის ძირითადი მიმართულების განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა.

ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი ამასთან დაკავშირებით წამოჭრის საზოგადოდ იგავის – სახარების უფლისმიერი იგავების განმარტების მეტად საჭირბოროტო საკითხებს. ნეტარი მამა ბრძანებს:

„ყოველი იგავი (იგულისხმება სახარების იგავი) *ხატოვნად, სახეობრივად განმარტავს რომელიმე სავნის ან სათქმელის არსს. მაგრამ იგი – იგავი – ყველაფერში არ არის მსგავსი იმ სავნისა, რომლის ახსნისთვისაც მოუხმობენ ხოლმე იგავს. ამიტომ იგავის ყველა ნაწილის დეტალური, ზედმიწევნითი განმარტება ყოველთვის არ არის საჭირო. ზოგჯერ გარკვეული ნაწილები იგავისა უნდა გამოვტოვოთ, უყურადღებოდ დავტოვოთ – ამ ნაწილების საღვთისმეტყველო მნიშვნელობის თვალსაზრისით, და ეს ნაწილები აღვიქვათ როგორც იგავის მხოლოდ შინაარსობრივი მახასიათებელი, სიუჟეტური ქსოვილის ის შემადგენელი ნაწილი, რომელსაც თვით ასახსნელ საგანთან და, მით უფრო, იგავის მთავარ სათქმელთან, არც უშუალო კავშირი აქვს და არც შესაბამისობაშია.*

ასეა აქ, ამ იგავში, – განაგრძობს ნეტარი მამა, – *თუკი ჩვენ ზედმეტ ცნობისმოყვარეობას გამოვიჩენთ და გამოვეკიდებით, ვთქვათ, იმის განმარტებას, თუ ვინ დაასმინა ეს მნე ან რატომ მართებს იმ მოვალეს მაინცდამაინც 100 და არა 200 კასრი ზეთი, ან მეორეს – ხორბალი და არა ბრინჯი, და ა. შ., მაშინ უაღრესად დამძიმდება იგავის სათქმელი, გაგვიჭირდება ამ*

სათქმელამდე მისულა და, იქნებ, ღიმილის მომგვრელი ახსნა-განმარტებაც კი შეგვრჩეს ხელთ".

ნეტარი მამის ამ შეხედულებას იზიარებს *ბორის გლადკოვიც,* რომელიც გვირჩევს, ნუ ჩავუკირკიტდებით ხოლმე უფლის იგავურ ალეგორიებს იქ, სადაც მხოლოდ მაგალითი ან ეპიზოდია აღბეჭდილი იუდეველთა ყოველდღიური ცხოვრებიდან.

რა თქმა უნდა, *ნეტარი მამა თეოფილაქტე ბულგარელის* შენიშვნა ყურადსაღებია და საგულისხმოც. თუმცა, „ორგული მნის" განმარტებით ნაწილს, ვფიქრობ, ვერ და არც უნდა მოვაკლოთ ჩვენს ხელთ არსებული ყველა კომენტატორისა თუ წმიდა მამის განმარტებანი, ხსენებული ორი მთავარი მიმართულების გათვალისწინებით.

იგავის ადრესატი

ვის უამბო უფალმა ეს იგავი? ამ შეკითხვაზეც სხვადასხვაობს პასუხი. *ნეტარი თეოფილაქტე* ამ საკითხს არ წამოჭრის, რადგან, უფლის სხვა იგავთა მსგავსად, ამ იგავის სათქმელიც, მისი აზრით, ყველასკენ არის მიმართული.

ამავეს გვიდასტურებს *ეპისკოპოსი მიხეილიც.* ეპისკოპოსი ყურადღებას მიაქცევს სახარების მე-16 თავის პირველ მუხლსა და მე-15 თავის პირველ-მესამე მუხლებს. საქმე ის არის, რომ მე-16 თავი „ორგული მნის" იგავით იწყება, მე-15 თავში კი უფალი ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილ სამ იგავს ჰყვება: „დაკარგულ ცხვარზე", „დაკარგულ დრაქმაზე" და „უძღებ შვილზე", რომლითაც სრულდება მე-15 თავი.

მე-15 თავის დასაწყისში *წმიდა ლუკა მახარებელი* შენიშნავს:

„და იყვნეს ყოველნი მეზუერენი და ცოდვილნი მახლობელად მისა და ისმენდეს მისსა (უფლისას). და დრტჳნვიდეს ფარისეველნი და მწიგნობარნი და იტყოდეს, ვითარმედ: ესე ცოდვილთა შეიწყნარებს და მათ თანა ჭამს და სუამს. და ეტყოდა მათ იგავსა ამას და ჰრქუა" (ლუკა 15, 1-3).

ამის შემდეგ უფალი „დაკარგული ცხვრის" იგავის თხრობას შეუდგება. მე-16 თავის პირველ მუხლში, „უძღები შვილის" იგავის დასრულებისთანავე, *წმიდა ლუკა მახარებელი* ამბობს: **„და ეტყოდა მოწაფეთაცა"** – მოწაფეებსაც უამბობდაო, რასაც იმავე მუხლში „ორგული მნის" იგავის თხრობა მოჰყვება. *ეპისკოპოს მიხეილის* თქმით, ეს ნიშნავს, რომ უფლის

ამ იგავს, მოწაფეების გარდა, ისმენდნენ სხვა მსმენელებიც – ყველა, ვინც მასთან იყო: მებაჟეებიც, ფარისეველებიც და მწიგნობრებიც.

ეპისკოპოს მიხეილს იგავის მთავარი სათქმელიც კარნახობს იმას, რომ ამ იგავის მსმენელად უფალი უთუოდ ყველას, ყველა ჯურის ცოდვილს გულისხმობდა. იგავიდან გამომდინარე, უფალი მათ აჩვენებს, რა მძიმე მდგომარეობაში შეიძლება აღმოჩნდეს ადამიანი, თუკი თავის საქმეს უპატიოსნოდ შეასრულებს, ბოროტად გამოიყენებს თავის მდგომარეობას და მოვალეობას.

ეს სათქმელი უპირველესად ყურად უნდა ეღოთ მებაჟეებს, – განმარტავს ეპისკოპოსი, – რადგან ისინი გამორჩენის მაძიებლები იყვნენ მუდამ, და, ჩვეულებრივ, არ თანაუგრძნობდნენ მოყვასს, იმას, ვისგანაც ბაჟს იღებდნენ, და გვერდით მყოფს ანგარებით ემსახურებოდნენ. ამდენად, უფლის შეგონება-გაფრთხილება ამხელს მანკიერებას, რომელსაც **ვერცხლისმოყვარეობა** და **მომხვეჭელობა** ჰქვია.

ამ იგავის მეორე სათქმელი ის არის, რომ აუცილებელია კეთილად გამოყენება იმისა, რაც ღმერთმა მოგანდო, ამქვეყნიური სიკეთის ღირსი გაგხადა და მისი პატრონობა ჩაგაბარა. ეს სათქმელი, *ეპისკოპოს მიხეილის* განმარტებით, უშუალოდ ფარისეველებისა და მწიგნობრებისკენ უნდა ყოფილიყო მიმართული, ანუ იმათკენ, ვინც ამ წუთისოფელში რჩეულთა შორის აღმოჩნდნენ თავიანთი ძალაუფლებით, სიმდიდრით, პატივითა და საქმიანობით.

რაც შეეხება იგავის მესამე სათქმელს, იგი იგავს მოდევნებული შეგონებით ცხადდება: „**ვერ ჭელ-ეწიფების ღმრთისა მონებად და მამონაჲსა**“ (ლუკა 16, 13).

ამ შეგონებით უფალი გვასწავლის, რომ შეუძლებელია, ერთდროულად ვემსახუროთ ღმერთსაც და მამონასაც, ანუ სიმდიდრეს, ამსოფლური სიკეთის მომცემ საგნებს. ეს სათქმელი უშუალოდ მოწაფეების გასაგონად უნდა იყოსო ნათქვამი, – განაგრძობს *ეპისკოპოსი მიხეილი*, – თუმცა ფარისეველთა ჯიშის ადამიანებმაც უნდა იღონ ყურად ეს ბრძნული დარიგებაო.

ამ აზრს მთლიანად იზიარებს *დეკანოზი ბუხარეი*. ზოგიერთი კომენტატორი ფიქრობს, რომ ხსენებული ოთხივე იგავი („დაკარგული ცხვარი“, „დაკარგული დრაქმა“, „უძღები შვილი“ და „ორგული მნე“) ერთსა და იმავე დღეს ითქვა უფლის მიერ და მას ერთი და იგივე მსმენელი ჰყავდა, კერძოდ, მებაჟეები, ცოდვილები, ფარისეველები, მწიგნობრები და მოწაფეები.

ერთთა აზრით, მე-15 თავში არსებული სამი იგავი ცოდვილების, მებაჟეებისა და ფარისეველებისათვის ითქვა, ხოლო მეოთხე – „ორგული მნისა“ – მოწაფეებისთვის. ამას თავად წმიდა სახარება გვამცნობს, – შეგვახსენებენ კომენტატორები.

მეორეთა აზრით, ოთხივე იგავი ყველასთვის, ყველას გასაგონად ითქვა, ოღონდ პირველი სამი უშუალოდ იმ ცოდვილებისთვის, რომლებიც უკვე ხსნას ეძებდნენ, და ასეთნი მოიპოვებოდნენ ყველა ჯურის ცოდვილთა შორის – მებაჟეთა, ფარისეველთა და თვით მოწაფეთა შორისაც, იმ მოწაფეებს შორისაც, რომლებიც ჯერ კიდევ მოციქულები არ იყვნენ.

რაც შეეხება ფარისეველებს, ყველა ამ იგავს უფალი მათ საპასუხოდ ჰყვებაო, – დასძენენ იგივე კომენტატორები, – იმის პასუხად, რის გამოც ეს ვითომდა მართალნი და ძლიერნი ამა სოფლისანი დრტვინავდნენ და განიკითხავდნენ უფალს: ცოდვილებთან ჭამს და სვამს, ცოდვილებს შეიწყნარებსო (ლუკა 15, 1-2).

„ორგული მნის“ იგავის თხრობის შემდეგ კვლავ ფარისეველთა გამო შენიშნავს *წმიდა ლუკა მახარებელი*:

„ესმოდა ესე ყოველი ფარისეველთაცა, რამეთუ ვეცხლისმოყუარე იყვნეს და შეურაცხ-ჰყოფდეს მას“ (ლუკა 16, 14).

როგორც ვხედავთ, ამ იგავის მოსმენის შემდეგაც დასცინოდნენ და განიკითხავდნენ ფარისეველები უფალს, და, მახარებლის თქმით, სწორედ იმ მიზეზით დასცინოდნენ, რომ ვერცხლისმოყვარენი იყვნენ.

მეორე მხრივ, მას შემდეგ, რაც უფალმა იმ სამი იგავით შეაშზადა ცოდვილები, „ორგული მნის“ იგავით იმავე ცოდვილებს მიუთითა გზასა და საშუალებებზე, რითაც ისინი საკუთარი გადარჩენის უმძიმეს საქმეს უნდა შესდგომოდნენ.

მესამე ნაწილი კომენტატორებისა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იმას, რომ წმიდა მახარებლის მიერ საგანგებოდ არის მონიშნული ადრესატი – **მოწაფეები**. ამ კომენტატორთა თქმით, იგავის სათქმელის მართებულად წვდომისთვის ამ საგანგებო შენიშვნას, განმსაზღვრელი თუ არა, გარკვეული მნიშვნელობა მაინც ენიჭება, ვინაიდან უფლისმიერი სწავლება, როგორც წესი, უმთავრესად სწორედ მისი მოწაფეებისაკენ იყო მიმართული, ანუ იმათკენ, რომლებიც მსმენელთა შორის გულისხმიერებით გამოირჩეოდნენ და მეტი გულისყურითაც ისმენდნენ თავიანთი მოძღვრის იგავს – უფლის სიტყვას.

ასეა თუ ისე, ერთი რამ უეჭველია – „ორგული მნის“ იგავი ჩვენთვის, **ქრისტიანთათვის**, არის თქმული და ჩვენც უფლის მოწაფეთა მსგავსად

უნდა მივაპყროთ ჩვენი გონებისთვალიცა და გულისყურიც მის შინაარს, შეგონებასა და სათქმელს.

„კაცი ვინმე მდიდარი“

„ორგული მნისა“ და „მდიდარი და გლახაკი ლაზარეს“ იგავთა დასაწყისი სრულად ემთხვევა ერთმანეთს. ორივეგან ვკითხულობთ: **კაცი ვინმე იყო მდიდარი.**

„უგუნური მდიდრის“ იგავის დასაწყისიც ამის მსგავსია: **კაცისა ვისმე მდიდრისა ნაყოფიერ იყო აგარაკი.**

როგორც ვხედავთ, სამივე იგავში მდიდარი კაცის ცხოვრების რომელიღაც ეპიზოდი აისახება, მაგრამ „ორგული მნის“ იგავში მდიდარი კაცის იგავური სახე, თავისი საღვთისმეტყველო შინაარსით, იმ ორისაგან განსხვავდება.

„მდიდარი და გლახაკი ლაზარეს“ იგავში, როგორც „უგუნურ მდიდარში“, მდიდარი კაცი ვერცხლისმოყვარეობით, ურწმუნოებით, უგუნურებით, სიხარბითა და სიძუნწით პყრობილი ადამიანის იგავური სახეა. „ორგული მნის“ იგავში კი **კაცი ვინმე მდიდარი** გამოხატავს ღმერთს, ყოლის შემოქმედს, რომლის ხელშია ყოველი სიკეთე. ამ სიკეთეს იგი თავისი სიბრძნითა და წყალობით გვინაწილებს. ასე მიანდო თავისი ქონება მდიდარმა კაცმა მნეს, ანუ მოურავს, და მისცა ნიჭი, მადლი, ძალაუფლება, სიმდიდრე და ა. შ.

იგავის დასაწყისშივე უფალი თხრობისას რამდენიმე იგავურ უწყებას, ე.წ. იგავურ ინფორმაციას გვაწვდის მნეზე: ჯერ ერთი, ეს არის ადამიანი, რომელსაც არ მოეპოვება საკუთარი ქონება. სიმდიდრე და ქონება, რომელიც მასზეა მინდობილი, ეკუთვნის მდიდარ პატრონს, და არა თავად მას.

მაშასადამე, უფალი იგავურად შეგვაგონებს, რომ ადამიანს საკუთარი არაფერი მოეპოვება – **ყოველივე ღვთისგან გვაქვს და ღვთის კუთვნილებაა.** როგორც მნეს ევალება პატრონისგან მიბარებული ქონების მოვლა-პატრონობა, ამ ქონების გულმოდგინედ და პატიოსნად მოხმარება-გამოყენება, ჩვენც ასევე კეთილად უნდა მოვიხმაროთ ყოველივე, რაც გაჩენის დღიდან გვეძლევა.

ასევე მიაბარა მთელი თავისი ქონება პატრონმა თავის მონებს „ტალანტების“ იგავში, ასევე ერგო უძღებ შვილს მამისაგან სამკვიდრებლის ნა-

წილი, ასევე გადაეცათ ვენახი სამუშაოდ მევენახეებს ვენახის პატრონისგან. ყველა ამ შემთხვევაში ჩვენი უფალი მზრუნველობას იჩენს და იგავურად გვარიგებს, რომ ყოველი საქმე, საგანი თუ უნარი ღვთის წყალობითა და მეოხებით მოგვეპოვება. ამის დასტურად იგავში ვკითხულობთ:

„კაცი ვინმე იყო მდიდარი, რომელსა ესუა მნე და ესე შეასმინეს მას ვითარმედ განაბნია ნაყოფი მისი“ – მისი, ანუ მდიდრის ქონება განაბნიაო.

მნეობის ინსტიტუტი: მნე და მნეობა

მოვალეთა სოციალური სტატუსის გასარკვევად ერთ-ერთი კომენტატორი დაწვრილებით გვაცნობს იეჯარით (არენდით) გაცემის იმჟამინდელ იურიდიულ კანონს, მნეობის ინსტიტუტის იმ პრინციპებს, რომლებიც უფალი იესო ქრისტეს დროს მოქმედებდა.

წმიდა ბიბლიის წიგნებში არაერთგზის არის შენიშნული, რომ ებრაელთა შორის განსაკუთრებული ძალით ბატონობდა ვნება ანგარებისა და მომხვეჭელობისა. სხვადასხვა უმსგავსო საშუალებას შორის ყველაზე მეტად გავრცელებული იყო ვაჭრობითა და მევახშეობით გამდიდრება. ხუთი ტალანტი რომ ხუთს მოიგებდა, ეს არ იყო გასაკვირი ებრაელისთვის; მას სურდა, ერთს – ათი მოეგო (ეს მაგალითი უფლის ორი იგავის გათვალისწინებით არის მოხმობილი – „ტალანტებზე“ და „ათ მნაზე“).

როდესაც მევახშე ან იჯარის გამცემი ხელწერილს ან გირაოს შეადგენდა, ვახშის ამღებსა თუ მეიჯარეს აუცილებლად უნდა ჰყოლოდა თავდები. ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში, თუკი მოვალის ან მეიჯარის (არენდატორის) ქონება არ დაფარავდა ვალს, მევალეს, მევახშესა თუ იჯარის გამცემს უფლება ჰქონდა, ციხეში გამოემწყვდია თავისი მოვალე ან მთელი მისი ოჯახი საკუთარ მონებად ექცია.

გარდა ამისა, რომის იმპერიაში ებრაელ ხალხს ერთდროულად აკიწროებდა:

რომის სახელმწიფო გადასახადების სიმრავლე,
ტაძრის შესაწირავი,
მღვდელთა და ლევიტელთა მეათედი გადასახადი,
თვით იჯარის გამცემი (არენდატორი),
მევახშე (კრედიტორი),
საბაჟო გადასახადები.

ამგვარ **საგადასახადო წნეხს** მხოლოდ ერთეულები აღწევდნენ თავს. მდიდარი ოჯახები იმხანად აღმოსავლური განცხრომითა და ფუფუნებით ცხოვრობდნენ. მათ იერუსალიმელ თავადებს ეძახდნენ, რადგან ეს „ძლიერნი ამა სოფლისანი", როგორც წესი, იერუსალიმში ცხოვრობდნენ. ისინი მდიდრული სასახლეების მფლობელნი იყვნენ და ქალაქგარეთაც ჰქონდათ აგარაკები. მათს ქონებას ასევე შეადგენდა მამულები ქვეყნის საუკეთესო ნაწილებში – სახნავ-სათესი, ვენახები, ზეთისხილის ბაღები.

თუმცა ამ მდიდართა შემოსავლის მთავარი წყარო ვაჭრობა იყო, ასევე წარმოებაც სხვადასხვა პროდუქტისა თუ ნივთიერებისა (მაგალითად, ნელსაცხებლებისა). მათს ხომალდებს ქვეყნიერების ყველა კუთხიდან ჩამოჰქონდათ უიშვიათესი ნივთები, სურსათი, ხილი. ამიტომ მათ თითქმის ყველა ზღვისპირა ქალაქში ჰქონდათ საკუთარი საცავები, ბეღლები, ბანკები, სააგენტოებიც. თავად კი, პორფირსა და ბისონში გამოწყობილნი, ნადირობასა და განცხრომას ეძლეოდნენ, როგორც ეს „მდიდარი და გლახაკი ლაზარეს" იგავშია. დიახ. მოცლილობა იყო მათი მთავარი საქმიანობა, რადგან ვაჭრობასა და სხვა საქმეებს უძღვებოდნენ მნეები, ანუ მოურავები.

ამიტომ მსესხებლებსა და მეიჯარეებთან უშუალო კავშირი მნეს ჰქონდა. მნე თუ მოურავი აუცილებლად უნდა ყოფილიყო გამორჩეული მეურნე, გამოცდილი და ერთგული, რომელსაც ქონების პატრონი მიენდობოდა და დამშეიდებული გულით ჩააბარებდა თავის სარჩო-საბადებელს. მნე ასრულებდა ყველა გარიგებასა და სამეურნეო სამუშაოს: იგი დებდა კონტრაქტებს, აწერინებდა ხელწერილებს, თვითონვე გასცემდა სესხს და იჯარას, და თავადვე კრეფდა ასაღებ ვალებს. ფულის თვლა მეტად დამამცირებელი იყო მდიდარი მეპატრონისთვის და, ამ მიზეზით, ფულსაც მნეები ინახავდნენ. მდიდარი მეპატრონე მარტო ფასს ადებდა ყოველივეს, მნე კი, ჩვეულებრივ, უფრო ძვირად ყიდდა ან გასცემდა იჯარით. ნატურით, სურსათის სახით დაბრუნებულ ვალს მნე ნაღდი ფულით წარუდგენდა ხოლმე პატრონს, რადგან სურსათსაც ძვირად ყიდდა და ეს სხვაობაც, „ნამატის", მოგების სახით, თვითონ რჩებოდა.

აი რა დიდი საცდურის წინაშე იყვნენ მნეები და მოურავები იმ დროს, როცა ჩვენი უფალი „ორგული მნის" იგავს ჰყვებოდა. და ეს, რაღა თქმა უნდა, კარგად იცოდნენ იგავის მსმენელებმაც. იგავის სიუჟეტური თხრობა მათთვის ნაცნობ სოციალურ ფონზე იშლებოდა, რაც ჩვენთვის მხოლოდ ისტორიული რეალობაა.

დღეს ამიტომაც არის აუცილებელი ამ ფონის გათვალისწინება, რათა დაუბრკოლებლად აღვიქვათ იგავის შინაარსი, ის ელემენტარული იგავური სიუჟეტი, სადაც უფალმა თავისი იდუმალი, ღვთაებრივი სათქმელი ჩააქსოვა.

იგავში მნეობა, ანუ მოურავობა, პასუხისმგებლობაზე მიგვანიშნებს. ჩვენი უფალი ამ დროსაც მზრუნველობას იჩენს და იგავურად გვაფრთხილებს, რომ ჩვენ პასუხისმგებლობით უნდა მოვეკიდოთ **სხვის ქონებას,** რომელიც ზეციერმა პატრონმა ჩაგვაბარა. მნე დროებითი მფლობელია ქონებისა. მართალია, იგი განაგებს ამ ქონებას, მაგრამ მნეს აქვს ვალდებულება, პასუხისმგებლობა ამ ქონების ნამდვილი პატრონის წინაშე. მნე დამოუკიდებელი მფლობელი არ არის და არც პატრონს გაუთავისუფლებია ანგარიშისა და პასუხისმგებლობისაგან. სამნეო საქმე – მოურავობა მას აკალდებულებს, უპატრონოს, მოუაროს ამ სხვის ქონებას, რომელიც მხოლოდ დროებით ჩააბარეს, განსაზღვრული ვადით აღმოჩნდა მის ხელში უზენაესი პატრონის წყალობით – იგავის მიხედვით, მდიდარი კაცის ნებით.

შენიშნავენ, რომ მნე ამ იგავში არ არის მონა, როგორც ეს „ტალანტების“ იგავშია, არც დაქირავებული მუშაკია, „ბოროტი მევენახეებისა“ და „ვენახის მუშაკების“ იგავების მსგავსად, არც მემკვიდრეა და არც შვილია უძღები შვილივით, არამედ – თავისუფალი ადამიანია. მას შემდეგ, რაც მნეობას ჩამოართმევენ, მას შეუძლია სხვასთან გადავიდეს. თუმცა ეს მოსაზრება წმიდა მამათაგან არ მიიღება მხედველობაში. მათი თქმით, თავისუფალი ყმაა ეს მნე, მონაა თუ დაქირავებული – ამას არ აქვს არსებითი მნიშვნელობა „ორგული მნის“ იგავის სათქმელის ძიებისას.

ეპისკოპოსი მიხეილი შეგვახსენებს აღმოსავლეთის ქვეყნებში არსებულ ზედამხედველობის ინსტიტუტს და შენიშნავს, რომ დიდძალი ქონების პატრონისათვის მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი იყო გამოცდილება და ერთგულება სამნეოდ გამზადებული კაცისა. ეს ბუნებრივიცაა, რადგან მნის ერთგულებასა და გონიერებაზე ეკიდა პატრონის ქონებაც და ცხოვრებაც.

იგავიდან ჩანს, რომ მნე თავიდან სწორედ თავისი გამოცდილებისა და პატიოსნების გამო იმსახურა მდიდარმა კაცმა, რაკი თავისი ქონება მას ჩააბარა. მხოლოდ დაბეზღების შემდეგ გამეღვნდა, რომ მნე თვალთმაქცობდა – იგი ორგული აღმოჩნდა. უფალი ამ იგავში ააშკარავებს მნის ორგულობასა და არაკეთილსინდისიერებას, რადგან მან ბოროტად გამოიყენა პატრონის ნდობა.

მნესთან დაკავშირებით იმასაც აზუსტებენ, რომ „ორგული მნის“ იგავში საგანგებოდ არის გამოყენებული სწორედ **მნე**, **მოურავი**, და არა, ეთქვათ, **მამასახლისი** (რუს. Староста). მამასახლისისგან განსხვავებით, მნეს ებარა ფულის, პროდუქტებისა და სხვა სამეურნეო ქონების მართვა-განაწილება. დღეს მნეს **იკონომოსსაც** ვეძახით, რასაც გარკვეულწილად **ადმინისტრატორობაც** შეესაბამება.

მნე უფლის სხვა იგავებშიც გვხვდება, მაგალითად, „სარწმუნო და გონიერი მნის“ იგავში (ლუკა 12, 42-48), სადაც ასევე ესმება ხაზი მნის ერთგულებასა და გონიერებას, ანუ პასუხისმგებლობასა და სიბრძნეს, ყოველგვარ საქმეში, განსაკუთრებით კი სულის ცხონების დიდებულ საქმეში.

წმიდა პავლე მოციქული თავის ეპისტოლეებში ასევე მიმართავს ამ იგავურ სახეს – მნეს. წმიდა მოციქულის თქმით, ქრისტეს მსახური სანდო და ერთგული მნესავით უნდა იყოს ღვთის საიდუმლოთა აღმსრულებელი: *„ესრეთ შემრაცხოს ჩუენ კაცმან, ვითარცა მსახურნი ქრისტესნი და მნენი საიდუმლოთა ღმრთისათანი. ხოლო აქა ამიერითგან საძიებელ არს მნეთა მათ შორის, რაცთა სარწმუნო ვინმე იპოოს“* (I კორინთელთა მიმართ 4, 1-2). წმიდა მოციქული ამ იგავურ სახეს ხსენებული „სარწმუნო და გონიერი მნის“ იგავიდან სესხულობს და ამბობს, რომ ქრისტიანს, მნის მსგავსად, ნდობის გამართლება მოეთხოვება ღვთის წინაშე.

ეს იგავური სახე – **სარწმუნო და გონიერი მნე** – ქრისტიანულ ღვთისმეტყველებაში აღბეჭდავს უანგაროდ, თავდადებითა და ერთგულებით მომსახურე ქრისტიანს, რომელსაც ღვთის დიდი წყალობა მიუღია და მრავალგვარი ნიჭის მქონეა. *„ემსახურეთ ერთმანეთს იმ მადლითა და წყალობით, რომელიც თითოეულ თქვენგანს მიუღია, ისე ემსახურეთ ერთმანეთს, როგორც „კეთილნი მნენი მრავალ-ფერისა მის ნიჭისა ღმრთისანი“* (I პეტრე 4, 10) – გვმოძღვრავს ***წმიდა პეტრე მოციქული***. ***წმიდა პავლე მოციქული*** მაღალი სასულიერო იერარქის გამო გვიბრძანებს: *„ჯერ-არს ეპისკოპოსსა უბიწო ყოფად, ვითარცა ღმრთისა მნისად“* (ტიტეს მიმართ 1, 7).

მნის მოვალეობის საღვთისმეტყველო მნიშვნელობას შეგვახსენებს ძველაღთქმისეული ეპიზოდი ***იოსების*** ზედამხედველობის შესახებ. ძმებისგან განწირული და ტყვედ გაყიდული იოსები ეგვიპტეში მოხვდა. ფარაონის კარისკაცმა, ფოტიფარმა *„დაინახა, რომ უფალი იყო იოსებთან,* – ვკითხულობთ „დაბადების“ 39-ე თავში, – *და რომ ყველა საქმეში ხელს უმართავდა უფალი. პოვა იოსებმა მადლი მის თვალში და გახდა იოსები მისი მსახური. დაადგინა იგი ბატონმა* (ესე იგი, ფოტიფარმა) *თავისი სახლის*

ზედამხედველად და მთელი თავისი საბადებელი ჩააბარა. იოსების გამო უფლის კურთხევა იყო მთელ ამ სახლზე და ყველაფერზე, რაც კი ებადა ეგვიპტელ კარისკაცს შინ და გარეთ. ფოტიფარმა მთელი თავისი საბადებელი იოსებს მიანდო. – გვაუწყებს წმიდა ბიბლია, – თავად კი უზრუნველად იყო, ეიდრე იოსები იყო მასთან" (დაბადება 39, 1-5).

სწორედ ***იოსების*** გონიერებამ, სიბრძნემ, გამჭრიახობამ და ერთგულებამ გახადა ეს ებრაელი ტყვე ჭაბუკი მთელი ეგვიპტის განმგებლად. „მასთან იყო ღმერთი", – ამას რამდენჯერმე იმეორებს წმიდა ბიბლია იოსებთან დაკავშირებით.

როდესაც იოსებმა ფარაონს სიზმრები აუხსნა, ურჩია, ბრძენი კაცი დაენიშნა ეგვიპტის განმგებლად, რომ ხორბლის დიდძალი მარაგი შეენახა და მოუსავლიანობის წლებში ქვეყანა შიმშილისგან გადარჩენილიყო. მაგრამ ფარაონმა იოსებს უთხრა: შენზე გონიერი და ბრძენი ჯერ არავინ მინახავს. შენ იქნები ჩემი სახლის ბატონ-პატრონი და მთელი ჩემი საბრძანებელი შენს სიტყვას აღასრულებს, მხოლოდღა ტახტით დავრჩები შენზე მაღლა, – ეს თქვა ფარაონმა და აღასრულა კიდეც.

იოსების გონიერებისა და სიბრძნის წყარო მისი წრფელი, ჭეშმარიტი რწმენაა ღვთისადმი. ხორბალს, პურს, ანუ საზრდოს, იოსები ბრძნულად განაგებს და დროულად, პატიოსნად არიგებს და ანაწილებს მასზე მინდობილ საქვეყნო ქონებას.

ელეაზარიც გონივრულად განაგებს ***აბრაამის*** დიდძალ ქონებას (დაბადება 24, 2-12). სწორედ ელეაზარს ანდობს აბრაამი თავისი ერთადერთი ვაჟის, ***ისაკის,*** დაქორწინებას და ერთგული განმგებელიც პირნათლად აღასრულებს თავისი პატრონის სურვილს.

ასე რომ, მნის ხელშია საზრდო და სარჩო-საბადებელი პატრონისა, ანუ საარსებო წყარო ოჯახისა, ასევე მას – მნეს ეკისრება, გაანაწილოს საზრდო, პური არსობისა. თუმცა იმხანად ამ საქმეს დიასახლისიც ასრულებდა. აი რას ამბობს ***სოლომონ ბრძენი:***

„ვინ იპოვის გამრჯე დედაკაცს? ფარგალიტზე ძვირია მისი ფასი. მისი ქმრის გული მასზე იქნება დანდობილი და შემოსავალი არ მოაკლდება. მთელი სიცოცხლე სიკეთეს მიაგებს და არა ბოროტებას. ის ეძებს მატყლსა და სელს და ბეჯითად მუშაობს საკუთარი ხელებით. საკაჭრო ხომალდების მსგავსად, შორიდან მოაქვს თავისი პური. ჯერ კიდევ ღამიანად დგება და სახლს საზრდოს აძლევს [illegible] მხევლებს – წესსა და რიგს" (იგავნი სოლომონისა 31, 10-15).

ყველა ეს მაგალითი გვარწმუნებს, რომ ერთგულება და გონიერება ზნეობრიობის განმსაზღვრელია. ყოველმა კაცმა თავისი ვალი მართებულად, კეთილად, ღვთისათვის მოსაწონად უნდა აღასრულოს.

მაგრამ „ორგული მნის“ იგავში მნე პატრონს უორგულებს. მას პატრონთან დააბეზღებენ, შენს ქონებას ანიავებსო.

„ესე შეასმინეს“

„ორგული მნის“ იგავში მნის ორგულობას პატრონი სხვებისაგან შეიტყობს:

„ესე (მნე) შეასმინეს“ და მდიდარ კაცს აუწყეს: **განაბნია ნაყოფი შენიო** (ლუკა 16, 1) – შენი ქონება გაფლანგა, გააჩანაგაო.

ნაყოფის განბნევა, გაფლანგვა-გაჩანაგება, ცხადია, იმის მანიშნებელია, რომ მნემ უმართებულოდ, არასწორად უპატრონა მასზე მინდობილ ქონებას, ზარალი მიაყენა მას, ბოროტად გამოიყენა ღვთის წყალობით მონიჭებული წარმატებული მდგომარეობა. პატრონის გარდა, იგი თავის გვერდით მყოფსაც უსამართლოდ მოექცა, არც მოყვასს ემსახურა ერთგულად, პირიქით, შეაიწროვა იგი, გამოძალვითა და თვალთმაქცობით პატრონის მოვალეებისგანაც ისარგებლა და საკუთარ გასამრჯელოს ამ გზით გაუჩინა „ნამატი“ – ზედმეტი, თვითდაწესებული ანაზღაურება, რასაც დღეს უკანონო შემოსავალს ეძახით. ყოველივე ამით ორგულმა მნემ საკუთარ თავს განუმზადა საფრთხე, და, როგორც იგავიდან ვიგებთ, საფრთხემ მართლაც არ დაახანა.

განმარტავენ, რომ ეს მნე სხვის ქონებას არც ფლანგავს, არც აჩანაგებს და არც გაკოტრებამდე მიჰყავს პატრონი, არამედ ფუფუნებასა და განცხრომაში ცხოვრობს ამ თავისი „დანამატებით“, უკანონო შემოსავლებით. საკუთარი ქონების გაჩანაგებასა და გაკოტრებას, ამავე კომენტატორის თქმით, პატრონი თვითონაც შეამჩნევდა. მნე კი დაასმინეს, მხოლოდ დასმენის შემდეგ აეხადა ფარდა მის უკეთურობასა და უპატიოსნობას. გარდა ამისა, დამსმენებს, როგორც ჩანს, მნის სწორედ ფუფუნება-განცხრომა მოხვდათ თვალში: მათ დაინახეს, რომ მნის ცხოვრების წესი ისეთი იყო, რომელიც კანონიერი შემოსავლებით ვერ გასწვდებოდა, და დასკვნაც იოლად გამოიტანეს – მნეს შემოსავლის სხვა წყარო გასჩენია, ალბათ პატრონის ქონება გააჩანაგაო.

რა მნიშვნელობას იძახს იგავში **დასმენა? შეასმინესო** – ეკითხულობთ წმიდა სახარებაში. ძველ ქართულ **შესმენას** რამდენიმე მნიშვნელობა აქვს: უპირველესად „გაგონებას“ ნიშნავს: *„შეესმნნეს კადრებანი შენნი“* – ასე მიმართავს უფლის ანგელოზი წმიდა საკურთხეველში მდგომ **ზაქარიას** და იმას აუწყებს, რომ ღმერთმა შეისმინა, ესე იგი, გაიგონა მისი ლოცვა-ვედრება. ანგელოზმა სიხარულით აუწყა, რომ ***ელისაბედი,*** ზაქარიას ცოლი, შობდა ძეს, რომელსაც ***იოანეს*** დაარქმევდნენ სახელად (ლუკა თ. I).

შეპყრობილი იესოს გამო ***პილატე*** იუდეველებს ეკითხება: *„რასა შესმენასა მოიღებთ კაცისა ამის ზედა?“* – რას უჩივით ამ კაცს, რა ბრალს სდებთო? „შესმენის“ მეორე მნიშვნელობაც სწორედ ეს არის – „ჩივილი“, მაგრამ ის „დაბეზღებასაც“ ნიშნავს, და ახალ ქართულ თარგმანშიც, კერძოდ, „ორგანული მნის“ იგავში, სწორედ ამ მნიშვნელობით არის გადმოტანილი: მნე პატრონთან „დააბეზღესო“.

დაბეზღებაც და დასმენაც უზნეობაა, გაცემის, ღალატის ტოლფასია. „ცილისწამება“ დაბეზღებაზე მძიმე ცოდვაა: „არა ცილი სწამო“, – წერია ერთ-ერთ მცნებაში. „ცილისწამება“ იმ მიზეზით გავიხსენეთ, რომ „ორგული მნის“ სლავურ თარგმანშია оклеветать – ანუ „ცილისწამება“, რუსულში კი ნათქვამია: „на которого донесено было ему“ – რუს. донесено „დაბეზღებაა“.

ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი საგანგებო განმარტებას გვაწვდის დაბეზღებასთან დაკავშირებით. დაბეზღება, მისი თქმით, იმიტომ უნდა იყოს აქ ნახსენები, რომ ამბის მიტანა აშკარად, მხილების გზით არ აღსრულდა. შემსმენლებმა პატრონის წინაშე კი არ ამხილეს ორგული მნე, არამედ საიდუმლოდ შეატყობინეს, ყურში ჩასჩურჩულეს: იცოდე, შენმა მნემ შენი ქონება გაფლანგაო. ასე რომ, სლავურ თარგმანში არსებული „ცილისწამება“ (оклеветать) მთლად მართებული არ უნდა იყოსო, – შენიშნავს ერთ-ერთი კომენტატორი.

ამ მუხლის განმარტებისას კომენტატორებიც და წმიდა მამებიც თითქმის ერთხმად ბრძანებენ, რომ შემსმენლები უფრო ამბის მაუწყებელნი არიან, ვიდრე დამბეზღებლები. ისინი არც ცილს სწამებენ და არც ბრალს სდებენ მნეს, ქონების პატრონს მხოლოდ სინამდვილეში მომხდარს აუწყებენ, იმას აცნობებენ, რაც მისმა მნემ ჩაიდინა – ის ხომ მართლაც ატყუებდა და თვალთმაქცობდა პატრონის წინაშე.

ამ მიზეზით იხსენიებს უფალი იესო იგავში ამ მნეს **სიცრუის** მნედ, ანუ „უსამართლო, ორგულ, თვალთმაქც, მზაკვარ და ურჯულო“ მნედ. გავიხ-

სენოთ, რომ სატანა, ეშმაკი (diablo) აპოკალიფსური შემსმენელია: „გარდამოვარდა შემასმენელი ძმათა ჩუენთაჲ, რომელი შეასმენდა მათ წინაშე ღმრთისა ჩუენისა დღე და ღამჱ, – ეკითხულობთ „იოანეს გამოცხადების“ წიგნში (12, 10). ეს შემსმენელი გამუდმებით გვდებს ბრალს ღვთის წინაშე, იგი, ასე ვთქვათ, თავს იწონებს, რომ ჩვენ – კაცთა მოდგმა, ცოდვებს ჩავდიოართ.

და განა ეს სიმართლე არ არის? განა მართლაც ცოდვებს არ ჩავდიოართ? სწორედ ჩვენი ცოდვათქნადობა აძლევს ეშმაკს საფუძველს იმისათვის, რომ ხელი ჩვენკენ გამოიშვიროს, ბრალი დაგვდოს და დაასაბუთოს კიდეც ჩვენი ჯოჯოხეთში მკვიდრობის აუცილებლობა.

დანიელის წინასწარმეტყველებაც გავიხსენოთ. ქალდეველებმა სამი იუდეველი ყმაწვილი დაასმინეს, ჩვენს კერპებს თაყვანს არ სცემენო (დანიელი 3, 8). განა ეს ქალდეველები ტყუოდნენ? ეს სამი იუდეველი ყმაწვილი მართლაც არ სცემდა თაყვანს უცხო კერპებს? სწორედ ასევე არ დასწამეს ცილი დანიელსაც, არამედ მბრძანებელს აუწყეს, რომ იგი თავისი ღვთის წინაშე მუხლმოყრილი ლოცულობდა (დანიელი 6, 24). ესეც მართალი იყო, დანიელი მართლაც არღვევდა ბაბილონელთა მეფის ბრძანებას!

თუმცა უნდა გავითვალისწინოთ ამ დამბეზღებლებისა თუ დამსმენლების განზრახვა და გამიზნულობა, რის გამოც მათ, ცხადია, „მართლებს“ ვერ ვუწოდებთ. სატანაც და ეს ქალდაველებიც თავიანთი ბოროტი განზრახვით არიან დამბეზღებლები, შემსმენლები.

„ორგული მნის“ იგავში საქმე სხვაგვარადაა. აქ მნიშვნელოვანია არა ის, თუ როგორი განზრახვით მოვიდნენ მდიდარ პატრონთან შემსმენლები, არამედ ის, რომ მნისადმი წაყენებული ბრალდება საფუძვლიანია, რადგან მან მართლაც განაბნია მდიდარი კაცის კუთვნილი ქონება.

მეორე მხრივ, *ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი, დეკანოზი ბუხარელი, ეპისკოპოსი მიხეილი* და სხვა კომენტატორებიც გვირჩევენ, რომ უფლის იგავის კირკიტა მკითხველებად არ ვიქცეთ და განურჩევლად ყველა იგავურ პასაჟსა თუ დეტალს არ ჩავეძიოთ. ასეა ამ შემთხვევაშიც, იგავში არ არის მინიშნებული, თუ ვინ არიან ეს შემსმენლები და დამბეზღებლები ან რა განზრახვა ამოძრავებთ: **და ესე შეასმინეს მას, ვითარმედ** განაბნია ნაყოფი მისი – შეატყობინეს იმ მდიდარ კაცს, რომ მისი ქონება გაფლანგაო, მხოლოდ ეს არის ნათქვამი. იმასაც დავუკვირდეთ, რომ შემსმენლები არ ამბობენ – განაბნევს ან ფლანგავსო, არამედ ამ მნის ორგულობის ბოროტი ნაყოფის გამო ატეხენ განგაშს – უკვე განაბნია, გაფლანგა, გაგაკოტრაო!

ვინ არიან ისინი, რომლებმაც შეასმინეს ეს მნე – როგორც იგავშია ნათქვამი?

ასტრახანისა და კავკასიის *არქიეპისკოპოსი* და კავალერი *სილვესტრი*, რომელიც XIX საუკუნეში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, ამბობს, რომ ჩვენი ცოდვების მაუწყებელი და განმცხადებელი ღვთის წინაშე უპირველესად ჩვენივე ცოდვათქმნადობაა. ჩვენი ცოდვები კაენისგან მოკლული უცოდველი აბელის სისხლივით შეჰღაღადებენ ზეცას და ღვთიურ შურისგებას ითხოვენ. დიახ, ისევ ცისა და მიწის შემაგინებელი ჩვენი უმსგავსო საქმეები გვაბეზღებენ უფლის წინაშე და თავადვე აწვდიან იმის უტყუარ საბუთს, რომ შეურაცხვყოფთ, ვფლანგავთ და განვაბნევთ ღვთის წყალობით ბოძებულ სიმდიდრეს, ქონებას, ნიჭს, მადლსა და სიკეთეს.

ჩვენი ცოდვების მაუწყებელნი ცის ანგელოზებიც არიან, ვითარცა ღვთის მსახური სულები, რომლებიც ჩვენს საოხად, შეწევნად და საკურნებლად მოვლინებიან ზეციდან. მათ ჩვენი შუამდგომლების წმინდა ლოცვები მიაქვთ ზეცაში, მაგრამ ჩვენს ურჯულოებას, ცოდვებსა და უკეთურებასაც გააცხადებენ ხოლმე ღვთის წინაშე. როგორც ვიცით, ანგელოზი მაუწყებელს ნიშნავს. გავიხსენოთ რამდენიმე მაგალითი წმიდა ბიბლიიდან.

დანიელ წინასწარმეტყველმა ბოლოჟამის ხილვა იხილა, შეძრწუნებულს ხმა მოესმა, *წმიდა გაბრიელ მთავარანგელოზს* რომ უთხრა: *„გაბრიელ, აუხსენი მაგას ეგ ხილვა!“* (დანიელის წინასწარმეტყველება 8, 16). მთავარანგელოზმა დანიელს ყოველივე აუხსნა, თან გააფრთხილა, რომ არავისთვის ეთქვა, რაც იხილა და გაიგონა, რადგან შორეულ დღეებს შეეხებოდა (იქვე, 8, 26).

ტობითის წიგნში *წმიდა რაფაელ მთავარანგელოზი* მფარველობს მოგზაურობაში მყოფ ყმაწვილ *ტობიას, ტობითის ძეს,* მის ცოლსა და მამას. ის ტობითს განკურნავს და ვერცხლსაც გაუჩენს. წმიდა რაფაელ მთავარანგელოზი დიდებული, სწორედ რომ ღვთაებრივი დარიგებით მიმართავს მამასა და შვილს, რომლებმაც მადლიერება გამოხატეს მის მიმართ. იგი ამბობს:

„კარგია ღვთის კურთხევა და მისი სახელის განდიდება. მოწიწებით გაცხადეთ ღვთის საქმეები და ნუ დაიზარებთ მის სამადლობელს..... ქმენით სიკეთე, და ბოროტება ვერ მოგაგნებთ თქვენ. სიკეთეა ის ლოცვა, რომელიც მარხვასთან ერთად აღევლინება, მოწყალების გაცემით და სა-

მართლიანობის დაცვით გაბრწყინდება. უმჯობესია მოწყალების გაღება, ვიდრე ოქროს დაუნჯება. მოწყალება ხომ სიკვდილისგანაც იხსნის კაცს და განწმენდს ყოველგვარი ცოდვისაგან. მოწყალების გამღებნი და სიმართლის მყოფელნი სიცოცხლით აღივსებიან. ხოლო ცოდვილნი თავისი თავის მტრები არიან“ (ტობითი 12, 6-10).

წმიდა რაფაელ მთავარანგელოზი მამა-შვილის სათნოებებს იხსენებს და *ტობითს* ეუბნება: *„როცა ლოცულობდით შენ და შენი რძალი, სარა, მე აღვავლინე თქვენს ლოცვებზე შეხსენება წმინდის წინაშე. როცა მარხავდი მკვდრებს* (ტობითი სიცოცხლის ფასად ღამით, ჩუმად მარხავდა გარდაცვლილ ებრაელებს), *მაშინაც შენი თანამდგომი ვიყავი, რომ არ დაიზარე, ადექი და მიატოვე შენი სუფრა, რათა წასულიყავი მიცვალებულის გასაპატიოსნებლად. არ დაფარულა ჩემთვის შენი სიქველე, არამედ მეც შენთან ვიყავი. ახლა მომავლინა მე ღმერთმა შენი და შენი რძლის, სარას, განსაკურნავად. მე ვარ რაფაელი, ერთი იმ შვიდ წმინდა ანგელოზთაგანი, რომელნიც აღავლენენ წმიდანთა ლოცვებს და ამაღლდებიან წმიდის დიდების წინაშე“* (ტობითი 12, 12-15) – ასე დაასრულებს თავის გამოცხადებას წმიდა მთავარანგელოზი რაფაელი.

როგორც დავრწმუნდით, წმიდანთა ლოცვებს ანგელოზები აღავლენენ უფლის წინაშე, ისინი გვმფარველობენ, მათ სიხარულით მიაქვთ უფალ ღმერთთან უწყება ჩვენს სათნოებაზე, მაგრამ ჩვენს ცოდვებს დამწუხრებულნი აუწყებენ.

ასე რომ, „ორგული მნის“ იგავში ნათქვამი *შეასმინეს* ანგელოზთა მიერ ღმერთთან მიტანილ უწყებას უნდა გამოხატავდეს იგავურად. *არქიეპისკოპოსი სილვესტრი* შენიშნავს, რომ ჩვენს ცოდვებს ბოროტი სულებიც განუცხადებენ ხოლმე ღმერთს. რა თქმა უნდა, ანგელოზთაგან განსხვავებით, ისინი სიხარულითა და ყიჟინით ამცნობენ უფალ ღმერთს ამას, რადგან დრტვინვა და ცილისწამება ხომ სწორედ მათი ხელობაა, – დასძენს არქიეპისკოპოსი.

არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ უფალი ღმერთი ყოელისმხილველი, ყოელისმცოდნე და ყოველთა გულთა მეცნიერია! *იერემიას წინასწარმეტყველების* წიგნში მოგვესმის იერემიას მიმართ ნათქვამი უფლის სიტყვა:

„უნდოა ყველას გული და უკურნებელი, ვინ შეიცნობს მას? მე, უფალი, გულთამხილავი ვარ და ზრახვათა გამომცნობელი, რათა თითოეულს მივაგო თავისი საქციელის მიხედვით, როგორც მისი მოქმედება იმსახურებს“ (იერემიას წინასწარმეტყველება 17, 9-10).

წმიდა მოციქული პავლე უფლის ყოვლისმხილველობაზე გვიბრძანებს: *„არარაი არს დაბადებული დაფარული წინაშე მისსა, არამედ ყოველივე შიშველ და ქედ-დადრეკილ არს წინაშე თუალთა მისთა“* (ებრაელთა მიმართ 4, 13). თავად უფალი იესო ქრისტე გვიმოწმებს, რომ მისგან **„არა არს დაფარული, რომელი არა გამოჩნდეს, და არცა საიდუმლოი, რომელი არა გამოცხადნეს“** (მათე 10, 26).

აი რა უნდა ვიგულისხმოთ და რას ნიშნავს „ორგული მნის“ იგავში ნათქვამი: **ესე შეასმინეს მას, ვითარცა განაბნია ნაყოფი მისი.**

ამგვარი უწყების შემდეგ, ბუნებრივია, მდიდარ პატრონს თავისთან უნდა ეხმო შერცხვენილი და სულწარწყმედილი მნე.

„რაი არს ესე?“: ჟამი სინანულისა

„ორგული მნის“ იგავში ვკითხულობთ:

„და მოუწოდა და ჰრქუა მას: რაი არს ესე, რომელი მესმის შენთჳს? მომეც მე სიტყუაი სამნოიასა შენისა, რამეთუ არღარა ჴელ-გეწიფების ამიერითგან მნეობად“ (ლუკა 16, 2).

მაშასადამე, შეიტყო თუ არა მდიდარმა კაცმა ეს თავზარდამცემი ამბავი, იმწამსვე მოიხმო თავისი მნე და უთხრა: ეს რა მესმის შენზე? ჩამაბარე შენი სამნეო, სამოურაო ანგარიში, რადგან ამიერიდან აღარა გაქვს მნეობის უფლება, აღარ გიწერია ჩემი მოურავობაო.

პატრონს მართლაც ელდასავით ეცა ეს შეტყობინება, რაც ჩანს მისივე შეძახება-შეკითხვიდან: ეს რა არის, ეს რა მესმის შენზეო! პატრონი არც დაკითხვას უმართავს მას, საყვედურის კვალიც არ იგრძნობა ამ შეძახებაში. ეს უფრო გაოგნებული და გულდაწყვეტილი კაცის საყვედურია, იმ კაცისა, რომელიც მთლიანად, მთელი გულით ენდობოდა და უმტყუნეს.

მოუწოდა და ჰრქუა – უფალი აქ უპირველესად გულისხმობს განსაცდელებს, სნეულებებს, უბედურებებს, გაჭირვებას, რაც ზეციდან სწორედ გონს მოსასვლელად ეგზავნება ცოდვილს. *„ყოველივეს თავისი დრო აქვს და ყველაფერს თავისი ჟამი ამ ცისქვეშეთში“*, – გვასწავლის ეკლესიასტე (ეკლესიასტე 3, 1). ასე დაჰკრავს ხოლმე ჟამი გონს მოგებისა, უფლის მოწოდების შესმენისა – ჟამი სინანულისა!

ამგვარი მოწოდებით უფალს ტკბილი ძილბურანიდან გამოჰყავს ცოდვის მქმნელი, აფხიზლებს მას, თვალს უხელს, რომ თავადვე დაინახოს

საკუთარი წარწყმედა, განიცადოს სიმწარე ცრუტკბილი წუთისოფლისა. სწორედ ეს უნდა ამოიკითხოთ მდიდარი პატრონის შეკითხვიდან: ეს რა არის, რა მესმის შენზეო.

პატრონის მოწოდება, სინამდვილეში, უფლის ხმაა. წუთისოფლის შვილთა ცოდვების გამო შეწუხებული უფლის ხმა აუცილებლად მოესმება ზეციდან იმას, ვინც ერთხელ მაინც დაფიქრდება საკუთარ ცოდვიანობაზე. ეს ზეციური ხმა ცოდვილის სინდისს აღვიძებს და, თუ თვითონვე არ ჩაქოლა ეს ხმა, იქნებ, გულში მაცხოვნებელი სინანულიც ეწვიოს.

ასე იწყებს ცოდვილი ფიქრს: ეს რა ვქენი?! ღმერთმა ამდენი სიკეთე მიყო, ამოდენა ქონება მომანდო საპატრონებლად, მე კი რა ჩაუდიდინე? ბოროტად გამოიყენე ეს სანატრელი ნდობა უზენაესისა!..

პატრონისაგან უსიტყვოდ წამოსული მნე ამიტომაც ამბობს თავისთვის: **რაი ვყო?** – რა ვქნაო?

მნე არც ეპასუხება თავის პატრონს, არც თავს იმართლებს, არაფერს ამბობს, მდუმარედ ისმენს მისგან მოტყუებული და გაწბილებული პატრონის საყვედურსა და განაჩენს.

მდიდარი პატრონი იმასაც ამბობს, რომ ორგულმა მნემ სამნეო ანგარიში უნდა ჩააბაროს მას, რადგან თავისი უპატიოსნობითა და ცოდვათქმნადობით მნემ თვითონვე დაკარგა უფლება მნეობაზე:

„მომეც მე სიტყუაი სამნოისა შენისაი, რამეთუ არღარა ჴელ-გეწიფების ამიერითგან მნეობად“ (ლუკა 16, 2).

იგავში ამგვარადაა გამოთქმული განაჩენი, რომელიც პატრონმა თავის მნეს გამოუტანა. ეს განაჩენი იგავური გაფრთხილებაა, ერთგვარი შეხსენებაც არის, იმის გამო, რომ ყველა ცოდვილს აუცილებლად მოსთხოვენ ანგარიშს – ჯერ სიკვდილის შემდეგ, მერე კი საბოლოო სამსჯავროზე.

ამ განაჩენის, ანუ უფლისმიერი მოწოდების, ერთ-ერთი მიზანი ცოდვილის სინდისის გამოღვიძებაა. იგავში უსამართლო ორგულ მნეს მართლაც შეაწუხებს სინდისი. განაჩენის მოსმენით თავზარდაცემულ მნეს აღმოხდება: **რაი ვყო?** – რა ვქნაო! მნეს პატრონი აუწყებს, რომ მას მნეობის უფლება წაერთმევა: **არღარა ჴელ-გეწიფების ამიერითგან მნეობად.**

იგავის ეს ნაკვეთი უფლის მეტად მნიშვნელოვან იგავურ სწავლებას შეიცავს: მნემ საქმისადმი მხოლოდ და მხოლოდ თავისი უმართებულო, უპატიოსნო დამოკიდებულების გამო დაკარგა მნეობა. ასე კარგავს ადამიანი ღვთისგან ბოძებულ წყალობას, როდესაც იგი ბოროტად იყენებს მას, სცოდავს და თვითონვე იწყვეტს ღვთისგან მონიჭებულ მადლს.

უფალი იმასაც გვასწავლის, რომ ჩვენზე მონდობილ ზეციურ საუნჯეს დიდი სიფრთხილით უნდა მოვეპყროთ. კომენტატორთა ერთი ნაწილის თქმით, ეს არის უფლის იგავური სწავლება სინანულზე, იმის აღიარებაზე, რაც უმართებულოდ, ცოდვისმიერად ჩავიდინეთ. ამას გვიმოწმებს *წმიდა პავლე მოციქულის* გაფრთხილებაც: *„ღმერთი თითოეულ კაცს უბრძანებს, შეინანოს; ვინაიდან დაადგინა დღე, როცა სიმართლით განიკითხავს სამყაროს, მისგანვე განჩინებული კაცის* (ქრისტეს) *მიერ, ვის მიმართ რწმენაც მისცა ყველას, რადგანაც აღადგინა იგი მკვდრეთით“* (ებრაელთა მიმართ 17, 30-31).

მაშასადამე, მდიდარი კაცის პირით უფალი ამ იგავში კიდევ ერთხელ დაგვაფიქრებს მაცხოვნებელ სინანულზე, სიკვდილისა და საბოლოო სამსჯავროსათვის მზადებაზე, რათა ამ ორგული მნის დღეში არ ჩავცვივდეთ და ზეციური მნეობის უფლება სამუდამოდ არ დავკარგოთ.

მდიდრის წინაშე წარმდგარი მნე გვაგონებს **უმოწყალო მონას** – „უმოწყალო მონის“ იგავიდან (მათე 18, 21-35; იხ. „იგავნი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესნი“, 1, 2004, გვ. 36-78). ეს მონა ორგზის წარდგა მეფის წინაშე: ერთხელ, როცა ვალების გადახდა მოსთხოვეს და აპატიეს, იმის იმედად, რომ ის საბოლოოდ მოეგებოდა გონს, მეორედ კი უმოწყალობის ცოდვით დამძიმებული მიჰგვარეს, ოღონდ უკვე არა მოწყალე მეუფეს, არამედ სამართლიან მსაჯულს, რომელმაც სამუდამო სატანჯველი მიუჩინა მას, რადგან ამ მონამ, ორგული მნის მსგავსად, თავისი გაუფრთხილებლობით დაკარგა უფლება ღვთის წყალობაზე, უგუნურად მოიქცა, ბოროტად მოეპყრო მოყვასს და ეს აღარ აპატიეს!

თუმცა, ორგული მნე პატრონმა ჯერ გააფრთხილა, **ამიერიდან** აღარ შეგეძლება მოურაობაო, ანუ დადგა ჟამი, როცა გონს უნდა მოეგო; ახლა მომეცი შენი ანგარიში და, თუ დამტკიცდა, ესე იგი, თუ გონს არ მოეგები, არ აღიარებ შენს ცოდვებს და არ განეშორები მათ – მაშინ კი მართლაც სამუდამოდ წაგერთმევა ეს უფლებაო. **მნის ანგარიშგების** ერთ-ერთი იგავური მნიშვნელობაც ეს არის.

„რაჲ ვყო?“

პატრონის გაფრთხილებით გამოფხიზლებული მნე ფიქრობს: **„რაჲ ვყო, რამეთუ უფალი ჩემი მიმიღებს სამნოსა ჩემსა? საქმედ არა ძალ-მიც, თხო-**

ვად მრცხუენის“ (ლუკა 16, 3) – რა ვქნა? აგერ, ჩემი ბატონი მოურაჯობას მართმევს. სხვა ხელობა მე არ მაქვს და მათხოვობა კი მერცხვინებაო.

მნის ამგვარი დაფიქრება თუ ჩაფიქრება, როგორც განმარტავენ, მის მიერ ცოდვათა აღიარების ტოლფასია. იგავში იგი თავის დამნაშაულს აღიარებს, ხედავს, რომ არაფერი კეთილი მას არ უქმნია. ბატონი მოურაობას მართმევსო, – ამბობს მნე, და ამას უეჭველად მიიჩნევს, არც აპირებს თავის მართლებას, არც იმის იმედი აქვს, რომ პატრონი შეუნდობს. ახლა მარტო იმაზე ფიქრობს, რით, რა საშუალებებით დააღწიოს თავი ამ გამოუვალ მდგომარეობას.

ვიმეორებთ, **სამნოს მიღება**, ანუ მნეობისგან განთავისუფლება, პატრონის მიერ ამ ორგული მნის დათხოვნა, იგავურად ნიშნავს საკუთარი სულის ცოდვებით წარწყმედას, ასევე განუმზადებლობას როგორც სიკვდილისთვის, ასევე ღვთის წინაშე წარდგომისათვის.

მაშასადამე, მნე გონს მოეგო და მთელი სიგრძე-სიგანით განიცადა, რომ იგი სცოდავდა, რის გამოც ღვთის წინაშე ველარ წარდგებოდა განმართლებული. მნემ არ გაიმართლა თავი პატრონის წინაშე, მხოლოდ გულში აღიარა ცოდვები, და ახლა მას, როგორც ერთ-ერთი კომენტატორი შენიშნავს, ერთი ნაბიჯიღა აშორებს სინანულისგან.

იგავის ამ ნაკვეთში, როდესაც ჩაფიქრებული მნე თავზე დატეხილ განსაცდელსა და გაჭირვებას აანალიზებს, ცოდვილ მნეს ჯერ კიდევ არ სწვევია სინანული, იგი მხოლოდ აწონ-დაწონის იმ ვითარებას, რომელშიც საკუთარმა ცოდვათქმნადობამ ჩააყენა.

ორგული მნე ამბობს: **საქმედ არა ძალ-მიც, თხოვად მრცხუენისო**. შესაბამის რუსულ თარგმანში წერია, მიწის თხრა არ შემიძლიაო: копать не могу, ახალ ქართულში კი ვკითხულობთ: თოხნა არ შემიძლია.

საქმე ძველ ქართულში ქმნასა და კეთებას ნიშნავდა. მაშასადამე, მნე დარდობს, რომ მას შრომა არ შეუძლია, შრომას არ არის მიჩვეული. აქამდე მნე საქმეს არ იქმოდა, იმ საქმეს, რომელიც დიდი ძალისხმევით, კეთილსინდისიერებით, გულმოდგინებით, პატიოსნებითა და ერთგულებით ხორციელდება. აი სწორედ ასეთი შრომა იყო მნისთვის უცხო, რადგან იგი უშრომელი, უკანონოდ მითვისებული ნაყოფით ხარობდა და ამგვარ ცხოვრებას იყო მიჩვეული.

საქმე ახალ ქართულ თარგმანში **თოხნით** გადმოიცემა. კომენტატორები ამ იგავურ თქმაში მარხვისა და სინანულის მნიშვნელობას ჭვრეტენ. მნე იმასაც წუხს, რომ აქამდე იგი არც მარხულობდა და არც სინანულს განი-

ცდიდა. მნე დასძენს: თხოვნა მერცხვინებაო. **თხოვნას** (просить) **ლოცვის** მნიშვნელობა ენიჭება იგავში და, მაშასადამე, მნეს აქამდე არც ლოცვით შეუწუხებია თავი.

ასე რომ, უფალმა იგავურად იმ ცოდვილის კლასიკური სახე გამოგვიძერწა, რომლის მსგავსნი დღესაც მრავლად არიან: უკანონო, ზედმეტ შემოსავლებს შეჩვეულები, მოკლებულნი არიან კეთილქმნადობასა და სათნოებებს; სულიერებას მოწყვეტილებს ზეცა არ ახსენდებათ, ათასში ერთხელ თუ აიხედავენ ცისკენ (ისიც ამინდის გამოსაცნობად ან ჭექა-ქუხილისას); სულის საზრდოს არსებობაზე, როგორც წესი, წარმოდგენაც არ აქვთ, რომ აღარაფერი ვთქვათ ეკლესიური ცხოვრების წესზე, რომელიც დაუცხრომელი მარხვა-ლოცვითა და გულწრფელი სინანულით უნდა იყოს აღსავსე.

ვინც საკუთარ ყოველდღიურ ცხოვრებაში კანონად დაიწესებს მარხვასა და ლოცვას, აღსარებას, სასოებითა და კრძალვით მიიღებს სინანულისა და ზიარების წმიდა საიდუმლოებს და ამას ცხოვრების წესად დაიმკვიდრებს, იგი აღარ იტყვის ორგული მნის მსგავსად: საქმე არ ვიცი, თოხნა არ შემიძლია და თხოვნაც მრცხვენიაო.

ვინ იცის, ჩვენც რამდენჯერ გვითქვამს: მრცხვენია, როგორ ვთქვაო, და აღარ მოვსულვართ აღსარებისთვის, კიდევ ერთხელ გადაგვიდვია სულისათვის ესოდენ საშური, ყველაზე უფრო სასარგებლო წმიდა საიდუმლოს აღსრულება; რამდენჯერ ვერ გვილოცია გულიდან ამოხეთქილი ლოცვით და აქაც იმავე მიზეზს შევუფერხებივართ, რადგანაც სირცხვილს გადაუფარავს წადილი გადარჩენისა.

უფალიც ამას ამხელს, ამას დაგვანახვებს, და თან ტკბილად გვანუგეშებს: ნუ შეგრცხვება, რადგან არათუ შენი ცოდვა, შენი თმის ყოველი ღერი მაქვს აღრიცხული; ესეც იცოდე, რომ მე სულმოუთქმელად ველოდები შენს სინანულსა და აღსარებას, რადგან იმაზე მეტად მინდა შენი გადარჩენა, ვიდრე შენ თვითონ გაქვს ამის სურვილი.

სინანულის ნაყოფი სათნოებაა

გონს მოსული ორგული მნე მიხვდა, რომ მას იმგვარი ცხოვრების წესისათვის უნდა მიემართა, სადაც, მარხვა-ლოცვასა და სინანულთან ერთად, მოწყალებისა და სათნოებისთვისაც უნდა მიეჩინა ადგილი. ამიტომ ამბობს იგი:

„უწყი, რაჲ ვყო, რაჲთა რაჟამს გარდაჰდგე მნეობისგან, შემიწყნარონ მე სახლთა მათთა“ (ლუკა 16, 4) – ვიცი, რაც უნდა ვქნა იმისთვის, რომ თავიანთ სახლებში (ოჯახებში) მიმიღონ, როცა მოურაობას ჩამომართმევენო. მნე თავისი პატრონის მოვალეებს გულისხმობს, რომლებსაც იგი დაუყოვნებლივ მოიხმობს სათითაოდ.

საგანგებოდ მიაქცევენ ყურადღებას იმას, რომ ეს მოვალეები, **თანამდებნი,** სწორედ პატრონის მოვალეები არიან და არა მნისა, ესე იგი, პატრონის, ანუ უფლის ვალი აქვთ და, მაშასადამე, ცოდვილნი არიან. როგორც იგავიდან ჩანს, მნემ ეს მოვალეები შეავიწროვა და მოატყუა. ესე იგი, მან მოყვასისადმი სიყვარულის, მოყვასობის ქრისტიანული მცნება დაარღვია.

მაგრამ მნეს გაუჩნდა იმედი, სასოება იმისა, რომ ჯერ კიდევ შეიძლებოდა საქმის გამოსწორება და, თავისი უსაქმურობის, უპატიოსნობის, არაკეთილსინდისიერების წილ, იგი შეძლებდა პატრონისთვის, ანუ ღვთისათვის, მოსაწონი, სათნო საქმის ქმნას.

ამ საქმეს მოწყალების სათნოება ჰქვია.

სულის საცხონებლად

„ორგული მნის“ ამ ნაწილში (მხედველობაშია მნის ჩაფიქრება, განსჯა და გადაწყვეტილების მიღება) უფალი თავის კიდევ ერთ მნიშვნელოვან იგავურ სათქმელზე ამახვილებს ჩვენს ყურადღებას:

მარხვაც, ლოცვაც, სინანულიც და სათნოებაც კაცმა სიცოცხლეში უნდა მოასწროს, თორემ, სიკვდილის შემდეგ იქ, იმქვეყნად, ამისთვის აღარც ადგილი იქნება და აღარც დრო.

„მდიდარი და გლახაკი ლაზარეს“ იგავში უფლის მიერ საგანგებოდ ვითარდება ეს აზრი, კერძოდ, ის, რომ ჯოჯოხეთში გვიანღაა თითზე კბენანი. ასევე დააგვიანდა ხუთ უგუნურ, სულელ ქალწულს და სასუფევლის კარიც მათ იმავე მიზეზით დაეხშოთ, რადგან დროულად არ მოიმარაგეს ზეთი და ლამპრებიც ვერ მომართეს, ანუ განმზადებულნი ვერ შეეგებნენ შუაღამით მოულოდნელად მობრძანებულ ზეციერ სიძეს.

სწორედ ასევე, ჯოჯოხეთში მყოფი ცოდვილი ვერც თოხნას, ვერც იმ სათნო საეკლესიო საქმეებს, ვეღარც ლოცვას შეძლებს და ვეღარაფრით გადაირჩენს თავს, რადგან ჯოჯოხეთში არც ოქროა მიწაში დამარხული, რომ ამოთხაროს, და ვეღარც სინანულის ცრემლი წამოედინება თვალთა-

გან, ვეღარც მის ხვეწნა-მუდარას შეისმენს ვინმე და ვეღარც ვეღარავინ შეეწევა, არამედ მხოლოდ ჯოჯოხეთის აღუსებელი ხახა შემოაჩერდება, და იქნება „იქ ტირილი და ღრჭენა კბილთა“,‘ანუ მარტო იმის სინანული, რომ უკვე გვიანაა – სამარადისოდ დაგვიანებულია!

ამავეს ბრძანებს *სოლომონ ბრძენი* თავის იგავებში: *„იქ ღატაკთა კვნესის წამყრუებელი თავადაც იყვირებს, მაგრამ არ იქნება შეწყნარებული“* (21, 13).

ასე რომ, მნის ჩაფიქრება და გონს მოსვლა იგავურად ცოდვილის იმ სულიერ მდგომარეობას გვიხატავს, როდესაც იგი აღსასრულზე, სიკვდილზე, ამქვეყნიდან იმქვეყნად გადასვლაზე ჩაფიქრდება და თავისი ცოდვების სიმძიმეს იგრძნობს. იგი შეიგნებს, რომ სიკვდილის შემდეგ უკვე ყველაფერი გვიან იქნება, და გადაწყვეტს, როგორმე შეიმსუბუქოს ეს უმძიმესი ტვირთი, რომელიც თავისივე ხელებით შეკრა საგულდაგულოდ და ქედზეც დაიდო, რაც ჯოჯოხეთის ცეცხლოვან ტალღებში დანთქმას უქადის.

ამგვარ სულიერ მდგომარეობას ადამიანი დიდხანს ვერ უძლებს და იგი, ადრე თუ გვიან, აუცილებლად შეეცდება, მოძებნოს გამოსავალი, რაც მას გადარჩენისა და ხსნის გზად ესახება.

„და მოუწოდა კაცად-კაცადსა თანამდებსა“

ორგული მნეც იღებს ასეთ გადაწყვეტილებას: მან ისე უნდა წარმართოს თავისი მომავალი ცხოვრება, რომ პატრონის **მოვალეებმა**, ანუ მისმა მოყვასებმა, მის გვერდით მყოფმა მეგობრებმა და ძმებმა, თავიანთ ოჯახებში მიიღონ.

მაშასადამე, აქამდე იგი მათგან შორს იჭერდა თავს, არ კადრულობდა, არც მისვლა-მოსვლა ჰქონდათ – მოკლედ, ისინი შორი-შორს იყვნენ და არც სიყვარული სუფევდა მათ შორის. **სახლში, ოჯახში მიღება** იგავში სწორედ მათ სიახლოვეს, ერთობასა და სიყვარულს ნიშნავს.

მოვალეებში ზოგი მოყვასს ხედავს – მოყვასს, რომელიც მნეს ისე უნდა ჰყვარებოდა, „ვითარცა თავი თჳსი“. შენიშნავენ, რომ მოვალეები არ უნდა იყვნენ მონები, რადგან მათ, ჯერ ერთი, საკმაოდ დიდი რაოდენობის ზეთი და ხორბალი აქვთ აღებული ვალად, მეორეც, მონებს ვალად არაფერს აძლევდნენ, ისინი ყოველმხრივ უუფლებონი იყვნენ და არც ვალის აღება შეეძლოთ.

ეს მოვალეები არც ღარიბი მეზობლები უნდა იყვნენ ამ მდიდარი პატრონისა და არც დაქირავებულნი. იგავში ნახსენებია თანამდები, ანუ მოვალე, რასაც, ცხადია, თავისი იგავური მნიშვნელობა აქვს. უკვე ითქვა, რომ ისინიც, მნის მსგავსად, პატრონის მოვალეები არიან, ანუ, იგავურად, ისეთივე ცოდვილნი და უქონელნი ღვთის წინაშე, როგორც ეს მნეა.

სხვები ბრძანებენ, რომ ეს მოვალეები ანგელოზები და მართალთა სულებიც შეიძლება იყვნენ. თუმცა სამართლიანად შენიშნავენ, რომ ერთი იგავური სახისთვის ერთდროულად რამდენიმე განსხვავებული მნიშვნელობის მინიჭება არაერთ წინააღმდეგობას წარმოშობს, რაც არ არის მართებული.

„ორგული მნის" იგავის კომენტატორთაგან უმეტესობა ამ მოვალეებს კონკრეტულ იგავურ მნიშვნელობას მიაწერს: ესენი ღატაკები არიანო, – ამბობენ ისინი, – ის ღატაკები, რომელთაც მნის მიერ მოხვეჭილი ქონება ეკუთვნით. რადგან ღმერთმა ერთადერთი მიზნით გვიბოძა ყოველივე, რაც გვაქვს: სიცოცხლე, ჯანმრთელობა, ქონება, თანამდებობა, ცოდნა, უნარი – ეს ყველაფერი მოყვასის სამსახურებლად მოგვეცა ღვთისგან.

უფლის იგავის განმარტების გამიზნულობა

იგავში ჩანს ორი მოვალე. ცხადია, ამ მდიდარ კაცს გაცილებით მეტი მოვალე ეყოლებოდა. მაგრამ უფალმა იგავში მარტო ორი მაგალითი წარმოადგინა იმის საჩვენებლად, თუ როგორ განახორციელა მნემ თავისი გადაწყვეტილება.

ამიტომ, სამართლიანად გვაფრთხილებენ კომენტატორები და წმიდა მამები, რომ იგავური სათქმელის განჭვრეტისას არ შეიძლება, რაიმე გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭოს იმას, თუ რატომ არის იგავში მარტო ორი მოვალე; ან: რაღა მაინცდამაინც ზეთისა და ფქვილის გამო მახვილდება ყურადღება, და სხვა მისთანები.

ზეთი და ღვინო აქ, ამ იგავში, მართლაც არ განსაზღვრავს და არ ატარებს რაიმე ღირებულ იგავურ მნიშვნელობას, როგორც ეს არის, მაგალითად „ათი ქალწულის" იგავში, სადაც ლამპრების გასამართი ზეთის მოუმარაგებლობა სულიერ მოუმზადებლობაზე მიგვანიშნებს; ან კიდევ „უძღები შვილის იგავში" ზვარაკის დაკვლა, რაც სულიერი ნუგეშით გაძღომის ტოლფასია; ანდა „მეფის ძის ქორწილისა" და „დიდებული სერობის" იგა-

ვებში დაგებული პური, რომელიც ქრისტეს წმიდა ხორცის გამომხატველია იგავურად.

ეს ორი მოკალე და მათ მიერ ხელახლა გადაწერილი ხელწერილები „ორგული მნის" იგავში მხოლოდ სიუჟეტური ქსოვილის, ბუნებრივი იგავური თხრობის ერთ-ერთი დეტალია, რომლითაც მნის გადაწყვეტილების განხორციელების ეპიზოდი იძერწება იგავში. უფალი იგავის ამ ნაკვეთით გვიჩვენებს, რომ მნემ საგანგებო გადაწყვეტოლება მიიღო და განახორციელა კიდეც.

ამჯერად პირდაპირი, ზედაპირული შინაარსი ამოვიკითხოთ „ორგული მნის" იგავის იმ ნაწილიდან, სადაც მნე თავის გადაწყვეტილებას განახორციელებს. მნე მანამდეც ატყუებდა თავის პატრონს და თავის გადასარჩენად ახლაც ტყუილი მოიფიქრა.

„უწყი, რაჲ ვყო": მნის გონიერება

უწყი, რაჲ ვყო — ვიცი, რაც უნდა გავაკეთოო! ერთ-ერთ კომენტატორს მიაჩნია, რომ ეს წამოძახილი უცაბედად გაჩენილი აზრის შედეგია, თითქოს მისმა უიმედო, უკიდურესად გამოუვალმა მდგომარეობამ აპოვნინა მნეს ეს გზა: მნე ხომ შრომას არ იყო ჩვეული, შავი დღისთვის არაფერი შემოუნახავს, მოწყალების თხოვნაზე კი ფიქრიც არ უნდოდა, და ახლა, როცა დრო აღარ ითმენს, სწრაფად უნდა იმოქმედოს.

სწორედ ამ დროს სჭირდება ხოლმე კაცს გაბედულება. და მნემ თავისი გაბედულება **სიცრუის მოფიქრებით** გამოიჩინა. მან სახელდახელოდ, ნაუცბათევად შეადგინა გეგმა, ოღონდ — ისევ უპატიოსნო, ისევ ტყუილსა და სიცრუეზე დაფუძნებული. მაგრამ ეს იყო უბედურებისგან თავის დასახსნელი გეგმა, რაც ითვალისწინებდა მოკალეებთან გარიგებას.

გაწბილებულმა მნემ ამ გეგმის შემწეობით დააპირა სიღატაკის, შერცხვენისა და მარტოსულობის არიდება. მუდამ ასეა, — ბრძანებენ კომენტატორები, — არაკეთილსინდისიერი საქმე აუცილებლად ბადებს სხვა, ახალ, მეორე არაკეთილსინდისიერ საქმეს, მეორე — მესამეს, და ასე გაიბმება ხოლმე ცოდვათქმნადობის ჯაჭვი.

მაგრამ ამ სიუჟეტური ნაწილით იგავში უფალი იმას მიგვანიშნებს, რომ ტყუილს შეჩვეულ და ტყუილებით დახელოვნებულ კაცს ისევ და ისევ ტყუილით გაჯერებული ხერხი მოაფიქრდება ხოლმე, რადგან რაც იცის, იმას იქმს!

ეს მნე იმედებს იმაზე ამყარებს, რაშიც უკვე გამოცდილი პყუს საკუთარი თავი – ეს არის მოხერხებულობა და ცბიერება. დიდ ჭკუასა და მიხვედრილობას რომ გამოიჩენს ხოლმე კაცი, ვთქვათ, დაწინაურებით, კარგი ლუკმის ხელში ჩაგდებით ან ვინმეს ნდობის სარგებლობით, აღფრთოვანებულნიც კი ვამბობთ: რა კარგად, რა ეშმაკურად მოახერხაო.

მნის არაკეთილსინდისიერება იმითაც ჩანს იგავში, რომ მან მოვალეები იხმო ცალ-ცალკე – კაცად-კაცადსა მოუწოდა, რათა ყველასთვის არ გაცხადებულიყო ტყუილი. მნე ამ მოვალეებსაც მიაღებინებს მონაწილეობას თავის მალვით ქმნილ არაკეთილსინდისიერებაში – ტყუილში.

თუმცა ამჯერადაც, კომენტატორების რჩევით, ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ ამ ხელწერილების გადაწერას, რათა არაფრის მთქმელი განმარტებები არ შეგვრჩეს ხელთ. ვიმეორებთ, იგავის ამ მონაკვეთში მნიშვნელოვანია მნის მიერ არაკეთილსინდისიერი გზის არჩევანი, რითაც ის თავის გადარჩენას ცდილობს.

მნისა და მოვალეების „შეთქმულება“

ხელწერილების მიხედვით, ორ მოვალეთაგან ერთს მდიდარი პატრონისა მართებს 100 საწნეხელი ზეთი, რაც რამდენიმე ათასი ლარის ღირებულების ზეითუნის ზეთს უტოლდება. მეორის ვალი, იგავის მიხედვით, 100 სათოველია, ანუ 100 კოდი ხორბალია, რაც პირველ ვალზე მეტი ღირებულებისაა. სწორედ ეს იყო ჩაწერილი ორი მოვალის ხელწერილებში, როდესაც მათ მდიდარი პატრონისგან ორგული მნის შუამავლობით სესხი აიღეს.

მაგრამ იგავის მკითხველისთვის ისიც ამკარაა, რომ არც ერთის და არც მეორის ღირებულება სინამდვილეს არ შეესაბამება. ის, რაც მნემ თავდაპირველად ჩააწერინა მოვალეებს ხელწერილებში, რეალურზე მეტი ოდენობაა. 100 საწნახელ ზეთსა და 100 კოდ პურში მნემ პატრონის მიერ დადებულ ფასზე მეტი გამოართვა მოვალეებს და სხვაობა მიითვისა.

მნემ ამ მოვალეების გაჭირვებით ისარგებლა, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ორგულმა მნემ ბოროტად გამოიყენა თავისი მდგომარეობა: პატრონსაც უორგულა, ზედმეტი ფასის დადებით მოატყუა, და მოვალეებსაც გამოსძალა, მათ ხარჯზე მოითბო ხელი. როგორც ჩანს, მნეს ჩვეად ექცა ამგვარი მომხვეჭელობა, ჩვეა კი რჯულზე უმტკიცესია, განსაკუთრებით მაშინ, როცა ჩვეას ხელმრუდობით გამოზრდი და უპატიოსნობით გააჯერებ.

იგავში უფალი სწორედ ამას მიგვანიშნებს, როდესაც მნისა და მოვალეების „შეთქმულების“ სურათს გვიხატავს. მნე თითოეულ მოვალეს ეკითხება: **რაოდენი თანა-გაც უფლისა ჩემისა?** – რამდენი გმართებსო ჩემი პატრონისა. ხელწერილებში ჩაწერილი ვალი – **100 საწნეხელი ზეთი** და **100 კოდი პური** – ასახავს მნის სიცრუეს, ორგულობას და არაკეთილსინდისიერებას, რადგან ჩაწერილი ვალის ოდენობა, როგორც უკვე ითქვა, არ ემთხვევა პატრონისგან დადებულ ფასს.

მდიდარმა პატრონმა თავის მნეს სამნეო ანგარიში მოსთხოვა იმის დასტურად, მართლები იყვნენ თუ არა ის დამსმენები, რომლებმაც მნის ორგულობა გაამჟღავნეს.

რაჲ ეყო? – ასე იკითხავს შერცხვენილი და გაწბილებული მნე. მართლაც, რა უნდა ექნა მნეს, რა უნდა მოემოქმედა, რომ ანგარიშიც გაესწორებინა და თავისი შეცდომაც გამოესწორებინა? მნე თავისუფალი იყო თავის არჩევანში: მას შეეძლო, მთლიანად გაენადგურებინა ხელნაწერები, ანუ ანგარიში მოესპო. მაგრამ ეს იქნებოდა მისი დანაშაულის ყველაზე დიდი მტკიცებულება. მნეს თავის მართლებითაც შეეძლო, ეცადა საკუთარი მდგომარეობის გამოსწორება. მაგრამ მან სხვა გზა აირჩია: ჯერ მოვალეებთან აღადგინა სამართლიანობა: მათ ის დაუბრუნა, რაც წართაცა და გამოსძალა. მხოლოდ ამის შემდეგ აპირებდა პატრონისთვის თავისი ანგარიშის წარდგენას.

ყოველივე ეს მნემ მეტად მოხერხებულად განახორციელა: ცალ-ცალკე იხმო თითოეული მოვალე, შეუმცირა ვალის ოდენობა და ხელახლა გაუფორმა სესხი, ახალი ხელწერილები დააწერინა. გადაწერილ ხელწერილებში მოვალეებს მნემ იმ ოდენობის ვალი ჩააწერინა, რაც სინამდვილეში ჰქონდათ მისაცემი მდიდარი პატრონისათვის.

„ასი საწნეხელი ზეთისაჲ“ და „ასი სათოელი იფქლისაჲ“

ერთი მოვალის 100 საწნეხელი ზეთი მნემ 50-ით შეანაცვლა, მეორის 100 კოდი ხორბალი კი – 80-ით. ეს იმას ნიშნავს, რომ თავისი ორგულობით მნემ პირველი მოვალისგან ერთი იმდენი მოიხვეჭა, რამდენიც სინამდვილეში ჰქონდა ამ მოვალეს. მეორისაგან კი მნეს მოხვეჭილი ჰქონდა 20 კოდი ხორბლის ღირებულება, ესე იგი, სინამდვილეში არსებული ვალის მეხუთედი.

ასე რომ, 50 საწნახელი ზეთი და 20 კოდი ხორბალი მნის უპატიოსნობაზე ღაღადებს იგავში და იმ ზარალზეც მიგვითითებს, რაც მან თავის მოყვასს მიაყენა.

ვალის ოდენობათა სხვა, უფრო ღრმა იგავური მნიშვნელობის ძიებისგან ამ იგავის კომენტატორები თავს იკავებენ. თუმცა კაკკასიის *არქიეპისკოპოს სილვესტრისა* და *ბორის გლადკოვის* განმარტებით, სხვადასხვა ოდენობით ვალების ჩამოჭრა იმასაც უნდა მიგვანიშნებდეს, რომ გონს მოგებულმა მნემ ბრმად არ გაიღო მოწყალება. მან წინდახედულად, აწონ-დაწონილად გადაანაწილა მოხვეჭილი და მითვისებული ქონება. *ნშიდა გრიგოლი დიდი* ბრძანებს: *„იცოდე, თუ სამართლიანად და პატიოსნად მოიპოვე, მაგრამ არასწორად გაანაწილე – მაინც შესცოდე“.*

არქიეპისკოპოს სილვესტრის თქმით, უფალს იმის თქმა სურს, რომ მისთვის სათნოა გულმხურვალე სინანულით აღძრული და გულწრფელად გაცემული მოწყალება: მცირეს გასცემ თუ დიდს, თუკი გაცემა არ გენანება, ზეციური ჯილდო აუცილებლად გერგება მომავალ ცხოვრებაში.

სხვათა შეხედულებით, სწორედ მნის სინანული აღიბეჭდება ახლად გადაწერილ ხელწერილებში, რადგან ძველი ხელწერილებიდან მან ამოძირკვა ცოდვის მიზეზი – მომხვეჭელობა, უპატიოსნობა, ტყუილი, სიცრუე და ორგულობა, ანუ თავისი ცოდვილი ცხოვრების წესი, და ასე მისცა სინანულის ცეცხლს ძველი ხელწერილები.

ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ძველი ხელწერილების განადგურება სინანულის გზას გამოხატავს, რადგან მნემ უარი თქვა მისთვის ჩვეული ცხოვრების წესზე და ახალი ცხოვრების წესს მიმართა. ახალ ცხოვრებას იგი წყალობის გაცემით, სათნოებათა გამრავლებით შეუდგა.

ხსენებული ჩამოჭრილი 50 და 20 ოდენობის ვალები იგავურად სწორედ მნის სათნოებისა და წყალობის გაცემას გამოხატავს. ეს იგავური ალეგორია – ჩამოჭრილი ვალები – მნის მიმტევებლობაზეც მეტყველებსო, – ბრძანებენ კომენტატორები, რადგან ახალი ხელწერილებით მან მიტევებაც გამოითხოვა პატრონის მოვალეებისგან, რომელთა წინაშეც ანგარების მძიმე ცოდვა ჩაიდინა.

და მომიტევენ ჩუენ თანანადებნი ჩუენნი, ვითარცა ჩუენ მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩუენთა – არ შეიძლება, „მამაო ჩუენოს“ ეს საკვლერებელი სიტყვები არ გაგვახსენდეს, რადგან სიცრუის მნემ მიტევება მოყვასისგანაც გამოითხოვა, და ცოდვებით დაბზარულ თავის გულსაც უებარი საკურნებელი მალამო სცხო, იმის სასოებითა და იმედით, რომ ეს სათნოებანი

პატრონის რისხვას დააცხრობდა და, იქნებ, მისგან მიტევების ღირსიც გამხდარიყო.

ასე რომ, მნის მიერ ხელწერილების ხელახლა გადაწერა ამ კომენტატორთა განმარტებით, იგავში გამოხატავს ცოდვილის მცდელობას, გამოიღოს სინანულის კეთილი ნაყოფი, მოწყალებისა და სათნოებათა გზით მოიპოვოს უფლება და ღირსყოფა შენდობისა.

არსობრივად, ეს არის მონდომება და მისწრაფება სულიერ-ზნეობრივი კრიზისისგან თავის დაღწევისაკენ. ეს სურვილი მას შემდეგ აღეძრა ცოდვილ ორგულ მნეს, რაც მისი ცოდვები გაცხადდა და, უკანასკნელი გაფრთხილების ნიშნად, საყვედური მიიღო პატრონისგან. ამ მხილებამ მოიყვანა იგი გონს, დაანახვა აქამდე ჩვევად ქცეული თავისი უკეთურობა და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, აღუძრა შიში როგორც პატრონის მიმართ, ასევე საკუთარი გარდაუვალი სასჯელისა და საუკუნო წარწყმედის გამო.

სწორედ ამგვარია გზა და მსვლელობა, თანამიმდევრობა ცოდვილის სულიერი ფერისცვალებისა, მისი სულიერი ახალშობისა.

ამასთან დაკავშირებით ორი განსხვავებული შეხედულება გაჩნდა „ორგული მნის“ იგავის კომენტირებისას: ერთნი მდიდარი პატრონის მოწოდებასა და გაფრთხილებას განმარტავენ, როგორც ანგარიშსწორებას სიკვდილის შემდეგ. მეორეთა აზრით კი ეს არის მხოლოდ ცოდვილის გონების განათება და ღვთის მოწოდება განსაცდელებით, სნეულებებით, უბედურებებით, გაჭირვებითა და ახალი არჩევანით, რაც მართლაც ჩააფიქრებს ხოლმე მანამდე მიძინებულ და ცოდვას მიჩვეულ ადამიანს – ჩააფიქრებს კიდეც და დააფიქრებს კიდეც თავის განვლილ უსწორმასწორო ცხოვრების გზაზე, აწმყოსა და მომავალზე, სიკვდილსა და სიკვდილის შემდგომ არსებობაზე. მოკლედ, ანგარიშის მოთხოვნა იგავში იმ დიდებულ გზასა და საშუალებას გამოხატავს, რისი მეოხებითაც ღვთისგან განშორებული ღვთისკენ მიიქცევა, ცხადია, თუკი ცოდვილმა ისმინა ღვთის მოწოდება.

ამგვარი განმარტება იმითაც არის უპირატესი, რომ სიკვდილის შემდეგ შეუძლებელია ანგარიშის ჩაბარება, ანუ სინანული და სიკეთის ქმნა. სულისა და ხორცის გაყრის შემდეგ იწურება ჟამი სინანულისა და დგება ჟამი მარადიული სამკვიდრებლის მიღებისა: ან ნეტარებისა და ცხონებისა, ან ჯოჯოხეთისა და წარწყმედისა.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ „ორგული მნის“ იგავის განმარტებისას იკვეთება ორი ხაზი, განმარტების ეგრეთ წოდებული ძველი და ახალი მიმართულება: ერთი მხრივ, ადრინდელი წმიდა მამების თარგმანებანი და, მეორე მხრივ, XIX-XX საუკუნეების კომენტატორთა განმარტებანი.

წმიდა მამები (*ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი, ნეტარი აგუსტინე* და სხვანი) იმ ვითარებას, რომელშიც ორგული მნე აღმოჩნდა, ცოდვათქმნადობის შედეგად წარმოშობილ მდგომარეობას ამსგავსებენ. ცოდვისმიერი ცხოვრების წესის მხილება ორგულ მნეს აიძულებს, დაფიქრდეს თავის განელილ ცხოვრებაზე, ცოდვებით გაუკულმართებულ წესზე, რის შედეგადაც იგი ცდილობს, უარი თქვას ცოდვაზე. ცოდვილის სულიერი მდგომარეობა იგავში პატრონის ქონების უსამართლოდ მოხვეჭით გამოიხატება, როდესაც მნე თავის მოვალეობას ბოროტად იყენებს და სხვისთვის განკუთვნილ სიმდიდრეს თავისთვის შემოინახავს.

ნეტარი თეოფილაქტეს თქმით, მნის გონზე მოსვლა და ხელწერილების ხელახლა გადაწერა არის იგავური მინიშნება იმაზე, რომ ცოდვილმა აუცილებლად უნდა თქვას უარი სიცრუეზე, ანუ ცოდვაზე, და მითვისებული დაუბრუნოს იმას, ვისაც იმთავითვე ეკუთვნოდა. ეს არის აუცილებელი წინაპირობა იმისათვის, რომ მნე უფლის რისხვას გადაურჩეს.

მნე ამბობს: **„რაჟამს გარდავდგე მნეობისგან, შემიწყნარონ მე სახლთა მათთა“** (ლუკა 16, 4). ეს **სახლები**, – ბრძანებს ნეტარი მამა, – ღატაკთა და უქონელთა სახლებია, ანუ იმათი, ვისაც მნე ატყუებდა, ასევე იმათი, ვისთვისაც თავისი უკანონოდ მოხვეჭილი ქონება უნდა გაეცა მოწყალების სახით. ქონების დაბრუნებით კი ცოდვილი მნე ღვთის წინაშე ლოცვით შუამდგომლობას მიიღებს მოყვასთაგან და ზეციური სამკვიდრებლის კარი განეღება.

„ორგული მნის“ იგავის შინაარსის ამგვარად გააზრებისა და მისი სათქმელის ამგვარად ამოკითხვის შემდეგ, – გვეუბნება *ნეტარი მამა თეოფილაქტე*, – განსამარტავი სხვა აღარაფერი დაგვრჩება ამ იგავში. ნეტარი მამა შეგვახსენებს *სოლომონის* იგავებში თქმულს:

„ღარიბ-ღატაკის გამკითხავი სესხს უფალს აძლევს და ის მიუზღავს სამაგიეროს“ (19, 17).

წმიდა დავით მეფსალმუნე ბრძანებს:

„მარადღე სწყალობს და აკასხებს (გაასესხებს) *მართალი, და ნათესავი მისი კურთხეულ იყოს“* (ფსალმუნნი 36, 26).

წინა საუკუნის ერთ-ერთი რუსი კომენტატორი, *ბორის გლადკოვი*, ეთანხმება ნეტარი მამის ამგვარ განმარტებას და დასძენს, რომ ანგარიშსწორებისთვის მზადებით, ანუ ხელწერილების გადაწერით, მნემ მხოლოდ უარი თქვა ბოძებულზე, თავისი მოვალეობის ბოროტად გამოყენებაზე. ამავე კომენტარით, იგავში არ ჩანს, რომ მნეს რაიმე სიკეთე ექმნას და მოწყალება ან სხვა რამ სათნოება გაეღოს. მან მხოლოდ უსამართლობას მოუღო ბოლო: ის, რაც პირველად სიცრუით, მოტყუებით ჩაწერა ხელწერილებში, მარტო ამ მოვალეებს აზარელებდა და არა პატრონს, რადგან, როგორც ითქვა, მნე პატრონის მიერ დაწესებულ ფასს უმატებდა და მხოლოდ სხვაობას ითვისებდა, პატრონს კი კუთვნილს აძლევდა.

ამის მანიშნებელია ის გარემოება, რომ იგავში არ ჩანს, დაუბრუნა თუ არა მნემ პატრონსა და მოვალეებს თავად ვალი, რადგან ორგულმა მნემ მოვალეებს მხოლოდ პატრონისგან დაწესებული ფასები ჩააწერინა ხელახლა.

ამის შემდეგ მნე პატრონის წინაშე, *გლადკოვისაც* ვარაუდით, მოწესრიგებული ანგარიშებით წარდგებოდა და, ესე იგი, კანონით აღარ იქნებოდა დამნაშავე (რითაც იმ დამბეზღებლების მეცადინეობა ამაოდ ჩაიყლიდა). ამ მნის საქციელიდან თუკი რაიმე იმსახურებდა შექებას, – განაგრძობს იგივე კომენტატორი – მარტო ის, რომ მან დიდი მიხვედრილობა და გონიერება გამოიჩინა ამ მეტად უმძიმესი მდგომარეობიდან თავის დასაღწევად.

მართლაც, ამ მნის ქცევა ორი მხრივ შეიძლება განვიხილოთ: ერთია მნის სიცრუე, როგორც დასაძრახისი ქცევა, მაგრამ, ამავე დროს, იგივე სიცრუე მნის გონიერებასა და წინდახედულობაზეც მეტყველებს.

გავიხსენოთ, როგორ იქცევა ხოლმე განსჯის სხვადასხვა თუმად, ერთი მხრივ, უკეთური ადამიანის პატივმოყვარეობა და ბოროტება, მეორე მხრივ კი მისივე ენერგიული მიზანსწრაფულობა და თავგამოდება, რასაც იგი იჩენს ხოლმე თავისი არცთუ კეთილშობილური მიზნების მისაღწევად.

ამ იგავშიც ასეა: უფალი ითვალისწინებს და ერთმანეთისგან განასხვავებს მნის სიცრუესა და წინდახედულობას: პირველის გამო იგავში იგრძნობა უფლისმიერი საყვედური, მეორეს კი, წინდახედულობას, უფალი იწონებს, და თავის მიმდევრებს თითქოს აგულიანებს კიდეც, ვინაიდან სულის ცხონების უზენაეს საქმეში მართლაც მნიშვნელოვანია წინდახედულობა და მიზანსწრაფულობა.

ამ აზრს უფალი წმიდა ლუკას სახარებაში იქვე, მე-16 თავში „ორგული მნის“ იგავს მოდევნებული შეგონებითაც გვაწვდის:

„სჯული და წინაჲსწარმეტყველნი – ვიდრე იოანესამდე: მიერითგან სასუფეველი ღმრთისაჲ ეხარების, და ყოველივე მისა მიმართ იიძულების“ (ლუკა 16, 16).

ეს შეგონება მეორდება წმიდა მათეს სახარებაში:

„იოანე ნათლისმცემელის დღეებიდან აქამდე ცათა სასუფეველი იძულებით მიიღწევა, და რომლებიც აიძულებენ თავს, მიიტაცებენ მას“ (მათე 11, 12).

წმიდა იოანე ოქროპირის განმარტებით, იძულებაში მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი თავის იძულება იგულისხმება, კერძოდ, ის, რომ ჩვენ ყველანაირ ღონეს უნდა მივმართოთ, რათა, ბოლოს და ბოლოს, ვაიძულოთ საკუთარი თავი და უარი ვთქვათ ცოდვაზე, ოღონდ უარი უნდა ვთქვათ ჩვენივე ნებით, საკუთარი სურვილითა და მისწრაფებით, გულმოდგინებითა და გონიერებით – ანუ იმით, რაც იგულისხმა ჩვენმა უფალმა ორგული მნის უკვე მრავალჯერ ხსენებულ გადაწყვეტილებასა და ხელწერილების ხელახლა გადაწერაში.

აქვე გავიხსენოთ *შოთა რუსთაველის* ღრმად ქრისტიანული შეგონება: **„რაც არა გწადდეს, იგი ჰქმენ, ნუ სდევ წადილთა ნებასა“**, რომელიც სრულად ესადაგება იძულების ახლახან განმარტებულ ქრისტიანულ შინაარსს.

ეს რუსთველური სწავლება მეორე უფლისმიერი შეგონებისკენაც გვახედებს:

„რომელსა უნებს შემოდგომად ჩემდა, უარ-ყოს თავი თჳსი და აღიღონ ჯუარი და მომდევდინ მე; რამეთუ რომელსა უნდეს განრინებად სულისა თჳსისა, წარიწყმიდოს იგი; და რომელმან წარიწყმიდოს სული თჳსი ჩემთჳს, მან პოოს იგი“ (ლუკა 9, 23).

„ორგული მნის“ იგავის განსახილველ ნაწილში არსებულმა ორაზროვნებამ – სიცრუის მნის თვალთმაქცობამ და ამ თვალთმაქცობის შექებამ – არ უნდა გაგვაკვირვოს. გავიხსენოთ, რამდენჯერ აღვფრთოვანებულვართ მოხერხებული კაცის გონიერებით, მისი გონივრული ნაბიჯით მაშინაც კი, როცა ეს მოხერხება მან უკეთურ საქმეში გამოიჩინა. ამ დროს ჩვენ, რა თქმა უნდა, მის საქციელს კი არ ვიწონებთ, არამედ გვიკვირს მისი გამომგონებლობა, სიმარჯვე და მიხვედრილობა, და უნებურად შევაქებთ კიდეც, თან გულიც გვწყდება, რომ ყოველივე ეს – ჩვენ მიერ შექებული ჭკუა და უნარი – კეთილი საქმისკენ არ იყო მიმართული.

ძველთაგან თქმულა: ყოველივე, რაც დაშორებულია სამართლიანობისა და ზნეობრიობისგან, უფრო ცბიერებაა, ვიდრე სიბრძნე, რაც სრულად მი-

ესადაგება ორგული მნის საქციელსა და ზნეობას. მაგრამ „ორგული მნის“ იგავის სათქმელი უფრო მეტს იტევს, რასაც უფალი იგავს მოდეენებული შეგონებებით ავითარებს.

„ორგული მნის“ იგავის პირველი შეგონება

„ორგული მნის“ იგავს უფალი რამდენიმე შეგონებას დაურთავს. უფლის იგავთაგან ამ მხრივ მართლაც გამორჩეულია „ორგული მნის“ იგავი. ჩანს, ეს გარემოება თვით იგავის ღრმა ალეგორიულმა შინაარსმა გამოიწვია, ასევე იმანაც, რომ უფალს მეტად მნიშვნელოვანი სათქმელი აქვს ამ იგავში ჩადებული. ამ სათქმელს მრავალი წახნაგი მოეპოვება, რაც გვაკალდებულებს, რომ თითოეული მათგანი უცდომელად ამოვიცნოთ.

იგივე უფლისეული სათქმელი გარკვეულწილად ვითარდება „მდიდარი და გლახაკი ლაზარეს“ იგავში, რომელიც „ორგული მნის“ იგავს უშუალოდ მოსდევს წმიდა ლუკას სახარების ამავე, მე-16 თავში.

„ორგული მნის“ იგავის სიუჟეტური ნაწილი წმიდა ლუკას სახარების მე-16 თავის მე-8 მუხლში სრულდება. მაგრამ იმავე მე-8 მუხლიდან იწყება ამ იგავთან დაკავშირებული პირველი შეგონება.

და აქო უფალმან მნე იგი სიცრუვისაჲ, რამეთუ გონიერად ყო – ასე იწყება ეს მუხლი. იქვეა გაგრძელებაც, რომელიც იგავის შინაარსს აღარ ეკუთვნის, არამედ იწყება პირველი შეგონება:

რამეთუ ძენი ამის სოფლისანი უგონიერეს არიან უფროჲს ძეთა ნათლისათა ნათესავთა შორის მათსა.

უფალი ამ შეგონებაში ბრძანებს: ამ სოფლის ძენი თავიანთი მოდგმით (**ნათესავსა შორის მათსა**) უფრო გონიერები არიან, ვიდრე ნათლის ძენი.

კომენტატორები საგანგებოდ მიუთითებენ, რომ უფლის შეგონება, რომელიც უშუალოდ მოსდევს „ორგული მნის“ იგავს, არამც და არამც არ უნდა მივიჩნიოთ საკუთრივ იგავის შინაარსობრივ ნაწილად, და არ უნდა ვიფიქროთ, რომ ამ შეგონებას იგავის პერსონაჟი, მნის პატრონი (უფალი) ამბობს.

ამგვარი აღრევის საშიშროებას ქმნის ის გარემოება, რომ იგავის დასასრული და შეგონების დასაწყისი, როგორც უკვე ითქვა, ერთ მუხლშია მოქცეული. მათი მიჯრით წაკითხვა მართლაც ქმნის შთაბეჭდილებას, რომ უფალი იგავის თხრობას განაგრძობს. წმიდა მამები გასაოცარი მზრუნვე-

ლობითა და გულისხმიერებით ეკიდებიან ამ გარემოებას და გვარწმუნებენ, რომ იგავის თხრობას უფალი მნის გონიერების შექებით დაასრულებს, რასაც მოსდევს პირველი შეგონება.

ამ სოფლის ძე და ნათლის ძე

ეს უფლისმიერი შეგონება იგავის ბოლო, დასკვნითი ნაწილიდან გამომდინარე ვითარდება. ამაზე მიუთითებს შეგონების დასაწყისში ხსენებული რამეთუ. უფალი იესო იგავის დასასრულ გვაუწყებს, რომ მდიდარმა პატრონმა შეაქო ორგული მნე, რადგანაც იგი გონივრულად მოიქცა. შემდგომ უფალი სწორედ მნის გონივრულობასთან, უფრო სწორად, მისი **გონივრულობის შექებასთან** დაკავშირებულ სათქმელს აკითარებს და ზნეობრივი დასკვნის სახით მიაწვდის იგავის მსმენელს.

იგავის მთხრობელმა უფალმა, როგორც ჩანს, გაითვალისწინა, რომ მას სხვადასხვაგვარი მზაობის მქონე მსმენელი ეყოლებოდა: იგავს ხომ მოწაფეებთან ერთად მებაჟეებიც და ცოდვილებიც უსმენდნენ, იქვე იყვნენ წარჩინებული იუდეველებიც – ფარისეველები, მწიგნობრები და სხვები.

რაღა თქმა უნდა, უფლის იგავურ სათქმელს ყოველი მათგანი თავისებურად ამოიკითხავდა. ამიტომ, ბუნებრივია, უფალს იმგვარი ლექსიკისა და ალეგორიებისათვის უნდა მიემართა, რომელთაც მისი თანამედროვე მსმენელი იცნობდა.

როგორც განმარტავენ, უფლის იგავის მსმენელი შეგონებაში წარმოდგენილ წყვილს – **ამ სოფლის ძე და ნათლის ძე** – უპირველესად აღიქვამდა როგორც მიწისა და ცის, ამქვეყნიურისა და ზეციურის, ადამიანურისა და ღვთიურის დაპირისპირებას.

ვინ არიან ისინი – ამ სოფლის ძენი და ნათლის ძენი? ვის გულისხმობდა უფალი ამ ძეებში, როდესაც თავისი შეგონება დაურთო იგავს?

ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელის თქმით, **ძენი ამის სოფლისანი** არიან ისინი, რომელნიც ყველა ღონეს, ხერხსა და საშუალებას მიმართავენ, რათა ამქვეყნად თავიანთი თავისთვის ნახონ სარგებელი.

სხვა კომენტატორებიც მსგავს განმარტებას გვაწვდიან და ამბობენ, რომ **ძენი ამის სოფლისანი** ამ წუთისოფლის შვილები არიან, რომლებიც მხოლოდ წუთისოფლის მიმართ იჩენენ ერთგულებას, არც მომავალი ახსოვთ და არც გვერდით მყოფი. ისინი მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობისთვის

ზრუნავენ. უფალი ამსოფლიურ, მიწიერ ცხოვრებას აშკარად აპირისპირებს მარადიულ იმსოფლიურ ცხოვრებასთან.

ამსოფლიურ ზრუნვას უფალი „მთესველის“ იგავშიც შეგვახსენებს: **„ზრუნვამან ამის სოფლისამან და საცთურმან სიმდიდრისამან შეაშთვის სიტყუაჲ იგი, და უნაყოფო იქმნის“** (მათე 13, 22), – ბრძანებს იგი ეკალთა შორის ჩაკარდნილ თესლზე. სწორედ ასევე, **ძენი ამის სოფლისანიც,** როგორც წესი, ამ სოფლის ამაო ზრუნვით არიან ხოლმე პყრობილნი.

იმასაც შენიშნავენ, რომ ამ სოფლის ძენი არც ბოროტნი არიან, არც მკვლელები და არც მრუშები. ისინი კარგად არიან მორგებულნი ამ ცხოვრებას, ოსტატურად იყენებენ ამქვეყნიურ ყოველდღიურ ცხოვრებისეულ პირობებს, მოხერხებით, დიდი ალღოთი, მარჯვედ უხვდებიან ჩასაფრებულ წუთისოფელს.

ნათლის ძენი კი ღვთისადმი უაღრესი სიყვარულით არიან აღვსილნი. ისინი თავისთვის კი არა, სხვებისთვის იგროვებენ სიმდიდრესა და ქონებას, ოღონდ ეს ქონება უხილავია, სულიერი სიმდიდრეა. ამ სოფლის ძეთაგან განსხვავებით, ნათლის ძეები სულაც არ ფიქრობენ საკუთარ სარგებელზე და არც ეძიებენ მას.

წმიდა წერილში **ძედ ნათლისა** სწორედ ის იწოდება, ვინც ჭეშმარიტი ღვთაებრივი მეცნიერებით არის განათლებული. უფალი იესო წმიდა იოანეს სახარებაში განგვიცხადებს:

„მე ვარ ნათელი სოფლისაჲ“ (იოანე 8, 12; 9, 5), და განაგრძობს: ის, ვინც გამომყვება, არ იქნის ბნელში, არამედ ექნება სიცოცხლის ნათელი.

წმიდა იოანე ოქროპირი განგვიმარტავს, რომ **ბნელში** უფალი გულისხმობს ურწმუნოებიდან აღმოცენებულ სიბნელეს, რითაც წუთისოფელია მოცული: *„ბნელად ამას ადგილსა საცთურსა მას ურწმუნოებისასა უწესს“*, – გვასწავლის წმიდა მამა.

ამსოფლად ზეციდან გარდამოვლენილი **ნათელი** – ხორციელად მოსული ძე ღმრთისა – სწორედ ბნელში მსხდომთა გასანათლებლად მობრძანდა. **„ვიდრე ნათელი გაქუს,** – გვანუგეშებს უფალი, – **გრწმენინ იგი, რაჲთა ძე ნათლისა იყვნეთ“** (იოანე 12, 36) – სანამ ნათელი გაქვთ და ჩემთან ხართ (ანუ ქრისტეში ხართ), გწამდეთ ნათელი, რათა ნათლის ძენი გახდეთო – აი რისკენ უნდა ისწრაფოდეს ყოველი ქრისტიანი.

ნათლის ძე გახდიო, – ამბობს უფალი, – და მიგვანიშნებს, რომ ყოველი ჩვენგანი მისი ძე უნდა გახდეს, ვინაიდან **ნათელი ამის სოფლისა** თავად იგია – უფალი ჩვენი იესო ქრისტე.

წმიდა პავლე მოციქული თავის ეპისტოლეებში ჩვენ, ქრისტიანებს, გვევედრება, რომ აღარასოდეს მივუბრუნდეთ ბნელს, რადგან: **„აწ ნათელ ხართ უფლისა მიერ; და ვითარცა შვილნი ნათლისანი ვიდოდეთ“** (ეფესელთა მიმართ 5, 8).

პირველ ეპისტოლეში თესალონიკელთა მიმართ წმიდა მოციქული კვლავაც გვიბრძანებს: **„რამეთუ თქუენ ყოველნი შვილნი ნათლისანი ხართ და შვილნი დღისანი, და არა ვართ ღამისანი, არც ბნელისაგან“** (5, 5).

წმიდა წერილში ძენი ამის სოფლისანი და ძენი ნათლისანი მკვეთრად დაპირისპირებული წყვილია მაშინაც, როდესაც უფალი იესო რამდენიმეგზის დაბეჯითებით იმეორებს:

„მე არა ვარ სოფლისა ამისგანი“, „მე არა ამის სოფლისაგანი ვარ“ (იოანე 17, 14; 8, 23).

უფალი თავის მოწაფეებსაც შეაგონებს და ეუბნება: **„არა სოფლისაგანნი ხართ თქუენ“** (იოანე 15, 19). გეთსიმანიის ბაღში, ლოცვისას, ჩვენი უფალი ზეციერ მამას შეეპაექრებს და თავისი მიმდევრების – ქრისტიანების მფარველობას ევედრება: **„სოფელმან მოიძულნა იგინი (მოწაფენი), რამეთუ არა არიან სოფლისა ამისგანნი“** (იოანე 17, 14).

როგორც ვხედავთ, უფალი ნათლის ძეებში უპირველესად თავის მიმდევრებს გულისხმობს, იმათ, ვინც ჭეშმარიტი ღვთაებრივი ნათლითაა მოსილი. თუმცა შეგონებაში მართლაც გამაოგნებლად ჟღერს აღიარება იმისა, რომ, ნათლის ძეებთან შედარებით, აღმატებული გონიერებით გამოირჩევიან წუთისოფლის შვილები. ამიტომ ხდება აუცილებელი გონიერების ნამდვილი საღვთისმეტყველო მნიშვნელობის მოძიება.

უფალი ამბობს: **ძენი ამის სოფლისანი უგონიერეს არიან** – და, ორგული მნის გონიერების მსგავსად, მხედველობაში აქვს წუთისოფლის შვილების მიზანდრილობა, ხორციელისადმი დაუოკებელი სწრაფვა, ამქვეყნიური სარგებლის ხელში ჩაგდებისთვის გაწეული გასაოცარი გულმოდგინება და ერთგულება.

მაშასადმე, უფალი ამ შეგონებით ორგული მნის გონიერულობისა და მოხერხების იგავურ-ალეგორიულ განმარტებას გვაწვდის და მხედველობაში აქვს ყოველივე ის, რაც უკვე ზემოთ განიმარტა.

ნეტარი თეოფილაქტეს სწავლებით, ამ სოფლის ძე კაცთა მოდგმის იმ კატეგორიას მიეკუთვნება, რომელსაც ამქვეყნიური, კაცობრივი საქმის მართვა აქვს მინდობილი და ამ საქმეს სანაქებო გონივრულობით წარმართავს. **ნათლის ძემ** კი ქრისტესაგან ქონებაც და საქმეც იმისთვის მიიღო,

რომ ღვთის მოსაწონად მართოს იგი. თუმცა ნათლის ძე ისეთსაეე გონივრულობას ვერ იჩენს, როგორსაც ამ სოფლის ძე, რადგან ღვთის ნების აღსასრულებლად ბოძებული ქონების მართვისას ნათლის ძე არ ზრუნავს საკუთარზე და, ორგული მნის მსგავსად, არც იმის შიში აქვს, თავშესაფრისა და ნუგეშის გარეშე დარჩება თუ არა.

ეს კი იმას ნიშნავს, – განაგრძობს ნეტარი მამა, – რომ ნათლის ძე არც იმის გამო წუხს, თუ რა სარგებელი ექნება თვითონ მას ყოველივე ამის შემდეგ. ხსენებულ შეგონებაშიც ნათლის ძის სწორედ ამგვარი, როგორც დღეს ხშირად იტყვიან ხოლმე – წუთისოფლისადმი არაპრაქტიკული, არაპრაგმატული, ინერტული, პასიური დამოკიდებულებაა შეფასებული უფლის მიერ.

ისიც უნდა ითქვას, რომ უფალს ამ შეგონებაში წუთისოფლის შვილთა პოზიციითა და ანგარიშით გაზომილ-აწონილი დამოკიდებულება აქვს წარმოჩენილი. ყველამ კარგად იცის, რომ ძენი ნათლისანი ღვთისადმი სამსახურს ამჯობინებენ, წუთისოფლის სიამესა და საცდურს კი მოიძულებენ, უარყოფენ. ისინი თავიანთი სულის გადარჩენას უფრო ესწრაფვიან, ვიდრე ამქვეყნიური, მიწიერი ცხოვრების სიკეთესა და კეთილმოწყობას. სწორედ ამ მიზეზითაა ნათლის ძე უფრო ნაკლებად გონიერი, ვიდრე წუთისოფლის შვილი – ამ სოფლის ძე.

და აი, უფალი ამ უკანასკნელთა – წუთისოფლის შვილების გამოცდილებაზე მიაპყრობს თავისი მოწაფეების ყურადღებას, და ეუბნება: ნახეთ, როგორი გულმოდგინებით, მონდომებით, მთელი თავისი ძალების მოზიდვითა და მოხერხებით ზრუნავს ორგული მნე საკუთარი წარმაეალი ცხოვრების მოსაწყობად; რა საკვირველ გამომგონებლობას იჩენს იგი ამ დროს, დიდოსტატობასა და სიმარჯვესაც აელენს. თქვენ კი, ნათლის ძეები, ამისგან განსხვაებით, თავდადებით ეკიდებით მაღალ, უზენაეს მოწოდებას, მაგრამ არ მოგეპოვებათ (და არც ცდილობთ, რომ მოიპოვოთ) გამოცდილება, არც სიმარჯვეით გამოირჩევით, არამედ გულუბრყვილოდ მოქმედებთო.

თუმცა ისიც არის, ბრძანებენ კომენტატორები, რომ ნათლის ძეთაგან მრაეალნი თავიანთი ზეციური სამშობლოს მოსაპოვებლადაც კი ვერ აელენენ ჭკუასა და სიმარჯვეს, არც ძალისხმევას იჩენენ, არც გონებას ძაბავენ, არც ნაირგვარ საშუალებას მიმართავენ თავიანთი მიზნის მისაღწევად. ყოველივე ეს კი, საბოლოოდ, მათს გულმოდგინებასა და სიფხიზლეს ანელებს.

უფალი იესო ქრისტე ამ შეგონებით, როგორც ითქვა, უპირველესად თავის მოწაფეებს მიმართავს და კიდევ ერთი სათქმელიც აქვს მათთან:

ქრისტეს მიმდევარი თუკი ხარ, წინდახედულობა, გულმოდგინება და მონდომება გამოიჩინე სულის ცხოვნების დიდებულ საქმეში, ისევე აღენთე საღმრთო მოშურნეობით, როგორც წუთისოფლის ძე – ეს ორგული მნე – აენთო თავის გადასარჩენად.

ამიტომ შენიშნავენ, რომ უფლისმიერი ეს შეგონება ქრისტიანულ-ზნეობრივი თვალთახედვითაც უნდა წაიკითხოთ უცილობლად. სინამდვილეში, უფალი იმას კი არ შეგვაგონებს, ამ სოფლის ძენი ნათლის ძეებზე ბრძენნი და გონიერნი არიანო, არამედ მიგვითითებს, რომ სიბრძნესა და გონიერებას წუთისოფლის შვილები მხოლოდ თავიანთი წარმავალი, ამქვეყნიური ზრახვების აღსრულების ჟამს იჩენენ – აი, მხოლოდ და მხოლოდ ამ მიზეზით უწოდებს მათ უფალი ნათლის ძეებთან შედარებით უგონიერესთ.

ნათლის ძენი – თავიანთი უბიწოებით, სულის სიწმინდით („სიგლახაკით"), კეთილგანზრახულობითა და სამართლით – არასოდეს ეშმაკობენ, არც ხერხსა და ნაირგვარ საშუალებებს მიმართავენ მიზნის მისაღწევად, არამედ მართალ, სწორ გზებს ადგანან, და მხოლოდ ამდენად არიან ნაკლებად გონიერნი, უფრო სწორად – უბრალონი თავიანთი ქმედებითა და საქციელით!

მიუხედავად ამისა, ზოგჯერ, არც მათთვის, ნათლის ძეებისათვის იქნებოდაო ურიგო – ყოფილიყვნენ უფრო მიხვედრილნი, უფრო მიზანსწრაფულნი, ოღონდ არამც და არამც თავიანთი ზნეობრივი, სულიერი სიწმინდის შებღალვის ხარჯზე. ამის საუწყებლად ბრძანებს უფალი:

„იყვენით უკუე მეცნიერ, ვითარცა გუელნი, და უმანკო ვითარცა ტრედნი" (მათე 10, 16) – აი როგორ უნდა მისწვდეს ნათლის ძე ერთდროულად სიბრძნესაც და სიწმინდესაც!

დაბოლოს, გავიხსენოთ, რას უყვება ერთი ეგვიპტელი მეუდაბნოე თავის მორჩილს: ერთხელ ქალაქში, მოედანზე, მოცეკვავე ქალი დავინახე, გარს ხალხი შემორტყმოდა და გაფაციცებით შეჰყურებდა. მე ავტირდი. მკითხეს, რატომ ტირიო. ეუპასუხე: შეხედეთ, კაცთა გულის მოსაგებად ეს ქალი როგორ გულმოდგინედ შრომობს, ჩვენ კი რა ცოტას ვცდილობთ ღვთის გულის მოსაგებად-მეთქი.

კიდევ ერთ, განსხვავებულ საღვთისმეტყველო მნიშვნელობას იძენს უფლის ამ შეგონებაში ნახსენები ძენი ნათლისანი. ამ კომენტარს ვრცლად მიმოიხილავს *ბორის გლადკოვი* თავის წიგნში „სახარების განმარტება", რომელიც გულისყურით წაუკითხავს *წმიდა იოანე კრონშტადტელს*. უაღრესად საყურადღებოა, რომ წმიდა მამას უდიდესი სულიერი კმაყოფილება მიუღია ამ წიგნში მოცემული განმარტებების წაკითხვით.

ამ განმარტებით, „ორგული მნის" იგავის პირველ შეგონებაში ხსენებულ ამ სოფლის ძეებში ის მებაჟეები და ცოდვილები იგულისხმებიან, რომლებიც უფალს გარს შემორტყმოდნენ და იგავის თხრობას უსმენდნენ.

ძენი ნათლისანი კი, იმავე განმარტებით, არიან მართლები, უცოდველნი, წმინდანები – ყველა ის მართლმორწმუნე, რომლებიც ამ ცხოვრებაშივე ეზიარნენ საღმრთო ნეტარებას.

თუმცა, სხვა კომენტატორთა თქმით, უთუოდ ძნელია, ვირწმუნოთ, რომ ეს წმინდა ადამიანები ნაკლებად გონიერები არიან ან ნაკლები გონივრულობით მოქმედებენ, ვიდრე ცოდვილები: ქურდები, მკვლელები, ცილისმწამებლები, თვალთმაქცები და მათი მსგავსნი, ანუ ნათლისაგან, სიწმინდისაგან, ღვთისგან დაშორებულნი.

ვერც იმის აღიარებას ან მტკიცებას გაბედავს ვინმე, რომ წმიდა მოციქულებს ოდესმე მაინც დასჭირდებოდათ მიხვედრილობისა და გონიერების „სესხება" ან გადმოღება ამა სოფლის ძეთაგან, ცოდვის შვილებისგან.

იხსენებენ „ცხვრებისა და თიკნების" იგავს, სადაც უფალი იგავური წინასწარმეტყველებით გაგვიცხადებს, რომ ნათლის ძეებისთვის „დასაბამითგან სოფლისაჲთ", ანუ ქვეყნის დასაბამიდან არის განმზადებული ცის სასუფეველი (მათე 25, 34). ამაზე მეტი და აღმატებული რა უნდა მისცენ ან რა უნდა მიეცათ ამა სოფლის ძეებს ნათლის ძეებისთვის? ან რისთვის სჭირდებათ ნათლის ძეებს ამსოფლიური მოხერხება და მიხვედრილობა, როდესაც სწორედ თავიანთი ნაკლები გონიერებით, როგორც ეს შეგონებაშია ნათქვამი, მათ უკვე სანატრელი ნეტარება აქვთ მინიჭებული ღვთისგან?

უფალი იესო, განაგრძობენ იგივე კომენტატორები, ნათლის ძეებში ფარისეველებსა და მწიგნობრებს უნდა გულისხმობდეს, რომლებიც ასევე უსმენდნენ იგავს. ოღონდ ეგ არის, რომ ფარისეველებსა და მწიგნობრებს უფალი იესო იგავური მინიშნებით იხსენიებს ნათლის ძეებად.

წმიდა სახარებაში უფალი ფარისეველებსა და მის მსგავსთ არაერთხელ უწოდებს ბრმებს. მოწაფეებს იგი ეუბნება:

„აცალეთ მათ: რადგან ბრმანი არიან და ბრმათა წინამძღვარნი, ხოლო ბრმა ბრმას წინ თუ უძღვის, ორივე ორმოში ჩაეარდება“ (მათე 15, 14). იქვე, 23-ე თავში, ასევე ბრძებად იხსენიებიან ფარისეველები. ენების კვირაში უფალი საჯაროდ ამხელს მათ და ეუბნება: „ვაჲ თქუენდა, წინამძღუარნო ბრმანო..... ცოფნო (უგუნურნო) და ბრმანო!... ფარისეველნო ბრმანო“ (მათე 23, 16-17. 26).

ამასთან, ძველი აღთქმის წიგნებში დაფიქსირებულია არაერთი ადგილი, სადაც ფარისეველები თავიანთ თავს სწორედ ნათლის ძეებად მოიხსენიებენ, ყველა დანარჩენს კი – ცოდვილებს, მებაჟეებს, მეძავებსა თუ მათ მსგავსთ – ისინი სიბნელის ძეებად მიიჩნევენ.

ეს უნდა ჰქონოდა მხედველობაში უფალს, როდესაც იგავის მსმენელს ეუბნებოდა: ამ სოფლის ძეები უგონიერეს არიან, ვიდრე ნათლის ძეებიო. ამ სოფლის ძეებით უფალი ცოდვილებზე მიანიშნებდა, ნათლის ძეებით კი ფარისეველებზე.

ერთნიც და მეორენიც გაუჭირვებლად მიუხვდებოდნენ იგავის მთხრობელ იესოს, რადგან იუდეველთათვის კაცთა მოდგმა სწორედ ამგვარად იყო განაწილებული: ცოდვილმა იცოდა, რომ იგი იყო წუთისოფლის ძე, ანუ ცოდვის შვილი, რადგან საზოგადოების წარჩინებულ იერარქთა მიერ სწორედ ეს უღირსი ადგილი ჰქონდა მიჩენილი.

სწორედ ასევე, ფარისეველიც ამ შეგონების მოსმენისას აუცილებლად ნათლის ძეებს შორის იგულვებდა თავს, თუმცა იმასაც იგრძნობდა, თუ რა გამიზნულობით დააპირისპირა ერთმანეთთან უფალმა საზოგადოების ეს ორი ნაწილი – ცოდვილნი და ეგრეთ წოდებული მართალნი.

„უძღები შვილის“, „ორი ძის“, „ფარისეველისა და მეზვერის“ და სხვა იგავთა თხრობისას უფალი იესო ასევე გულისხმობდა ამ დაპირისპირებულ წყვილს – ცოდვილსა და მართალს, უფრო ზუსტად – მონანიე ცოდვილსა და რჯულის ჩაკირკიტებით აღმსრულებელ ვითომდა მართალს (იხ. „იგავნი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესნი“ 2, 2002).

იმასაც მიაქცევენ ყურადღებას, რომ შეგონებაში უფალი ნათლის ძეებს საგანგებოდ დაურთავს განმარტებას:

ძენი ამის სოფლისანი უგონიერეს არიან უფროჲს ძეთა ნათლისათა ნათესავსა შორის მათსა – ნათლის ძეები ნაკლებად გონიერნი არიან არა საზოგადოდ, არამედ ნათესავსა შორის მათსა, ანუ თავიანთ მოდგმაში, თავიანთი მოდგმით, თავიანთი საზომით.

ყოველივე აქედან გამომდინარე, დაასკვნიან, რომ პირველ შეგონებაში ხსენებულ წუთისოფლის ძეში უფალი იესო უპირველესად სიცრუის მნეს

გულისხმობს. იგავს მოდევნებული შეგონებით იგი საგანგებოდ მიმართავს ფარისეველებს (ვითომდა ნათლის ძეებს) და არწმუნებს, რომ წუთისოფლის ძე (იგავის მიხედვით, ორგული მნე) მათზე უფრო გონიერია, და უფრო გონიერია სწორედ იმიტომ, რომ ცოდვილმა მნემ თავისი ცოდვები მოინანია, განსხვავებით ფარისეველთაგან, რომელნიც თავიანთ ცოდვებს არც განიცდიან და არც ინანიებენ.

გავიხსენოთ იგავი „ორ ძეზე" (მათე 21, 28-30), სადაც პირველი ძე – **სოფლის ძეა**. ამ ძემ, როგორც გახსოვთ, ჯერ არ ინდომა თავისი მამის ვენახში მუშაობა, მაგრამ ბოლოს შეინანა და წავიდა. ორგული მნეც ხომ ამას იქმს, როდესაც გონს მოეგება, ინანიებს და ყოველ ღონეს მიმართავს, რათა განმართლდეს პატრონის, ანუ ღვთის წინაშე.

მეორე ძე, იმავე „ორი ძის" იგავიდან, მსგავსია ამ ვითომდა **ნათლის ძეებისა**, რადგან მან მამას ფარისეველივით უთხრა: წავალ, ბატონო, და ვიმუშავებო, მაგრამ არ წავიდა. უფალი იესო ქრისტე „ორი ძის" იგავის თხრობის შემდეგ ასე მიმართავს ფარისეველებს, მღვდელმთავრებსა და უხუცესებს:

„ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: მებაჟენი (მეზვერენი) **და მეძავნი თქვენზე წინ შევლენ ღმერთის სასუფეველში"** (მათე 21, 31). ამ სანატრელი ღირსყოფის მიზეზად უფალი ცოდვათა განცდასა და მონანიებას ასახელებს.

აი რატომ ამბობს უფალი, რომ **ამ სოფლის ძენი**, ანუ მონანიე ცოდვილნი, უფრო გონიერნი არიან, ვიდრე **ნათლის ძეები**, ანუ სინანულის გზის უარმყოფელი, გაამპარტავნებული მოდგმა კაცისა.

უფალი იესო თავისი შეგონებით, რაღა თქმა უნდა, მოწაფეებსაც მიმართავდა, რომლებიც იგავის თხრობის ჟამს მებაჟეებსა და ცოდვილებს შორის იდგნენ. აი რას ეუბნებოდა უფალი მოწაფეებს იგავურად:

იცოდეთ, მართლაც დიდი საქმეა, როცა სიბრძნესა და კეთილგონიერებას იჩენთ საკუთარი სულის გადასარჩენად; და უნდა ვაღიარო, რომ ამგვარ სიბრძნეს, ყველას გასაკვირად, ეს მებაჟეები და ცოდვილები ამჟღავნებენ, რადგან დიდი მონდომებით მიილტვიან სულის საცხოვნებელი გზისკენ. **ეს გზა სინანულია**. მაგრამ, ესენი (ფარისეველნი და მათი მსგავსნი), თქვენ რომ ყველაზე განათლებულნი, წარმატებულნი გგონიათ, ამ სიბრძნეს არ ამჟღავნებენ და არც საკუთარი სულის ცხონებას ინდომებენ, რადგან თავი უცოდველი ჰგონიათ, და ფიქრობენ, რომ არც სინანული სჭირდებათ და არც განმართლება – ისინი ხომ ძენი ნათლისანი ბრძანდებიან!

უფლისმიერი შენიშვნა – **ნათესავთა შორის მათსა** – წუთისოფლის შვილის ცხოვრების წესზე მიგვანიშნებს. წუთისოფლის ძე, როგორც წესი, ჩარჩოთი შემოსაზღვრულ სიბრძნესა და გონიერებას იჩენს. ამგვარ სიბრძნეს ამსოფლიურ სიბრძნესაც უწოდებენ, რომლითაც სარგებელს კაცი მარტო ამქვეყნიური საქმიანობით, ყოველდღიურ ხორციელ მოთხოვნილებათა აღსრულებით იღებს.

ერთ-ერთი განმარტებით, უფლის შენიშვნა – **ნათესავთა შორის მათსა** – ემსახურება როგორც ამ სოფლის ძეების, ასევე ნათლის ძეების წარმოჩენას. უფალი გვეუბნება, რომ ამქვეყნიურ, ცხოვრებისეულ საქმეებში ამ სოფლის ძენი უფრო დიდ გონიერებასა და მოხერხებას იჩენენ თავიანთი მოდგმით – **თავიანთ გარემოში**, იქ, სადაც თავიანთი მსგავსნი ერთად შეყრილან.

მართალია, **ნათლის ძეებიც** თავიანთ მოდგმასა და გარემოში აკლენენ გონიერებას, მაგრამ ამ სოფლის ძენი უფრო მორგებულნი, უფრო ქმედითნი, მოქნილნი და დაკვირვებულნი არიან ცხოვრებისეულ, ყოველდღიურ საქმიანობაში, ვიდრე ნათლის ძეები. განმარტებისას იხსენებენ ბუს და არწივის მაგალითს: ორივეს მახვილი თვალი აქვს, მაგრამ ბუსთვის ხელსაყრელი გარემოა ღამე, არწივს კი ღამით თვალი არ უჭრის.

„ორგული მნის" იგავის მსგავსად, ეს შეგონებაც ქრისტიანებს გონიერი ერისკაცის მაგალითს აწვდის. უფალი ამ მაგალითით ამსოფლიურ სიბრძნეს კი არ გვასწავლის, იმას კი არ შეგვაგონებს, ამსოფლიურ სიბრძნეს დაეწაფეთო, არამედ, პირიქით – ამქვეყნიური, ცხოვრებისეული საქმეებით გამეღავნებული გონებამახვილობის ჩვენებით გვითითებს იმ გზასა და საშუალებებზე, რასაც ღვთაებრივი სიბრძნისაკენ მიპყავს მორწმუნე. ეს არის **გულმოდგინება, წინდახედულება, მოშურნეობა, დაუცხრომლობა და მონდომება – სულის გადარჩენისა და ცხონების საქმეში.**

მაშასადამე, უფალი ამბობს, რომ ძენი ამა სოფლისანი თავისებურად, თავიანთი კაცობრიული მოდგმით, მათთვის დამახასიათებელი ამსოფლიური სიბრძნით არიან გონიერნი, ხოლო ძენი ნათლისანი – ასევე თავისებურად, თავიანთი ზეციური მოდგმით, ღვთაებრივი სიბრძნით იჩენენო გონიერებას.

თუმცა შეგონებაში უფლის მსუბუქი საყვედურიც იგრძნობა იმის გამო, რომ, ყოველთვის თუ არა, ზოგჯერ მაინც, წუთისოფელს მისი მსახურნი უფრო მეტად უგებენ ხოლმე გულს, ვიდრე ღმერთს – ღვთის მსახურნი.

ფიქრობენ, რომ შეგონებაში უფალი ორგული მნისა და პატრონის მო-

ვალეების ერთობაზეც გვითითებს და ჩვენ, ქრისტიანებს, გვეუბნება: შეხედეთ, ეს მნე და პატრონის მოვალეები რა დიდ სარგებელს ნახულობენ თავიანთი გაერთიანებით, „შეთქმულებით“! შეხედეთ მათ და მიბაძეთ, რომ თქვენი ძმობით, ერთობითა და ერთსულოვნებით თქვენც ნახოთ სარგებელი – ოღონდ ის სარგებელი, რომელიც ზეცაში უნდა მიიღოთ.

როგორც ჩანს, უფლის მოწაფეების გულისყურს ეს შეგონებაც მისწვდა და იგავის სათქმელიც, რადგან მათ არ უგულებელყვეს არც ერთი ღირსეული საშუალება და ღონე, რათა სანატრელი ზეციური ჯილდო მიეღოთ. როგორც მათმა მოძღვარმა და უფალმა მიიზიდა თავისი მადლით და შეიყვარა **თავისი მოდგმისანი**, ანუ თავისი მიმდევრები, ასევე მიიზიდეს და შეიყვარეს ქრისტეს მოციქულებმა თავიანთი მსგავსი **ნათლის ძეები – ქრისტეს ძენი, ქრისტიანები!**

იგავის მეორე შეგონება: „სიცრუის“ იგავურ-სახარებისეული შინაარსი

„ორგული მნის“ იგავის თანმხლებ მეორე შეგონებაში წერია:

„და მე გეტყჳ თქუენ: ისხენით თავისა თქუენისა მეგობარნი მამონაჲსა მისგან სიცრუვისა, რაჲთა, რაჟამს მოაკლდეთ თქუენ ამიერ, შეგიწყნარნენ თქუენ საუკუნეთა მათ საყოფელთა“ (ლუკა 16, 9).

უფალი ამბობს: შეიძინეთ მეგობრები სიცრუის მამონათი, ანუ უსამართლო სიმდიდრით, რათა მათ საუკუნო სამყოფელში მიგიღონ, როდესაც მოაკლდებით ამ ქვეყანას, ესე იგი, როცა მოკვდებითო.

უპირველესად ყურადღებას მიაქცევენ ამ შეგონების დასაწყის სიტყვებს: **და მე გეტყჳ თქუენ** – მე თქვენ გეუბნებითო. კომენტატორთა უმეტესი ნაწილის თქმით, უფალი იესო უშუალოდ იმ მებაჟეებსა და სხვა ცოდვილებს მიმართავს, რომლებიც მასთან იდგნენ და „ორგული მნის“ იგავს ისმენდნენ. მანამდე უფალმა ამ იგავით შეაქო მნის მოხერხება, იგავს მოდევნებული პირველი შეგონებით კი – ამ სოფლის ძეთა გონიერება. უფალი სწორედ ცოდვილებსა და მებაჟეებს გულისხმობდა მნეშიც და ამ სოფლის ძეებშიც.

ეს ცოდვილნი ორგული მნესავით ორგულობდნენ ღვთის წინაშე, მაგრამ გონს მოსვლით მათაც შეეძლოთ მნის მსგავსად მიემართათ სინანულისთვის, ცოდვის უარყოფისთვის, ცოდვათქმნადობის შეწყვეტისთვის, და ქრისტეს გაჰყოლოდნენ. იმის შემდეგ, რაც ეს შექება მიიღეს ცოდვილებმა.

და მებაჟეებმა, ახლა, ამ მეორე შეგონებით, უფალმა უშუალოდ მიმართა მათ და ეს უთხრა: მეც, როგორც ეს პატრონი იგავში, გეუბნებით, რომ თქვენს სამნეო ანგარიშს უნდა მიხედოთ; და, თუ თქვენც გაქვთ მოხვეჭილი და დაგროვილი სიმდიდრე – ორგული მნის მაგალითი გაითვალისწინეთ და გამოიყენეთ. ამ მნემ პატრონის სიმდიდრით ისე ისარგებლა, რომ პატრონის მოვალეების სახით მეგობრები შეიძინა. ამიტომ მას უკვე აღარ ეშინია მნეობის დაკარგვისა, რადგან გარეთ აღარ დარჩება უსახლკაროდ, არამედ მეგობრები შეივრდომებენ;

თქვენ ბოროტად აღასრულებთ თქვენს მოვალეობას, – განაგრძობს უფალი, – არაკეთილსინდისიერად იქცევით და, რაც ღმერთმა მოგცათ, მარტო საკუთარი სარგებლობისათვის იყენებთ, თანაც სხვის ხარჯზე გინდათ გამდიდრება. მაგრამ განა ყოვლისმხედმა ღმერთმა არ იცის ეს? ნუთუ დაგვიწყდათ, რომ, ადრე თუ გვიან, ერთ მშვენიერ დღეს, თქვენც წარდგებით ანგარიშით. იქნებ, ამ მნესავით იზრუნოთ საკუთარ გადარჩენაზე და თქვენი მოხვეჭილი სიმდიდრე თქვენივე სულის სასარგებლოდ წარმართოთ, ისე გამოიყენოთ, რომ ანგარიშის შემდეგ უსახლკაროდ და უსახსროდ არ დარჩეთ? განა რამე შეედრება მარადიული სამყოფისა და თავშესაფრის მოპოვებას?

აი საშუალებაც ამისთვის: მოახმარეთ თქვენი სიმდიდრე ღარიბ-ღატაკებს, თქვენს მოყვასს, გაჭირვებულებსა და სნეულებს, და ისინი მოგიმზადებენ მარადიულ სასუფეველს, ისევე განგიმზადებენ, როგორც ამ მნისთვის განამზადეს ბატონის მოვალეებმა თავიანთ ოჯახებში თავშესაფარი. აი როგორ უნდა მიბაძოთ ამ ორგულ, უსამართლო, სიცრუის მნეს, რომელმაც მართლაც საკვირველი მოხერხება და გამჭრიახობა გამოიჩინა და თავისი სიცრუე, უსამართლოდ მოხვეჭილი სიმდიდრე საკუთარი თავის გადასარჩენად გამოიყენა.

ამგვარად უკავშირდება ეს უფლისმიერი შეგონება „ორგული მნის“ იგავის სათქმელს. ის **მეგობრები**, **რომლებიც სიცრუის მამონათი**, ანუ უსამართლო სიმდიდრით უნდა შეიძინონ ცოდვილებმა, იგავში პატრონის მოვალეები არიან. ამ მოვალეებს მნემ ახალი ხელწერილები დაწერინა, ვალი ჩამოაკლებინა, ესე იგი, მიტაცებული დაუბრუნა და მანამდე მოძულებულნი თავის მეგობრებად გაიხადა.

შეგონებაში ნახსენები **საუკუნო სამყოფელი** იგავში **მოვალეების ოჯახებს (სახლებს)** შეესაბამება. ამ **სახლებში მიღებით** მარადიულ სასუფეველში დამკვიდრების აზრი გამოიხატება იგავურად.

მეორე შეგონება უფალმა იესომ საგანგებოდ ისე ააგო, რომ მსმენელს გაუჭირვებლად დაენახა იგავსა და შეგონებას შორის არსებული შინაგანი კავშირი. უფალმა ის კი არ თქვა – რათა საუკუნო სასუფეველში დამკვიდრდეთო, არამედ თქვა: რათა მეგობრებმა შეგიწყნარონ, მიგიღონ საუკუნო სამყოფელშიო.

მაშასადამე, უფალი „ორგული მნის" იგავის თხრობას შეგონებებს იმ მიზნით ურთავს, რათა მსმენელს იგავთან დაკავშირებული ზოგიერთი განმარტება მიაწოდოს. მართალია, ამ შეგონებებში იგი უხვად იყენებს იგავურ ალეგორიებს, მაგრამ იქვე მინიშნებებსაც ჩაურთავს, რითაც მსმენელი სიხარულით აღმოაჩენს ხსენებულ კავშირს იგავსა და შეგონებას შორის.

ამ შეგონებაში საგანგებო ყურადღებას ითხოვს ერთი უფლისმიერი მინიშნება – ეს არის სიცრუის იგავური ალეგორია. უფალი შეგონებაში ამბობს: მეგობრები სიცრუის მამონასგან შეიძინეთო, იგავში კი მნეს იხსენიებს სიცრუისად:

აქო უფალმან მნე იგი სიცრუვისაჲ, რამეთუ გონიერად ყო – ასე დაასრულებს უფალი იგავს. პირველი, რაც „ორგული მნის" იგავის მკითხველსა თუ მსმენელში იწვევს გაკვირვებას, და შეკითხვებსაც უჩენს, არის ამ იგავის დასკვნითი ნაწილი.

პატრონმა ორგული მნე შეაქო, რადგან გონივრულად მოიქცა. უფალი მნეს სიცრუის მნედ იხსენიებს: მნე იგი სიცრუვისაჲ.

ბუნებრივად ჩნდება შეკითხვები:

რატომ შეაქო პატრონმა სიცრუის მნე? იმის მაგვარად, რომ დაესაჯა ან სასამართლოსთვის გადაეცა – მისი გონივრულობა შეაქო?!

განა შეიძლება უსამართლო, ორგული და თვალთმაქცი ადამიანის შექება? მაინც რა გააკეთა მნემ, მიბაძვის საგნადაც რომ გახადა პატრონმა, ანუ უფალმა?

რატომ გახდა ქების ღირსი ორგული მნის გონიერება?

ამ შეკითხვებზე პასუხად წმიდა მამები და სხვა კომენტატორებიც ერთხმად შენიშნავენ, რომ უპირველესად უნდა გავარკვიოთ, რა საღვთისმეტყველო-იგავური მნიშვნელობით შემოსა უფალმა სიტყვა სიცრუე.

სიცრუე ძველ ქართულად ნიშნავდა „ტყუილს", „მოტყუებას", ასევე „ურჯულოებას", „ზაკვას" და თავად „სიცრუესაც". ცრუს ძველად „უსამართლოსაც" ეძახდნენ (უსამართლოდ დაამოწმეო, ასე იტყოდნენ ცრუმოწმეზე).

იგავში მნე სიცრუის მნედ მას შემდეგ იხსენიება, რაც მან მოვალეებს

ხელახლა გადააწერინა ხელწერილები. ამ საზარელი იგავური ეპითეტით – **სიცრუისა** – უფალი იმ ადამიანს იხსენიებს, რომელმაც მოატყუა, იცრუა და უპატიოსნოდ მოექცა თავის პატრონს. საკვირველი სწორედ ის არის, რომ სიცრუის მნედ წოდებულს უფალი აქებს.

ამიტომ ჩნდება აუცილებლობა, ვეძიოთ **სიცრუის** არა პირვანდელი მნიშვნელობა, არამედ მისი იგავური სამოსი, რითაც უფალმა ეს სიტყვა თავის იგავში აღჭურვა.

საკუთრივ **სიცრუის** ახლახან ჩამოთვლილი მნიშვნელობანი უარყოფითია, მიუღებელია ზნეობრივი თვალსაზრისით. მნემ თავისი უზნეობის გამო მიიღო ეს სამარცხვინო შეფასება (სიცრუის მნე). შექება მას, რაღა თქმა უნდა, უზნეობის გამო არ მიუღია. აქვე უნდა ითქვას, რომ მნემ ორგზის იცრუა პატრონის წინაშე: მან ჯერ პატრონი და მისი მოვალეები მოატყუა, შემდეგ მოვალეებს შეეკრა, ხელნაწერები ხელახლა გადააწერინა და ამჯერად პატრონის წინაშე იცრუა.

მაშასადამე, იგავში უფალი შექების საგნად მნის სხვა ქმედებასა თუ მისწრაფებას უნდა გულისხმობდეს. ყველა კომენტატორი ერთხმად აღიარებს, რომ **უფლის მიერ შექებულია მნის გონიერება, მოხერხებულობა, საზრიანობა, წინდახედულება, მიზანსწრაფულობა და მოშურნეობა თავის გადასარჩენად.**

კეთილგონივრულობასთან ერთად, იგი კეთილშობილურადაც მოიქცა, რადგან, მებაჟე *ზაქეს* მსგავსად, უარი თქვა მოხვეჭილზე და, ხელწერილების გადაწერით, მითვისებული ქონება იმათ დაუბრუნა, ვისაც ეკუთვნოდა.

მართლაც, მხოლოდ წინასწარგანზრახული ბოროტი ცილისწამებით თუ შეიძლება ვინმემ დააბრალოს ჩვენს უფალს ის, რომ, თითქოს, იგი მნის უზნეო საქციელს აქებდეს. ნუ იყოფინ! – როგორც წმიდა მამები გვაფრთხილებენ. ღმერთმა დაგვიფაროს ამგვარი ფიქრისგან, რადგან ამით წმიდა წერილის მკითხველის გულში ღვარძლოვით ითესება ეჭვი.

ეს ორი იგავური ალეგორია – **სიცრუის** მნე და **სიცრუის** **სიმდიდრე** – საღვთისმეტყველო მნიშვნელობით, თითქმის სრულად ემთხვევა ერთმანეთს. უფალი აქაც და იქაც ხაზს უსვამს უსამართლობას, კერძოდ, უსამართლობას სიმდიდრის, ქონების შეძენაში. მნე იმიტომ არის **სიცრუისა**, რომ იგი უსამართლოდ ექცევა პატრონსაც და მოყვასსაც. რადგან პირველის ქონებით ბოროტად სარგებლობს, ხოლო მეორეთა ქონების ხარჯზე მდიდრდება, ანუ მომხვეჭელობს.

შეგონებაში უფალი სიმდიდრესაც ამავე მიზეზით იხსენიებს სიცრუის მამონად, თან მიგვანიშნებს სიცრუის მნეზე, რომელმაც სწორედ ეს სიცრუის სიმდიდრე, ანუ უსამართლოდ მოხვეჭილი ქონება, ჯერ დააგროვა და შემდეგ გონიერულად გამოიყენა თავის გადასარჩენად.

„სიცრუე" უფლის იგავსა და სულხან-საბას არაკში

სიცრუის საგანგებო იგავურ სამოსთან დაკავშირებით არ შეიძლება, არ გაგვახსენდეს *სულხან-საბა ორბელიანის* არაკი „ბრძენი და მდიდარი" თხზულებიდან „სიბრძნე სიცრუისა". ეს არაკი მადლიერების თემით არის გაჯერებული: არაკის წინამავალ კომპოზიციურ სივრცეში დაწინაურებული მადლიერების თემა ამ არაკში კულმინაციას აღწევს და არაკის შემდგომაც განაგრძობს განვითარებას. მხედველობაში გვაქვს *უფლისწულ ჯუმბერის* მიერ გამჟღავნებული მადლიერება მშობელი მამისადმი – მეფე ფინეზისადმი, აღმზრდელი ლეონისა და სედრაქ ვაზირისადმი.

მეფე ფინეზი თავის ერთადერთ მემკვიდრეს დამოძღვრავს, იგავური ფორმით გამოხატავს თავის მოწონებას ძე მეფისა ჯუმბერის სიტყვის, სიბრძნისა და მადლიერების გამო და უკვე სამეფოდ გამზადებული ძის გასაგონად საგანგებოდ ჰყვება არაკს:

„შვილს უბრძანა მეფემ არაკი: იყო კაცი ერთი ბრძენი, რომელი ვაჭრობისა სიმდიდრისაგან დაცემულიყო. წავიდა და მოვლო პირი ყოვლისა ქვეყანისა და მივიდა ინდოეთს. გამოიკითხა მუნ კაცი დიდად მდიდარი და მდიდრობისაგან უმეტესად ღვთის მოშიში, რა აცნობეს, დაისწავლა სახლი მისი, მივიდა და რქვა კაცსა მას: – ძმაო, ძოლან ორმოცი ლიტრა ვეცხლი ფასსე, ახლა დიდად მეჭირვება და მომეც, ღვთისათვის გეეედრები!

მან მდიდარმან უარყო, რომელი არა ეგალა, რას მიცემდა? უთხრა: – ოდეს ვფასშე, მოწამე ვინ გვის და ანუ ხელითწერილი სად არს?

მან კაცმან ეგრე უთხრა: – მაშინ საქმიანად იყავ და ესრეთ მითხარ: არა მცალს და ხვალე მოდი, ხელითწერილს მოგცემო. მე შენი მორწმუნე ვიყავ, დაგჯერდი, მე სხვა საქმე დამეცა, იგი დამავიწყდა, წაველ და აწ გთხოვ, თუცა მტყუარ ეარ, შენ სახელი ღვთისა იფიცე, ჩემი ვეცხლი არა გეგალოს, და გარე შეიქცე!

მან, ღვთის მოშიშმან მდიდარმან, ეგრე თქვა: რასათვის ვფიცო სახელი ღვთისა ამა მცირედსა ზედა. ღმერთს ჩემთვის ეგოდენი უბოძებია, მრავალს

კაცს ეყოს. ორმოცი ლიტრა ვეცხლი მას მივსცე, სხვა მე მოვიხმარო და ღმერთი არ გავიწყრომო. არ იფიცა და მას კაცსა თხოვილი მისცა.

მან კაცმან, რომელმან წარიღო ვეცხლი, ეგრე თქვა: ღმერთო, მართალო და ჭეშმარიტო! შენ უწყი, ჩემისა სიგლახაკისათვის ვქმენ ესე. აწ თუ გამეგამარჯვოს სავაჭროსა ამასა ზედა, ყოველი მონაგები ამაჟე კაცსა მოუძღვანო და ყველაყა ვაუწყო.

წავიდა იგი კაცი ჩინ-მაჩინს. ესრეთ ოვაჭრა და გამდიდრდა, რომე უდიდესი ვაჭარი აღარ ითქმოდა.

რაოდენთა წელთა უკანის, მუნვე ქალაქად მოვიდა, მონახა მდიდარი იგი, პოვა და იწვია. ამან იცნა და მან მდიდარმან ვერა. შეიყვანა სალაროსა თვისსა და, რა რომე აქვნდა, აჩვენა. და უკვირდა მდიდარსა მას დიდება მისი და სიმრავლე უნჯთა. მოეწონა და უქო ყოველივე. მერმე მან კაცმან ამოიღო კლიტე მისისა სალაროსა, მიართვა, ხელთა აკოცა და მოახსენა: ესე ყოველი შენია და ღმერთმან გაუფლოსო!

მას მდიდარსა ძოლანდელი საქმე დავიწყებიყო და ჰკითხა ვინაობა და ვითარობა, და მან ყოველივე ყოფილი მოახსენა: ჩემმან სიგლახაკემ მომაგონა, თვარა შენ ჩემი არარა გეცალა. მე რა მქონდა, რომ გამეგასხა. ესე ყოველი შენია, დაეპატრონეო!

გაუკვირდა მას მდიდარსა მის კაცისა სიმართლე და გულკეთილობა. ერთი სარტყელი აიღო და ერთი საპერანგე. ეგრე უთხრა: ესეც ამად აიღე, ნუთუ გულის კლება შეგექმნას, ღმერთმან შენ მოგახმაროს, რადგან შენში ეგეთი კეთილობა ვიხილე, ჩემი რაც მაქვს, იგიც შენი იყოსო“.

ამგვარია შინაარსი სულხან-საბას არაკისა „ბრძენი და მდიდარი“.

არაკის ორივე პერსონაჟი სიმდიდრის მფლობელია, ოღონდ ბრძენი მდიდარი სიმდიდრისაგან დაცემულია, ანუ ძლეულია. ძველი ქართული დაცემა ნიშნავს როგორც „ძლევას, დამხობას“. ასევე „დაქცევას, დაკარგნას“. ამ ბრძენს ქონება იმ მიზეზით დაექცა, რომ სიმდიდრის მოხვეჭის სურვილმა მის სიბრძნეს გადააჭარბა. ბრძენს სიბრძნემ უმტყუნა და სიმდიდრისაგან იძლია, ვინაიდან ვაჭრობა მას თვითმიზნად ექცა, ქონების თავისთვის დაუნჯებას მიჰყო ხელი და არც განსაცდელმა დაახანა – იგი ვაჭრობისა სიმდიდრისაგან დაცემული შეიქნა, ანუ გაკოტრდა.

ამის საპირისპიროდ, არაკის მეორე პერსონაჟის სიმდიდრის წყარო და სათავე ღვთისმოშიშობაა. ამას იგავურად მიგვანიშნებს მდიდრის ეპითეტი – მდიდრობისაგან უმეტესად ღვთის მოშიში. ღვთისმოშიშმა მდიდარმა, როგორც ჩანს, კარგად უწყის, რომ:

„სიბრძნის სათაე უფლის შიშია... სიბრძნის გვირგვინია უფლის შიში“ (სიბრძნე ზირაქისა 1, 14. 18. 20. 27; 19, 20; იგავნი სოლომონისნი 9, 10; ფსალმუნნი 110, 10). ღვთისმოშიში მდიდარი სწორედ იგია, ვინც „ღმრთისა მიერ განმდიდრდებოდა“, და არა იგი, „რომელი იუნჯებდეს თავისა თესისა“ (ლუკა 12, 21), რასაც ვაჭრობისა სიმდიდრისაგან დაცემული ბრძენი ეწეოდა გაკოტრებამდე.

ასე რომ, არაკში „ბრძენი და მდიდარი“ ღვთისმოშიში მდიდრის მხატვრულ-იგავური განსაზღვრება – მდიდრობისაგან უმეტესად ღვთის მოშიში – აშკარად დაპირისპირებულია ვაჭრობისა სიმდიდრისაგან დაცემულთან, ანუ ბრძენი მდიდარყოფილის მხატვრულ-იგავურ ეპითეტთან, შდრ.:

სიმდიდრისაგან დაცემული <———> ღვთის მოშიში

სწორედ ღვთისმოშიშ მდიდარზე შეაჩერა თავისი არჩევანი ბრძენმა მდიდარყოფილმა და ორმოცი ლიტრა ვერცხლი გამოითხოვა მისგან. ორმოცი ლიტრა ვერცხლი ღვთისმოშიში მდიდრისათვის მცირედია იმასთან შედარებით, რაც, ამ მდიდრისავე თქმით, ღმერთს უბოძებია მისთვის. ღვთისმოშიში თავის სიმდიდრეს ღვთის წყალობად მიიჩნევს და მუდამ ემადლიერება უფალს. იგი სიმდიდრის გაცემას ეშურება, რათა, ჯერ ერთი, დარჩენილი თავად შეირგოს, მეორეც, ღვთის წყრომა არ დაიტეხოს თავს. ღვთისმოშიში მდიდარი ასე ფიქრობს:

„ღმერთს ჩემთვის ეგოდენი უბოძებია, მრავალ კაცს ეყოს. ორმოცი ლიტრა ვეცხლი მას მოსცე, სხვა მე მოვიხმარო და ღმერთი არ გავიწყრომო“.

ღვთისმოშიშის ხსენებულ ალეგორიასთან ერთად, აქაც მოიპოვება იგავური მინიშნება იმ ერთადერთ წყაროზე, საიდანაც ულევად მოედინება ღვთისმოშიში მდიდრის სიმდიდრე-ქონება – ეს არის ღვთის ნებისა და წყალობის უზენაესობა, ღვთისადმი მადლიერება, ასევე მოშურნეობა და სიმარდე მოწყალების გაღებაში.

არაკი მოგვითხრობს ამბავს იმაზე, თუ როგორ დააღწია თავი გაკოტრებას ბრძენმა მდიდარყოფილმა. იგი გონიერებასა და გამჭრიახობას იჩენს: ღვთისმოშიშ მდიდარს ღვთის სახელს უხსენებს (*„შენ სახელი ღვთისა იფიცე“*), რადგან იცის, რომ ღვთისმოშიში არასოდეს დაიფიცებს ამაოდ, და ასე დასტყუებს ორმოც ლიტრა ვერცხლს, თითქოსდა, მართლაც ემართა მისი.

მაგრამ ბრძენმა შემდეგ ღვთის წინაშე მოინანია თავისი სიცრუე, თან აღთქმაც დადო, რომ წარმატების შემთხვევაში მონაგებს უთუოდ ვერცხ-

ლის პატრონს მისცემდა. ბრძენს მართლაც გაუმართლა საფაჭრო საქმეში, გამდიდრდა და დაუყოვნებლივ შეასრულა აღთქმა: *ზაქეს* მსგავსად (ლუკა 19, 8), მან ყველაფერი დაუბრუნა ღვთისმოშიშს: *„ჩემმან სიგლახაკემ მომაგონა, თვარა შენ ჩემი არარა გეგალა. მე რა მქონდა, რომ გამეგასხა. ესე ყოველივე შენია, დაეპატრონეო!“* – ეს აღსარებაც დაურთო და სამართლიანობაც აღადგინა.

სულხან-საბას ბრძენი მდიდარყოფილი მკითხველს უეჭველად მოაგონებს სახარებისეულ ორგულ მნეს, რომელმაც არაკეთილსინდისიერად, ბოროტად გამოიყენა მასზე მინდობილი მოვალეობა.

პატრონის მიერ მნისათვის ჩაბარებული და მინდობილი ქონება, როგორც უკვე განიმარტა, არის უფლისაგან ბოძებული ყველანაირი ნიჭი, უნარი თუ სიმდიდრე, რასაც მხოლოდ სამნეოდ, საპატრონებლად გვანდობს და გვავალდებულებს, რომ ამ სამნეო ქონებას არასოდეს მოვეპყრათ უსამართლოდ, უმართებულოდ, ესე იგი, არ უნდა ვიქცეთ სიცრუის მნედ: ეს ქონება საკუთარი სიამოვნებისთვის კი არ გამოიყენოთ, არამედ გასამრავლებლად, გასაცემად და სხვათა სამსახურებლად. უფალი ჩვენ, სიცრუის მნეებს, იგავურად გვითითებს იმ გზასა და საშუალებებზე, რომელთა მეოხებითაც შეგვიძლია, განვერიდოთ ჩვენივე ნებით თავს დატეხილ უსამართლობას, ანუ უარი ვთქვათ უმართებულო, ცოდვისმიერი ცხოვრების წესზე, და ჩვენს ხელთ არსებული ყველანაირი ქონება გავცეთ მოწყალების სახით, რათა სამუდამო სასუფევლის ღირსნი გავხდეთ.

სწორედ ამ მხრივ ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა იმას, თუ როგორი გულმოდგინებითა და მოხერხებით (სიცრუვით) ზრუნავს მნე წარმავალი, ამქვეყნიური ცხოვრების კეთილმოწყობისათვის.

ვიმეორებთ, წმიდა სახარების ამ იგავის მეორე ნაწილში შექებული სიცრუე სინამდვილეში წარმოადგენს უფლისმიერ მითითებას იმ გზასა და საშუალებებზე, რასაც ცოდვილმა უნდა მიმართოს თავის (სულის) გადასარჩენად: ეს არის მოხერხებულობა და გამჭრიახობა, გულმოდგინება და დაუცხრომელი ღვაწლი, რაც უმართებულო, ცოდვისმიერი ცხოვრების წესის უარსაყოფად უნდა მოვიმარჯვოთ.

სიცრუის მნეც სულის გადასარჩენად დგამს ამ ნაბიჯს – იგი, იგავური ქარაგმით რომ ვთქვათ, სიცრუით სძლევს სიცრუეს (ხელწერილებში აღბეჭდილი სიცრუე-ცოდვა მან გადაწერილ ხელწერილებში ამოშალა), რაც იგავურად სინანულის ფარდია.

ჩვენ ვხედავთ, რომ წმიდა სახარების იგავში **სიცრუე** თავდაპირველად ცოდვის გამომხატველი იგავური ალეგორიაა, რომელიც იგავის მეორე ნაწილში იცვლება და ალეგორიულად სინანულის გზის მაჩვენებელი ხდება. **სიცრუე** ამ დროს მთლიანად დაცლილია საკუთარი სემანტიკისაგან, იგი მხოლოდ ე.წ. შიშველ ალეგორიად რჩება, რომელიც იგავის მთხრობელმა უფალმა იესომ ერთადერთი მიზნით მოიხმო: სათქმელი ამსოფლიური ცხოვრებისეული სურათებით გააცოცხლა, რათა იგი უფრო ადვილად გასაგები ყოფილიყო და გულისხმიერ მსმენელს თავად ეძებნა სიტყვის ჭეშმარიტება.

სულხან-საბას ბრძენი მდიდარყოფილიც **სიცრუეს** მიმართავს, ისიც მოხერხებულად დასტყუებს ღვთისმოშიშს ვერცხლს. ეს **სიცრუე** ორგული მნის მიერ არჩეული სინანულის გზას შეესაბამება, ვინაიდან ბრძენი მაშინვე მოაყოლებს თავის სიცრუეს სინანულისა და აღთქმის სიტყვებს:

„მან კაცმან. რომელმან წარიღო ვეცხლი, ეგრე თქვა: ღმერთო, მართალო და ჭეშმარიტო! შენ უწყი, ჩემისა სიგლახაკისათვის ექმენ ესე. აწ თუ გამემარჯვოს საჯჩრისა ამასა ზედა, ყოველი მონაგები ამავე კაცსა მოუძღვანო და ყველაყა ვაუწყო“.

სიმდიდრისაგან დაცემული არაკში სულით დაცემასაც უნდა გამოხატავდეს, კერძოდ, იმას, რომ ბრძენს, როგორც უკვე შევნიშნეთ, სიბრძნემ უმტყუნა: იგი ღმერთს დაშორდა, ვინაიდან სიმდიდრის კეთილად გამოყენების ნაცვლად (გამრავლება-გაცემას ერთდროულად რომ ითვალისწინებს) მან ვაჭრობა გაიხადა კერპად და, ქონების თავისთვის დაუნჯებით, მის მონა-მორჩილად იქცა.

ასე გვესმის არაკში წარმოდგენილი ალეგორიული ეპითეტი ბრძენისა – **ვაჭრობისა სიმდიდრისაგან დაცემული,** რომელიც პირდაპირი მნიშვნელობით მისი ქონების განიავებას, გაკოტრებას გამოხატავს, იგავურად კი ასახავს ბრძენის ღვთისაგან განშორებას **მამონას** ცოდვათა გამო.

სიმდიდრისაგან დაცემული ბრძენი გაკოტრებისათანავე მოეგება გონს და, ორგული მნის მსგავსად, მთლიანად გააცნობიერებს თავისი შეცოდების თავსა და ბოლოს. ეს ჩანს მისი გულმოდგინებიდან, რითაც მდიდარყოფილი მთელ ქვეყანას მოიკლის, ინდოეთს მისწვდება, იქ მოძებნის და შეისწავლის ერთი მდიდრის ასაკალ-დასაკალს, ისარგებლებს მისი ღვთისმოსაობით და ცრუ გამსესხებლად, ვითომდა **მოკასხად** მიადგება ამ ღვთისმოშიშ მდიდარს.

ყოველივე ეს თითქმის სრულად ემთხვევა ორგული მნის გონს მოგებას, მის გაცნობიერებულ გადაწყვეტილებას და ხსენებული **სიცრუის,** ანუ სინა-

ნულის გზის არჩევანს. ბრძენი და მნე ჯერ სიმდიდრისადმი უჯერო დამოკიდებულებით სჩადიან ცოდვას – ეს მათი უმართებულოდ გაკეთებული არჩევანის შედეგია. შემდეგ კი ორივე იპოვის გზას ცოდვისაგან დასახსნელად – ეს გზა არაკშიც და იგავშიც ამსოფლიური სიბრძნისა და გონიერების იგავური ალეგორიით – ტყუილითა და სიცრუით გამოიხატება.

ვიმეორებთ, არაკშიც და იგავშიც ამ ალეგორიის პირდაპირი მნიშვნელობა (სიცრუის სემანტიკა) მთლიანად უგულებელყოფილია, იგი, როგორც უკვე აღინიშნა, მხოლოდ შიშველი მხატვრული ხერხია, წმინდა წყლის იგავური სამოსია თავის (სულის) გადარჩენის ბრძნული (ქრისტიანული) გზის გამოსახატავად.

ამაზე სულხან-საბას არაკის სათაურიც მიგვითითებს – „ბრძენი და მდიდარი". ბრძენი მდიდარყოფილს იმიტომ ჰქვია, რომ მან ბრძნულად დააღწია თავი გაჭირვებას, მდიდარი კი თავისი ღვთისმოშიშობით, ანუ ღმრთისა მიერი განმდიდრებით უნდა იყოს მდიდარი. „ბრძენი და მდიდრის" სათაურიც ალეგორიაა, სადაც იგავური სიტყვის ქართველი დიდოსტატი არაკის მთავარ სათქმელს შესაშური სრულყოფილებით ასახავს.

ბრძენი მდიდარი, სიბრძნის გარდა, მადლიერებასაც აჟღენს. მისი სიბრძნე არაკში აერთიანებს გონიერებას, გამჭრიახობას, სინანულის გზის არჩევანს და ასევე მადლიერებასაც. ბრძენი მადლიერია არა მარტო ღვთისმოშიშისადმი, არამედ ღვთისადმიც. იგი სწორედ ღვთისადმი მადლიერებით აღსავსე მიიღებს თავის გადაწყვეტილებას. სხვაგვარად ვერც აიხსნება ბრძნის ის განზრახვა და გამიზნულობა, რასაც იგი ღვთის შეწევნით მიაღწევს და აღასრულებს კიდეც: *„ესე ყოველი შენია და ღმერთმან გაუფლოსო!"* – ასე მიმართავს იგი სტუმრად მოსულ ღვთისმოშიშს, თავისი სალაროს კლიტეს გადასცემს მას, თან, თავმდაბლობისა და ღვთის ნებისადმი მორჩილების ნიშნად, მოწიწებით ეამბორება ხელზე,

ღვთისმოშიში მდიდარიც დიდ სულგრძელობასა და მადლიერებას ამჟღავნებს, რაც მისი ღვთისმოშიშობიდან და ღვთისადმი თავმდაბლური მორჩილებიდან გამომდინარეობს. ღვთისმოშიშის საპასუხო რეაქცია ღირსეული ჟესტი გახლავთ:

„გაუკვირდა მას მდიდარსა მის კაცისა სიმართლე და გულკეთილობა... ჯრე უთხრა: ...ღმერთმან შენ მოგახმაროს, რადგან შენი ეგეთი კეთილობა ვიხილე, ჩემი რაც მაქვს, იგიც შენი იყოსო".

ღვთისმოშიშის მადლიერებაზე ისიც მეტყველებს, რომ მადლობის ნიშნად მან ბრძნის სალაროდან ერთი სარტყელი და ერთი საპერანგე აიღო

მხოლოდ. სიმართლესა და კეთილობაში ცხოვრების ის ბრძნული წესი უნდა ვიგულოთ, რასაც ღვთისადმი მადლიერი კაცი ეწევა.

არაკის ბოლოს სწორედ ორი ამგვარი მდიდარი ადამიანი დგას გვერდიგვერდ. ისინი ჭეშმარიტად „ღმრთისა მიერი" მდიდარნი არიან, ვინაიდან მათ ღვთიური სიბრძნითა და მადლიერებით, სინანულით, თავმდაბლობითა და მორჩილებით დათრგუნეს უგუნურება, უმადურობა, ვერცხლისმოყვარეობა, დიდებისმოყვარეობა და, საფიქრებელია, რომ ამ ვნებათაგან გამომდინარე ყველა სხვა მანკიერებაც შემუსრეს.

ამ არაკს შეგონება არ ახლავს. მეფე ფინეზის სათქმელი ისედაც ნათელია და ცხადი: სიბრძნისა და ღვთისადმი მადლიერების შექებით არაკის მთხრობელი მიგვანიშნებს ღვთის უზენაესობაზე კაცთა ცხოვრებაში, კერძოდ, მეფის კურთხევის საქმეში. ამას ისიც გვკარნახობს, რომ არაკის ადრესატი ძე მეფისაა, და ისიც, რომ ამ არაკის ჩამთავრებისთანავე მეფე თავის ერთადერთ ძესა და მემკვიდრეს სამეფოს მფლობელად აღიარებს, და ამას უპირველესად ღვთის ნებად შერაცხავს:

„შვილო ჩემო, შენთვის ღმერთსაც მოუნდომებია და მეც მომიცია ადგილი და სამეფო ჩემი და დღეის წაღმა უფლებდე ყოველისა ზედა და ნუმცა ეინ არს ურჩი შენი".

„ისხენით თავისა თქუენისა მეგობარნი"

უფლის მეორე შეგონებაში კიდევ ერთი იგავური მინიშნება იქცევს ყურადღებას: „ორგული მნის" იგავში მნე ცდილობს, **მოვალეები** თავის მეგობრებად იგულოს, ხოლო **შეგონებაში** უფალი **მეგობრებს** ახსენებს: **შეიძინეთ** მეგობრებიო. მეგობრებისა და მოვალეების იგივეობაზე უფალი მიგვანიშნებს სიტყვით – **შეგიწყნარონ.**

იგავში მნე ამბობს: **„უწყი, რაჲ ვყო, რაჲთა, რაჟამს გარდავდგე მნეობისაგან, შემიწყნარონ მე სახლთა მათთა"** (ლუკა 16, 4); შეგონებაში კი უფალი გვეუბნება: **„ისხენით თავისა თქუენისა მეგობარნი მამონაჲსა მისგან სიცრუვისა, რაჲთა, რაჟამს მოაკლდეთ თქუენ ამიერ, შეგიწყნარნენ თქუენ საუკუნეთა მათ სამყოფელთა"** (ლუკა 16, 9).

როგორც ვხედავთ, იგავშიც და ამ შეგონებაშიც ბოლო ნაწილი სრულად ემთხვევა ერთმანეთს:

„რაჲთა, რაჟამს გარდავდგე მნეობისგან, შემიწყნარონ მე სახლთა მათთა", – ამბობს მნე იგავში.

„რათა, რაჟამს მოაკლდეთ თქუენ ამიერ, შეგიწყნარნენ თქუენ საუკუნეთა მათ სამყოფელთა“, – ამბობს უფალი შეგონებაში.

იგავშიც და შეგონებაშიც უფალი მიგვანიშნებს ამ სოფლიდან გასვლაზე, სიკვდილზე. იგავში ამ აზრს გამოხატავს მნეობისაგან გადადგომა. პატრონი ჯერ სამნეო ანგარიშს სთხოვს მას – ეს განსაცდელებია: ავადმყოფობა, უბედურება, გაჭირვება, ასევე ხორციელი სილამაზე, სიმდიდრე, ძალაუფლება. სამნეო ანგარიში, ზოგის განმარტებით, გარდაცვალებასაც უნდა გულისხმობდეს, ხოლო მნეობისგან გადადგომა, ანუ მნეობის მოვალეობის გასრულება – ქვეყნის აღსასრულს, საბოლოო სამსჯაროს გამომხატველიაო.

შეგონებაში მნეობისგან გადადგომის შესაბამისია **მოაკლდეთ ამიერ სოფლით** – ესე იგი, როდესაც თქვენ ამ სოფელს მოაკლდებით, ანუ ამ სოფლიდან გახვალთ, გარდაიცვლებითო. ძველი ქართული მოკლება ნიშნავს „გაღატაკებას“, მაგრამ ასევე ნიშნავს „შემცირებას, დაკლებას, დატოვებას, დალევნას (დაილია), დაცხრომას“. გარდა ამისა, კლება, თავისი ძირით კლ(კალ) აისახება ზმნაში მოკლ-ვა, მოკვლა (მოკლა).

მოაკლდეთ თქუენ ამიერ სოფლით – ანუ ამ სოფელს რომ მოაკლდებით, ამ სოფლიდან რომ გახვალთო. უფალი იგავურად მიგვანიშნებს გარდაცვალებაზე. გარდაცვლილზე ვამბობთ ხოლმე, ამ ქვეყნიდან წავიდა, ამ ქვეყანას მოაკლდაო.

მთლიანობაში, მეორე შეგონებიდან გამომდინარე სათქმელის გათვალისწინებით – **მოაკლდეთ ამიერ სოფლით** – სწორედ გარდაცვალების, სიკვდილის მნიშვნელობის ამოკითხვას ითხოვს მსმენელისგან: უფალი გვაფრთხილებს, რომ ჩვენ სიცოცხლეშივე, სანამ ამ სოფელს დავტოვებთ, მანამდე უნდა შევიძინოთ მეგობრები – ჩვენი შემწენი და მეოხნი, რათა სიკვდილის შემდეგ საუკუნო სასუფეველი გვერგოს.

სხვა განმარტებით, შეგონებაში ნათქვამი **რაჟამს მოაკლდეთ თქუენ ამიერ** ნიშნავს: სანამ გაღარიბდებით, გაღატაკდებითო, როგორც ეს ძველ რუსულ თარგმანშია. ამით უფალი იმაზე უნდა მიგვითითებდეს, რომ უსამართლოდ მოხვეჭილი სიცრუის სიმდიდრე დაკარგავს იმ აზრს, რის გამოც კაცობრიობის დიდი ნაწილი საკუთარი სულის წარწყმედასაც კი არ ერიდება. ამ დროს გულისხმობენ იგავურ მითითებას ქრისტეს მეორედ მოსვლაზე, როდესაც არათუ სიცრუის სიმდიდრე, არამედ ყოველნაირი ხორციელი სიმდიდრე, თვით ყველაზე პატიოსანი გზით შეძენილიც კი, ყოველგვარ მნიშვნელობას დაკარგავს.

მაშასადამე, უფალი მიწიერი სიმდიდრისა და ქონების დროებითობაზე, მის წარმავლობაზე მიგვანიშნებს თავის შეგონებაში.

წმიდა იაკობ მოციქული ამ უფლისმიერი შეგონების სათქმელს ავითარებს, როდესაც თავის ეპისტოლეში მდიდრებს მიმართავს და ეუბნება:

„ახლა კი თქვენ, რომელნიც ამბობთ: დღეს თუ ხვალ ამა და ამ ქალაქში წავალ, იქ ერთ წელიწადს დავრჩები, ვიყაჭრებ და ფულს მოვიგებო; თქვენ, რომელთაც არ იცით, რა გელით ხვალ: რადგან რა არის ჩვენი სიცოცხლე? კვამლი, რომელიც ცოტა ხანს ჩანს და მსწრაფულ განქარდება. ნაცვლად იმისა, რომ გეთქვათ: თუ უფალს ნებავს, ვიცოცხლებთ და ამას და ამას ვიზამთო, – ქედმაღლურად იქადით; მაგრამ ყოველგვარი სიქადული ბოროტებაა. ამრიგად, ვისაც შეუძლია სიკეთის ქმნა, მაგრამ არა იქმს – ცოდვილია.

ახლა კი თქვენც, მდიდარნო, იტირეთ და იგლახეთ თქვენს თავს მოწვენადი უბედობისთვის! სიმდიდრე თქვენი დალპა, და მღილმა შეჭამა თქვენი სამოსი. თქვენი ოქრო-ვერცხლი დაიჟანგა, და მათი ჟანგი სამოწმებელად იქნება თქვენ წინააღმდეგ, და შეჭამს თქვენს ხორცს, როგორც ცეცხლი“, – ამ გაფრთხილების დასასრულ წმიდა მოციქული ამგვარად შეაგონებს სიმდიდრის მოყვარულთ: *„უკანასკნელ დღეთათვის დაიუნჯეთ თქვენი საუნჯე“* (იაკობი 4, 13-17; 5, 1-3).

ეს შეგონება უშუალოდ ეხმიანება იმ უფლისმიერ შეგონებას, რომელიც ასევე შეგვახსენებს ქრისტეს მეორედ მოსვლასა და საბოლოო სამსჯაროს: უფალი საუკუნო სამყოფელის დამკვიდრებისთვის განმზადებას გვირჩევს: რათა იქ მიგიღონო, – ბრძანებს იგი შეგონებაში. *წმიდა იაკობ მოციქული* კი ქონებისა და სიმდიდრის ჯეროვანი გამოყენებით მოუწოდებს ამ განმზადებისკენ: დაიუნჯეთო თქვენი საუნჯე – ესე იგი, ისე გამოიყენეთ, რომ უკანასკნელ დღეებში ღვთის წინაშე წარდგომისას თქვენვე გამოგადგეთ, თქვენვე ისარგებლოთო.

უფალი იესო ასე მიმართავს მდიდართ, სიმდიდრისა და ქონების პატრონებს: *„ვაი თქუენდა, მდიდარნო! რადგან უკვე მიიღეთ თქვენი ნუგეში“*, – და იმაზე მიანიშნებს, რომ აქ მიღებული ნუგეშითღა დარჩებიან ისინი, იქ კი – სანეტარო ნუგეშისცემის ღირსნი ვერ გახდებიან, თუკი არ ისმინეს ქრისტესი, არ გაპყენენ მას და, მებაჟე *ზაქეს* მსგავსად, არ შეასრულეს მისი ნამცნები. უკვე რამდენჯერმე ვახსენეთ ზაქე, ახლა მისი ამბავიც გავიხსენოთ:

ქალაქ იერიქონში მებაჟეთა მთავარი, მეტად მდიდარი კაცი, სახელად *ზაქე*, ცდილობდა, თვალი მაინც მოეკრა უფალი იესოსთვის, მაგრამ ტან-

მორჩილმა ხალხმრავლობის გამო ვერა და ვერ მიაწვდინა თავალი. მაშინ წინიდან მოურბინა და იმ ლეღვის ხეზე აიდა, სადაც იესოს უნდა გავლო, რათა დაენახა იგი.

იმ ადგილს რომ გაუსწორდა, უფალმა აიხედა ზემოთ, დაინახა *ზაქე* და უთხრა: ზაქე, ჩქარა ჩამოდი ძირს, დღეს შენს სახლში უნდა ვიყოო. ისიც საჩქაროდ ჩამოვიდა და სიხარულით მიიღო უფალი. მაგრამ უფალი ზაქეს გულმაც მიიღო. ამ ცოდვილმა მდიდარმა მებაჟემ გულის კარი გაუღო ზეციურ ნათელს, თავის მხსნელსა და მაცხოვარს. სულიერი ფერისცვალებით უფრო იყო გახარებული ზაქე, ვიდრე უფლის სტუმრობით, რადგან ამ ფერისცვალებით გამოღებული ტკბილი ნაყოფი იგემა და მასთან წვეულ ღვთაებრივ სტუმარს აღსარების სიტყვებით მიმართა:

„აჰა, უფალო, ჩემი ქონების ნახევარს მოვცემ გლახაკთ, და თუ ვინმეს ცილი ვწამე, ოთხმაგად ვუზღავ“ (ლუკა 13, 1-16). *ზაქეს* განმართლებასა და გადარჩენას თავად უფალიც ადასტურებს და ამბობს: **„დღეს მოვლინა ხსნა ამ სახლს, ვინაიდან ესეც ძეა აბრაამისა. რამეთუ მოვიდა ძე კაცისა მოძიებად და ცხორებად წარწყმედულისა“**. ზაქე ვერცხლისმოყვარეობით იყო წარწყმედილი, მაგრამ უფალმა მოიძია იგი, იხმო და იხსნა ამ წარწყმედისაგან – გადაარჩინა.

ის, რაც *ზაქემ* გააკეთა, ანუ ქონების დაბრუნება და ოთხმაგად მიზღვა, არის გზა გადარჩენისა იმისთვის, ვინც უსამართლო, სიცრუის სიმდიდრის პატრონია. ზაქემაც, სიცრუის მნის მსგავსად, ამ გზით – უსამართლოდ მოხვეჭილი ქონების დაბრუნებით – გადარჩენა მოიპოვა, მეგობრები შეიძინა და საუკუნო სამყოფი განიმზადა ზეციურ სასუფეველში.

რაც შეეხება შეძენილ მეგობრებს, რომელთაც იგავში ბატონის მოვალეები განასახიერებენ, და რომელთა შემწეობითა და მეოხებითაც უნდა დავიმკვიდროთ საუკუნო სასუფეველი – ისინი უპირველესად არიან ზეციური მკვიდრნი: წმინდანები, მართლები, ასევე ის ლარიბ-ლატაკნი, რომელთაც თავისი სიმდიდრით აქ შევეწევით.

თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ზეციური მკვიდრნი ღვთის ნების გარეშე, საკუთარი ნებითა და უფლებით მიგვიღებენ ცის სასუფეველში. *ნეტარი ავგუსტინე* ამასთან დაკავშირებით ბრძანებს: *„ისინი* (მეგობრები) *სასუფეველში თავიანთი ლოცვებით კი არ მიგვიღებენ, სიცოცხლეში რომ აღავლინეს ჩვენთვის, არამედ თავიანთი მოწმობითა და დასტურით სამსჯავროზე, იმის დასტურით, რომ ჩვენ მათთვის მოწყალება გავიღეთ და გვეცით“*.

ნეტარი მამა „ცხვრებისა და თიკნების“ იგავს იხსენებს (მათე 25, 31-46), სადაც სწორედ ამ მოწმობისა და დასტურის იგავური სურათია აღბეჭ-

დილი. უფალი ხორციელ სათნოებებს ჩამოუთვლის ცხვრებსაც, ესე იგი, მართლმორწმუნეებს, და თიკნებსაც, ანუ მოუნანიებელ, უმოწყალო ცოდვილებს. პირველნი ამ სათნოებათა სანაცვლოდ სანეტარო კურთხევას მიიღებენ, მეორენი კი ეშმაკისთვის განმზადებულ ცეცხლში მოხვდებიან.

უფალი მარჯვენით მდგომ ცხვრებს ეუბნება: „რაც გაუკეთეთ ერთს, ამ ჩემს მცირე ძმათაგანს, მე გამიკეთეთო", და ეს **ერთი მცირე ძმათაგანი** შეგონებაში ხსენებული **მეგობრის** ტოლფარდია, იმავე იგავური შინაარსისა და მნიშვნელობის მქონე.

სიცრუის მამონა

საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ **სიცრუის მამონაზე**, რომელსაც უფალი „სიცრუის მნის" იგავს მოდევნებულ მეორე შეგონებაში ახსენებს:

„და მე გეტყჳ თქუენ: ისხენით თავისა თქუენისა მეგობარნი მამონაჲსა მისგან სიცრუვისა, რაჲთა, რაჟამს მოაკლდეთ თქუენ ამიერ, შეგიწყნარნენ თქუენ საუკუნეთა მათ სამყოფელთა" (ლუკა 16, 9).

განმმარტებელთა ნაწილი მამონაში გულისხმობს საკუთრივ ქონებას, სიმდიდრეს, რომელიც უსამართლოდ არის მოხვეჭილი. თუმცა განმმარტებელთა მეორე ნაწილი **სიცრუის მამონაში** განსხვავებულ საღვთისმეტყველო მნიშვნელობას ხედავს.

ნეტარი თეოფილაქტე ბულგარული ბრძანებს, რომ ეს სიმდიდრე, რომელსაც უფალი იესო შეგონებაში **მამონად** იხსენიებს, ღმერთმა მოგვცა, რათა სიმართლის იარაღად გვექცია და მართებულად, ღვთისათვის სათნოდ მოგვეხმარა – მოყვასისათვის გაგვეზიარებინა. მაგრამ ჩვენ ეს ღვთაებრივი იარაღი უსამართლობად ვაქციეთ. სწორედ ამიტომ შეაფასებს უფალი ამ სიმდიდრეს **სიცრუისად**, თავად სიმდიდრეს კი იმ მიზეზით იხსენიებს **მამონად**, რომ უსამართლოდ, უმართებულოდ მოხმარებული სიმდიდრე თავად იქცევა უსამართლობად – **მამონად**, ხოლო უსამართლობა ეშმაკიაო, – დასძენს ნეტარი მამა.

გავიხსენოთ, რომ **მამონა** სირიული სიმდიდრის კერპის სახელია. ანტიოქიაში **მამონას** კერპი განსაკუთრებული თაყვანისცემის საგანი იყო სირიელთათვის. *მიტროპოლიტ ფილარეტის* განმარტებით, უფალმა შემთხვევით არ ახსენა სწორედ ამ კერპის სახელი **მამონა**.

წმიდა მამა იოანე ოქროპირი „ორგული მნის" იგავის განმარტებისას **მამონას** ნაცვლად ახსენებს **ოქროს**. წმიდა მამა შეძრწუნებულია იმით,

რომ კაცთა მოდგმამ, თავისი საზარელი ცოდვათქმნადობით, უფალი აიძულა, ღმერთთან ერთად ოქრო ეხსენებინა:

„შეეძრწუნდეთ სმენისათჳს ამათ სიტყუათაჲსა, რაჲთა ესე ვაიძულეთ ქრისტესა თქუმად და ღმრთისა თანა ჴსენებად ოქროჲსა. ხოლო უკუეთუ სმენაჲ ოდენ სიტყჳსაჲ შესაძრწუნებელ არს, რაჲმე ვთქუათ, ოდეს საქმით ვიქმოდით და უპატიოსნეს შიშისა ღმრთისა შეგურაცხოს მონებაჲ საფასეთაჲ?“ – ეს რიტორიკული შეკითხვა დღემდე გაისმის ჩვენს შესაგონებლად.

იგავთმთხრობელი იესოს მსმენელისთვის მამონას კერპი ცნობილი იყო, ვითარცა სიმდიდრის ღმერთი, ყოველგვარი ამქვეყნიური ქონების მპყრობელი. ვინც ამ კერპს ემსახურებოდა, სინამდვილეში იყო მსახური სიმდიდრისა, ამქვეყნიური განძისა. *მიტროპოლიტ ფილარეტის* თქმით, **მამონათი** უფალი მიგვანიშნებს, რომ სიმდიდრის მოხვეჭა, უსამართლოდ მიტაცება და დაგროვება არის კერპთაყვანისცემა. რაკი გაცხარებით მხოლოდ შენთვის აგროვებ ქონებას, ესე იგი, პყრობილი ხარ შენგანვე კერპად ქცეული სიმდიდრისა, მონა ხარ მისი და მსახურიც. ასე გექცევა შენი სიმდიდრე საცდურად და ცოდვის წყაროდ.

წმიდა წერილში **სიცრუის მამონა**, ანუ უსამართლო სიმდიდრე და მასზე მიჯაჭვულობა, ცოდვად არის აღიარებული. უფალი ამ ცოდვისაგან თავის დასაღწევ საშუალებასა და გზაზე იგავურად გვითითებს და გვირჩევს, უსამართლო მამონა სამართლიანობისა და სათნოების იარაღად ვაქციოთ, სიკეთისაკენ მივმართოთ და უარი ვთქვათ ამ სიმდიდრეზე – ღარიბ-ღატაკებს მივცეთ იგი!

ამ შეგონებაში **მამონა** ასევე არის არა მხოლოდ საკუთრივ სიმდიდრე, არამედ **სიმდიდრის დაგროვების ვნება**, ქონების მფლობელობისაკენ მისწრაფება, ანუ სიმდიდრის გაკერპება.

სიმდიდრის კერპის სირიული სახელით უფალმა გააერთიანა ორი ცნება – **სიმდიდრე** და **კერპთაყვანისმცემლობა**. უფალი გვაფრთხილებს, რომ სიმდიდრისადმი სიყვარულის სულ მცირედი ნიშნებიც კი უკვე სახიფათოა, და თუკი სიფხიზლეც მოგიდუნდა, მაშინ ისე შეუმჩნეველად ჩაგისახლდება წარმწყმენდელი ჩვეული ქონების მოხვეჭისა, რომ, იქნებ, მეტისმეტად გაჭირდეს კიდეც მისგან თავის დაღწევა.

სიცრუის მამონას უფალი „ორგული მნის“ იგავს მოდეენებულ კიდევ ერთ შეგონებაში ახსენებს:

„უკუეთუ სიცრუვისა ამას მამონასა სარწმუნო არა იქმნნეთ, ჭეშმარიტი იგი ვინ გარწმუნოს თქუენ?“ (ლუკა 16, 11).

ამ შეგონებაში უფალი ერთმანეთს უპირისპირეს სიცრუის მამონას და სარწმუნო, ჭეშმარიტ სიმდიდრეს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დაპირისპირებულია ორგვარი სიმდიდრე – უსამართლო და ჭეშმარიტი. *ეპისკოპოს მიხეილის* თქმით, უფლის შეგონებაში აღბეჭდილი ეს დაპირისპირება თვით იგავიდან გამომდინარე ფასდება: რამდენადაც სიცრუის მამონა არის უსამართლოდ მოხვეჭილი სიმდიდრე, იგი იმდენადვე განაპირობებს თავად მომხვეჭელის ცხოვრების უგვანო წესს. მეორე მხრივ, – განაგრძობს ეპისკოპოსი, – ეს სიმდიდრე ცრუა, მუხთალია და წარმავალი, საპირისპიროდ ჭეშმარიტი, უხრწნელი, მარადიული სიმდიდრისა.

„ორგული მნის“ იგავის დასასრულ, იგავს მოდევნებული შეგონებების შემდეგ, უფალი კვლავ ახსენებს მამონას და ბრ.[1] ნებს:

„არავის მონასა ჴელ-ეწიფების ორთა უფა ჴონებად: ანუ ერთი იგი მოიძულოს და ერთი შეიყვაროს, და ანუ ერთისაჲ თავს-იდვას და ერთი შეურაცხ-ყოს. ვერ ჴელ-ეწიფების ღმრთისა მონებად და მამონაჲსა“ (ლუკა 16, 13).

ამავე შეგონებას ბრძანებს უფალი წმიდა მათეს სახარებაში (იხ. მათე 6, 24). როგორც ვხედავთ, ამ შეგონებაშიც მოწმენი ვართ დაპირისპირებული წყვილისა: ცოცხალი, ჭეშმარიტი ღმერთი და მამონას სიცრუის კერპი. „ორგული მნის“ სათქმელს ამ შეგონებით აგვირგვინებს უფალი და გვაფრთხილებს: ყოველმა სიცრუის მნემ აუცილებლად უნდა გააკეთოს არჩევანი – ან განეშოროს მამონას კერპთაყვანისმცემლობაზე დაფუძნებულ ცხოვრების წესს და მიმართოს ჭეშმარიტ ღვთისმსახურებას, ან კვლავაც დარჩეს მონად მამონასი.

ეს ღვთაებრივი სწავლება არაერთგზის მეორდება წმიდა სახარებაში:

„ნუ იუნჯებთ თქუენ საუნჯეთა ქუეყანასა ზედა, სადა მღილმან და მჭამელმან განრყუნის, და სადა მპარავთა დათხარიან და განიპარიან. ხოლო თქუენ იუნჯებდით საუნჯეთა ცათა შინა, სადა არცა მღილმან, არცა მჭამელმან განრყუნის, და სადა არცა მპარავთა დათხარიან და განიპარიან. რამეთუ სადაცა არს საუნჯე თქუენი, მუნცა იყოს გული თქუენი“ (მათე 6, 19-21; იხ. ლუკა 12, 33).

იგივე აზრი ამოიკითხება უფლის რჩევიდან, რომელიც მან საუკუნო ცხოვრების მაძიებელ მდიდარ ჭაბუკს მისცა და უთხრა:

„უკუეთუ გნებავს, რაჲთა სრულ იყო, წარვედ და განყიდე მონაგები შენი

და მიეც გლახაკთა, და გაქუნდეს საუნჯე ცათა შინა, და მოვედ და შემო-მიდეგ მე“ (მათე 19, 21).

წმიდა პაულე მოციქული თავის პირველ ეპისტოლეში ტიმოთეს მიმართ გვიბრძანებს: *„გამდიდრების მოსურნენი საცდურის მახეში ებმებიან, და მრავალი შლეგური, მავნე და კაცთა დამღუპველი, წარმწყმედი გულისთქმის ტყვენი ხდებიან, რადგან ყოველი ბოროტების ფესვი ვერცხლისმოყვარეობაა („ძირი არს ყოველთა ბოროტთა ვეცხლისმოყუარეობაჲ“), რომლითაც გულშეძრული, ზოგ-ზოგი შეცდა, რწმენას განუდგა და თავს დაიტეხა ურიცხვი ჭირი...“*

წმიდა მოციქული ამასაც ავალებს *ტიმოთეს*: **„მდიდართა ამა ქუეყანისათა ამცნე: ნუ ქედმაღლობენ და ფუჭი სიმდიდრის იმედი ნუ ექნებათ, არამედ – ცოცხალი ღმრთისა, რომელიც უხვად გვაძლევს ყოველფეს სასიკეთოდ და საკეთილდღეოდ, რათა ყველანი ქველმოქმედებდნენ, კეთილი საქმით მდიდრდებოდნენ, გულუხვნი იყვნენ და გულღიანი, და მხოლოდ კეთილ საფუძველს იმზადებდნენ სამერმისო ჟამისათვის, რათა მოუფრთხილდნენ და არ დაკარგონ საუკუნო სიცოცხლე“** (I ტიმოთეს მიმართ 6, 9-10, 17-19).

არქიეპისკოპოს სილვესტრისა და *დეკანოზ ბუხარეევის* თქმით, **სიცრუის** მამონაში უფალი არ გულისხმობს მხოლოდ ორგული მნის მიერ მოხვეჭილ სიმდიდრეს. ორგულმა მნემ მოტყუებითა და მომხვეჭულობით დააგროვა თავისი სიმდიდრე. **სიცრუვის** მნე მართლაც სიცრუისაა, რადგან მან იცრუა, ითვალთმაქცა და ამ გზით გამოსძალა პატრონსაც და პატრონის მოვალეებსაც.

სიცრუის მამონა კი გაცილებით ფართო, მრავალწახნაგოვანი სახარებისეული ალეგორიაა, რომელშიც ერთდროულად არის მონიშნული ამ **სიცრუის** სიმდიდრის წყაროც, შედეგებიც, დანიშნულებაც და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მისი ნამდვილი ბუნება, რაობა და რაგვარობა.

სიცრუის **მამონა**, ჯერ ერთი, არის სიმდიდრე და ქონება, რომელიც მოიპოვება უსამართლო გზებითა და საშუალებებით: მოტყუებით, უსამართლო გზებით (ვთქვათ, მებაჟეები რომ უწევენ ხოლმე გადასახადის საფასურს, ანუ ის, რასაც ეს სიცრუის მნე იქმოდა პატრონისა და მოვალეების წინაშე). ამასვე მიეკუთვნება მემკვიდრეობა, რომელიც შვილებსა და შვილიშვილებს ერგებათ ხოლმე მშობლებისა და ბებია-ბაბუებისაგან. ხშირად მემკვიდრეებმა არ იციან, რა გზით არის მოპოვებული ქონება, რომელიც მათ ერგოთ. პატიოსანი გზითაც რომ იყოს მოწეული ეს სამემკვიდრეო ქო-

ნება, უფლის სწავლებით, ისიც გასაცემელია, და არა მხოლოდ საკუთარი თავისთვის მოსახმარი, მით უფრო გასაცემი იქნება ის ქონება, რომელიც, საკარაუდოდ მაინც, უსამართლოდ მოუხვეჭია ჩვენს წინაპარს.

ამასთან დაკავშირებით *არქიეპისკოპოსი სილვესტრი* იხსენებს *ნეტარ იერონიმეს* შეგონებას: *„ყოველი მდიდარი კაცი ან უსამართლოა, ან უსამართლოდ მოხვეჭილის მემკვიდრე“*.

მეორეც, **სიცრუის მამონა** არის სიმდიდრე, რომელიც გამოიყენება უმართებულოდ – არა ღვთის სადიდებლად, არც მოყვასისთვის, მისი შეწევნისთვის და, რაც მეტად საკვირველია, არც საკუთარი სულის გადასარჩენად, არამედ ემსახურება ცოდვის გამრავლებას, და არანაირი სიკეთის მომტანი არ არის.

მესამეც, ეს სიმდიდრე იმიტომაც არის **სიცრუის მამონა**, რომ მრავალი ცოდვის წყაროდ იქცევა ხოლმე: ტყუილის, გამოძალვის, ქურდობის, ქრთამის, მკვლელობის, შურის, ცილისწამების, ანგარების, ნაყროვანების, სიძუნწის, გარყვნილებისა და სხვა მრავალთა.

მეოთხეც, **სიცრუის მამონა** უწმინდურებსა და ურწმუნოებს მარადიული ბედნიერების მომტან სიმდიდრედ მიაჩნიათ. მათ არ იციან ან არ ახსენდებათ, რომ, სინამდვილეში, ეს არის ამაო, ფუჭი, წარმავალი, არამტკიცე, მაცდუნებელი და დამღუპველი სიმდიდრე. მათ არც ის ახსენდებათ, რომ ჭეშმარიტი სიმდიდრე მხოლოდ სულიერებაა, მოწყალებაა, ის სათნოებაა, რაც მარადიულია, უხრწნელია და ცათა შინა იუნჯება.

ყოველ ურწმუნო მდიდარს უფალი თავისი შეგონებით თითქოს ამას ეუბნება გულისტკივილით: ვაი შენ, მდიდარო! ძუნწო და უგუნურო! შენ ხომ კერპის თაყვანისმცემელი ხარ. მაშ, იცოდე, რომ ეს კერპი სიცრუის მამონაა, რადგან იგი ცრუა, თან მუხთალიც, რადგან ფუჭია და ამაოა ყოველი მისი დაპირება მომავალ ბედნიერებაზე. დაამსხვრიე ეს კერპი, შენ თვითონ რომ შეგიქმნია და გულში ყველაზე ამაღლებული ადგილი მიგიჩენია მისთვის. შენივე ხელებით დაუყოვნებლივ დაამსხვრიე ეს მამონა სიცრუისა, ნამსხვრევები კი ღატაკებს დაურიგე. იცოდე, ეს ნამსხვრევები იმწამსვე სასწაულებრივ ღვთაებრივ სხივებად ჩაიღვრება შენს გულში, სადაც ღირსეულ ადგილს პოვებს უფალი ღმერთი, რომელიც მადლისა და წყალობის უხვად მომნიჭებელია. მაშინ შენს გულში შენივე სულის გადასარჩენად დამკვიდრდება და აღმოცენდება სიყვარული, სიმშვიდე, სასოება და რწმენა.

ამ შეგონების განმარტებისას უფლისმიერი სათქმელის ორ მხარეს გამოკვეთენ: ერთი მხრივ, უფალი შეგვაგონებს, რომ მოხვეჭილი სიმდიდრე

უნდა დაუბრუნდეს იმას, ვისაც ეკუთვნის. თუკი იცი ან ცნობილია, ვისგან მოიხვეჭე ეს შენი სიმდიდრე, იმას დაუბრუნე; და თუ არ იცი (ვთქვათ, სამემკვიდრეო ქონება გერგო და არ იცი, ვისგან მოიხვეჭა იგი შენმა წინაპარმა), მაშინ ღარიბ-ღატაკებს მიეცი.

სიცრუის მამონის უკანონობა, *ნეტარი აგუსტინეს* თქმით, შემდეგში მდგომარეობს: *„შენ გაქვს და სხვას კი არა აქვს“.*

ეს უკანონობა კიდევ უფრო მძიმდება, როცა შენ ჭარბად გაქვს, სხვა კი გაჭირვებულია და იტანჯება: *„ჩვენ მაშინ გვაქვს ის, რაც სხვას ეკუთვნის, როცა ჭარბად გვაქვს ხოლმე რაიმე“*, – დაასკვნის ნეტარი მამა.

მაგრამ შეგონების ეს ნაწილი იმავდროულად შეიცავს და გულისხმობს კიდევ ერთ უფლისმიერ იგავურ მითითებას, – განაგრძობენ კომენტატორები, – კერძოდ, იმას, რომ სიცრუის მამონა, ანუ სიმდიდრე, ჩვენ საკუთარი თავისთვისაც შეგვიძლია გამოვიყენოთ, თუკი ჯეროვნად მოვეპყრობით მას და გავცემთ ამ სიმდიდრეს, შეგონებაში ნახსენებ მეგობრებს, ანუ ღარიბებს დავურიგებთ, მოყვასს ვუწილადებთ.

მხოლოდ მაშინ მოგვიტანს სიცრუის მამონა საკვირველ სარგებლობას. **ეს სარგებლობა სულის გადარჩენაა,** ამ მეგობრების შუამდგომლობითა და უფლის წყალობით მიღებული მარადიული სამყოფელია ზეცაში. მაგრამ ამისთვის ჩვენ არ უნდა განვაგრძოთ სიარული იმ გზით, რომელზეც მომხვეჭელნი, ვაჭრები, ძუნწები, მექრთამეები და მათი ჯიშის სხვა ცოდვილები დადიან, არამედ, უპირველესად, ჩვენს გულში უნდა ჩავქოლოთ მომხვეჭელობის ვნება და მისწრაფება, **უარი უნდა ვთქვათ მამონაზე – სიმდიდრის კერპზე, რომელსაც ჩვენი გული და გონება თავის კვარცხლბეკად უქცევია.** ამის სანაცვლოდ ჩვენ უნდა შევიყვაროთ ცოცხალი ღმერთი, რომელიც სიმართლისაკენ, პატიოსნებისაკენ, სიყვარულისა და მოწყალებისაკენ გვითითებს.

მაშასადამე, როდესაც უფალი ამბობს: სიცრუის მამონათი შეიძინეთ მეგობრები და ასე დაიმკვიდრეთ სასუფეველი, *წმიდა იოანე ოქროპირის* თქმით, იგი იმაზეც მიგვანიშნებს, რომ: *„სიმდიდრე არ არის ცოდვა, რადგან იგი ღვთისგანაა; და ამიტომ ეს სიმდიდრე ღვთისავე რჩევა-დარიგებით უნდა გამოვიყენოთ“.*

ოღონდ ეგ არის, რომ სულის საცხონებელ ამ ღვთაებრივ რჩევა-დარიგებას იშვიათად თუ მისდევს ვინმე, რის გამოც ასევე იშვიათია, როდესაც სიმდიდრე მსახური ხდება კაცისა: **„სიმდიდრე მსახურია ბრძენისა და ბატონია სულელისაო“,** – ეს ხალხური თქმაც ქრისტესმიერ შეგონებას ემსგავსება.

აბა, მითხარი, ვის უნახავს ბედნიერი მდიდარი? – გვეკითხება *წმიდა იოანე ოქროპირი*, და დასძენს: *„სიმდიდრე ღმრთისაგან ეძლევა კაცს, ღვთის ნებითა და დაშვებით შეეძინება, და ამიტომ, სიმდიდრე ბედნიერებაა, მაგრამ იშვიათია – მდიდარი ბედნიერი იყოს“.*

წმიდა მამები გვირჩევენ, მოხვეჭილი დავუბრუნოთ პატრონს. პატრონში, როგორც უკვე ითქვა, საკუთრივ პატრონსაც გულისხმობენ, ესე იგი, იმას, ვისაც წაართვეს, გამოსტაცეს ეს სიმდიდრე, მისი ქონება. მაგრამ ამ სიმდიდრის ნამდვილ პატრონად ასევე მიიჩნევიან უქონელები.

ის, ვინც თავის უსამართლო სიმდიდრეს გასცემს, ბოროტს განშორდება, ხოლო უპოვართათვის გაცემული მოწყალება ღვთის წინაშე განმართლებასაც მოაპოვებინებს მას:

„სათნოა უფლისათვის ბოროტისაგან განშორება, და იგი შეიწყალებს უსამართლობისგან განდგომილს“, – ვკითხულობთ ***ზირაქის*** სიბრძნეში (35, 3). აი რატომ არიან უსამართლოდ მოხვეჭილი სიმდიდრის ნამდვილი პატრონები უპოვარნი და ღარიბ-ღატაკნი, რადგან მხოლოდ მათი შუამდგომლობით შეიწყალებს უფალი ღმერთი სიმდიდრის მოყვარულ ცოდვილს.

უფლის იგავური სათქმელის უცდომელად მიღებისათვის

შენიშნავენ, რომ ყოველგვარი სიმდიდრე, სულ მცირედით, მაგრამ მაინც გულისხმობს უსამართლობასა და სიცრუეს. მზესავით მანათობელი იდეალი ადამიანთა კეთილი ურთიერთობისა მუდამ იყო სანატრელი კაცობრიობისათვის. ეს იდეალი დღემდე აღუვსებელი საწყაულივით შთენილია, განუხორციელებელია – ეს არის საზოგადოება, სადაც არ იქნება საკუთრება, როგორც ეს იყო ქრისტეს ეკლესიის დაფუძნების პირველჟამს.

„საქმე მოციქულთას“ წიგნიდან ვიგებთ, რომ სულთმოფენობის შემდეგ, როდესაც *„ყველანი აღივსნენ სული წმიდით... „მორწმუნეთა სიმრავლეს ერთი გული ჰქონდა და ერთი სული, და არავინ მიიჩნევდა საკუთარ ქონებას თავისად, არამედ ყველაფერი საერთო ჰქონდათ. და მოციქულები დიადი ძალით მოწმობდნენ უფლის, იესო ქრისტეს აღდგომას, და იყო დიადი მადლი ყველა მათგანზე. არავინ იყო გაჭირვებული მათ შორის, ვინაიდან მიწა-წყლისა და სახლების მფლობელნი ყიდდნენ მათ, თავინთ ქონებას, და*

მოჰქონდათ საფასური გაყიდულისა, და მოციქულების ფერხთით დებდნენ. და ეძლეოდა თითოეულს, ვის რა სჭირდებოდა" (4, 32-37).

აქვე მოტანილია *იოსების, ბარნაბად* წოდებულის, მაგალითი. მას საკუთარი ყანა ჰქონია: *„გაყიდა ის, მოიტანა საფასური და მოციქულების ფერხთით დადო"*, – ვკითხულობთ „საქმე მოციქულთას" მე-4 თავის ბოლოს.

თუმცა, იქვე, მე-5 თავში, სხვა მაგალითიც არის, თუ როგორ გაყიდეს *ანანიამ* და მისმა ცოლმა *საფირამ* ყანა. ცოლთან შეთანხმებით, ამ კაცმა დამალა მთელი საფასური, მხოლოდ ნაწილი მოიტანა და მოციქულების ფერხთით დადო. *წმიდა მოციქულმა პეტრემ* მას უთხრა: *„ანანია, რატომ აღავსო სატანამ შენი გული, რომ გეცრუა სული წმიდის მიმართ, და დაგემალა ყანის საფასური? განა შენი არ იყო, სანამდის გქონდა; და რაც გაყიდვით აიღე, განა შენვე არ გეპყრა ხელთ? მაშ, რაღად ჩაიდე გულში ეს საქმე? ხალხს კი არ ეცრუე, არამედ ღმერთს"*.

ეს რომ გაიგონა ანანიამ, დაეცა და სული განუტევა. ყველა შეაძრწუნა ამ ამბავმა. სამი საათის შემდეგ ანანიას ცოლიც მივიდა. მან არაფერი იცოდა. *წმიდა პეტრემ* ახლა მას ჰკითხა: *მითხარი, განა ამდენად გაყიდე ყანა?"* და ისიც დაეთანხმა. მაშინ წმიდა მოციქულმა უთხრა ქალს: *„რატომ შეითქვით, რომ გამოგეცადათ უფლის სული? აჰა, უკვე კარს მოადგნენ შენი ქმრის მესაფლავენი, და შენც წგასვენებენ"*. მყისვე მის ფეხებთან დაეცა ეს ქალი და სული განუტევა, – გვიამბობს „საქმე მოციქულთას" წიგნი (5, 1-11).

დიახ, როგორც *ზირაქი* ბრძანებს: *„გასაიცხია მსხვერპლი, უსამართლოდ მონახვეჭისაგან შეწირული, და შეუწყნარებელია ურჯულოთა ძღვენი. უღვთოთა შესაწირავს უზენაესი არ მიითვლის სათნოდ და არც მსხვერპლშეწირვათა სიმრავლით მიეტევებათ ცოდვები.... მხიარული იყავი ყოველი გაცემისას და სიხარულით შესწირე შესაწირი,... რადგან უფალი სამაგიეროს მიმზღველია და შვიდწილად გადაგიხდის. ძღვენს ნუ შეამცირებ, რადგან არ მიიღებს, და ნურც უსამართლო შესაწირავის იმედი გექნება. რადგან უფალი მსაჯულია და მასთან პირფერობა არ ეგება"* (სიბრძნე ზირაქისა 34, 18-19; 35, 8. 10-12).

ასე რომ, **სიცრუის მამონათი სასუფევლის** დამკვიდრება მხოლოდ უშურველი, უანგარო და უზაკველი მოწყალების წილ ეძლევა კაცს ღვთისაგან. როგორც ვნახეთ, თვით ქრისტეს ეკლესიის დაფუძნების ჟამს სიყვარულის ცეცხლით გაერთიანებული წმიდა მოციქულების თვითმხილველთა შორისაც კი გამოერეოდნენ ხოლმე სიცრუის მამონის უკეთური მონები,

მით უფრო არ არის ეს საკვირველი დღეს, როდესაც კაცობრიობის უდიდესი ნაწილი ჩამდგარა მამონას სამსახურში.

ამიტომაც გვაფრთხილებენ: ყოველი ცდა იმისა, რომ ღვთის სასუფეველი ან მისი მსგავსი რამ დედამიწის ამა თუ იმ ნაწილში დაამყარონ იმ დროს, როცა კაცთა შორის გარყვნილება და ცოდვა ბატონობს – ყოველი ამგვარი ცდა, ჩვეულებრივ, შემაძრწუნებელი უბედურების წყაროდ იქცევა ხოლმე. ამის უახლოესი მაგალითია ბოლშევიზმისა და კომუნიზმის დამყარების მცდელობა რუსეთსა და მის ქვეშევრდომ ქვეყნებში, მათ შორის, ჩვენშიც.

არის კიდევ ერთი საშიშროება, რამაც შეიძლება იჩინოს თავი, თუკი **სიცრუის მამონის** ნამდვილ საღვთისმეტყველო მნიშვნელობას უგულებელვყოფთ და მის დამახინჯებულ, გაუკუღმართებულ განმარტებას მივყვებით, – გვაფრთხილებენ წმიდა მამები.

წმიდა ლუკას სახარების მე-16 თავის მე-9 მუხლში წერია:

ისხენით თავისა თქუენისა მეგობარნი მამონაჲსა მისგან სიცრუვისა.

შეგონებაში ნათქვამია: შეიძინეთ მეგობრები სიცრუის მამონათიო. უფალი გვირჩევს, უსამართლოდ მოხვეჭილი ქონებითა და სიმდიდრით შეეიძინოთ ჩვენთვის მლოცველნი და შუამდგომელნი. ზოგს ეს უფლისმიერი შეგონება შემდეგნაირად ესმის: აედგები და ჩემი მოპარული, ნაყაჩაღარი ქონებიდან ნაწილს გლახაკებს მოუცემ, და ეს ღატაკნი ლოცვით გამოითხოვენ უფლისგან, რომ მე ცის სასუფევლის კარი განმეღოსო. *ბორის გლადკოვი* შენიშნავს, რომ *იულიანე განდგომილი* თურმე აბუჩადაც კი იგდებდა წმიდა სახარების ამ ნაწილს, სწორედ მისი ამგვარი განმარტებიდან გამომდინარე, და, მაშასადამე, იგი ქრისტეს სწავლებას შეურაცხყოფდა.

მაგრამ, მადლობა უფალს, წმიდა მამები მუდამ იდგნენ და დღესაც გვიდგანან დარაჯად ამგვარი მკრეხელობისგან თავის დასაცავად.

ამგვარი დამოკიდებულებით, **სიცრუის მამონა** განიხილება არა სახარებისეულ ალეგორიად, რითაც უფალი ერთ-ერთ მაცხოვნებელ საშუალებასა და გზაზე მიგვითითებს იგავურად, არამედ იგი „ბოროტეულ საგანძურად“ წარმოჩნდება, რომელიც მძვინვარე ცოდვებით აღვსილი კაცის ხელში მართლაც საზარელ იარაღად იქცევა ხოლმე და კიდევ უფრო დაამძიმებს ცოდვებით მასაც და მის გვერდით მყოფსაც.

ნეტარი აგუსტინე იმ მდიდრებს იხსენებს, რომელნიც სხვისას იტაცებენ და მოხვეჭილი ქონებიდან მცირედს უყოფენ ღარიბებს, თან პგონიათ, რომ ამით ღვთის მცნებას ასრულებენ. მათ, ნეტარი მამის თქმით, უფლის

ეს შეგონება და თვითონ იგავიც დამახინჯებულად ესმით, უფრო სწორად, იქიდან იმას ამოიკითხავენ, რაც მათი ცხოვრების სწორედ ამგვარ წესს გაამართლებს. ისინი ამბობენ, რომ სიცრუის მამონათი შეძენილი ქონება სწორედ უსამართლო გზებით შეძენილი სიმდიდრეა.

სინამდვილეში, – განაგრძობს *ნეტარი აგუსტინე*, – უფლის შეგონებისა და იგავის ამგვარად წამკითხველნი შეურაცხყოფენ ღვთის სამართალსა და სიწმინდეს. ვერც ერთ დროში ვერ განმართლდება კაცი, რომელიც ერთი ხელით სხვისას იტაცებს, მეორეთი კი სხვას აძლევს. უფალი ხომ იმ შესაწირავსაც კი არ შეიწყნარებს, რომელსაც თავის მოყვასთან შერიგებამდე მიუძღვნის შემწირველი (იხ. მათე 5, 23-24). ნუთუ ვინმეს შეუძლია იფიქროს, რომ უფალს მოეწონება და შეიწყნარებს მსხვერპლს, რომელიც მოყვასის შეურაცხყოფის, მოტყუების, ძალადობის, მკვლელობისა და ტაცების ფასად მოპოვებული ქონებიდან არის გაღებული? იქნება კი ეს ჭეშმარიტი წყალობა, გაღებული „მცირე ძმისათვის“ უფლისა? – გვეკითხება ნეტარი მამა.

წმიდა იოანე ოქროპირიც გვაფრთხილებს და გვეუბნება: *„რატომ შეურაცხყოფ მეუფეს, რატომ მიგაქვს მასთან უწმინდურობა? ამას აჯობებს, არაფერად ჩაგაგდოთ, უგულებელვყოთ მშიერ-მწყურვალი, ვიდრე ამ საძაგელი საკვებით დავაპუროთ უმჯობესია, არაფერი გააკეთო და არაფერი მისცე, ვიდრე სხვისი მისცე. მითხარი, შენ რომ ერთი შიშველი დაინახო, მეორე კი შემოსილი; ამ მეორეს გახადო და პირველს ჩააცვა – განა ეს სამართლიანი იქნება? თუკი ერთს წართმევ და მეორეს კი მისცემ, რა ფასი ექნება ამგვარ წყალობას? ერთს შეიწყალებ და მეორეს შეურაცხყოფ – აბა ეს რა სამართალია?!“* – შესძახებს წმიდა მამა.

ამ მხრივ საყურადღებოა *მიტროპოლიტ ფილარეტის* განმარტება:

„მნე, რომელმაც დაკარგა თანამდებობა, ხედავს, რომ ღარიბი და უსახლკარო რჩება. ასევეა ამქვეყნიური ცხოვრებიდან გამსელელი: ზოგი, თავისი თავმდაბლობითა და მორჩილებით, საკუთარი თავის შეცნობით, დროულად ხედება, რომ ამქვეყნად არაფერი გააჩნია; ზოგი გვიან მოეგება ხოლმე გონს, რომ უქონელია, ღარიბია თავისი მოქალაქობითა და სიკეთის ქმნით, და რომ ვერ შეიძინა საკმარისი რწმენა და სივვარული ღვთისადმი, არ განმტკიცდა ლოცვით, ვერ გამოიჩინა და არც შეეცადა, ყოფილიყო თავშეკავებული, თავდადებული ან ღირსეულად მიეღო ტანჯვა ჭეშმარიტების დაცვისათვის. რა ქნას საწყალობელმა მნემ? რა ქნას გაღატაკებულმა სულმა? – გვეკითხება მიტროპოლიტი, – *მნეს იმედი აქვს, რომ იმათ სახ-*

ლში მიიღებენ, რომელთათვისაც მან მონაგებიდან გასცა მოწყალება, იმ ქონების მონაგებიდან, ბატონის კუთვნილება რომ იყო. სრულყოფილებას მოკლებული სული იმის იმედითაა, რომ დევნილნი და მწუხარენი, რომელთაც იგი საკუთარი ამქვეყნიური მონაგარიდან ეხმარებოდა და ანუგეშებდა, მადლიერებით ილოცებენ და შეუწევიან, რათა მასაც განელოს კარი მარადიული სასუფევლისა".

კომენტატორები კიდევ ერთ, მეტად საჭირბოროტო საკითხს აღძრავენ. ხშირად გაგვჩენია შეკითხვა: **თუკი დავაპირებ, მაინც როგორ უნდა გავცე ჩემი სიმდიდრე და ქონება – მთლიანად? ისე, რომ ჩემთვის არაფერი დავიტოვო? მაშინ ხომ მე ვიქცევი ღატაკად?!**

ამ შეკითხვის პასუხად საგულისხმო განმარტებას გვაძლევს *გლადკოვი:*

ეჭვს გარეშეა, რომ ყველა მიწიური სიმდიდრე ეკუთვნის ღმერთს, ვითარცა ერთადერთ უზენაეს მესაკუთრეს ყოველივე ამქვეყნად არსებულისა. ჩვენ კი, ადამიანები, რომელთაც ეს სიმდიდრე აღმოგვაჩნდება, მხოლოდ დროებითი მფლობელები, მნეები და მოურავები ვართ ამ ქონებისა, და ამიტომ ვართ მოვალენი, ანგარიში ჩავაბაროთ ხოლმე ჩვენს ზეციერ მამას, ამ ქონებისა და სიმდიდრის პატრონს – ღმერთს.

მაგრამ ის, რომ ჩვენ მოვალენი ვართ, მთელი ჩვენი ქონება დავურიგოთ ღატაკებს და თავად არაფერი დავიტოვოთ – აი ეს კი მართლაც ბადებს ხოლმე ეჭვს.

კომენტატორის რწმენით, ქრისტე არასოდეს განიკითხავს ღვთისაგან მონიჭებული ამქვეყნიური სიკეთისა და **სიმდიდრის კეთილგონივრულად გამოყენებას.** უფალი მხოლოდ იმას შეგვაგონებს, რომ არასოდეს **არ უნდა მივიჩნიოთ თავი ამ სიმდიდრის ერთადერთ პატრონად,** იმგვარ განმგებლად, რომელსაც არ მოეთხოვება პასუხისმგებლობა ღვთის წინაშე. **ჩვენ არ უნდა გაგვინელდეს იმის განცდა, რომ ყოველი ნიჭი და მადლი ღვთივბოძებულია.**

გლადკოვი იხსენებს „ბოროტი მევენახეების" იგავს (მათე 22, 33-41). ბოროტ მევენახეებს უფალი იმიტომ კი არ განიკითხავს, რომ ისინი იმ ვენახის ნაყოფით სარგებლობდნენ, რომელიც მათ არ ეკუთვნოდათ და დროებით მიეცათ ვენახის პატრონისგან, არამედ იმის გამო, რომ მოწეულ ნაყოფს არ აძლევდნენ პატრონისგან გამოგზავნილებს, თან თვით ვენახის მისაკუთრებაც განიზრახეს.

ამავე კომენტატორის თქმით, არ შეიძლებოდა, უფალს ჩვენგან ის მოეთხოვა, რომ ყველაფერი ღატაკებისთვის მიგვეცა და ჩვენთვის ან ჩვე-

ნი ოჯახისთვის კი, საზრდოდ თუ სახსრად, არაფერი დაგვეტოვებინა. ამჯერად „უგუნური მდიდრის“ იგავს შეგვახსენებს *გლადკოვი*. ეს მდიდარი დიდძალი ქონების დაბინავებისთვის მეტისმეტად ზრუნავს. მაგრამ უფალი მას უპირველესად იმის გამო განიკითხავს, რომ თავი ამ სიმდიდრის თვითმპყრობელი ბატონ-პატრონი ჰგონია, თან დარწმუნებულია, რომ ამოდენა მოსავალი მხოლოდ საკუთარი სიამოვნებისათვის მიეცა ღვთისაგან. მას რომ ღვთის წყალობად მიეღო თავისი ქონება, მის დროებით განმგებლად ეგრძნო თავი და ღვთის მოსაწონად გაენაწილებინა, მაშინ უფალი არ განიკითხავდა.

„მდიდარი და გლახაკი ლაზარეს“ იგავშიც იგივე გაჭირვება ადგია მდიდარს: მას სიმდიდრე კი არ აგდებს ცოდვაში, არამედ თავისი უმოწყალობა.

მაშასადამე, უფლისათვის მოსაწონია სიმდიდრისა და ქონების იმგვარად მოხმარება, როცა არ ირღვევა ერთ-ერთი უმთავრესი ქრისტიანული მცნება: **გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი.**

არ შეიძლება, კიდევ ერთხელ არ გავიხსენოთ საუკუნო ცხოვრების მაძიებელი მდიდარი ჭაბუკი წმიდა სახარებიდან. ამ სახარებისეულ ამბავს დაწვრილებით შევეხეთ „ვენახის მუშაკების“ იგავის განმარტებისას (იხ. „იგავნი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესნი“, 2, 2004, გვ. 52-56). ამ მდიდარ ჭაბუკს გულწრფელად სურდა, საუკუნო ცხოვრება დაემკვიდრებინა. სიყრმიდანვე ღვთისმოშიშებით იზრდებოდა და ღვთის ყველა მცნებას იცავდა. უფალმა მას სასუფევლის დამკვიდრების გზაზე მიუთითა:

„უკუეთუ გნებავს, რაჲთა სრულ იყო, წარვედ და განყიდე მონაგები შენი და მიეც გლახაკთა და გაქუნდეს საუნჯე ცათა შინა, და მოვედ და შემომიდეგ მე“ (მათე 19, 21).

უფლის რჩევამ მდიდარი ჭაბუკი დააბნია, რადგან მას აღარც ძალა ჰყოფნიდა და აღარც გულმოდგინება ჭეშმარიტი სრულყოფის გზაზე შესადგომად. ჭაბუკი გაეცალა უფალ იესოს, რომელმაც იქვე მდგომ თავის მოწაფეებს უთხრა:

„მდიდარი ძნიად შევიდეს სასუფეველსა ცათასა... უადვილეს არს აქლემი განსლვად ჴურელსა ნემსისასა, ვიდრე მდიდარი შესლვად სასუფეველსა ცათასა“ (მათე 19, 23-24).

ეს უფლისმიერი გზა სასუფევლის დამკვიდრებისა არის უარის თქმა წარმავალზე, დროებითზე, ამსოფლიურ ამაოებაზე. მდიდარმა ჭაბუკმა ეს ვერ შეძლო და: **„წარვიდა მწუხარე, რამეთუ იყო იგი მდიდარ ფრიად“**

(მათე 19, 22). ეს ჭაბუკი ძალიან (ფრიად) მდიდარი იყო, – ამბობს წმიდა მახარებელი. როგორც ჩანს, ამ ჭაბუკისთვის სიმდიდრე ცხონებაზე მეტი იყო, რადგან, განშორდა თუ არა ჭაბუკი, უფალმა დასძინა, მდიდარი სასუფეველში ძნელად შევალ. ამ მდიდარ ჭაბუკს თავისი გარდარეული სიმდიდრე კი არ აბრკოლებს, არამედ ამ სიმდიდრისადმი მიჯაჭვულობა უხშობს სასუფეველის კარს.

„ორგული მნის" იგავის სამი შეგონება

ამჯერად სამი შეგონება ერთად უნდა განვიხილოთ. ესენია:

„სარწმუნოდ იგი მცირესა ზედა მრავალსა ზედაცა სარწმუნო არს; და რომელი მცირესა ზედა ცრუ არს, მრავალსაცა ზედა ცრუ არს.

უკუეთუ სიცრუვისა ამას მამონასა სარწმუნო არა იქმნნეთ, ჭეშმარიტი იგი ვინ გარწმუნოთ თქუენ?

და უკუეთუ სხჳასა ამას სარწმუნო არა იქმნნეთ, თქუენი იგი ვინ მოგცეს თქუენ?" (ლუკა 16, 10-12).

ამ შეგონებებს, ცხადია, შინაგანი კავშირი აქვს „ორგული მნის" იგავთან. სამივე შეგონება, არსობრივად, ერთსა და იმავეს მიგვანიშნებს, ოღონდ სხვადასხვა კუთხით. ამასთანავე, წინა ორი შეგონებისგან განსხვავებით, ამ შეგონებებში უფალი ჩვენგან უკვე მოითხოვს არა სიბრძნესა და გონიერებას, არამედ **სარწმუნოობას, ერთგულებასა და პატიოსნებას.**

შენიშნავენ, სამივე შეგონებით უფალი იესო მიმართავს ფარისეველებსა და მწიგნობრებს. მათი ფიქრით, მაშინაც შეიძლება იყო ღვთისა და მისი კანონების ერთგული, როცა უფლის მოსაწონად არ გამოიყენებ სიმდიდრეს, ანუ, როცა არ გაუყოფ და არ დაეხმარები ღარიბ-ღატაკსა თუ უპოვარს.

უფალი იგავურად არწმუნებს ფარისეველობის მიმდევართ, რომ ეს შეუძლებელია. უფრო მეტიც: ვინც სულ მცირედში არ არის სანდო, სარწმუნო და ერთგული, იგი მრავალშიც უნდო, ურწმუნო და ორგული იქნება. და რაკი მცირედში, ანუ, იგავის მიხედვით, ამ ცრუ და უსამართლო სიმდიდრეში ხართ უნდონი – ჭეშმარიტს ვინღა განდობთო? ამას ჩვენც გვეკითხება უფალი.

უფალმა იესომ ისიც უწყოდა, რომ ფარისეველები და მწიგნობრები უთუოდ გამოხატავდნენ უკმაყოფილებას იგავითა და შეგონებებით ნაგუ-

ლისხმები სათქმელის გამო. სწორედ ამ უკმაყოფილების თავიდან ასაცილებლად და მათი გაფრთხილების ნიშნადაც აახლა ჩვენმა უფალმა „ორგული მნის“ იგავს ესოდენ უხვი შეგონებანი.

რას გულისხმობს უფალი მცირედსა და მრავალში? შენიშნავენ, რომ პასუხს თვით იგავი გვაძლევს, თუმცა უფალი მომდევნო შეგონებებში გვაწვდის განმარტებას:

„სარწმუნოდ იგი მცირესა ზედა მრავალსა ზედაცა სარწმუნო არს; და რომელი მცირესა ზედა ცრუ არს, მრავალსაცა ზედა ცრუ არს. უკუეთუ სიცრუვისა ამას მამონასა სარწმუნო არა იქმნნეთ, ჭეშმარიტი იგი ვინ გარწმუნოთ თქუენ?“ (ლუკა 16, 10-11).

მცირედსა და მრავალში უფალი, რაღა თქმა უნდა, არ გულისხმობს რაოდენობას ან სიდიდეს, არამედ ნებისმიერ საღვთო-სამუშაო საქმეს, ყოველდღიური წვრილმანი იქნება ის თუ ქვეყნისათვის საშური. უფლისათვის უმნიშვნელოვანესია ამ საქმის აღმსრულებლის კეთილსინდისიერება, ერთგულება და სარწმუნოობა.

უფალი გვეკითხება: განა შეიძლება კაცს ვენდოთ მნიშვნელოვან საქმეში, როცა მას სულ უმნიშვნელო, ფუჭი საგანი აცდუნებს? ***ეპისკოპოს მიხეილის*** თქმით, დიდი მეურნეობის პატრონობა დაეკისრებოდა ორგულ მნეს თუ მცირე, იგი მაინც უორგულებდა თავის პატრონს. სწორედ ასევე: ერთგული მნე ყოველთვის ერთგულია, მცირე საპატრონებელი აქვს მას მინდობილი პატრონისგან თუ დიდი.

მცირედი აქ უსამართლო სიმდიდრეა, იგივე მამონაა. ეს არის ყველა ამქვეყნიური სიკეთე, რომელიც ღვთის მოსაწონად არ მოიხმარეთ. მეორე მხრივ, წარმავალი ამქვეყნიური სიკეთე მართლაც მცირედია, განსხვავებით ზეციური, სულიერი, მარადიული სიკეთისგან.

მრავალი, ანუ ჭეშმარიტი სიმდიდრე, ნაყოფია ქრისტესადმი რწმენისა, როგორც *წმიდა პავლე მოციქული* გვიბრძანებს გალატელთა მიმართ ეპისტოლეში:

„ხოლო ნაყოფი სულისაჲ არს: სიყუარული, სიხარული, მშუდობაჲ, სულგრძელებაჲ, სიტკბოებაჲ სახიერებაჲ, სარწმუნოებაჲ, მეუდროებაჲ, მარხვაჲ, მოთმინებაჲ“ (გალატელთა მიმართ 5, 22).

ამავე ეპისტოლეში წმიდა მოციქული წარმოგვიდგენს შეშხარავ ნუსხას, სადაც აღბეჭდილია სწორედ **მცირედი, ცრუ** და **უსამართლო, სხვისი ქონების** მიმთვისებლის ნაყოფთა, ანუ საქმეთა ნაირსახეობა:

„ხოლო ცხად არიან საქმენი ჴორცთანი, რომელ არიან: სიძვანი, მრუშებანი, არაწმიდებანი, ბილწებანი, კერპთმსახურებანი, მწამლველობანი, მტერობანი, ჴდომანი, შურობანი, გულისწყრომანი, წვალებანი, შფოთებანი, შურნი, კაცის-კლვანი, ლირწებანი, მთრვალობანი, სიღოდანი და მსგავსნი ამათნი, რომელსა წინაჲსწარ გეტყჳ თქუენ, ვითარცა პირველ გარქუ, ვითარმედ ესეცითარისა მოქმედთა სასუფეველი ღმრთისაჲ ვერ დაიმკჳდრონ“ (იქვე).

იგივე საღვთისმეტყველო შინაარსია საძიებელი დაპირისპირებაში – სხვისი და თქვენი:

„და უკუეთუ სხჳსასა ამას სარწმუნო არა იქმნნეთ, თქუენი იგი ვინ მოგცეს თქუენ?“ (ლუკა 16, 12).

მართლაც მარადის სხვისია ის, რაც ამქვეყნად გვერგო სიმდიდრისა თუ ქონების სახით, ვინაიდან, ჯერ ერთი, ეს ქონება ღმერთმა მოგვცა, და მეორეც, ჩვენი ამ სოფლიდან გასვლის შემდეგ სხვას დარჩება, მას სხვა მოიხმარს.

თქუენი (ჩვენი) კი მხოლოდ ის არის, რაც ამ სოფლიდან გასვლის შემდეგ გვერგება. ეს არის სულიერი, ზეციური საუნჯე ან ჯოჯოხეთის ცეცხლი, რასაც ჩვენივე საქმეთაებრ და დამსახურებისაებრ მოვიმკით.

მაშასადამე, სხვისი – დროებითია, ხოლო თქუენი – მარადიული. ღმერთი ამ-სხვისი სიმდიდრის გამო თავის დროზე ისევე მოგვთხოვს ანგარიშს, როგორც ამ მნეს მოსთხოვა. *„რა გაქვს ისეთი, რაც არ მიგიღია ღვთისაგან? და თუ მიგიღია, მაშ, კიდევ რაღას ითხოვ, ისე, თითქოს არ მიგიღიაო?“* (I კორინთელთა მიმართ 4, 7) – გვეკითხება *წმიდა პავლე მოციქული.*

წმიდა ბასილი დიდი ასევე დაგვაფიქრებს ჩვენს „საკუთრებაზე“ და გვეკითხება: *„რა გაქვს შენ საკუთარი? საიდან აიღე და საიდან მოიტანე ის შენს ცხოვრებაში?“ წმიდა იოანე ოქროპირი* გვიბრძანებს: *„თუმცა კი მიიღე მამისაგან* (ღვთისაგან) *მემკვიდრეობა და, შენი აზრით, მთელი ეს ქონება შენი საკუთრებაა, მაგრამ გახსოვდეს, რომ ეს ყველაფერი ღმერთს ეკუთვნის“.*

ადამიანი უქონელი იბადება და უქონელი მიდის, ყოველივეს ამქვეყნად ტოვებს. იმქვეყნად მას მხოლოდ რწმენით გაცისკროვნებული სათნოებანი მიჰყვება. მღვდელთმთავარი *ამბროსი* ამბობს: *„გარეგნული სიმდიდრე ჩვენთვის უცხოა, ქრისტე კი ჩვენია, რადგან იგია ჭეშმარიტი სიცოცხლე“.*

ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელის რწმენით: *„ჩვენსას შეადგენს ღვთაებრივი სიკეთე. იქ, ზეცაშია ჩვენი საკუთრება, რადგან ადამიანი ღვთის მსგავსად არის შექმნილი, ფული და ქონება კი უცხოა მისთვის, რადგან არც ერთია ღვთის მსგავსი და არც მეორე“.*

არადა, ჩვენ ხშირად ზეციურ საგნებზე უფრო მაღლა ვაყენებთ ხოლმე ამ უცხო, მცირე და ცრუ სიმდიდრეს: თვალ-მარგალიტს დუკანკალებთ, თუკი გვაქვს; თუ არა და, მისი შეძენისა თუ ხელში ჩაგდების სურვილით გაწვალებულნი, ვბუზღუნებთ, რომ წუთისოფელმა დაგვჩაგრა: აი სხვებს ერგოთ, ყელყურდამშვენებულნი დადიან, კოხტად ჩაცმულ-დახურულნი, მაძღარნი და კმაყოფილნი, მე კი ვერ ვეღირსე ამას...

ამგვარად მოფიქრალ და დამწუხრებულ კაცს, როგორც წესი, არ აქვს ჭეშმარიტი რწმენა და სიყვარული, და ვერც იმას ხვდება, რომ მის გულში სანუკვარი ადგილი იმ სხვის ცრუ სიმდიდრეს დაუკავებია და დაუპყრია.

უფალი კი ტკბილად გვაფრთხილებს და შეგვაგონებს:

თუკი ამქვეყნიურ **მცირე** სიმდიდრეს ღვთის ნებისაებრ არ იყენებ, მოყვასის სამსახურებლად და ღვთის სადიდებლად არ მოიხმარ, მაშ, არ ყოფილხარ ღირსი შენთვის განმზადებული **მრავალი** ზეციური მადლისა და საუნჯისა, და ვერც ღვთის სასუფეველში შეხვალ.

მაგრამ, თუკი შენ ერთგული ხარ ამ **მცირედში** და უფლის მოსაწონად იყენებ მას, მაშინ **მრავალსაც** **მოგანიჭებ** იქ, ჩემთან, ზეცაში რომ მაქვს შენთვის განმზადებული.

წმიდა სახარების გულისხმიერ მკითხველს აუცილებლად გაახსენდება უფლისმიერი სიტყვები „ტალანტების“ იგავიდან:

„კეთილ, მონაო სახიერო და სარწმუნოო! მცირედსა ზედა სარწმუნო იქმენ, მრავალსა ზედა დაგადგინო შენ; შეედ სიხარულსა უფლისა შენისასა“ (მათე 25, 21. 23) – ასე მიმართავს იგი „ტალანტების“ იგავში იმ მონებს, რომლებმაც ხუთი და ორი ტალანტი ჯეროვნად მოიხმარეს და გაორმაგეს, ანუ მადლი ქმნეს და სათნოებანი გაიმრავლეს.

„ორგული მნის“ იგავთან დაკავშირებულ შეგონებაში კი ვკითხულობთ:

„სარწმუნოჲ იგი მცირესა ზედა მრავალსა ზედაცა სარწმუნო არს; და რომელი მცირესა ზედა ცრუ არს, მრავალსაცა ზედა ცრუ არს. უკუეთუ სიცრუვისა ამას მამონასა სარწმუნო არა იქმნნეთ, ჭეშმარიტი იგი ვინ გარწმუნოთ თქუენ?“ (ლუკა 16, 10-11).

უფალი გვასწავლის, რომ ღვთისგან დროებით ბოძებული ამსოფლიური სიმდიდრე სხვისია. ანუ უცხოა ადამიანის შინაგანი ბუნებისთვის, მისი სულიერებისთვის უცხოც არის და მიუღებელიც.

მავანი იკითხავს: მაშინ რისთვის არსებობს ეს სიმდიდრე? რა დანიშნულება მიანიჭა მას უფალმა? პასუხი ერთია: ამ სიმდიდრის მხოლოდ და მხოლოდ მართებული გამოყენებით შეგვიძლია დაუმტკიცოთ უზენაეს მეუფეს ჩვენივე პატიოსნება, სარწმუნოობა და ერთგულება; მხოლოდ ასე შევძლებთ თავის გამართლებას, მხოლოდ ასე გამართლდება ჩვენი მისწრაფებანი, სურვილები, ჩვენ მიერ აღსრულებული მოვალეობანი. ცხონებისაკენ მავალთ ამ გზითაც შეგვეძლება, მოვიპოვოთ უმაღლესი უფლება – ვიყოთ განმგებელნი ღვთის სასუფეველის სიმდიდრისა, ზეციური საუნჯისა.

ამის მაგალითები უხვად მოიპოვება ძველი და ახალი აღთქმის წიგნებში. გავიხსენოთ *დავითის* მაგალითი. იგი მცირე ფარის მწყემსი იყო, და ერთგულად ეწეოდა თავის მწყემსობას. უფალმა ღმერთმა, მცირედში ერთგულების წილ, მრავალთა განმგებლობა მიანდო მას და დიდ მეფე დავითად, წინასწარმეტყველად და ხალხის პატრონად დაადგინა.

აი რას გვიბრძანებს თავად *წმიდა დავით მეფსალმუნე: „და გამოირჩია მან დავით, მონაჲ თჳსი, და შეიწყნარა იგი სამწყსოჲსაგან ცხოვართაჲსა. და ცხოვართა მუცელქმნულთაგან გამოიყვანა იგი მწყსად იაკობ მონისა თჳსისა და ისრაელ სამკჳდრებელისა თჳსისა. და მწყსიდა მათ უმანკოებითა გულისა მისისაჲთა და გონიერებითა ჴელთა მისთაჲთა უძღოდა მათ“* (ფსალმუნნი 77, 70-72).

ვერცხლისმოყვარეობა კერპთაყვანისმცემლობაა

„ორგული მნის“ იგავს მოდევნებული შეგონებების შემდეგ უფალი ბრძანებს:

„არავის მონასა ჴელ-ეწიფების ორთა უფალთა მონებად: ანუ ერთი იგი მოიძულოს და ერთი შეიყვაროს, და ანუ ერთისაჲ თავს-იდვას და ერთი შეურაცხ-ყოს. ვერ ჴელ-ეწიფების ღმრთისა მონებად და მამონაჲსა“ (ლუკა 16, 13).

წმიდა ლუკა მახარებელი ამის შემდგომ საგანგებოდ დაურთავს შენიშვნას და ამბობს:

„ესმოდა ესე ყოველი ფარისეველთაცა, რამეთუ ვეცხლისმოყუარე იყვნეს და შეურაცხ-ჰყოფდეს მას“ (ლუკა 16, 14).

წმიდა მახარებელი თავის მხრივ აკონკრეტებს უფლისმიერი შეგონებე-

ის უმთავრეს სათქმელს და განგვიმარტავს, რომ მამონაში უფალი იესო გულისხმობს ვერცხლიმოყვარეობას, სიმდიდრისაგან პყრობილებას, ხოლო ღმერთში – ღვთისმოყვარეობას, ღვთისადმი მორჩილებას, ღვთისმსახურებას, ანუ ამქვეყნიური მსახურების ორ, უკიდურესად გამიჯნულ სახეობას.

ყოველგვარი მსახურება აუცილებლობით გულისხმობს ორ მხარეს: ბატონსა და მსახურს, უფალსა და მონას – ერთია ქვეშევრდომი, რომელიც მეორეს ემორჩილება. მსახურებას განსაზღვრავს ის, თუ ვისი მორჩილი ვარ და როგორ ვემსახურები ჩემს ბატონსა თუ უფალს. არჩევანს მე ჩემი ნებით ვაკეთებ. სწორედ ამ არჩევანში გვეხმარება ჩვენი ტკბილი უფალი.

უფლის ეს შეგონება უშუალოდ მიემართება ყველზე მნიშვნელოვანი არჩევანისკენ: **რომელს შეიყვარებ – წუთისოფელს თუ სასუფეველს?**

წმიდა იაკობ მოციქული თავის ეპისტოლეში სწორედ ამის გამო გვიბრძანებს:

„არა უწყითა, რამეთუ სიყუარული სოფლისაჲ ამის მტერობა არს ღმრთისა? აწ უკუე რომელსა უნდეს მეგობარ ყოფად ამის სოფლისა, მტერად ღმერთსა აღუდგების... დაემორჩილენით ღმერთსა და წინააღუდეგით ეშმაკსა, და იქმოდის თქუენგან. მიეახლენით ღმერთსა, და მოგეახლოს თქუენ... დამდაბლდით წინაშე უფლისა, და აღგამაღლნეს თქუენ“ (იაკობი 4, 4. 7-8. 10).

იგივე სათქმელი აქვს უფალს ჩვენთვის, როცა ბრძანებს;

„რომელი არა არს ჩემ თანა, მტერი ჩემი არს; და რომელი არა შეჰკრებს ჩემ თანა, იგი განაბნევს“ (ლუკა 11, 23).

წმიდა იოანე ოქროპირის განმარტებით, ამ შეგონებაში უფალი უპირველესად ეშმაკისეულ, ბოროტ საქმეებს გულისხმობს და ცხადყოფს, იგი გვეუბნება: გულისხმაყვენით ის საქმენი, რასაც მე ვიქმ: კაცს ღმერთთან შევარიგებ, სათნოებას გასწავლით, სასუფეველს გიქადაგებთ, სინანულს აღგიძრავთ, წარწყმედილს ვეძიებ, შეცდომილს მოვაქცევ, დაცემულს აღვადგენ; ეშმაკი ყოველივე ამის წინააღმდგომია, რადგან წარწყმედულის გამო ხარობს, კაცს ცოდვას ასწავლის, ღვთისაგან აშორებს და ჯოჯოხეთისთვის განამზადებს. განა უგუნურება არ არის, ეს ვერ დაინახო და უარი თქვა ზეცაზე?!

ამგვარ უგუნურებაში იყვნენ ის ფარისეველები და მწიგნობრები, რომლებიც გულისყურით კი ისმენდნენ უფლის იგავს სიცრუის მნეზე, მაგრამ ვერ გულისხმაყოფდნენ მის ნამდვილ შინაარსსა და სათქმელს.

იგავის თხრობის შემდეგ უფალი ამ მიზეზით მიმართავს ფარისეველებს და ეუბნება:

„თქუენ ხართ, რომელნი გახიძაოთლეთ თავსა თჳსთა წინაშე კაცთა, ხოლო ღმერთმან იცნის გულნი თქუენნი, რამეთუ კაცთა შორის მაღალი საძაგელ არს წინაშე ღმრთისა“ (ლუკა 16, 15).

დეკანოზ ბუხარეველის თქმით, უფალი ამ დროს ამხელს ფარისეველთა თვალთმაქცობას, მზაკვრობას, ამპარტავნებასა და ვერცხლისმოყვარეობას, ანუ იმას, რაც წმიდა მათეს სახარების 23-ე თავშია მთელი სისრულით წარმოჩენილი.

კაცთა შორის მაღალი საძაგელ არს წინაშე ღმრთისა – ბრძანებს უფალი, და *სოლომონ ბრძენიც* ამის მსგავსად ამხელს ქედმაღლობას:

„ყველა გულზვიადი სიბილწეა უფლის წინაშე; გჯეროდეს, დაუსჯელი ვერ გადარჩება“ (იგავნი სოლომონისნი 16, 5).

სამწუხაროდ, კაცთა შორის საძაგელ სიმაღლეს ხშირად ვერ ვაღწევთ თავს, წუთისოფლის „ფხიან“ შვილებზე გვრჩება ხოლმე თვალი და ვფიქრობთ: რა ბედნიერია, რას მიაღწიაო. აი ამისგანაც გვიცავს „ორგული მნის“ იგავით ჩვენი უფალი, რათა ამ სამარცხვინო სიმაღლიდან საზარელი დაცემა არ ვიგემოთ.

წმიდა იოანე ოქროპირის სიბრძნისმეტყველების დიდებული ნიმუშიც გავიხსენოთ:

„ჭეშმარიტ სიბრძნისმოყვარეს არაფერი გააჩნია და ყოველივე აქვს, ყოველივე აქვს და არაფერი გააჩნია. მდიდარი ის არის, ვისაც არაფერი სჭირდება“.

ცხადია, წმიდა მამა მართლმორწმუნეზე ბრძანებს, რომელმაც იცის და სწამს, რომ ყოველივე ღვთისგან აქვს და, მაშასადამე, თავისი არაფერი გააჩნია; მან ისიც იცის და სწამს, რომ მისი ყველაზე დიდი ქონება ღარიბ-ღატაკებთან ინახება, რამეთუ უხრწნელი საუნჯე – ღვთის მადლი – გულმოწყალეს უმრავლდება და, მაშასადამე, ყოველივე აქვს. ღვთისამიერი სიმდიდრის მფლობელს კი თავისთვის მართლაც აღარაფერი სჭირდება, რადგან მართლმორწმუნემ ესეც იცის და სწამს:

„ჩემი მხოლოდ ის არის, რაც გაუეცი“ (წმიდა მაქსიმე აღმსარებელი);

„რასაცა გასცემ, შენია, რასც არა – დაკარგულია“ (შოთა რუსთაველი).

„ორგული მნის“ იგავის სათქმელი ერთ ფრიად საჭირბოროტო თემას წამოჭრის – ეს არის მე-8 მცნება: არა იპარო.

ალბათ დამეთანხმებით, რომ ამ სამარცხვინო და სათაკილო ცოდვის ჩასადენად სულაც არ არის აუცილებელი, უქონელი იყო. განა ქურდი ყოველთვის მაშინ იპარავს, როცა უქონელია და უჭირს? სამწუხაროდ, ხშირად გვაქვს ხოლმე საძებარი პასუხი უმარტივეს შეკითხვებზე, მაგალითად: რა არის ქურდობა? ან ვინ არის ქურდი და მპარავი? ამ შეკითხვას საგანგებოდ გვისვამს *წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი (ქიქოძე)* და გვაფრთხილებს:

„მპარაობა, ანუ ქურდობა, მარტო ის ნუ გგონია, ძმაო ჩემო, როდესაც კაცი ან მალვით, ან ძალადობით, პირდაპირ წართმევს მოყვასსა თვისსა რომელსამე ნივთსა. მპარაობა არის ყოველი ისეთი მოქმედება, როდესაც შენ სიტყვით ან საქმით რომელიმე ზარალი ან დაბრკოლება მიეცი მოყვასსა შენსა; ან, თუმცა პირდაპირ ზარალი არ მიგიცია, მაგრამ არც გიჩვენებია სიყვარული და შემწეობა“.

არქიმანდრიტი იოანე (კრესტიანკინი) იმავეს გვაფრთხილებს და ამბობს:

„იქნებ თქვენ შორის არც ერთი არ არის პროფესიონალი ქურდი ან ყაჩაღი და თაღლითი, მაგრამ ისეთები კი ნამდვილად არიან, რომელთაც თუნდ მცირედი მიუთვისებიათ იმისა, რაც მათ არ ეკუთვნოდათ. ყოველივე ეს კი ქურდობაა“, – დაასკვნის არქიმანდრიტი.

მართლაც გამაოგნებელია ქურდობის მრავალსახეობა, რასაც საგანგებოდ განმარტავენ *წმიდა ეპისკოპოსი გაბრიელი* და *არქიმანდრიტი იოანე.*

წმიდა ეპისკოპოსის თქმით, ქურდობის ერთ-ერთი სახეა პირობის დარღვევა, პირობის გატეხა. წმიდა ეპისკოპოსი ბრძანებს:

„ეგონებ, რომ მპარავი იქნება ის კაციც, ვინც არ აღასრულა სიტყვა და პირობა, რომლითაც იგი შეიკრა წინაშე მოყვასისა თვისისა, და ამით ზარალი მისცა მას... უეჭველია, რომ პირობის დარღვევით უდიდესი და უმთავრესი ზარალი ემარჯება კაცს, ვიდრე პირდაპირი ქურდობითა: პირდაპირი ქურდობისაგან კაცი თავს დაიფარავს როგორმე, პირობის დამრღვევისა და ცრუ კაცისაგან კი ვერასოდეს.

მაშასადამე, პირობის დარღვევა არა ნაკლები ცოდვაა, ვიდრე მპარაო-

პა. თუ გსურს, ძმაო ჩემო. არ იყო მოზიარე მპარაობისა, ეცადე, რომ, ან არ მისცე ვინმეს ის პირობა, რომლის შესრულებაც შენ არ შეგიძლია, ანდა მიცემული პირობა, შენ თავზე რომ აიღე, ეცადე, რომ კიდეც აღასრულო“.

წმიდა ეპისკოპოსი რამდენიმე სხვა მაგალითსაც გვისახელებს, რომლებიც, საბოლოო ჯამში, ქურდობის ნაირსახეობას წარმოგვიჩენენ: აგერ, სახელმწიფო მოსამსახურე ან ჩინოვნიკი, რომელიც დაუდეგრად ეპყრობა თავის მოვალეობას, ერთგულებას არ იჩენს, გულგრილად ეკიდება თავის საქმეს – განა ასეთი ჩინოვნიკი ქურდი და მპარავი არ არის, როდესაც იგი ჯამაგირს (ხელფასს) ან ჯილდოს იღებს? რის სანაცვლოდ აიღო მან ის ხელფასი – იმის საზღაურად, რაც არ უქმნია, ან ცუდად უქმნია?

აგერ ვაჭარი, რომელიც წონაში აკლებს ან უვარგის საქონელს შემოაპარებს, ან კიდევ ხურდაში მოგატყუებს – ესეც ქურდობაა! ამ ქურდობაში მყიდველი გამყიდველს ვერ დაიჭერს, გამყიდველი კი გულში შეაქებს საკუთარ თავს: რა ყოჩაღად გამომიყიდაო.

წმიდა მამები ამათნაირ მპარავებს აფრთხილებენ: ნუ გაისვრი ხელს და ნუ წაიხდენ სინდისს, რადგან არათუ ამ გზით შეძენილი, არამედ პატიოსანი გზით მოპოვებული ზედმეტი ქონებაც კი ცოდვაა ღვთის წინაშე! იქნებ, საბავშვო დაწესებულებაში ვინმემ ბავშვების საკვები მიითვისა? – ეს კი უკვე დიდი დანაშაულიაო, – გვაფრთხილებს *არქიმანდრიტი იოანე (კრესტიანკინი).*

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი ფარულ ქურდობაზე ამახვილებს ყურადღებას. წმიდა მამა იმას კი არ გულისხმობს, ვინც ჩუმად იპარავს, არამედ იმას, ვინც მზაკვრულად ითვისებს, თავისი მდგომარეობით ბოროტად სარგებლობს და ყველას და ყოველივეს ზარალს აყენებს. ასეთნი ხშირად არიან პატივცემულნი საზოგადოებაში, თავმომწონედაც ირჯებიან, რომ იტყვიან, თვალებში ნაცარს აყრიან გარშემო მყოფთ. მაგრამ, როგორც წმიდა ეპისკოპოსი ბრძანებს, მათ აკიწყდებათ, რომ ღმერთი ისე არ უყურებს ჩვენს მოქმედებას, ვითარცა „კაცის მოკლე ჭკუა“. ამიტომ გეშინოდესო, და ეცადე, რომ ყოველი შენი მოქმედება იყოს პატიოსანი, უზაკველი და უნებელი შენი მოყვასისთვის.

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის თქმით, მართლმსაჯულების წინაშე წარმდგარი ქურდი იმდენად დიდი ცოდვილი არ არის, როგორც ეს ფარული, მზაკვრულად აღმსრულებელი მპარავი. ის ქურდი ხორციელ ზარალს აყენებს, ესენი კი ამ ზარალს სულიერსაც უმატებენ. სულიერი ზარალი უფრო

დიდი და საძაგელი ცოდვის შედეგია. თუკი კაცმა კაცს ცოდვა ასწავლა, ცუდ საქმეს შეაჩვია, ეს ასწილად მწარე ცოდვაა, ვიდრე ნივთიერი ზარალი, – გვმოძღვრავს წმიდა ეპისკოპოსი.

არიან ისეთნი, რომელნიც გაიძახიან: მადლობა ღმერთს, მე ხომ ქურდი არა ვარო. არადა, ის თითქმის ყოველდღიურად მოზიარეა ამ ცოდვისა, როგორც ახლა დავრწმუნდით. თუ კაცს გონიერება არ ღალატობს, იგი მუდამ ფრთხილია, ფხიზლად უდგას დარაჯად თავის ყოველ ნაბიჯს, რათა ფარული სახითაც არ დაარღვიოს ღვთის მე-8 მცნება – არ იპარო.

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი. იხსენებს *წმიდა პავლე მოციქულის* შეგონებას: *„მპარავი იგი ნუღარა იპარავნ, არამედ უფროჲსღა პშურებოდენ და იქმოდენ კეთილსა თჳსითა ჴელითა, რაჲთა აქუნდეს მიცემად, ვისიგი უჴმდეს“* (ეფესელთა მიმართ 4, 28). წმიდა მოციქული ამბობს, რომ მპარაობისგან თავის დაღწევა შესაძლებელია კეთილსინდისიერი შრომითა და კეთილი საქმის ქმნით. წმიდა ეპისკოპოსის რწმენით, საკუთარი ხელით მოწეული შრომის ნაყოფი საკურნებელი საშუალებაა მპარაობის ცოდვის სენისგან თავის დასახსნელად.

წმიდა პავლე მოციქული, პატიოსანი შრომისა და გარჯის გარდა, კიდევ ერთ საკურნებელ წამალზე მიგვითითებს – ეს არის გაჭირვებულთა გაკითხვა. წმიდა მოციქული ბრძანებს, რომ საკუთარი ხელით მოწეული უნდა გაიღოსო კაცმა. უფალი ღმერთი მარტო იმ მოწყალებას შეიწირავს, რომელიც შენი ოფლით მოპოვებული და შეძენილი ქონებიდან იქნება გაღებული, თორემ ნაქურდალსა და მოპარულს, ნაირსახოვანი ხერხით მიტაცებული ქონებიდან გაღებულს უფალი არ მიხედავს, ღმერთი არ შეიწირავს ამგვარ, დამახინჯებულ წყალობას.

„ორგული მნის“ იგავის სათქმელიც ხომ ამავეს გულისხმობს: ის, რაც მიიტაცე, დაუბრუნე პატრონს, და თუ გინდა, რომ ღვთის წინაშე გამართლებულიც დარჩე, ეცადე, *წმიდა პავლე მოციქულის* სიტყვით რომ ვთქვათ – კეთილი საქმე შენი ხელით აკეთო, რათა გაჭირვებულის გაკითხვაც შეძლო და ამ გზით საკუთარი სულიც გადაირჩინო.

მაგრამ ამისთვის ჯერ კარგად უნდა გაერკვე – რას აკეთებ და როგორ აკეთებ, ანუ როგორ ცხოვრობ. ისიც კარგად უნდა იცოდე, რა არის კეთილი და რა არის ბოროტი, რა არის შენში ცოდვა და რა არის მადლი. ქურდობისა და მპარაობის ცოდვის არსი, მისი ნამდვილი მნიშვნელობა თუკი არ იცი, როგორ გაიგებ, როდის სცოდავ, რა შემთხვევაში სჩადიხარ ამ შემზარავ ცოდვას?

მოდით, გულისყურით მოუსმინოთ *არქიმანდრიტ იოანეს (კრესტიანკინს)*, რომელიც მეტად შემზარავ, მაგრამ აუცილებელ და სასარგებლო ნუსხას გვთავაზობს. ამ ნუსხაში თავმოყრილია ქურდობის თითქმის ყველა სახეობა, განმარტებულია თითოეული მათგანი. არქიმანდრიტი კითხვა-მიგების კატეხიზისურ ფორმას მიმართავს და თითოეულ სახესთან დაკავშირებით რიტორიკული შეკითხვით მოგვმართავს.

„გაიხსენე, ხომ არ ცდუნებულხარ ოდესმე რაიმეთი, რაც „ცუდად იდო". ამას ჩვენ ცოდვად არ ვთვლით. მაგრამ ეს ნამდვილი ქურდობაა. ხომ არ მიგიტანია შინ შვილებისათვის რამე სამსახურიდან და ამით ხომ არ მიგიჩვევია ისინი ქურდობისათვის?

ხომ არ გაგქცევია თვალი სხვისი ბაღის, ბოსტნის ან ყანისაკენ, სულერთია, კერძო იყო თუ სახელმწიფო – ესეც ქურდობაა!

ზოგისაგან გამიგონია: „როცა სალოცავად მივდივარ, ღვთისმშობელი უფასოდ მამგზავრებს". კარგად ჩაუფიქრდი და შეინანე, ეს ხომ ქურდობაა! რაღა ლოცვა გამოდის? ადრე ფეხით დადიოდნენ სალოცავად, ახლა კი ტრანსპორტით მგზავრობ, და ისიც უფასოდ გსურს?!

ხომ არ მოგიპარავს ელექტროენერგია სახელმწიფოსთვის რაიმე ხრიკის მოგონებით? ეს სამარცხვინოა ქრისტიანისათვის!

ეკონომიისა და საზოგადოებრივი კვების მუშაკებო, ბაზარში მოვაჭრენო, ხომ არ დაგიკლიათ წონაში, მოგიტყუებიათ ხურდაში ან შეგიტყუებიათ უხარისხო საქონელი მომხმარებლისათვის? შეინანე უფლის წინაშე!

იქნებ, საბავშვო დაწესებულებაში ვინმემ ბავშვების საკვები მიითვისა? ეს კი უკვე დიდი დანაშაულია! შეინანე!

ხომ არ უთაღლითია ვინმეს და შეუჩეჩებია ძველი ფული ან ზედმეტი ხურდა აულია გამყიდველისაგან?

იქნებ, მოპარული ნივთი დაგიმალავს ან ნაპოვნი მივითვისებია? წმიდა მამები მიწაზე დაგდებული მუხუდოს ერთ მარცვალსაც კი არ ახლებდნენ ხელს: რაც შენ არ დაგიკარგავს, შენი არ არის. თუ რამე იპოვე, შეუცადე, დაუბრუნო დამკარგავს.

იქნებ, გიყიდია ის, რაც მოპარული იყო? შეიძლება ლოთისგან შეგიძენია იაფად ოჯახიდან მოპარული ნივთი. გონს მოდი! გახსოვდეს, რომ მოპარულის შეძენით ქურდობის მონაწილე ხდები.

იქნებ, ვალის გადახდა დააგვიანე ან საერთოდ არ იხდი იმ საბაბით, თითქოს, არ გქონდეს ფული, სინამდვილეში კი, ან დაგნანებია მიცემა,

ანდა გაფლანგე და თავი ვერ მოუყარე გადასახდელ თანხას. სასწრაფოდ გადაიხადე ვალი!

ჩვენ მუდამ ვცოდავთ, როდესაც დაუდევრად ვექცევით სხვის ნივთს. თუ ადამიანმა ან სახელმწიფომ გვანდო თავისი ქონება, ქრისტიანი მას უფრო მეტი სიფრთხილით უნდა ექცეოდეს, ვიდრე საკუთარს, რომ არ გააფუჭოს, არ გატეხოს, არ დაკარგოს.

უფალო, მოგვიტევე ჩვენ, ცოდვილთ, უყურადღებობა და დაუდევრობა!"

არქიმანდრიტი იოანე გვასწავლის, რომ ჩვენ მაშინაც ვარღვევთ მერვე მცნებას – **არა იპარო**, როცა ვინმეს ვაიძულებთ, საჩუქარი მოგვართვას, ან შეგნებულად ვაზიანებთ მოყვასის ქონებას, ვითხოვთ ფულს ან ნივთს ვითომდა ეკლესიისთვის ან გაჭირვებულისთვის შესაწირად. მერვე მცნება კრძალავს აზარტულ თამაშებს ფულზე, ქრთამის აღებას და მიღებას, სიძუნწეს, სიხარბეს, სხვისი გაჭირვებით სარგებლობას.

მაშინაც ვარღვევთ მერვე მცნებას, როცა ღვთისგან ბოძებულ ნიჭსა და უნარს არ მოვახმართ ახლობლებს, არ ვეხმარებით კეთილი რჩევით, სწორ გზაზე არ ვაყენებთ და ნუგეშს არ ვცემთ.

არქიმანდრიტი იოანე გვირჩევს,. ყველა ეს ცოდვა საკუთარ სინდისს მოკითხოთ, რადგან იგი გვამხელს, და შევინანოთ უფლის წინაშე!

ქურდობის, მპარაობის თემა უშუალოდ უკავშირდება „ორგული მნის" იგავის უფლისმიერ სათქმელს. „უმოწყალო მონის" იგავის განმარტებისას *მიტროპოლიტი ფილარეტი* „ორგული მნის" იგავსაც იხსენებს და ამბობს: უმოწყალონი მტაცებლები არიან, რადგან ისინი იმას იტაცებენ მოყვასისგან, რაც ღვთისაგან მოწყალებისთვის არის დაწესებული. ის, ვინც არ გასცემს წყალობას და არ ეხმარება გაჭირვებულს და, ესე იგი, თავისთვის იტოვებს იმას, რაც სხვისთვის იყო განკუთვნილი – სწორედაც რომ მტაცებელია. ოღონდ ეგ არის, რომ „ნადავლის" ხელში ჩასაგდებად მას თავდასხმა ან დაყაჩაღება კი არ დასჭირდა, არამედ უარესი დაემართა – სინდისი დაეკარგა, სიყვარული დაეშრიტა, გული გაუცივდა და სულიც წარიწყმიდა.

ასე რომ, ამგვარი მტაცებლები ვერაფერს ავნებენ და ვერც ვერაფერს წარსტაცებენ თავიანთ მსხვერპლს – გაჭირვებულ მოყვასს, არამედ უმალ საკუთარ თავს აზარალებენ. თუმცა მოწყალე უფალი გადარჩენის გზაზე უთითებს მათ და „ორგული მნის" იგავით იმას ეუბნება, რაც ზემოთ ამოვიკითხეთ *წმიდა მოციქულ პავლეს* ეპისტოლედან:

„მპარავი იგი ნულარა იპარავნ, არამედ უფროჲსლა ჰშურებოდენ და იქმოდენ კეთილსა თჳსითა ჴელითა, რაჲთა აქუნდეს მიცემად, ვის-იგი უკმდეს“.

ორგულმა მნემაც ხომ ამ გზას მიმართა: განიცადა თავისი ცოდვები, მოინანია, მოყვასს უკან დაუბრუნა მიტაცებული და ასე თქვა უარი ცოდვაზე.

მადლობა უფალს!

გასრულდა სადიდებელად ღმერთისა!

გამოყენებული ლიტერატურა:

1) **ახალი აღთქუმაი**, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 1995.

2) **ახალი აღთქუმაი**, მეცნიერულად დადგენილი ტექსტი წმ. ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელთა რედაქციებისა, თბილისი, მთაწმიდა, წმიდა ნინოს ეკლესია, 2001.

3) **ახალი აღთქუმაი**, გამოცემა ეძღვნება უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის აღსაყდრების 25, მღვდელთმთავრობის 40 და დაბადების 70 წლისთავს, თბილისი, 2003.

4) **ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია**, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ივანე იმნაიშვილმა, თბილისი, 1979.

5) **ახალი აღთქმა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი**, წიგნი მათესი, 2001; წიგნი მარკოზისა, 2005; საქართველოს საპატრიარქო.

6) **მცხეთური ხელნაწერი** (5 წიგნად), თბილისი, 1981-1983, 1985-1986.

7) **ბიბლია**, საქართველოს საპატრიარქო, 1989.

8) **წმიდა იოანე ოქროპირი**, თარგმანებაჲ მათეს სახარებისაჲ, თარგმანი წმ. ეფთვიმე მთაწმიდელისა, თბილისი, I, II, 1996; III, 1998.

9) **წმიდა იოანე ოქროპირი**, განმარტება იოანეს სახარებისა, თბილისი, I, II, 1993.

10) **წმიდა ბასილი დიდი**, სწავლანი, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1996.

11) **ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი**, ბულგარეთის არქიეპისკოპოსი, სახარება მათესი, მარკოზისა, ლუკასი და იოანესი, მოსკოვი, 2000 (რუსულ ენაზე).

12) **დეკანოზი ბუხარეევი**, ლუკას სახარების განმარტება, II გამოცემა (რუსულ ენაზე).

13) ეპისკოპოსი მიხეილი, ლუკას სახარების შესახებ (რუსულ ენაზე).

14) ბიბლიის განმარტება, ა. პ. ლოპუხინისა, I ტ., 1904-1907; II ტ., 1910, 1913; III ტ., 1911-1913, პეტერბურგი (რუსულ ენაზე).

15) ბ. ი. გლადკოვი, სახარების განმარტება, საკტ-პეტერბურგი, ავტორის გამოცემა, 1913 (რუსულ ენაზე).

16) სახარების იგავები, განმარტება ასტრახანისა და კავკასიის არქიეპისკოპოსისა და კავალერისა სილიბისტროსი (სილვესტრისა), მოსკოვი, 1822 (რუსულ ენაზე).

17) უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს იგავების განმარტება, დუბლინის არქიეპისკოპოს ტრენჩისა, ინგლისურიდან რუსულად თარგმნა ა. ზ. ზინოვიევმა, სანკტ-პეტერბურგი, 1888.

18) ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელისა, I, II, ქუთაისი, 1913.

19) მათეს სახარების განმარტება, წმიდა მამათა სწავლების მიხედვით მასალების შემკრები, მთარგმნელი და გამმართველი წილკნელი მთავარეპისკოპოსი ზოსიმე, წილკნის ეპარქიის გამოცემა, თბილისი, 2000.

20) საკვირაო სახარებათა განმარტება, ნაწ. I-II, ფოთის ეპარქიის გამოცემა, 2001.

21) სახელმძღვანელო მართლმადიდებელი კატეხიზმოს შესასწავლად, 1911.

22) ეპისკოპოსი ალექსანდრე (სემიონოვ-ტიან-შანსკი), მართლმადიდებლური კატეხიზმო, 1995 წლის ეკლესიის კალენდარი, გვ. 295-431.

23) წმიდა იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, თბილისის სასულიერო აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 2000.

24) სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, 1991; II, 1993.

25) სულხან-საბა ორბელიანი, სიბრძნე სიცრუისა, თბილისი, 1979.

26) ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბილისი, 1973.

27) იოანე იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, თბილისი, 1986.

28) ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ერთტომეული), 1986.

29) იოსებ გელუკაშვილი, საღმრთო მადლის მიღებისათვის, მართლ-მადიდებლური ჟურნალი „ფუძე" უცხოეთში მცხოვრებ ქართველთათვის, ნოემბერი-დეკემბერი, 2005, # 6(8), გვ. 23.

30) ლია წერეთელი, „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲს" სახისმეტყველებისათვის, კრებულში: „მამული... ენა... სარწმუნოება...", საქართველოს საპატრიარქო, თბილისი, 2007, გვ. 258-272.

31) იგაუნი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესნი, I, 2003; II, 2004.

32) ფსალმუნნი, ახალი, შესწორებული გამოცემა მოამზადა ედიშერ ჭელიძემ, გამომცემლობა „ახალი ივირონი", თბილისი, 2006.

საკუთარ სახელთა საძიებელი:

ა

ნეტარი აგუსტინე 13, 16-18, 33, 59, 66, 68, 69, 71, 75, 79, 82, 91, 93, 109, 137, 163, 169, 172, 173.
წმიდა ათანასე ათონელი 36.
წმიდა მამა ამბროსი 15, 33, 64, 178.
ანანია 171.
ანნა პირველმღვდელმთავარი 53.
ბერი არტემ ვერკოლელი 36.

ბ

წმიდა ბასილი დიდი 16, 17, 19, 81, 97, 103, 178, 189.
დეკანოზი ბუხარეევი 9, 14, 70, 72, 111, 121, 167, 182, 189.

გ

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი (ქიქოძე) 37, 38, 40, 43, 48, 49, 77, 78, 98, 99, 102, 104, 105, 109, 183, 184, 185.
წმიდა გაბრიელ მთავარანგელოზი 122.
გლადკოვი ბორისი 109, 135, 138, 146, 172, 174, 175, 190.
წმიდა გრიგოლი დიდი 135.
წმიდა გრიგოლი ნოსელი 60.

დ

წმიდა დავით წინასწარმეტყველი და მეფსალმუნე 15, 25, 28, 40, 80, 89, 102, 137, 180.
წმიდა დანიელ წინასწარმეტყველი 63, 121, 122.
დარეჯანი (ლუარსაბ თათქარიძის მეუღლე) 98, 99.

ე

ელეაზარი 118.
ელისაბედი 120.
წმიდა ესაია წინასწარმეტყველი 73.
წმიდა ექვთიმე 24, 189.

ზ

ზაქარია 120.
ზაქე 153, 157, 162, 163.
ზირაქი 20, 170, 171.

თ

თინათინი (მეფე როსტევანის ასული) 23.
ეპისკოპოსი თეოფანე 36.
ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი 13, 15-20, 24, 26, 33, 44, 54, 58, 66, 68, 71, 79, 80-82, 89, 94, 95, 109, 110, 120, 121, 137, 141, 143, 164, 179, 189.

ი

წმიდა იაკობ მოციქული 2, 60, 77, 162, 181.
წმიდა იერემია წინასწარმეტყველი 123.
ნეტარი იერონიმე 168.
წმიდა ილია მართალი (ჭავჭავაძე) 32, 98, 100.
წმიდა იოანე დამასკელი 190.
არქიმანდრიტი იოანე (კრესტიანკინი) 183, 184, 186, 187.
წმიდა იოანე კრონშტადტელი 146.
წმიდა იოანე ოქროპირი 19, 21, 34, 46, 47, 60, 64, 72, 73, 87, 97, 100, 103, 109, 139, 142, 164, 169, 170, 173, 178, 181, 182, 189.
წმიდა იოანე მახარებელი და ღვთისმეტყველი 33.
წმიდა იოანე წინარმობედი და ნათლისმცემელი 58, 120.
მართალი იობი 20, 27, 75.
იონა წინასწარმეტყველი 86, 87.
იოსები ბარნაბა 171.
იოსები (ისაკის შვილი) 4, 117, 118.
იოსები ფლავიუსი 53.
ირინეოსი 53.
ისაკი (აბრაამის შვილი) 118.
იულიანე განდგომილი 172.

კ

კაიაფა 53, 54.

ლ

ლაზარე, მართას და მარიამის ძმა 43, 87.
ლეონი (ჯუმბერის აღმზრდელი) 154.
ლუარსაბი (თათქარიძე) 98, 99.
წმიდა ლუკა მახარებელი 8, 54, 110, 112, 180.

მ

წმიდა მაკარი დიდი 31, 32.
მართა, მართალი ლაზარეს და 40.
მარიამი, მართალი ლაზარეს და 43.
წმიდა მაქსიმე აღმსარებელი 18, 107, 182.
ეპისკოპოსი მიხეილი 14, 24, 55, 59, 66, 71, 87, 110, 111, 116, 121, 166, 177.
წმიდა მოსე წინასწარმეტყველი 12, 53, 81, 82, 90.

პ

პაულე ინგოროყვა 23.
წმიდა პაულე მოციქული 13, 21, 33, 39, 67, 76, 93, 101, 117, 124, 126, 143, 167, 177, 178, 185, 187.
წმიდა პეტრე მოციქული 33, 53, 91, 117, 171.
პილატე 120.
პლინიუსი 63.

რ

წმიდა რაფაელ მთავარანგელოზი 122, 123.
მეფე როსტევანი 23.
შოთა რუსთაველი 18, 23, 107, 139, 182.

ს

სამუელ წინასწარმეტყველი 89.
საული 88, 89.
საფირა 171.
არქიეპისკოპოსი სილვესტრი 122, 123, 135, 167, 168.
სედრაქ ვაზირი 154.

სოლომონ ბრძენი 15, 20, 25, 27-30, 34, 41, 42, 92, 118, 130, 137, 182.
სენეკა 26.
სულხან-საბა ორბელიანი 154, 158, 159, 190.

ტ

ტერტულიანე 53.
წმიდა ტიმოთე მოციქული 167.
ტობია (ტობითის ძე) 122.
ტობითი (ტობიას მამა) 123.

ფ

მიტროპოლიტი ფილარეტი 164, 165, 173, 187.
ფინეზი (ჯუმბერის მამა) 154, 160.

ჯ

ჯუმბერი (მეფე ფინეზის ძე) 154.

სარჩევი

მკითხველისათვის 5

„უგუნური მდიდარი“. 7

„მდიდარი და გლახაკი ლაზარე“. 51

„ორგული მნე“ . . . 107

გამოყენებული ლიტერატურა: 189

საკუთარ სახელთა საძიებელი:. 192

მასალა შეკრიბა და შეადგინა
დოდო (მარიამ) ღლონტმა

რედაქტირება და კორექტურა
ნათელა ხურცილავა

კომპიუტერული უზრუნველყოფა
პაატა მამფორია

დიდება შენდა, ყოვლადწმიდაო სამებაო, ერთღმრთეებაო და ერთარსებაო, რამეთუ ღირს-მყავ მე უღირსი ამისა სრულ-ყოფად! წმიდანო მახარებელნო და წმიდანო მამანო, მეოხ-მეყავით წინაშე უფლისა [illegible]ნისა, და მეცა შემიწყალეთ – ცხოველი ღმრთისაჲ დოდო-მარიამი, და შ[illegible]ბა-ყავთ წინაშე ღმრთისა. [illegible]ეცრებითა ჩემითა დაეკარგ[illegible] [illegible]ესა ამას. ამენ.

გამოცემულია:

„იგავნი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესნი“, 1 („მოწყალე სამარიტელი“, „უმოწყალო მონა“, „ორი მოვალე“, „ცხვრები და თიკნები“), 2008.

„იგავნი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესნი“, 2 („დაკარგული ცხვარი“, „დაკარგული დრაქმა“, „უძღები შვილი“, „ორი ძე“, „ფარისეველი და მეზვერე“), 2008.

უახლოეს ხანებში გამოიცემა:

„იგავნი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესნი“, 4 („დიდებული სერობა“, „მეფის ძის ქორწილი“, „უნაყოფო ლეღვის ხე“, „ბოროტი მევენახეები“), 2008.

„იგავნი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესნი“, 5 („ტალანტები“, „ათი მნა“, „ათი ქალწული“, „ერთგული და ბოროტი მონები“, „ფხიზელი სახლის პატრონი (მპარავი)“, „ურგები მონები“, „კოშკი“, „ომში მიმავალი მეფე“, „მარილი“), 2008.

„იგავნი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესნი“, 6 („აღმოცენებული თესლი“, „საფუარი“, „მდოგვის მარცვალი“, „საუნჯე“, „მარგალიტი“, „ბადე“, „სახლი კლდეზე“, „მთესველი“, „ხორბალი და ღვარძლი“, „უსამართლო მსაჯული“, „მეგობრის თხოვნა“), 2008.

„იგავნი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესნი“, 7, სახარების იგავის „შენობა“ – უფლისმიერი იგავური ქადაგება: „ცოდვიდან ცხონებამდე“, 2008.